


საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის  
საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-  
საგანმანათლებლო კაფეირის „საზოგადოება  
ცოდნის“ ჟურნალი

# სიტყვა

„როცა საზოგადო მნიშვნელობის  
აზრი ამოქმედებს სიტყვას, მაშინ  
თვითონ თქმა ქმნად გადაიქცევა  
ხოლმე“



№10  
2009

უურნალ „სიტყვის“ გამოცემა გრძელდება საქართველოს ილია ჭავჭაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ წესდების საფუძველზე, რაც საჭირო ცვლილებებით დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით №366, 30.09.2005 წ. მოწმობა №00541/12/0293

### სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო უურნალი „სიტყვა“

თუ რედაქციაში შემოსული მასალები არ ემთხვევა რედაქციის პოზიციას, გამოქვეყნებულ წერილებში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე  
პასუხს აგებს ავტორი

უურნალში გამოქვეყნებულ მასალებზე საავტორო უფლება ეკუთვნის „სიტყვის“ რედაქციას. შეუთანხმებლად რაიმეს გადაბეჭდვა კანონის მაღით აკრძალულია. უურნალი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ სტამბაში

სარედაქციო კოლეგია:

**ცეგზარ ტერეთელი (მთავარი რედაქტორი),**  
**ნოდარ ზედელაშვილი (პასუხისმგებელი მდიგანი),**  
ნანა გაფრინდაშვილი, გურამ გეგეშიძე, ემზარ კვიტაიშვილი, ნიკო ლეონიძე, ტარიელ სტურუა, რევაზ უზუნაძე, გარი ჩაფიძე, თამარ ყურაშვილი, ნინო წერეთელი.

**რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №47.**

**საკონტაქტო ტელეფონები:**  
**99-00-35, 99-94-46, 93-43-10**  
**877-52-31-31, 877-50-29-84**

ISBN 5-89512-248-5

У საქართველოს ილია ჭავჭაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“

## შინაარსი

საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნაში“ წერილი  
ფარმაციის ინსტიტუტზე.

**გურამ ბერიძე** – 75

გურამ გეგეშიძე

დათო ტურაშვილი

ოტია პაჭკორია

ზაურ ბოლქვაძე – ორი ლექსი

თამაზ ჭილაძე

ნუგზარ წერეთელი

**პრიტიპა, ლიტერატურული მცოდნეობა**

ე. კვიტაიშვილი „მოსავლის მომკის უამი“

ლიტერატურული მემკვიდრეობა პოლიტიკური ელფერით.

ზაქარია ჭიჭინაძე – „ოსების ჩამოსახლება საქართველოში“

ქართული კულტურის ისტორიის ფურცლები

აკაკი წერეთელი – მოგონება ლადო გუდიაშვილზე

ნუგზარ წერეთელი – მხოლოდ მართლის მთქმელს დავუკეროთ.

**კომზია**

თამაზ აფციაური – ლექსები

ანა გოგოსაშვილი – ლექსები

თამუნა კაჭარავა – ორი ლექსი

**პროზა, იუმრიი**

ნუგზარ ერგემლიძე

გობრონ წერეთელი

**ორი მიძღვნილი ლექსი**

თარგმანები

ემზარ კვიტაიშვილი – ჯონ კიტსი

ნუგზარ წერეთელი – სხვადასხვა წლების თარგმანები

მეცნიერებები

დიდი მეცნიერის ანდერძი ახალგაზრდობას

ლელა აფციაური – მზიური ფერის შეცნობისათვის

ერთი თხზულების სახისმეტყველებისა და მისი ძველბერძნულ

დედანთან მიმართებისათვის . . . . .

**საჭირობოობობი საპითხები**

ზღვა შუქ-ჩრდილების ფონზე –

თემლაპისადმი და თემლაპელებისადმი მიძღვნილი

**ლექსებიდან**

**არდავიცხვება**

სულის შემძვრელი ათი დღე

ამაგდარი ადამიანის გახსენება.

## შარმატებებს ბის ურვები!

საქართველოს იღია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საკანონმდებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ ინსტიტუტი წელს უკვე მეორედ ზეიმობს სტუდენტთა ახალი ნაკადის მიღებას. სასწარო-ულოა, რომ ფარმაციის სპეციალობის მსურველთა რიცხვი წელს 60-დან 120-დე ავიდა.

ფარმაცია მედიცინის უძველესი დარგია, მისი ფესვები ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჩაისახა. უძველესი მკურნალები ამავე დროს ალბათ ფარმაცევტებიც (ეს ტერმინი მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა) იყვნენ, რადგან ისინი არა მარტო სვამდნენ დაიგნოზს და მკურნალობდნენ პაციენტებს, არამედ თავადვე ეწეოდნენ წამლის მომზადების საქმეს. გამომდინარე აქედან, აღნიშნულ პროფესიას უდიდესი ტრადიციები გააჩნდა. წამალი შეუცვლელი იარაღია ექიმის ხელში. იგი ყველაზე სათუთი და მოსახლეობისათვის აუცილებელი პროდუქტია. წამლის მცოდნე – ფარმაცევტის, რომლის კვალიფიკაციაზე დიდად არის დამოკიდებული ავადმყოფის რაციონალური ფარმაკოთერაპია.

ბოლო ათეული წელი ქართული ფარმაციის ისტორიისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია. იგი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ვითარდება. ახალ საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლამ მრავალი პრობლემა და ამოცანა წამოჭრა დარგის წინაშე. პრაქტიკულ ფარმაციაში მიმდინარე ძირეული ცვლილებები აისახა კადრების მომზადებაშიც. მაღალი ინ-

ტელექტი და პროფესიონალიზმი – ეს ის კრიტერიუმებია, რომელიც მოეთხოვება თანამედროვე ფარმაციში მოღვაწე სპეციალისტს. აღნიშნული კრიტერიუმების მისაღწევად „საზოგადოება ცოდნის“ ინსტიტუტში საუკეთესო პირობებია შექმნილი. სასწავლო გეგმა და სილაბუსები მთლიანად შესაბამისობაშია ბოლონის საერთაშორისოდ აღიარებულ ფარმაცევტულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან, რაც იმის საფუძველია, რომ კურსდამთავრუბულთა თეორიული მომზადების დონე და პრაქტიკული უნარ-ჩვევები საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი იქნება. უმაღლეს სასწავლებელს გააჩნია კარგად აღჭურვილი ბაზა აუდიტორიებისა და ლაბორატორიების სახით, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ქსელი. მიმდინარე წელს ინსტიტუტის ხელმძღვანელობაში ჩაატარა ფართო მასშტაბის სარემონტო სამუშაოები და შექმნა საუკეთესო პირობები სტუდენტებისათვის.

ინსტიტუტში მოღვაწეობენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე დარგის წამყვანი პროფესიონალური მასწავლებლები, რომლთა პრიორიტეტს წარმოადგენს მაღალი კვალიფიკაციის და პროფესიული ეთიკის მქონე სპეციალისტთა მომზადება. ამ პრობლემის მაღალ დონეზე გადაჭრის აუცილებლობას და საქართველოსთვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების პრობლემას თავის გამოსვლებში ისტემატურად უსვამდა საზოგადოების პრეზიდენტი და ხელისუფლების მაღა-

ლი ეშელონის წარმომადგენლები, რაც ჩვენ გვინდა ყოველდღიურ მოთხოვნილებად ვაქციოთ. ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და პროფესურა უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება სტუდენტებთან მუშაობას – არ აკლებს მათ შზრუნველობას და სითბოს, თუმცა მკაცრია დისციპლინარულ საკითხებთან მიმართებაში.

სასწავლო პროცესი მთლიანობაში მომავალ სპეციალისტს მისცემს საბაზისო ცოდნას ისეთი ფუნდამენტური მაპროფილებელი მეცნიერებების დაუფლებაში როგორიცაა წამალთფორმების წარმოების ტექნოლოგია, ფარმაცევტული საქმის ორგანიზაცია, ფარმაცევტული მენეჯმენტი და მარკეტინგი, ფარმაკონიზია, ფარმაცევტული ქიმია სტანდარტიზაციით, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზი, ფარმაკონეტიკა და ბიოფარმაცია და სხვა. წელს ინსტიტუტს მიეცა აგრეთვე ფარმაციაში მაგისტრების მომზადების უფლებაც, რაც იმის მიმართებლია, რომ ინსტიტუტის დონე შესაბამისი პროგრამებითა და ბაზით ძალაში მაღალია.

ფარმაცევტის პროფესია ნამდვილად არ მიეკუთვნება „დაჩაგრულ“ პროფესიათა რიცხვს. დღეისათვის კურსდამთავრებულების განკარგულებაშია 87 ფარმაცევტული ბაზა, 61 ფარმაცევტული წარმოება, 1994 აფთიაქი, 64 აფთიაქის ფილიალი, 392 სააფთიაქო პუნქტი, 14 დაწესებულების აფთიაქი, რამ-

დენიმე აკრედიტებული წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორია, 1 სამუცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ლაბორატორია, ეადაც წამყვან სპეციალისტებად სწორედ ფარმაცევტები მუშაობენ. მიუხედავად ასეთი მაჩვენებლებისა, დარგი მაინც მულტივალ განიცდის ფარმაცევტული კადრების ნაკლებობას, რაც იმის მიმართებლია, რომ იგი მუდმივად ვითარდება და იზრდება.

დარგს ხელმძღვანელობს მარეგულირებელი ფარმაცევტული საქმიანობის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია დარგის რეგულაციის სამართლებრივ საკითხებზე.

სტუდენტებთან ერთი წლის მუშაობამ გვიჩვენა, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობა მათთან მიმართებაში ეწვება სწორ პოლიტიკას დისციპლინის განმტკიცების თვალსაზრისით, რაც საწინდარია არა მარტო თეორიული ცოდნის და პრაქტიკული ჩვევების ამაღლების თვალსაზრისით, არამედ პროფესიული ეთიკური ჩვევების განმტკიცების თვალსაზრისითაც, რაღაც აღნიშნული პროფესია ემსახურება აღამიანების ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

პირველკურსელებს გულითადად ვულოცავთ სტუდენტობას და ვუსურვებთ თვალსაზრი წარმატებებს პროფესიის მაღალი მწვერვალების დაპყრობაში.

## ნაზი სურმავა

**ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნის“  
პუმანიტარულ-ფარმაცევტული ინსტიტუტის რექტორი.**

## გურამ რჩეულიშვილი - 75

2009 წლის 4 ივნისს 75 წლის საიუბილეო თარიღი შესრულდა დიდი ქართველი მწერლის, თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, 26 წლის ასაკში ტრაგიკულად დაღუპული ლეგენდარული გურამ რჩეულიშვილის დაბადებიდან. ამ დიდმნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენასთან დაკავშირებით უცრნალ „სიტყვის“ რედაქცია განმეორებით აქვევნებს ზოგიერთ მასალას ოცდაექვსი წლის მარადიულ ჭაბუკად დარჩენილი გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

### გურამ გეგეშიძე

#### გურამ რჩეულიშვილის მოსაგონარი

ამ რამდენიმე წლის წინ გამოჩენილი მწერალი გიორგი შატბერაშვილი გურამ რჩეულიშვილის შესახებ წერდა: „ის არ ჰყავს იმ მწერლებს, ვისი შემოქმედებაც კლებას იწყებს და დავიწყებას ეძღვევა... მან თავის დროზე, თავისი არსებობით და სიტყვით, ბევრი კარგი რამ მაგრძნობინა“. ჭეშმარიტი სიტყვებია! დარწმუნებული ვარ, გურამ რჩეულიშვილმა ბევრს აგრძნობინა ასეთი რამ.

გურამ რჩეულიშვილის მოთხოვნებმა, რომლებიც პირველად 1957 წელს დაიბეჭდა მაშინ ახლად დაარსებულ უცრნალ „ცისკარში“, თავიდანვე მიიქცია ყურადღება ფორმის სიახლით და უშუალობით. ის პირდაპირ, თამამად წერდა საკუთარ თავზე. მისი ნაწერების დიდი უმრავლესობა ავტობიოგრაფიულია, გურამ რჩეულიშვილის მახლობელი ადამიანები ადვილად ხვდებიან, ესა თუ ის ნაწარმოები მისი

ცხოვრების რომელ ფაქტზეა დაყრდნობილი და აღმოცენებული. მის ნაწერებში არაფერია გამოგონებული, მით უმეტეს – ყალბი.

ყოველივე, რაც ჭაბუკმა ავტორმა წარმოადგინა 1957 წელს, შეიძლება ითქვას, მანამდე უჩვეულო იყო ჩვენთვის. ეს იმას არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, რომ საერთოდ ლიტერატურისათვის უცნობი და ახალი იყო მისი სტილი. წერის ის ტექნიკა, რომელსაც გურამ რჩეულიშვილი იყენებდა თავის პირველ თხზულებაში, საზოგადოდ, დიდი ხანია ცნობილი იყო. უბრალოდ, მას არგუნა ბედმა ყოფილიყო ამ ახალი, თანამედროვე სტილის დამნერგავი ჩვენში და ამას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ყოველი ეპოქისა და დროის ლიტერატურას სათქმელის გადმოცემის ამ დროისთვის შესატყვისი ხერხები აქვს. ყველასათვის ცნობილია, რომ XX საუკუნის პროზის ტექნიკა მკვეთრად განსხვავდება XIX საუკუნის პროზის ტექნიკისაგან და დღევანდელი კაცისათვის უფრო მოქნილი და მოხერხებულია, რაც სრულებით არ ნიშნავს იმას, თითქოს ჩვენი საუკუნის

ლიტერატურა წინა საუკუნისაზე უფრო მაღლა იდგეს. მაგრამ ეს სხვა საკითხია... გურამ რჩეულიშვილი პირველი შეუდგა ამ ხერხების გათანამედროვეობას ჩვენში და ამიტომ მისი ცდა დასაფასებელია.

წერის ყოველგვარი ტექნიკა, თანამედროვე იქნება ის, თუ შედარებით მოძველებული დღეის თვალსაზრისით, თავისთავად ცხადია, მწერლის სულიერი სამყაროს გახსნას ემსახურება. გურამ რჩეულიშვილი, მშვენივრად ფლობდა რა სტილს, უაღრესად თავისებურად აღიქვამდა ყოველივეს და ამიტომაც შექმნა ნამდვილად საინტერესო და ორიგინალური სამყარო, რომელიც მისი უტყუარი გამოცდილებაა ამავე დროს. მწერლისთვის მთავარია, როგორ განიცდის, როგორ შეიგრძნობს ამა თუ იმ, თუნდაც საკმაოდ ცნობილ მოვლენას, რადგან მწერლობაში იმდენად მნიშვნელოვანი ესა თუ ის მოვლენა კი არ არის, არამედ მისი აღქმის თავისებურება. როდესაც ნაწარმოებს ვკითხულობთ, ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, ვეცნობით ავტორის პიროვნებას. სურს თუ არ სურს, მწერალი იძულებულია საკუთარი სული გადაგვიშალოს, ძალაუნებურად გამოამჟღავნოს საკუთარი თვისებანი და მიღრეკილებანი. ეს არის ლიტერატურის სპეციფიკა და, ამ თვალსაზრისით, ყოველი ნიჭიერი და გულწრფელი მწერალი ახლის აღმომჩენია, ვინაიდან სერიოზული ლიტერატურული შრომის პროცესი ერთგვარი თვითშემცნებაა, რაც თავისთავად სამყაროს და ჭეშმარიტების შე-

მეცნებას ნიშნავს. გურამ რჩეულიშვილი ასეთი ახლის აღმომჩენი და ჩვენი ფიქრისა და ხედვის ამმაღლებელი იყო.

ის მტკიცედ იდგა ქართულ მიწაზე. მის ნაწერებში ქართველი კაცის მშვითვარე სული ბობოქრობს, მაგრამ ის არ შემოსახლვრულა მხოლოდ ქართული ლიტერატურით, რომლის ტრადიციებზე აღიზარდა და ჩამოყალიბდა მწერლად. იგი ზედმიწევნით კარგად იცნობდა რუსულ და დასავლურ ლიტერატურას. ცდილობდა მიებაძა თავისი საყვარელი დიდი მწერლებისათვის, ეს კი კანონზომიერი და ბუნებრივი მოვლენაა, რადგან, პირველ ხანგძლი, როდესაც მწერალი კალამს ჰქილაბს ხელს, მიუბაძელად საერთოდ შეუძლებელია თვითმყოფადობის გამომუშავება. გურამ რჩეულიშვილი უხვად სწავლობდა ყველა მწერლისაგან, რომელიც მოსწონდა, საკუთარი მანერისა და სტილის მორჩილება სათქმელის შეზღუდვის ხარჯზე, რასაც ზოგჯერ საქვეყნოდ ცნობილი მწერლებიც კი ვერ აღწევენ თავს. მისი ბოლო ნაწერების სტილი საგრძნობლად განსხვავდებოდა მისივე პირველი მოთხოვნებისაგან, რადგან ის არასოდეს არ იდგა ერთ ადგილზე, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა მისი ინტერესების სფერო. ამის შესაბამისად იცვლებოდა მისი სტილიც, ირლვეოდა და ვითარდებოდა. აშკარად ეტყობოდა, რომ ფართოდ შლიდა ფრთხებს და დიდ სიმაღლებზე აფრენას აპირებდა. სხვათა გამოცდილებას არასოდეს უგულებელყოფდა, არამედ თამამად იყენებდა, უცხო ელემენტს გადამუშავებდა

და თავისად ხდიდა ხოლმე. სხვებისა-გან ნასწავლს შთაბერავდა თავის სულს და ქმნიდა რაღაცას სრულებით ახ-ალს, თვითმყოფს, სწორედ ამაშია მწ-ერლის ნიჭი და ძალა, და ის, ვინც უფრო ძლიერი და ნიჭიერია, უფრო მეტს გადამუშავებს და თავისად აქცევს ხოლმე. გურამ რჩეულიშვილს ამისი დიდი უნარი ჰქონდა. ის ამდიდრებდა საკუთარ შემოქმედებას და ამით ჩვენს მწერლობაში ბევრი მანამდე უცხო ელემენტი შემოჰქონდა. მან გადაგვიშ-ალა თავისი სული და ის ხერხები და საშუალებები, რომლებიც ამისთვის გამოიყენა, აბსოლუტურად თავისად აქცია, შეითვისა, გააკეთილშობილა, ორგანულად შეისისხლხორცა, დიდმა ძალამ და ნიჭია შეაძლებინა ამის გა-კეთება. ჩემი ღრმა რწმენით, გურამ რჩეულიშვილს ყველა პირობა ჰქონდა იმისა, რომ ძალიან დიდი მწერალი დამდგარიყო და უფრო ფართო ას-პარეზზე გაეტანა თანამედროვე ქართუ-ლი პროზა. მას ჰქონდა დიდი ნიჭი, შრომისუნარიანობა, შეუპოვრობა, ხას-იათის სიმტკიცე, საკუთარი ძალების რწმენა, სიცოცხლის უსაზღვრო სიყ-ვარული და ხალისი, ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ამოცანა, რომელსაც ემ-სახურებოდა, ჰქონდა ღრმა განათლება, ერუდიცია, რომელიც, უეჭველად თან-დათან უფრო გაიზრდებოდა.... მაგრამ, საუბედუროდ, ყველა ამ ბედნიერ თვისე-ბასთან ერთად, ბუნებამ მას მეტად ხანმოკლე სიცოცხლე არგუნა. ის დაილ-უპა სულ ახალგაზრდა — ოცდაექვსი წლისა. და ამ ოცდაექვსი წლიდან მწერლობას თავისი სიცოცხლის მხ-

ოლოდ უკანასკნელი ოთხი წელიწა-დი მოანდომა. მაგრამ ამ ოთხი წლის განმავლობაშიც იმდენის გაკეთება მოასწრო, რასაც ვერ მოასწრებ, თუ არ ზარ მართლაც ზეგარდმო მადლით ცხებული. მას დაწყებული ჰქონდა მუშაობა მეტად საინტერესო რომანზე, რომელიც, სამწუხაროდ, ვერ დაასრუ-ლა. ის ჩვენთვის დარჩა ბრწყინვალე მოთხოვნების ავტორად, მისი მოთხოვნები კი ისე ტევადია, ისე სისხ-ლსავსე და სხარტი, აღსავსე მრავალ-ფეროვანი აზრებით, განწყობილებები-თა და ზასიათებით, რომ ცხოვრების ფართო და დიად სურათს ჰქონის. ეს მოთხოვნები ნათელ ჰარმონიასავით აღიქმება და ისინი მათი ავტორის შინაგან ცხოვრებასა და ბუნებას გამოხ-ატავენ. მისი სამყარო აღსავსეა მძაფ-რი ვნებებით, მოქმედების წყურვილით, სევდით, სიყვარულით, სილამაზით, ყოვე-ლივე იმით, რითაც ადამიანი ცოცხ-ლობს მიწაზე. ამიტომაც იქცა ის ჩვენთვის საყვარელ მწერლად და მისი ბედი თანაბრად აღონებს ყველას, ვისთვისაც ქართული ლიტერატურა ძვირფასია.

გურამ რჩეულიშვილი, დიდი ოპ-ტიმისტი, ხალისიანი და იმედიანი კაცი იყო. ის იყო ტრაგიკული მსოფლშეგ-რძნების ადამიანი, მაგრამ მისი მსოფ-ლმხედველობა მომავლის ნათელი რწმენით და სიცოცხლის სიყვარულით იყო გაბრწყინებული. მართალია, მოახ-ლოებული სიკვდილის წინათგრძნობა ჰქონდა, ამაზე წერდა თავის დღიურში, მაგრამ სიხალისე და სიცოცხლის სიყვარული არასოდეს დაუკარგავს. ის

უცნაური, თითქმის დაუჯერებელი წინათგრძნობა კი, რომელიც, საუბედუროდ, ახდა, ადასტურებს მის ულრმეს ინტუიციას და სწორედ ამიტომ ჩვენ მას უნდა ვენდოთ ყველაფერში. გურამ რჩეულიშვილის ნაწერებში სარკესავით ირეკლება მისი სული და ყოველივე, რაც ამ სარკეში ჩანს, არის უტყუარი, ნამდვილი, ჭეშმარიტი. ეს მან თავისი მართალი სიცოცხლით და სიკვდილით დაამტკაცა.

გურამ რჩეულიშვილის მნიშვნელობა დღევანდელი ქართული პროზისთვის, ჩემი აზრით, ერთობ დიდია. დღეს, როცა ლაპარაკია უახლეს, ეგრეთ წოდებულ ახალგაზრდულ ქართულ პროზაზე, იმ ახალ თემებსა (თუმცა თემების სიახლე ყოველთვის მათ მნიშვნელობას არ ნიშნავს, — ამ მხრივ ბევრი რამ არის გასაკეთებელი) და ახალ ფორმებზე, რომლებიც დრომ მოიტანა, ხოლო ახალგაზრდა ქართველმა მწერლებმა თანდათან დაწერებული ჩვენს ლიტერატურაში, — ამ ბუნებრივი მოვლენის უარყოფა კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, — არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ საქმის პირველი მერცხალი გურამ რჩეულიშვილი გახლდათ.

**„ლიტერატურული  
საქართველო“**  
22 აგვისტო, 1969 წელი

## დათო ტურაშვილი

### გურამ რჩეულიშვილი და თავისუფლების თაობა

საბჭოთა იმპერიაში, გაჩნდა თუ არა ამის შესაძლებლობა, ათეულობით და ასეულობით პარტია და საზოგადოება დაუბირისპირდა ოფიციალურ ხელისუფლებას, ამ რამდენიმე წლის წინათ, თავისუფლების პირველი ნიშნების გაჩენისთანავე, სხვა ხალხთა და ერთა დარად, ჩვენც, ქართველებიც დავიყავით და დავნაწილდით კავშირებად, პარტიებად, საზოგადოებებად... დროსთან ერთად მათი რიცხვიც გაიზარდა და, კარგია ეს თუ ცუდი, პოლიტიკურ დაჯგუფებათა რაოდენობით ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი აღმოგვაჩნდა საკავშირო მასშტაბით.

ჩვენთვის, ჩვენი მეგობრებისა და ახალგაზრდობისათვის, არცერთი პარტია არ გამხდარა ასპარეზად მოღვაწეობისა, ასპარეზად ძახილისა, სიმართლის თქმისა და ბრძოლისა. არ გამხდარა იმ მარტივი და გასაგები მიზეზის გამო, რომ პოლიტიკა ჩვენი წყურვილის საგანი არ იყო. ჩვენი წყურვილი მაშინაც თავისუფლება იყო და ახლაც თავისუფლებაა. ჩვენი მაშინდელი ბრძოლა, დიქტატისა და ძალადობის წინააღმდეგ იყო მიმართული და პოლიტიკა მხოლოდ საშუალება — თავისუფლების მისაღწევად, იმ ელემენტარული უფლებების მოსაპოვებლად, რომლითაც ცხოვრობს და სარგებლობს დღევანდელი ცივილიზებული სამყარო. თორემ, ჩვენ მაშინაც იმ აზრზე ვიყავ-

თ და ახლაც ის გვირჩენია, რომ, როცა საქართველო ნორმალური და თავისუფალი სახელმწიფო იქნება, ყველამ ჩვენი საქმე ვაკეთოთ და რაც კი ნიჭი, მაღა და ენერგია არსებოს ჩვენში, პოლიტიკას კი არა, მეცნიერებას და ხელოვნებას, ლიტერატურას და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ გაჯანსაღებას მოვახმაროთ. ეს რომ ასეა და არა სხვაგვარად, მაშინაც დადასტურდა, როცა არჩევნებში მონაწილეობის (და სხვებთან ერთად გამარჯვების) შანსი მოგვეცა და ჩვენ შეგნებულად ვთქვით უარი.

ათასჯერ გვითქვამს და ახლაც გვინდა გავიმეოროთ, ჩვენ არ გვსურს ვიყოთ პოლიტიკოსები, არ გვსურს გაერთიანება რაიმე პოლიტიკურ პარტიად, რამეთუ, ჩვენი სუბიექტური აზრით, ეს მაინც გარკვეული შეზღუდვაა და, გარკვეულად, ამბიციების გაჩენის წინაპირობაა. ჩვენ კი, შეძლებისადაგვარად, ამ ამბიციებისაგან თავისუფლად გვინდა ვიცხოვოთ, სწორედ თავისუფლებისათვის, იმ ლამაზი იდეისათვის, რომლის გარშემოც და რომლის გამოც ყველაზე მასობრივად, ყველაზე ძლიერად და ენერგიულად, 1924 წლის შემდეგ ჩვენი თაობა დაირაზმა, ხმა აიმაღლდა და ბრძოლა დაიწყო. ახლაც იბრძვის, რადგან, ჩვენი ღრმა რწმენით, პოლიტიკური დამოუკიდებლობა სხვაა და მისი მოსალოდნელი მოპოვების შემდეგ, თავისუფლებამდე, ნამდვილ თავისუფლებამდე, კიდევ გრძელი გზა ექნება გასავლელი ქართველ ხალხს, მთელ ერს, მის ყველა წარმომადგენელს, ჩვენი სურვილის მიუხედავად, ამდენი

წლის მონობამ, მაინც დაგვატყო თავისი დაღი...

ჩვენ, თუ ეს ხმამაღალი ნათქვამი არ არის, თავისუფლების თაობა ვართ – იქნებ გეხსამუშათ და კიდევ ერთხელ მოგიხდით ბოდიშს, მაგრამ თუ ეს ასე არ არის, სურვილი მაინც ჯიუტად გვაქს – ჩვენ გვსურს ჩვენი დროის თავისუფლების თაობა ვიყოთ. აღარ ვმოწედეთ არავის, გარდა საკუთარი თავისა. აღარ გვიშლიდეს ვინმე ისე ხატვას, ისე წერას, ისე ლაპარაკს, ისე სუნთქვას, როგორც საჭიროდ მიგვაჩნია და ვფიქრობთ. ჩვენთვის სულერთია რა ერქმევა ან რა ჰქვია იმ ძალას, კვლავ ჩვენი შეზღუდვა რომ სურს. ჩვენთვის მთავარია ასეთი ძალა არ იყოს საქართველოში, აღარავისზე იყოს დამოკიდებული ჩვენი საქმიანობა. აღარ გვიკარნახებდნენ ზემოდან ყოველ ნაბიჯს. თავისუფლებამდე, გაბრწყინებულ საქართველომდე დამოუკიდებელი, თვისუფალი ნაბიჯებით უნდა ვიაროთ...

ამ ნაბიჯებისა და ბრძოლის გზაზე მუდამ ვგრძნობდით ერთიანობის, ერთად დგომის აუცილებლობას და კაი ხანს ხმაც ჩავიხლიჩეთ გაერთიანების ყვირილითა და მოწოდებით. არაფერი გამოვივიდა და მერე იმ გაერთიანებას კონსოლიდაცია დავარქვით. მოგვეწონა უცხო სიტყვა და ახლა კონსოლიდაციაა საჭიროო, დავიჩემეთ. არც აქედან რომ არ გამოვიდა რამე ხეირიანი და ისეთივე მონდომებით გავაგრძელეთ ერთმანეთის ძიძვნა, ვიღაცამ იგივე მნიშვნელობის (ან დაახლოებით) კიდევ ერთი უცხოური სიტყვა გაიხ-

სენა და ისევ შევაწუხეთ ერთმანეთი კონსესუსის აუცილებლობით. არც ამის ძახილისგან გამოვიდა - რა და ისევ სურვილად დაგვრჩა ერთად დგომის წყურვილი...

ჩვენ, ჩვენი შხრივ, იდეა გვინდა შემოგთავაზოთ ერთი საზოგადოების, ამავე დროს მოძრაობისა. თითქოს ყველა სახელი და იდეა დაიტიქს პარტიულმა სახელწოდებებმა, მაგრამ, ჩვენი აზრით, არის სახელი, რომლის ირგვლივაც მართლა შეიძლება ყველა თაობის ადამიანთა გაერთიანება:

ეს გურამ რჩეულიშვილია, რომელიც თავად მოიცავს ყველა იმ მიზანს, იდეას, მოწოდებასა თუ ლოზუნგს, რომელიც ჩვენში უკანასკნელ ხანს გაჩნდა და რომლისკენაც ახლაც ვისწრაფვით. გურამ რჩეულიშვილი, მართლაც რჩეული ქართველთა შორის, თავად იყო იმ თვასებების მატარებელი, რომელიც, ჩვენი აზრით ქართველს უნდა ჰქონდეს. მასში, როგორც პიროვნებაში, შერწყმული იყო სიკეთე და სიყვარული, შრომა და მეგობრობა, ნიჭი და სილამაზე...

გურამ რჩეულიშვილმა, სისხლითა და გვარით რჩეულმა ქართველმა, შემოქმედებითმა და ცხოვრების წესით მონობისადმი, ყველანაირი მონობისადმი შეურიგებელმა პიროვნებამ, ჯერ კიდევ როდის (ჩვენ რომ ზოგჯერ გაუბედავი გვგონია ჩვენი მამების თაობა) დღისით, მზისით, ორი ტყვია ესროლა ლენინის ძეგლს, ჯერ კიდევ როდის თქვა მან ხმამაღლა თავისი ძარღვიანი კალმით იმ თავისუფლებაზე, ჩვენ რომ ნებართვის შემდეგ ავყაფა-

დით (გულზე ხელი დავიდოთ). განა გურამ რჩეულიშვილის ოცდაექვსი წელი ეროვნულ - განმანთავისუფლებელი მოძრაობის ნაწილი არაა? ისეთივე რჩეული ნაწილი არაა მისი ცხოვრების წესი, როგორც სხვებისა - ციხე? განა იგი თავიდან ბოლომდე პროტესტი არ იყო, რაც ზოგიერთს მაშინაც აღიზიანებდა და პოზად მიაჩნდა? მაგრამ მისი მომხრენი უთუოდ დამტანხმებიან, რომ გურამის ყოველი ნაბიჯი ბუნებრივზე ბუნებრივი იყო, მისი საქციელი ორგანული - მისი პიროვნებისათვის.

ამ პარმონიულ პიროვნებას საოცარი ნიჭი ჰქონდა გაეერთიანებინა თავის გარშემო მწერალი თუ მხატვარი, მუსიკოსი თუ რეჟისორი. მეგობარი ყველგან ჰყავდა და ერთნაირი სიყვარულით შეეძლო გვერდში ამოსდგომდა ქალსა და კაცს, ვისაც უჭირდა, რაღაც აკლდა, სწავლაც შეეძლო და მუშაობაც. წიგნის კითხვაც უყვარდა და ჩხუბიც ხშირად უწევდა. აკადემიკოსებსაც კარგად იცნობდა და ქურდებსაც. უცნაურად კი უღერს, მაგრამ ქართველისათვის ქუჩის სკოლაც ისეთივე აუცილებელია, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო. ქუჩაში ისეთ რამეს იძენ, რაც შეიძლება არც ინსტიტუტში მოიპოვებოდეს და არც სკოლაში (ბოდიში გადახვევისათვის)...

საზოგადოება რომელიც გურამ რჩეულიშვილის სახელს უნდა ატარებდეს, ამავე დროს მოძრაობა უნდა იყოს ქველმოქმედების, სიკეთისა, სიყვარულისა, მეგობრობისა და სილამაზისაკენ სწრაფვისა. საზოგადოება

არავის და არაფრის წინააღმდეგ არ უნდა შეიქმნას. მისთვის მოუღებელი უნდა იყოს დაპირისპირება, როგორც მიზანი. აქ გაერთიანების საფუძველი სიყვარული უნდა იყოს და არა სიძულვილი, თორმე, იგი განწირულია მარცხისათვის. აქ ისინი უნდა გაერთიანდნენ, ვისაც პოლიტიკური ამბიციები არ აწუხებთ, სკამებზე არ ოცნებობენ, ქართული სუფრა, ტრადიციები უყვართ (გურამივთ), ვინც თვლის, რომ განათლებული საქართველო ხსნის გზაა,

წიგნიერი ერი ჯანმრთელია და ყველა იმ თვისების გაღვიძება შეუძლია თავის თავში, რომელიც ქართველს ალამაზებს და სხვათაგან გამოარჩევს. ისეთივე ლალი უნდა იყოს, როგორც გურამი. კაცი, რომელიც ყველაფერს ერთად მოიცავს, ყველაფრის დამტევია... და ამადაც გვინდა მარტივი, მაგრამ ჩვენი დროის აუცილებლობით გამოწვეული ლოზუნგი შემოგთავაზოთ (თუმცა, ლოზუნგი ამ კაცს არ უხდება): გაუმარჯოს გურამ რჩეულიშვილს.

*გაზეთი „თბილისი“, 1992 წ.*

## ზაჟრ ბოლქვაძის ორი ლექსი გურამ რჩეულიშვილისადმი

### გურამ რჩეულიშვილს

შენ იყავ მარტო სული და გული,  
მარტო სიცილი და მარტო ცრემლი....,  
მუდამ შეძრული და დაძაბული,  
მუდამ თამამი და გამომწვევი!..  
იყავ სურვილი, ვნება და ნდომა  
მღელვარე ზღვის და მწყურვალე მიწის!..  
მიწას ვედრება არ გაუგონე  
და ზღვას წაართვი სიკვდილი თვისი!..  
წაართვი, როგორც ალავერდობას,  
თუშს, უხედნელი, უბელო ცხენი...  
და მერე მშვიდად სთხოვე შენდობა,  
მხარზე ღიმილით დაპკარი ხელი!..

საკუთარი რომ შემოგეხარჯა,  
 შენ ზღვას წაართვი სიკვდილი თვისი!..  
 დაუხარჯავი სიცოცხლე დაგრჩა,  
 დახარბებული ტირილს და სიცილს!..  
 სული ღელვებად ჩატოვე ზღვაში,  
 გაუნაწილე გული ლოდებსაც...  
 და ყველაფერი დამთავრდა მაშინ,  
 დაწყებულიყო უნდა როდესაც...  
 ახლა უშენოდ პქუხს და ყიუინებს  
 შენი სიცოცხლის ალავერდობა!..  
 და ზღვა, ვით კაცი სიკვდილმისვილი,  
 დამხობილა და ითხოვს შენდობას!..  
 ზურაბ ბოლქვაძე

### გურამ რჩეულიშვილის მოლანდება ალავერდობაზე

მხარზე ძლიერად დამარტყა წელი,  
 ერთი ვიფიქრე: გიჟია თუ რა?  
 მოგტრიალდი და... ვერ გეტყვით  
 ენით,  
 გაოცებულმა შევძახე: „გურამ!..“  
 და იგი გაპქრა. ღმერთო, რა ვნახე,  
 პირველად ვნახე მეორედ მოსვლა.  
 ვინ დამიჯერებს, როცა გავამხელ,  
 ან ვინ მომისმენს მოვყვები როცა?  
 ისევ გამოჩნდა — თუშისთვის ცხენი  
 მოეტაცნა და მოაქანებდა,  
 სადავისათვის გაეშვა წელი  
 ასე თამამს და ასე თავნებას.  
 მოაგელვებდა გურამი მერანს,  
 გამწარებული მოსდევდა თუში.  
 „ვერ დაეწევა, — ყვიროდნენ, —  
 ვერა,  
 მიდი, ო, მიდი, გენაცვალე სულში!“

„ჩემს ცხენს გავატან? მამა  
უცხონდეს!..“

და მისდევს თუში გიშურ ჭენებით,  
აბა, სად თქმულა თუში უცხენოდ? –  
იმწამსევე მოკვდეს, ის ურჩევნია!

პა, დაეწია, იელვა ხმალმა,  
დადგა წუთები ენით უთქმელი,  
გურამი განზე გადახტა ხელად,  
ხმალმა გაფატრა ცხენის მუცელი...

და უცემ თავზე მოექცა გუმბათს, –  
დააბიჯებდა გაშლილ ხელებით,  
არ წაქცეულა, მაღლობა უფალს,  
თორემ ვნახავდით საშინელებას.

თაღს გაბზარული ეკიდა ზარი  
და ზანზარებდა იმ ზარიანად.

ნუთუ, ეს მართლა სიზმარი არის.  
ო, არა, გურამ, სიზმარი? – არა!  
შენმა ავარდნამ დღეს ალავერდზე  
ქრეოლგა მომგვარა კვლავინდებურად,  
ასეთი რამე აღარ გაბედო,  
თავს გაუფრთხილდე! გამიგე, გურამ?

გაურ ბოლქვაძე

გაზ. „სამშობლო“, 1970 წლის 14 აგვისტო.

## ოფია პაჲპორია გურამ რჩეულიშვილი

„დიდხანს უნდა ევლო მას ამ მზის ქვეშ... არა, უღვთო იყო, მართლაც, მისი სიკვდილი! მაშინ ეს ლოდიც უფრო გვიან გაითლებოდა. თუმცა ეს უბრალო ლოდიც დიდს პპირდებოდა უდროოდ წასულს. ამ მცირე ქვაზე ამოკვეთილი მზე, მთვარე და ვარსკვლავები განუსაზღვრელი სივრცის შთაბეჭდილებას ქმნის. აქ დღე და ღამე ერთია. არის მხოლოდ დრო და სივრცე, უკიდევანო დროსა და სივრცეს შეჭიდებული ჭაბუკი. სურათი ვიწრო ჩარჩოებიდან გადმოდის და მარადი დღელამის სახედ იქცევა... ჭაბუკიც ამას ნატრობდა“.

### გიორგი შატბერაშვილი

ჩვენი ნაცნობობა უცნაურად დაიწყო. ჭაბუკში ყოველთვის ღვიოდა დავის სურვილი და ნაცნობობა დაიწყო დავით. ეს მოხდა სწორედ იმ დღეებში, როდესაც გურამ რჩეულიშვილის პირველი მოთხოვნები დაიბეჭდა და იგიც ცოტათი ამოვარდა ყალიბიდან. დავა დრომ წაიღო, დარჩა კუთილი ნაცნობობა, საუბრები. ჯერ უნდობლობა, შემდეგ კი იშვა პატივისცემა, გაგება და დაჯერება.

ჩვენ ერთ ქუჩაზე ვცხოვრობდით და მე მიყვარდა ცქერა, როგორ დაუყვებოდა ზოლმე იგი დაღმართის ოდნავ დარწეული, თვისუფალი ნაბიჯით. ლაღად მხრებგაშლილი, მზით გარუჯული, გახსნილი საკინძითა და ბაგეთა კუთხეში ჩაწოლილი ირიბი ღიმილით. დაგინახავდა, ამაყი თავაზით ოდნავ მოიდრეკდა ქედს, გამოგიწვდიდა უხეშ, ძლიერ მარჯვენას. იგი იმათგანი იყო, ვისაც ყოველთვის გრძნობ, წამოგეწევა გზაზე და ინაბები, თითქოს დგახარ ზურგით ზღვისკენ და შენს

უკან დაბადებული ტალღის მოსვლას ელი. მოვა, შემოგერტყმება გარს და ზოგჯერ გაღიზიანებით ამჩნევს: ტალღა გიტაცებს, საკუთარ ფეხებზე კი აღარ დგახარ, მის ხებას ემორჩილები, ხანდახან ხდები უმნიშვნელოც კი და ჩვეულებრივი, ადამიანური ეგოიზმი გიბიძებს, ეძიო მასში რაიმე სუსტი, რაიმე გაუმართლებელი. იგი კი ამის საბაბს უხვად იძლევა, ყოველ ნაბიჯზე არღვევს ეთიკის ნორმებს, შფოთავს, ხმაურობს, აღიზიანებს შენს სმენას და შეფარული დაცინვით შემოგცერის თვალებში, თავისი თაფლისფერი, ხალისიანი თვალებით. სცილდები და მიგყვება ფიქრი — მან იცის რაღაც ისეთი, რაც შენ არ იცი: იცის რაღაც ადამიანებზე, ფერებსა და მოებზე, რაც შენთვის დაფარულია. ოღონდ მან ჯერ არ იცის, როგორ გამოხატოს ყოველივე, ზოგჯერ შენგანაც ელის სიტყვას, ვერ მოისმენს და გცილდება ფართო, თავისუფალი ნაბიჯებით.

მე მიფიქრია — წინათ, ულუმბე-  
გისა ან კამპალენის ხანაში, ვინმე ას-  
ტროლოგი მისი ჰოროსკოპის შედგენი-  
სას აუცილებლად იტყოდა: იგი დაი-  
ბადა სიცოცხლის ნიშნით. სიცოცხლე  
ჩევფდა მის მოძრაობაში, ნაბიჯებში,  
თითქმის ყოველთვის გადაქრცლილ  
ცხვირის კებშიც კი. მე არაფერი ვიცი  
მის ბავშვობაზე, მაგრამ ვფიქრობ —  
იგი მაშინაც ხედავდა გამჭვირვალე  
სახლებს და მაშინაც ჰქონდა ცნობის-  
მოყვარე თვალები. იგი ეკუთვნოდა იმ  
სვებედნიერ ადამიანთა რიცხვს,  
რომელთაც ძალუბთ შინაგანის გარეგ-  
ნულად გამოხატვა; ზოგჯერ მეტადაც,  
ვიდრე საჭიროა. მასში მძლავრობდა  
სული, რომელიც დიდი მასშტაბები-  
საკენ უბიძებდა. ხან კი გულისტკი-  
ვილით ვამჩნევდი — ჭაბუკი იდგა აღგ-  
ილზე და გარბოდა. ეს იყო მომქანცვე-  
ლი სირბილი აღგილზე. მას ყველაზე  
უფრო მოძრაობა იზიდავდა. იგი უაღ-  
რესად დინამიკურად იყო „მიწყობილი“  
და ჰგავდა სტარტზე ჩამუხლულ მორ-  
ბენალს.

ხან უცებ დაიღლებოდა. მე მინახ-  
ავს იგი დაღლილი, გულგრილი, განაბ-  
ული, უხვად ფლანგავდა ენერგიას და  
ეს იყო შესვენებათა შუალედები, მაშინ  
იგი ხდებოდა უნდო და შეეძლო გაუან-  
გარიშებელი ნაბიჯის გადადგმა

ჩვენ იშვიათად ვხვდებოდით.  
ზოგჯერ გავურბოდი კიდეც, რადგან  
უფრო და უფრო ხშირად მეუფლებო-  
და ძლეულის გრძნობა, და მაინც, ჩვენ  
ზოგჯერ ავყვებოდით აღმართს, ავყვე-  
ბოდით ნელი ნაბიჯით და მე თითქოს  
მესმოდა, როგორ იძადებოდა მოთხოვნე-

ბი, სახეები, ფიქრები. იგი სიტყვაუხვი  
იყო და ამავე დროს სიტყვაძუნწიც.  
და, საერთოდ, იგი სიტყვებით არ ცხ-  
ოვრობდა. ცხოვრობდა მოქმედებით,  
ამბებით. ოღონდ შეეძლო ამბების მიუე-  
ბად გადაქცევა. ჩვენს საუბარში არაჩვეუ-  
ლებრივი არაფერი ყოფილა, იგი მუდამ  
უტრიალებდა მთავარს და მე მჯერო-  
და, იგი ამ მთავარს იპოვიდა. თვით  
მის ხასიათში იყო მთავარი —  
დაუცხრომელი მოქმედებისკენ სწრაფვა,  
სიყვარული ადამიანის, ცხოველების,  
მელოდიისა და ფერის. მე ვიცოდი, მას  
ბოლო დროს უჭირდა წერა. ბევრს  
წერდა და უჭირდა. უფრო და უფრო  
უღერდა მის საუბარში ანალიზის,  
მიზეზთა ძიების ინტონაცია. მე ვხე-  
დავდი — ჩემ თვალწინ იბადებოდა  
ნამდვილი მწერალი და ვის შეუძლია  
არ იგრძნოს მთელი მშვენიერება ამ  
დაბადებისა. ოღონდ ხშირად იგი ვერ  
იოკებდა შეჭიდების, წინააღმდეგობის  
დაურვების ჭარბ ჟინს. იგი ეთამაშე-  
ბოდა ბედს და სიცილით ისხლეტდა  
გაფრთხილებას — ბედთან თამაში ხშირ-  
ად მომავლის შიშითაა გამოწვეული.  
მისთვის არ არსებობდა შიში, იგი ყვე-  
ლაფერში ვაჟკაცური ინსტიქტით ხე-  
ლმძღვანელობდა და მე ხშირად მი-  
გრძვნია მისი უპირატესობა. ერთმა  
ახალგაზრდა პოეტმა, ჩვენმა ნაცნობმა,  
ჩინებულად თქვა: მე ოცნებით ჩავდი-  
ვარ იმას, რასაც იგი ცხოვრებაში  
აკეთებსო. მას ყოველთვის უშუალოდ  
განცდის სურვილი ამოძრავებდა, მის-  
თვის გამოგონილს ფასი არ ჰქონდა,  
თუმცა, იგი ხშირად განცდებს იგონებ-  
და და შემდეგ სჯეროდა მათი რეალო-

ბა, იქნებ ამიტომაც იყო მწერალი. მე მიზიდავდა მასში დიდი ადამიანური სიამაყე და ერთგვარი ზიზღი ნატურალისტური პასაჟებისადმი. მისი მოთხრობების შშვენიერება დიდი ადამიანური გულახდილობა იყო. მას ჭარბად ჰქონდა მომადლებული ადამიანური ღირსების შეგნება. მისთვის არ არსებობდა კერპი და ჰქონდა ყველაფერი უმთავრესის მიგნების უნარი.

მე დამამახსოვრდა ერთი საღამო. ქუჩა სუსტი ბგერებისა და ნაბიჯების რიტმით თრთოდა, ბინდში მასადაკარგული სახლები მოჩვენებას ჰქონდა და გუფლებოდა არარეალობის მერყევი განცდა.

იგი იდგა ანთებული, დაძაბული, ლაპარაკობდა ჩურჩულით და, როცა უცებ ხმამაღლა გავიცინე, უსიამოდ შეიჭმუხნა; ჩემი სიცილი ფანჯრების მტკრევასავით არღვევდა საღამოს ფაქიზსა და ფრთხილ მელოდიას.

შემდეგ ნაჩქარევად გამომემშვიდობა, წავიდა და ოდნავ აზიდული, ფართო ბეჭებით გაფლითა საღამოს სიმყუდროვე.

წავიდა და დამიტოვა ფიქრი.

ფანჯრიდან ჩანს მთის კალთის აყოლილი ნათურა ვარსკვლავედები, ნეონის რეკლამათა ათინათი, გზები და გამვლელები.

მე კარგად ვიცი — აქ, სადაც ახლოს იწერება მოთხრობები, ლექსები; მე მჯერა — მოდიან ადამიანები და მოაქვთ დიდი პასუხისმგებლობისა და მოვალეობის მაღალ გრძნობა.

მე მინახავს, როგორ იბადება მდინარე მთებში: მყინვარი და მთის

კალთებს მოპყვება რამდენიმე ვიწრო, ლაპლაპა ზოლი, დაბლა კი იკვრება მთლიან, მქუხარე ნაკადად და ხევებს ავსებს ფიქრივით მოუცილებელი ხმაურით. მოთხრობებიც ასე იქმნება, და მათ მოწყურებული ველების სიჯიუტით ელის ადამიანი.

ვინ იცის, რამდენი პატარა ბიჭი ელოდება ზღაპრების წიგნს, ქალწული — ლექსს, ვაჟი — შემეცნებითსა და მშვენიერს... და სადღაც აქვე, ჩემი სახლიდან სულ რამდენიმე ათეული ნაბიჯის დაშორებით ჭაბუკი ებრძვის სიტყვას, ჭაბუკი — გაჩენილი ბრძოლისათვის.

იქნებ ზოგჯერ იმდენად ეძლევი ყოველდღიურობას, რომ აღქმები ოდნავ გიჩლუნგდება. მაშინ შენს ცხოვრებაში შემოვა ვინმე სხვა, მისი მსგავსი, და იგრძობ, იგრძობ როგორც ტკივილს, რომ დაიბრუნე ფერები, სივრცეში მიმობნეული უამრავი ნაცნობი ფერი. თითქოს ფერები ზოდებად იქცა და მათი ხელში აღება შეიძლება. გაიოცებ მათ სიუხვეს, ყოველ მათგანს ექნება შესატყვისი ბგერა და მოისმენ როგორც პიმნს, იგრძობ მათ პარმონიას და მიხვდები — ამ პარმონის დარღვევა არ შეიძლება, უნდა დაემორჩილო, დაპყვე მის სიბრძნეს. თუკი შეეცდები დარღვევას, მაშინ ფერები კვლავ გაქრება. არსებობს კონტრასტები, გამა, შეთანხმება, კონტრაპუნქტი, ვინ იცის, კიდევ რა. არსებობს რწმუნა, სიყვარული, იმედი და ყოველი მათგანი ცოცხლობს, როგორც ფერი. შენ უნდა განხავდე და განიფინო. იქცე მიკროსხეულად, ვარსკვლავების მტვრად, ნისლად და

იყო ყველაფერში. ადამიანს არ ძალუშს იქცეს მოძალადედ, თუკი სურს შეინარჩუნოს ფერები, მელოდია, სიტყვა...

მე ახლა ვფიქრობ – ხომ არ იყო მასში რაღაც საბედისწერო, რაც წინასწარ განსაზღვრავდა მის ტრაგიკულ ხვედრს; მოჭარბებული ენერგია, ჭაბუქური სითამარე და ზიზღი ხიფათის და სიფრთხილისა, მას ხშირად ბეწვის ხილზე გაატარებდა.

ერთ – ერთი მისი მოთხრობა ასე მთავრდება:

ვაჟკაცი დაიღუპა ზღვაში, მან თავი გასწირა ახლობელთა გადასარჩენად, საღამოთი კი ზალხი ისევ განაგრძობს ცხოვრებას ჩვეული რიტმით. ერთი შეხედვით აქ თითქოს გულუბრყვილობაა, მაგრამ შთაბეჭდილება მოჩენებითია – ყველგან და ყველაფერში იგრძნობა სიოვნა დაღუპულისა. რაც შეხება ადამიანებს, იქნებ ბედნიერებაა, რომ მათ შეუძლიათ არ დაემორჩილონ სიკვდილის შიშს და სევდას. ასე ყოფილა და ასე იქნება – სიკვდილი შობს სიცოცხლეს, არაა საჭირო ტრაგიკულის ძიება. ოღონდ მისი დაღუპვა იმდენად მნიშვნელოვანია და ისეთი დანაკლისი, რომ ამ ამბის მიმართ გულგრილობა დანაშაული იქნებოდა.

ჩვენ ყველას გვჯეროდა, რომ მისი სახით გვეზრდებოდა დიდი მწერალი და ამ რწმენას თავის საფუძველი ჰქონდა.

მისადმი რწმენას ამტკიცებდა მისი მაძიებელი ბუნება, სიყვარული სიძნელეთა გადალახვისა, მისწრაფება ცნობიერის კენ.

შეიძლება ეჭვი შეგეპაროს შენ

შესაძლებლობაში, გაწუხებდეს უქმარისობის გრძნობა, იყო უქმაყოფილო, ცდილობდე, მსმენელის შეხრილი წარბით მიხვდე, სად ირღვევა შენი ქმნილების მელოდია და რიტმი, დაუჯერო რჩევას, ოღონდ ყოველივე ამის მიღმა უნდა იდგეს შეგრძნება, რომ არსებითად შენ მართალი ხარ, და ამ სიმართლის რწმენა მას ჭარბად ჰქონდა.

მის მიერ შექმნილ ყოველ სტრიქონს ახლდა პერსპექტივისა და მომავლის გრძნობა, ახალი სიღრმეებისა და ახალი სივრცეების ძიების ჟინი. ახლდა ჯერ გაუცხადებელი ოსტატობის ნიშანი.

მე ამჯერად არ შეურდა მისი შემოქმედების განხილვა, მე ადრე დაღუპული შემოქმედის სახეს ვეძებდი და თვალწინ მედგა იგი – სოცოცხლით, წინააღმდეგობით, ნათელი, გულდია, პატიოსანი ღიმილითა და სიყვარულით სავსე.

წიგნი „დრო და სახელები“  
თბილისი, 1973 წ.

## თამაზ ჰილაბე

### გურამ რჩეულიშვილის ხსოვნას

გურამ რჩეულიშვილის გამოჩენა ჩვენს მწერლობაში მოვლენა იყო. ეს კი იმდენად იშვიათი რამ გახლავთ, ბეჭნიერი ვარ, ამ მოვლენის მოწმე რომ ვიყავი. ათი წელი გავიდა მისი გარ-

დაცვალების დღიდან და მაინც ვერ შევრიგებივარ, ვერ დამიჯერებია მისი სიკვდილის შემზარავი ფაქტი. მგონია, ჩეულებრივად, სადღაც, შორს, სამოგზაუროდ არის წასული და ველოდები, რომ უსათუოდ დაბრუნდება.

ის იყო მართალი, პირდაპირი და გულწრფელი ადამიანი. ქალაქში მთიელივით დადიოდა, მუდამ საკინძეგახსნილი, თავაწეული, დაძაბული. მუდამ რაღაცაზე კამათობდა. ასეთი ცხარე კამათი იმათ იციან, ვისაც რაიმეს შეცნობა სწადიათ, შეცნობა არა ზერელედ, არამედ ღრმად, რათა ის რაიმე თავიანთ ნაწილად აქციონ.

როდესაც მას უსმენდი, გრძნობდი, ამ ქვეყნად მხოლოდ მწერლობისთვის იყო გაჩენილი. ის იყო მწერლობისაგან დაღდასმული, სათავისოდ გამორჩეული ათას მის მეგობარსა და ამზანაგს შორის. ამ დაღს იგი სიამაყით ატარებდა და სწამდა, რომ საქმის კეთება ნამდვილად შეეძლო. ეს ურყევი რწმენა კი მისი სულის სიძლიერეზე მეტყველებდა.

გაუთავებელი ზეტიალი მოებსა და უკაცრიელ ტრამალებში, მებადურებთან ერთად თევზის ქარავნების დევნა, მეცხვარეებისა და გეოლოგების კარვებში ღამეების თევა, თბილისიდან თვეობით გადაკარგვა ზოგს მაშინ მეტად უცნაურად ეჩვენებოდა. დღეს კი ყველა დარწმუნდა, რომ ეს მისთვის ისეთივე ბუნებრივი იყო, როგორც სხვებისთვის ოთახში, მაგიდასთან ჯდომა, ანდა თეატრში სიარული, თუმცა თეატრი მასაც ძალიან უყვარდა და ოცდაექვსი წლის ჭაბუკს რამდენიმე

მეტად საინტერესო პიესა დარჩა. ის იმ მცირერიცხოვან ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც პირველნი ჩადიან გულკანის კრატერში, პირველნი ჭრიან მავთულხლართებს, პირველნი აღებენ კარს, პირველნი ადიან მწვერვალებზე და ასევე პირველნი ეგებიან უსინდისობისა თუ ღალატის შუბზე. პირველობის ეს გრძნობა მათ ინსტიქტივითა აქვთ თანდაყოლილი და თუმცა ეს ტკივილის მეტს არაფერს ანიჭებთ, მაინც ბედნიერები არიან.

ისიც ბედნიერი იყო!

მართალია, დღეს შეიძლება უცნაურად მოგვეჩენოს ეს სიტყვები, მაგრამ ერთი წუთით იმაზედაც უნდა დავფიქრდეთ — განა ბედნიერება მხოლოდ უზრუნველობა და სიხარულია? რამდენი დათმობდა ცხოვრებას, ამ ბედნიერებას ერთი წამით მაინც რომ ზიარებულიყო! მას კი ლვოისგან ჰქონდა მომადლებულ ეს მძიმე, მაგრამ ნეტარი საჩუქარი. მას უყვარდა მთები, ცხენები და ზღვა — სიმაღლე, მოძრაობა და სივრცე. უყვარდა პირველყოფილი კაცის გახელებითა და ვნებით და სამყაროს ქვის კედლებისგან შუბლზე კოპი აჯდა და მუხლისთავები გადატყვებული ჰქონდა.

მთა მისთვის იქცა იმ მოჯადოებულ სამყაროდ, სადაც ის პოულობდა თავისივე ფანტაზიით შექმნილი კონფლიქტების შესატყვის მოვლენებს. გურამ რჩეულიშვილი ბობოქარსა და ძლიერ ხასიათებს ეძებდა. იქ, დიდი, თანამედროვე ცივილიზაციის კერებისაგან დაშორებით. ეს შეიძლება იმ რომანტიკული წარმოსახვის სიჭარ-

ბითაც აიხსნას, რითაც ასე მდიდარია სიჭაბუქე. მთების დიდებულისა და მკაცრ ფონზე ზვიადად იკვეთება ადამიანის ვნება: სიყვარული, სიძუღვილი თუ დალატი. ეს ვნებები პირგახსნილ ჭრილობასავით მხურვალეა და მტკივნეული.

„აქ პოეზია განუკითხავად ბატონობს პროზაზე, პოეზია თავისი „ულოგიკო“ ვნებათა და გამოხატვის შეუდარებელი დრამატული სიმშვენირით“ – წერდა ის და მისი მოთხოვები „სიკვდილი მთაში“, „ბათარეკა ჭინჭარაული“ და სხვა მრავალი სწორედ ამ „დრამატული სიმშვენირითა“ განათებული.

ის უცნაური ძალით განიცდიდა ბუნებას, რომელიც, აღტაცებასთან ერთად აკრთობდა კიდეც. შეიძლება ეს შეკრთმა იყო სწორედ ის, რაც მას სტიქიასთან საბრძოლველად აღიზინებდა. მას გამუდმებით აოცებდა კონტრასტი სამყაროს მარადიულობისა და ჩიტის კერცხივით ხელში ჩამტყდარი კაცის სიცოცხლის წამიერებისა. ეს ერთი შეხედვით, ისეთივე მარტივი კონტრასტი, როგორც შუქი და ჩრდილი, თეთრი და შავი, ტკბილი და მწარე, მაგრამ ამავე დროს კაცის გონებისთვის მიუღწეველი და ამოუხსნელი.

ის წერდა მას, რასაც ხედავდა ან განიცდიდა, ამიტომ მისი მოთხოვები დღიურის ფურცლებს მოგვაგონებს, სადაც მისი ცხოვრება თამამი გულახდილობითაა გადმოცემული. ზოგიერთი კოპტია და მორალისტი კალმოსანივით მას დამორცხვება არ ახასიათებდა და ამითაც დიდი მწერლის

თვისებებს ამჟღავნებდა. ის გრძნობდა, რომ ყველაფერზე შეეძლო წერა, რადგან იმასაც გრძნობდა, რომ ნამდვილად ცხოვრობდა.

„ნათელა გარბოდა უზარმაზარ მთებს შუა ჩაწოლილ შავ მინდორზე. მზეს უკვე გაედნო დილანდელი ჭირხლი. დიდ, ძლიერ გარემოში სულ ერთი ბეწო მოჩანდა მისი შეპყრობილი სხეული“. მთებით შემორკალული სამყაროს ნაფლეთით შეპყრობილი სხეული ადამიანისა! აი, როგორი ვეგბა წარმოდგენები ჰქონდა მას, როგორი პლასტიკური და მკაფიო აზროვნება!

გურამ რჩეულიშვილი თავის მშვენიერ მოთხოვებაში „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე“ წერდა: „ზღვა მისთვის არც ლამაზი იყო და არც უშნო. ზღვა იყო ის, ურომლისოდაც ცხოვრება ვერ წარმოედგინა ახმედს“. ამ სიტყვების ავტორისთვისაც ეს ქვეყანა არც ლამაზი იყო და არც უშნო. ეს იყო ის, ურომლისოდაც მას არსებობა არ შეეძლო. საკვირველია, როდის მოასწრო მან ამდენი რამის ასე მძაფრად შეყვარება, მაგრამ კიდევ უფრო საკვირველია ის, რომ შეძლო ეს სიყვარული ჩვენთვისაც ასე მძაფრად გადმოეცა.

შატილში, მთის ამ ყველაზე მივარდნილ სოფელში, ჩაბნელებულ კოშკები ცხოვრობს მზია – ბათარეკა ჭინჭარაულის ცამეტი წლის ქალიშვილი. იგი ქვებს შორის ამოსული ყვავილივით ნაზია და საკვირველი. მისი სული ისეთი ფაქიზია. თითქოს აპრილის ქარის ფრთაზე ასვენიაო. მისი ფიქრი თუ სიზმარი სავსეა მთვარითა და მზით, ვარსკვლავებითა და აყვავე-

ბული რტოებით. ვინც კი შეხედავს, ყველას უკვირს „უცნაურია, საიდან გამოვიდა ასეთი ქალი შატილის კოშკშიონ“. მის გვერდით ცხოვრობს მამამისი, ბათარეკა ჭინჭარაული, ავაზაკივით უშმური ხასიათითა და ქცევით. ბათარეკა თოვლმა კოშკში გამოკეტა, უმოქმედობამ კიდევ უფრო გააბოროტა. აღარ იცის როგორ გადმოანთხიოს დაგროვებული ენერგია და ღონეურთ დილით მან თავის ქალიშვილზე შეაჩერა მზერა, თითქოს პირველად დაენახოს ოცნებებს გადაყოლილი შვილი. სიბრაზე წაეკიდა ბათარეკას „ისევე, როგორც საქონლის პარსვისას ამხანაგის უმოქმედობის დროს სჩვეოდა“. უცებ ინსტიქტით იგრძნო იმ უფსერულის სიღრმე, მას რომ თავის ქალიშვილისგან ყოფდა და თითქოს რაღაცის წინააღმდეგ ამხედრდაო, გამეტებით სიღრა შემოჰკრა ქალიშვილს.

დილით მზია ჯაჭვზე ჩამოკიდებული იპოვეს.

ეს მოთხრობა თავისი უღერით შორდება შატილის კოშკებს და კიდევ ერთხელ მოგვაგონებს, თუ რა დიდი გაფრთხილება სჭირდება იმას, რასაც ადამიანის ოცნება ჰქვია.

გურამ რჩეულიშვილს აქვს რამდენიმე მოთხრობა, მსოფლიოს ყველა ანთოლოგიას რომ დაამშვენებდა. მათ შორის უპირველესად უნდა დავასახელო „ნათელა“ და „ცქიტო“.

„როცა გამოედვიძა, უკვე დამე იყო. წვიმას გადაეღო და დახლებილი ღრუბლებიდან სავსე მთვარე ანათებდა. ცქიტო ფანჯარასთან მივიდა. გუბებში მთვარე და სწრაფად მოძრავი

დახლებილი ღრუბლები მოჩანდა. ქარი წამოუბერავდა ხოლმე და ცის გამო-სახულებას აკანკალებდა გუბეში. ღობის ძირას საცოდავად გალუმპული კნუტი კნაოდა. ვიღაცამ ზარი დარეკა. ცქიტომ საათს დახედა, პირველი საათი იყო. მერე კარი გააღო და შემოსულ მამას მიეგება.

— სად იყავი, მამა, ამდენ ხანს?“

ეს მოთხრობა სევდის ბალაზითაა მოქსოვილი და, როცა კითხულობ, ნელ-ნელა, შორიდან, ყრუდ, მაგრამ თანდათან უფრო მკაფიოდ თითქოს ხალხური ლექსის ნალვლიანი მელოდია გესმის:

სიკვდილმა ჩამოიარა,  
ობოლი დახვდა წინაო,  
სიკვდილო, თან წამიყვანე,  
ობლობა მომეწყინაო.

რასაკვირველია, ეს ასოციაცია მეტად სუბიექტურია, მაგრამ განა ყველა ჭეშმარიტი ნაწარმოები ასეთივე განსხვავებულს, მაგრამ ამავ დროს ულოგიკოდ მსგავს მელოდიებს არ წარმოშობს?

საიდან ჰქონდა ამ სიცოცხლით სავსე ჭაბუქს ამოდენა სევდა, რა ხმები ესმოდა, რა ჩვენებებით ჰქონდა თვალი სავსე? რამდენი რამე უნდოდა ეთქვა და ვერ კი თქვა. ეს კიდევ უფრო იმიტომ არის დასანანი, რომ ვიცით, რისი უნარი ჰქონდა.

ზოგს არმინი უჭირავს ხელში და მწერლის ღირსებას იმით ზომავს. მაგრამ როცა განკითხვის ჟამი მოვა, ერთი, ჭადრის ფოთოლივით მსუბუქი ფურ-

ცელი მრავალ, მდიდრულად გამოცემულ ტოშს გადაწონის ხოლმე. სამწუხაროდ, ეს სასწორი ჩვენს ძვირფას მეგობარს, ჩემი თაობის სიამაყეს ნაადრევად დაუდგეს. აპა, მისი პინა მძიმეა და ბარაქიანი.

გურამ რჩეულიშვილის სიტყვა სწორედ იმ ხნულში ჩავარდა, საიდანაც ის კიდევ უფრო გამშვენებული დაუბრუნდება თავის მშობლიურ ლიტერატურას. ეს ხნული კი მისი მადლიერი გულია.

ამბობენ, ნამდვილი მწერლობის ყველაზე პირუთვნელი შსაჯული დროა. სრული ჭეშმარიტება! და სწორედ ამიტომ მგონია, რომ მოვიდა ის დღე, როცა ქართულმა მწერლობამ გურამ რჩეულიშვილის ნეშტი დიდუბის პანთეონში უნდა გადმოსვენოს.

უურნალი „მნათობი“,  
№12, 1970 წ.

### ნუბჩარ ჟორნალი

#### გურამ რჩეულიშვილის ფენომენი

1957 წლის ზაფხულში ქართველი საზოგადოებისათვის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა — გამოსვლა დაიწყო ლიტერატურულ — მხატვრულმა და საზოგადოებრივ — პოლიტიკურმა ჟურნალმა „კისკარმა“.

პირადად ჩემთვის, მაშინ, უმაღლესდამთავრებული ოცდაორი წლის ბიჭისათვის, ამ ფაქტთან ერთად განსაკუთრებით სასიხარულოს წარმოად-

გნებდა ის, რომ ახალი ჟურნალის პირველივე ნომრის ფურცელზე დაბეჭდილი იყო ჩემი უახლოესი მეგობრების გურამ რჩეულიშვილისა და გურამ გეგეშიძის მოთხრობები.

მანამდე სრულიად უცნობი ავტორი, ჯერ კიდევ არსად გამოქვეყნებული გურამ რჩეულიშვილი, ხუთი მოთხრობით წარუდგა მყითხველ საზოგადოებას, თანაც მშვენიერი, ორიგინალური, საოცრად მაღალი და მართალი ნაწარმოებით, რომელთა მსგავსის წაკითხვა იმ წლებში და იმ პერიოდში იშვიათად თუ გვიხდებოდა.

ლიტერატურის განვითარებისა და წინსვლისათვის ეს ერთ-ერთი ურთულესი პერიოდი იყო. სტალინის გარდაცვალებისა და პარტიის XX ყრილობაზე მისი გამანადგურებელი კრიტიკის შემდეგ ისევ მთელი ძალით ბატონობდა სოციალისტური რეალიზმის დოგმები და ჩარჩოები, მწერლობა თუ ხელოვნება შეპყრობილი იყო სტერეოტიპული აზროვნებით, ცხოვრების მახინჯი მოვლენების გალამაზებული აღწერა და შორეული მომავლის ბუნდოვანი იმედით საზრდოობა მტკიცედ იყო დამკვიდრებული.

სრულიად ახალგაზრდა გურამ რჩეულიშვილის მოთხრობების უჩვეულო გამოხმაურება და აღიარება გამოიწვია იმ გარემოებამაც, რომ იგი შემოქმედებითი გზის დასაწყისშივე თამამად, გაბეჭულად ამსხვრევდა ხავსმოდებულ ნორმებს, ხატავდა ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანის ცხოვრებას, ამხელდა ჩვენი ყოფის მანკიურ მხარეებს. ჩანაფიქრს თავისუფლად გამოხატავ-

და და მონურ აზროვნებას აშკარად უპირისპირდებოდა. მისი შემოსვლა მხატვრულ ლიტერატურაში მართლაც დაბლობ ადგილას შმაგი მდინარის მოვარდნას ჰყავდა.

იმ წლებში, რომელსაც ჩვენ დღევან-დელობის გადმოსახედიდან კრიტიკუ-ლად ვაფასებთ და სამართლიან შენიშ-ვნებსაც გამოვთქვამთ, სულაც არ იყო იოლი ასეთი უჩვეულო, ახლებური ნაწარმოებების დაბეჭდვა, რომელთა იდეური დატვირთვაც სასტიკ მოთხოვნებს ვერ პასუხობდა. საჯაროობისა და დემოკრატის გზაზე შედგომამდე დიდი დრო რჩებოდა.

მაგრამ გურამი სისხლხორცეული მოწოდებით, შინაგანი არჩევანით, მის-თვის დამახასიათებელი ვაჟკაცური სულით მოდიოდა ლიტერატურაში და იგი უპირველეს ნიშანსვეტად ქცეულ სიმართლეს ვერ უდალატებდა, მისი მაღალი ბუნება ვერ შეურიგდებოდა მედროვეთა და მლიქვნელთა კასტას, რადგან შაბლონისა და ტრაფარეტის წინააღმდეგ იყო ამხედრებული.

გამოჩენილი ქართველი მწერალი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი რეზო ინანიშვილი საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში გურამის დაბადებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე იხსენებდა:

„ახლადდაარსებულ უურნალ „ცისკრის“ რედაქციაში ვმუშაობდი პროზის განყოფილების გამგედ. ერთხელ მოთხოვნები მოიტანა დასაბეჭდად. გადავხედე, წავიკითხე, ძალიან მომეწონა. მაშინ მოდაში იყო ასეთი

რამ: მოთხოვნების წინ წარუძღვებოდა ერთი ან ორი ე.წ. იდეური, თანამედროვეობის თემაზე შექმნილი მოთხოვნები და შემდეგ სხვებიც მოჰყვებოდა. ასეთ ხერსს ყველა „პარავოზს“ ეძახდა. თითქოს დამავიწყდა როგორი უნიჭიერესი და ამაყი ახალდგაზრდა კაცი იდგა ჩემს წინ და გურაშს ვუთხარი, მოდი ერთი „პარავოზიც“ მოიტანე, რომ წინ წავუმდღვაროთ — მეთქი. გაოცებით ამხედ — დამხედა, ხმადაბლა ირონიულად ჩაუსტვინა და წავიდა. დღემდე სირცხვილის გრძნობასავით მახსოვს და თითქოს ვერ მომინელებია ეს ამ-ბავი“.

ამავე გამოსვლაში რეზო ინანიშვილი იხსენებდა:

„ის ძლიერი, უშიშარი ბიჭი იყო და თითქოს თავისი მოსვლით კეთილი შიში დაამკვიდრა ორმოცდაათიანი წლების ქართულ მწერლობაში. მისი მაღალი პიროვნება ლამაზად ერწყმოდა მისსავე თვითმყოფად შემოქმედებას. ეს ის დრო იყო, როდესაც გურამისა და მისი თანამოკალმების ახალ, გა-ბედულ და წარმტაც ცდებს ზოგიერთი უცხოეთის მიბაძვად თუ ქართული ლიტერატურის ტრადიციული, მაგის-ტრალური ხაზიდან გადახვევად მიიჩნევდა. იმას კი აღარ ფიქრობდნენ, რომ ასეთი სიახლე ქართული ლიტერატურის წინსვლა — განვითარებისათვის სასიცოცხლო აუცილებლობით იყო გამოწვეული. ეს უნიათო მოსახრებები გაზეთებშიც კი დაიბეჭდა. მაგრამ გურამის მიერ შემოტანილი სიახლეები ქართული მწერლობის ახალგაზრდა, ნიჭიერი თაობის მიერ უყოფმანოდ

იქნა მიღებული და **გურამ რჩეულიშვილი** ამ სიახლეთა მედროშედ იქცა“.

მან ჩვენდა სამწუხაროდ მხოლოდ ოცდაექვსი წელი იცხოვრა. 1960 წლის 4 ივნისს 26 წელი შეუსრულდა, 23 აგვისტოს კი შავი ზღვის ტალღებში დაიღუპა ტრაგიკულად და მოულოდნელად.

ხშირად 26 წელი დიდ ცხოვრებაში ფეხის შედგმის წლებად ითვლება. გენიოსებისა და ფონემენების გარდა 23-24 წლის ასაკში ძალზე იშვიათად თუ შეუქმნია ვინმეს უკვდავობის დაღდასმული ნაწარმოები, უთქვაშის სრულიად ახლებური სიტყვა, საკუთარი კვალი გაუვლია უმდიდრეს ქართულ ლიტერატურაში, მოუპოვებია ხალხის, ახალგაზრდობის საყოველთაო სიყვარული და აღიარება, გამხდარა ერის სახელოვანი და დიდი მწერალი.

ყველაფერი ეს შეძლო სრულიად ახალგაზრდა გურამ რჩეულიშვილმა. მარტო ეს კი არა, 60-ის წლების ლიტერატურული თაობის წინამდლოლად და უახლოეს ქართულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ უვალი ბილიკების გამკვალავად მოგვევლინა.

ახალგაზრდა მწერალმა ნათლად გამოავლინა მძაფრი ტრაგიზმი და დრამატიზმი, ვეუბა ვნება და ზნებრივი მაქსიმალიზმი, მაღალმხატვრულ ნაწარმოებებში დახსატა ძლიერი, მამაცი, უდრეკი სულის ადამიანები, უმდერა საქართველოს სიყვარულს, მის ისტორიას, აწმყოს, მომავალს, ბუნებას, ადამიანის დანიშნულებად დაგვისახა პატრიოტული, რაინდული, მეგობრული,

კეთილი და მაღალი ცხოვრებით ცხოვრება.

სულ რამდენიმე წლის მანძილზე გურამ რჩეულიშვილმა უამრავის გაკეთება მოასწორო, დაგვიტოვა ბრწყინვალე მოთხოვები, ნოველები, პიესები, სცენარები, ესკიზები, მინიატურები, დაუმთავრებელი რომანები, რუსულ და ქართულ ენაზე დაწერილი ღრმამშინარსიანი ლექსები, დღიურები, საკუთარი მოსაზრებები და შეხედულებები.

ამ ფაქტს აღმატ ლიტერატურული გმირობა უნდა ეწოდოს, რადგან ოთხი-ხუთი წლის მანძილზე ჯერ კიდევ ჭაბუკმა შემოქმედმა შექმნა ის, რასაც სხვა დროს შეიძლება საუკუნეც არ ყოფნოდა და უკვდავებაში გადააბიჯა.

ხშირად გურამის თვითმყოფადი შემოქმედების ათასობით მკითხველი და თაყვანისმცემელი შეკითხვასაც სვამს ხოლმე როგორ გამოჩნდა მწერლის ფენომენი, როგორ დაიწყო მისი შემოქმედებითი აფეთქება, რა უძლოდა მას წინ, როგორ მოხდა დიდი ტალანტისა და თავდადებული შრომის შერწყმა.

ამ კითხვებს ბუნებრივი, ცხოვრების უელი პასუხებიც გააჩნიათ. სამყაროს საიდუმლოებათა გაგების, სიახლეთა ნახვის, ხალხისა და მამულის სისხლხორცეულად გაცნობის სურვილი ადრეულ წლებშივე გაუჩნდა. ამ სწრაფვის დაკმაყოფილებაში დიდი როლი ითამაშეს მშობლებმა. დედა – მარიამ ნიჟარაძე მთელ დროს გურამის აღზრდას, სწავლა – განათლებას უთმობდა. მან მუშაობასაც კი გაანება თავი და მთელი თავისი ენერგია, სიობო, სიყვარული შვილებს უშერველად მიუძღვნა.

გურამის მამას, აკადემიკოს მიხეილ რჩეულიშვილს თავისი სამეცნიერო და სამსახურებრივი მოღვაწეობის გამო ხშირად უხდებოდა მოქმედისა და ხეობების, ბარისა და იალაღების მოვლა. პატარა გურამი დიდი სიხარულით მიჰყებოდა მამას, აკვირდებოდა და უშუალოდ ეცნობოდა სამშობლოს კუთხებს. ძია მიშა ცნობილი მონადირე იყო, გურამიც გაიტაცა ნადირობამ, მონადირის ხითათიანმა ცხოვრებამ, ხშირად კარავში ღამის თენებამ, ცხენით ხანგრძლივმა გადასვლებმა, ხრამებსა და უფსკრულებში დაშვებამ, დაბურულ ტყეებსა და ალპურ ზონებში მოგზაურობამ, მამულისადმი ძლიერი, ტრადიციული სიყვარულის ხილულმა გამოვლინებამ ბავშვობის წლებიდანვე შეაყვარა მას კახეთი, თუშეთი, სვანეთი, ხევსურეთი და მთლიანად საქართველო.

პატარა ბიჭი შურის თვალით უცქერდა ცხენებზე ამხედრებულებს და თავის ბავშვურ სურვილებს სახედრის უმიშარი ჭენებით იკლავდა. ავტობიოგრაფიული ხასიათის მოთხრობაში „ახლა მე ოცდახუთი წლისა ვარ“ გურამი ჩვეული იუმორით იხსენებს იმ შორეულ დროს:

„პაპა, ბებოს მეუღლე, ბუნდოვნად მახსოვს. როგორც ბებო ყვება, მაშინ, პაპის გარდაცვალების დროს, მე უკვე „დავაჟეკაცებული“ ვყოფილვარ და თავისუფლად შემძლებია ვირზე ჯდომა. პაპა თურმე სიღნაღმი მუშაობდა, ჩვენც წელიწადში რამდენიმე თვეს ვატარებდით მასთან. იქვე, შევისწავლე ვირზე ჯირითი. მაშინდელი ჩემი ოცნება ყოფილა მყოლოდა საკუთარი

სახედარი“.

მერვე – მეცხრე კლასში უკვე თანშეზრდილივით იჯდა უბელო ცხენზე, ხევსურეთის ქარაფებსაც კი არ ერიდებოდა, მისი სიყოჩალით გაოცებული ხევსურების თვალწინ ქარივით დაუყვებოდა ველკეთილს, შატილსა და გუდანისჯვარში ეჯიბრებოდა თანატოლებსა თუ უფროსებს, ცდილობდა არავისთვის დაეთმო პირველობა. პირველობის არდათმობის მბაფრი, ბუნებრივი ჟინი მთელ მის ხანმოკლე სიცოცხლეს ავსებდა და აძლიერებდა.

გურამი სიყრმიდანვე ადამიანების მოყვარული, გულადი და გაბედული ბიჭი იყო. ერთხელ, მეცხრე კლასში სწავლისას, თელავში იმყოფებოდა. ქალაქის საცურაო აუზში პატარა ბიჭებს შეჯიბრი გაემართათ. მეოთხე კლასელი ბიჭიც გადახტა აუზში მომაღლო ადგილიდან, ეტყობა უცებ ცუდად გახდა და ჩაიძირა. ბიჭები არეულდარეულად დარბოდნენ და ყვიროდნენ, მშველელი კი არსად ჩანდა.

ეს ის დრო იყო, როდესაც გურამი ცურვა თითქმის სულ არ იცოდა, ჯერ ცხენოსნობითა და სპორტის სხვა სახეობებით იყო გატაცებული. მაგრამ ფიქრის დრო აღარ იყო და იგი პირველი გადახტა ტანისამოსიანად აუზში. საშინლად წვალობდა. ჩაყვინთავდა, ძალების უკიდურესი დაძაბვით წავიდოდა აუზის ფსკერისაკენ, წყალი ისევ ზემოთ ამოადგებოდა. ასე იწვალა, სანამ უფროსები არ მოვიღნენ და უბედური პატარა ბიჭი ფსკერიდან არ ამოიყვანეს.

ბიჭი ვეღარ გადაარჩინეს. გურამი

საშინლად განიცდიდა ამ ამბავს, უფრო თავის უძლურებას განიცდიდა, რომ გადარჩენა ვერ მოახერხა. შემდეგ მარტო წავიდა ნადიკვარზე, იქ ერთ მოშორებულ ადგილას ჩამოჯდა და ტირილით გული იჯერა.

მსგავსი ფაქტი კიდევ მოხდა, თუმცა საოცარი სიმამაცით განვლილი მისი ხანმოკლე ცხოვრება სხვისი ტკივილის გაზიარებითა და დახმარებით საზრდოობდა, რაც თითქოს ღვთის ნებით ქონდა მომადლებული. მაშინ პირველი კურსის სტუდენტი იყო. მტკერის სანაპიროზე მდებარე აუზში პირველკურსელები სავალდებულო ნორმატივებს აბარებდნენ. ერთი ბიჭი შეშინდა, ათ მეტრიანი კოშკიდან ვერ გადახტა. გურამი რომელმაც ცურვა არ იცოდა, თანაკურსელებს მოეთათბირა, მე გადახტები, ოღონდ ამოყინთვის შემდეგ თქვენ გამომიყვანეთო. მართლაც გადახტა კიდეც. ძლივს მიაღწია ბიჭთან, რომელიც უკვე იძირებოდა, ხელი ჩაავლო და ამოიყვანა. ცალი ხელით დაიწყო გამოცურვა, მარცხენა ხელით კი ბიჭი მკერდზე ყავდა მიკრული, არაფერი გამოდიოდა, წვალობდა და წინ ძლივს მიიწევდა. ამასობაში მაშველიც მოვიდა და გურამი თავის მიერ გადარჩნილ ბიჭთან ერთად გამოიყვანა. ისე გაერთო, რომ ფეხაკრეფით მასთან მისული და თავს წამომდგარი თანაკლასელებიც კი ვერ შეამჩნია. ბიჭებმა ფურცლები აიტაცეს და კითხვა დაიწყეს. გურამი გაბრაზდა, წამოხტა, ფურცლები უკან გამოართვა. წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია, რადგან მაშინ მიღებული კლასიფიკაციით პირველი „ყოჩი“ იყო, რაც მის ფიზიკურ უპირატესობას მკაფიოდ უსვამდა ხაზს. შემდეგი გაპეტილებისა თუ შესვენების დროს ის ღრმად ჩაფიქრებული კითხულობდა თავის ნაწერს, მალე რაღაც არ მოეწონა და ფურცლები დახია.

მეგობარი და მახლობელი კი არა, თუკი ვინმეს გაჭირვებაში ჩავარდნილს დაინახავდა, უყოფმანოდ მიეშველებოდა. ასეთ დროს მისთვის უკანდახევისა და შიშის გრძობა აღარ არსებობდა, ყველა შემთხვევაში ისეთი ამაყი, გაბედუ-

ლი და შინაგანად მართალი იყო, რომ ნებისმიერი მოძალადე თუ ბოროტგან-მზრახველი მონუსხულივით უკან იხევდა. ასეთი შემთხვევების მოწმენი ხშირად ვიყავით, ან თითქმის ყოველ-დღე.

თელავისა და ალვანის საშუალო სკოლების დაწყებით კლასებში სწავლის შემდეგ გურამი თბილისის ვაჟთა მეცხრამეტე საშუალო სკოლაში სწავლობდა.

მისი კლასის მეგობრები გამოსვლებსა თუ პირად საუბრებში ხშირად იგონებენ, რომ მოწაფეობის წლებში გურამ რჩეულიშვილი მოთხრობების წერითა და პირადი შთაბეჭდილებების ფურცელზე გადატანით იყო გართული. ერთ დღეს, დიდი შესვენების დროს, გამალებული წერდა, თავისი მსხვილი, ორიგინალური ხელწერით გავსილ ფურცლებს ზედიზე ალაგებდა და ისე გაერთო, რომ ფეხაკრეფით მასთან მისული და თავს წამომდგარი თანაკლასელებიც კი ვერ შეამჩნია. ბიჭებმა ფურცლები აიტაცეს და კითხვა დაიწყეს. გურამი გაბრაზდა, წამოხტა, ფურცლები უკან გამოართვა. წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია, რადგან მაშინ მიღებული კლასიფიკაციით პირველი „ყოჩი“ იყო, რაც მის ფიზიკურ უპირატესობას მკაფიოდ უსვამდა ხაზს. შემდეგი გაპეტილებისა თუ შესვენების დროს ის ღრმად ჩაფიქრებული კითხულობდა თავის ნაწერს, მალე რაღაც არ მოეწონა და ფურცლები დახია.

საერთოდ ზომაზე მეტად მომთხოვნი იყო საკუთარი თავისადმი. ალ-

ბათ ამითაც იყო გამოწვეული, რომ მან ინტენსიური წერისა და შექმნის შემდეგ თავისი სკოლისდროინდელი ნაწერები თითქმის მთლიანად გაანადგურა, პირველი ცდები აღარ მოეწონა, რადგან სულ ახალსა და მაღალს მიესწრაფებოდა, მისთვის სუსტი, უფერული ნაწარმოების შენახვა არ არსებობდა. იქნებ სწორედ ამიტომაც არ შემოგრჩა სკოლის პერიოდის ქმნილებების დღეისათვის ალბათ უაღრესად საინტერესო ნიმუშები, რითიც მისი შემოქმედებითი გზისათვის თვალის გადევნების საუკეთესო საშუალება მოგვეცემოდა. დღეს კი მხოლოდ ნაცნობთა და მეგობართა მონაყოლს ვჯერდებით, თუმცა თვითმხილველთა ნაამბობი თავისი სიმართლით ბევრ საყურადღებოს გვამცნობს.

სკოლის პერიოდში გურამის ოჯახი ძველი „კირინჩის“ უბანში რენინგერის ქუჩაზე მდებარე ისტორიულ სახლში ცხოვრობდა. საკმარისია ითქვას, რომ ამ ძველ თბილისურ სახლში ცხოვრობდნენ და შემოქმედებითს საქმიანობას ეწეოდნენ დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი, ქართველი კრიტიკული აზროვნების გამოჩენილი წარმომადგენელი კიტა აბაშიძე, პროფესორი გიორგი ჯავახიშვილი, გურამის მამა, აკადემიკოსი მიხეილ რჩეულიშვილი, ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი ერეკლე აბაშიძე, მომავალი ქართველი მწერალი დავით ჯავახიშვილი, სახელმოხვეჭილი ალპინისტები გიგი და აგი აბაშიძეები, პირველი ფრანგული ენის სპეციალისტი და მთარგმნელი, გურა-

მის მსგავსად 26 წლის ასაკში უდროოდ დაღუბული და მეორე ცნობილი ქართველი ლიტერატურათმცოდნე, მკლევარი, მრავალი საინტერესო წიგნის ავტორი იყო.

დიდი იგანე ჯავახიშვილი გურამის პაპად ერგებოდა, მისი ღრმად განსწავლული და უსაყვარლესი ბებო საშაქართული ისტორიოგრაფიის მამთავრის ღვიძლი და იყო.

ასე რომ მომავალი დიდი მწერალი ჰქონდა ინტელიგენტურ, შემოქმედებით ატმოსფეროში იზრდებოდა, რასაც მისი ტალანტი და ინტელექტი სასურველი გზით მიჰყავდა.

გურამმა 1952 წელს მედალზე დაამთავრა თბილისის ვაჟთა მეცხრამეტე საშუალო სკოლა და იმავე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

მაღალი იდეალებით გაუღენთილმა გარემომ და ოჯახურმა ტრადიციებმა ნაყოფიერად იმოქმედა გურამზე, უნივერსიტეტში უკვე მომზადებული მოვიდა და ქართველი მეცნიერების ტაძარში ცოდნის შემენას მთელი მონდომებით დაეწაფა.

გურამი ბრწყინველედ ფლობდა ქართულ, რუსულ, გერმანულ ენებს, კითხულობდა ინგლისურად და არაბულად, ღრმად იცოდა მშობლიური, რუსული, დასავლეთევროპული, აღმოსავლური ლიტერატურა, გატაცებით კითხულობდა მისთვის საინტერესო ყოველ წიგნს, პროზა იქნებოდა ეს, თუ პოეზია.

ფართო იყო მისი ინტერესების წრე. ეს სიცოცხლის მოყვარული,

ძლიერი, გულადი და დაუდგრომელი ბიჭი მთელი საღამობით, მთელი კვირაობით უღრმავდებოდა ნიცშესა თუ ფრონდის ფილოსოფიას, გატაცებით კითხულობდა ჩინურ თუ იაპონურ პოეზიას, ზეპირად სწავლობდა გალკ-ტიონისა და ტიციანის, ბლოკისა და ესენინის, ხაიმისა და პაფიშის ლექსებს, წაუკითხავი არ რჩებოდა ჰემინგუეის, გზიუპერის, ტოლსტოის, დოსტოევსკის, ჩეხოვის არცერთი ნაწარმოები, სამაგიდო წიგნებად ჰქონდა ქართული ხალხური თუ სვანური პოეზიის ტომეულები.

მაინც გული ყოველთვის საქართველოს ისტორიისა და ქართული ეროვნული კულტურისაკენ მიუწევდა, ისტორიულ ლიტერატურას გატაცებით კითხულობდა, ინიშნავდა, ამონაწერებს აკეთებდა, რეველები საყურადღებო ფაქტებით ჰქონდა ავსილი.

ამ გატაცების გამო იყო ის, რომ გურამი მესამე კურსიდან ისტორიის ფაკულტეტზე გადავიდა და მშობელი ერის ისტორიის ფერფლწაყრილ ფოლიანტებს ჩაუდრმავდა.

ამ დროისათვის უკვე ღრმა შინაარსიან და მხატვრულ ძლიერ რეზერატებს წერდა, საჯარო ბიბლიოთეკასა და არქივებში მუშაობდა.

გავიჩენოთ ადგილი 1956 წელს დაწერილი მისი მოთხოვნებიდან „პროფესორი ლევან ჯანდიერი“:

„ოცი წლის იყო, როდესაც ისტორიაზე სერიოზულად დაიწყო მუშაობა. იმ დროს კარგად ცურავდა. მოაგონდა ბოლო შეჯიბრი, რომელშიაც მეორე ადგილი აიღო, სწორედ მაშინ

აჩუქეს თოფი, რამდენს ნადირობდა მაშინ. მეცნიერებამ მაინც თავისი გაიტანა“.

ანდა პწყარები დიდებული „უსახელო უფლისცისხელიდან“:

„ახლა საღამოა.

ვზივარ შინ და ვკითხულობ კონსაექტს; ის სულ უფრო მითრევს: რამდენი ცოცხალია მკვდარ ისტორიაში“.

მოთხე კურსზე ვიყავით, როდესაც გავიგეთ გურამს რევერატის დაცვა აქვსო. თავად არ უთქვამს, ერიდებოდა ხოლმე საკუთარი სამეცნიერო თუ შემოქმედებითი საკითხების შესახებ ლაპარაკს. რამდენიმე ბიჭი მაინც წავედით დაცვაზე. რომ შევედით შემოგვედა, გაუხარდა, მაინც ესიამოვნა მეგობრების მოსვლა. არცთუ ისე დიდი აუდიტორია მისი თანაკურსელებითა და პროფესორ — მასწვლებლებით იყო სავსე. თემა, თუ არ ვცდები, შუა საუკუნეების ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებს შეეხებოდა, ზუსტად აღარ მახსოვეს.

მხატვრული ნარკვევით დაწერილი მშენებერი თემა წაიკითხა, სადაც მწერლისა და მკვლევარის ერთად შერწყმული ნიჭი ჩანდა, უფრო მეტად კი უნიჭიერესი მწერლის სუნთქვა ისმოდა. რევერატი ყველას მოეწონა, უმაღლესი შეფასება დამისახურა და ჩვენც გახარებულები ვულოცავდით.

ნეტავ ის რეფერატი თუ შემორჩა არქივს, ანდა იქნებ უნივერსიტეტის არქივში მოვიძიოთ, მისი გამოქვეყნება მართლაც საყურადღებო იქნებოდა.

მძლავრი გუგუნივით ახლოვდებოდა გურამის შემოქმედებითი აფეთქებ-

ის დრო და ისიც დადგა. 1956 წლის პირველი თვებიდანვე გურამ რჩეულიშვილმა სისტემატური, საოცრად ნაყოფიერი და მიზანსწრაფული წერა დაიწყო, მთელი ღირსებით შეუდგა ჭეშმარიტი მწერლის რთულსა და მოუსვენარ ცხოვრებას. დამთავრდა შინაგანი მომზადების პერიოდი, დამთავრდა შინაგანი წვა, ჩვენს შორის გაჩნდა განგების მიერ დიდ მწერლად მოვლენილი ახალგაზრდა კაცი.

იგი გატაცებით წერდა, მწერლობის ფანატიკურმა სიყვარულმა ყველაფერი დაკავიწყა, მთელი დრო ქართულ ლიტერატურას მიუძღვნა. მართლაც თავდავიწყებით მუშაობდა, ჩქარობდა, მიისწრაფოდა, ვეება სათქმელის მთლიანად გადმოფრქვევა სურდა, რადგან ყოველთვის თან დასდევდა მოახლოებული აღსასრულის მძიმე შეგრძნება და ჩვენც ხშირად გვეუბნებოდა „.... დრო ისედაც ძალზე ცოტაა“. წერა და შექმნა მისი უპირველესი სულიერი მოთხოვნილება იყო. ყველგან წერდა: სახლში, კარში, მატარებელში, ზღვაზე, მთებში თუ სტეპებში. იგი თითქოს წინასწარმეტყველივით გრძნობდა თავის მაღალ დანიშნულებას და თვითმყოფად ტალანტს მშობელი ხალხის სამსახურისაკენ მიმართავდა.

რეზო ინანიშვილი ჩემს მიერ ზემოთ მოხსენიებულ გამოსვლაში ნაწარმოების წერისადმი გურამის სისხლხორცეულ სიყვარულს თავისებური საინტერესო დაკვირვებით იხსენებდა: „მწერლობა რომ უყვარდა და დიდი გატა-

ცებით წერდა, ეს მისი ნაწერებიდანაც ჩანს. ბევრი ფურცელი ლამაზი კალიგრაფიული ხელით აქვს დაწერილი, სადაც ლამაზად ხვეული შ, წ, ჩ, ლ, ფ და სხვა ასოები სასიამოვნოდ მოგხვდებათ თვალში. როგორც ჩანს ამ დროს იყო დადინჯებით წერდა, მაგრამ იყო მკვეთრი აფეთქებისა და მძაფრი დამაბულობის წუთები; ამ დროს კალიგრაფია არის აჩქარებული, აბობოქრებული, სწრაფი, რომ აზრების გადმოცემის დინება აყვეს ხელწერას. ზოგჯერ პწკარები უსწორმასწოროც არის, მაგრამ ამას ახალგაზრდა მწერალი არად დაგიდევთ, რადგან მას თავისი მიზანი აქვს მისაღწევი და ამას სისწრაფე, საოცარი სისწრაფე სჭირდება.

გურამ რჩეულიშვილი იყო ნამდვილად ხალასი, ჭეშმარიტი ნიჭი. მან დიდი სათქმელი თქვა, თავისი ახალგაზრდობის მიუხედავად საოცრად ბევრი მოასწრო და სამარადისოდ დარჩა ქართულ ლიტერატურაში, როგორც მისი მშვენება და ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო, ორიგინალური აზროვნების წარმომადგენელი“.

ამავე დროს რეზო ინანიშვილი — მწერლობაში სიკეთის, სიმართლის, კეთილშობილების, პრინციპულობის დამნერგავი იმასაც წერდა, რომ ჩვენში თუ ვინმეა გენიოსობის ნიშნით დაღდასმული ეს გურამ რჩეულიშვილიაო, რეზო ინანიშვილი წინასწარმეტყველურად გრძნობდა გურამის ძალას, სიდიდეს, შეუდარებლობას და სხვებსაც უწერგავდა ამ აზრს.

„მას პქონდა დიდი ნიჭი, შრომისუ-

ნარიანობა, შეუპოვრობა, ხასიათის სიმტკიცე, საკუთარი ძალების რწმენა, სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარული და ხალისი, ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ამოცანა, რომელსაც ემსახურებოდა, ჰქონდა ღრმა განათლება, ერუდიცია, რომელიც, უეჭველად, თანდათან უფრო გაიზრდებოდა“... – აღნიშნავდა 1969 წელს გურამ გეგეშიძე წერილში „გურამ რჩეულიშვილის მოსაგონარი“, როდესაც უკვე ცხრა წლის დაღუპული ჩვენი უახლოესი მეგობრის ოცდათხუთმეტი წლისთავის სიმბოლურ შესრულებას აღვნიშნავდით.

დრომ კი საოცარი სისწრაფით გაირბინა და დღეს უკვე დიდი ქართველი მწერლის დაბადებიდან 75 წლისთავის საიუბილეო თარიღს აღვნიშნავთ.

ფართო გაქანების ბუნება, სიცოცხლის ყველა გამოვლინებისა და ლალი, შეუზღუდავი, თავისუფალი ცხოვრებისადმი სიყვარული სულაც არ უშლილა ხელს სწავლასა და გულმოდგინე შრომაში. ვთქვათ, თუკი ერთ საღამოს მეგობრის დაბადების დღეზე გააცდენდა ან მეორე დღეს ქართლისა თუ კახეთის სოფელში გულიანად იქეიფებდა, შემდეგ შეძლო მთელი კვირა ან თვე თავაუღებლად ემუშავა, ღამეებიც კი გაეტეხა. წერა და მწვერვალებისაკენ სწრაფვა მისი უპირველესი მოწოდება იყო.

როგორც ვთქვი, ყველგან წერდა, თითქოს დროის გაცდენის ეშინოდა. ერთხანს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მუშაობდა, პირველ სართულზე პატარა ნახევრად ბნელ

ოთახში იჯდა. აქაც შეუჩერებლად წერდა. როცა დაიღუპა, ოთახის დათვალიერების დროს თანამშრომლებმა უამრავი ნაწერი ფურცლები იპოვეს და სახლში მშობლებს აუტანეს. მსხვილი, ლამაზი, ძველქართული კალიგრაფიის მსგავსი ხელი ჰქონდა, უცებავსებდა თაბახის ფურცლებს, ხანდახან უკან ორი-სამი წინადადებით.

მისი ცხოვრებისეული გამოცდილება და ახალგაზრდა კაცისათვის საკმაოდ მდიდარი ბიოგრაფია ღრმა, დახვეწილ ნაწარმოებებად იქცეოდა.

სწორედ ამიტომ მოასწრო 26 წლის მარადიულ ჭაბუკად დარჩენილმა გურამ რჩეულიშვილმა ძალზე მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის დატოვება, რამაც სრული აკადემიური გამოცემისას ექვსი ტომი შეაღვინა. ეს დიდად სასიამოვნო მოვლენა ახალი შარავანდელით გაანათებს მის უკვდავ სახეს, გაახარებს ქართველ ხალხს, ვისთვის შრომა მისი ცხოვრების ძირითად დანიშნულებას წარმოადგენდა და ვისი უდიდესი ლიტერატურის ოქროს ფონდის გამდიდრებაც სრულიად ახალგაზრდამ შეძლო.

რაინდული სულისკვეთებით აღზრდილი გურამ რჩეულიშვილი შეუდარებელი მეგობარი იყო. თუ ვინმე უყვარდა მთელი გულით უყვარდა, მისთვის ნახევრად სიყვარული ან რაიმე სიყალე არასოდეს ყოფილა მისაღები, მეგობრისათვის და მასლობლისათვის ყველაფერს გააკეთებდა, თავსაც დადგებდა, მისი მამაცი ბუნება მუდამ ფარივით მიგვიძლოდა წინ. ამიტომაც ვერაფრით ვერ მოხერხდა იმ დიდი სიცარ-

იელის ამოვსება, რაც დაგვრჩა გურა-  
მის მრავალრიცხოვან მეგობრებს მისი  
მოულოდნელი დაკარგვის შემდეგ.

მეგობრების გარეშე ერთი საათიც  
არ უნდოდა ყოფნა. ეს ლამაზი, კეთილი,  
გაბედული, ძლიერი, ბეჭებში ფართოდ  
გაშლილი ვაჟკაცი ბიჭი ანდამატივით  
იზიდავდა გარშემო მოფებს, აერთიანებ-  
და და აკავშირებდა მეგობრებს.

ის იყო ყველა მეგობრული შეხ-  
ვედრის მოთავე და წამომწყები. ყოველ-  
გვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ვთქა,  
რომ ჩვენს მიერ რამე სიახლის შეც-  
ნობასა თუ ნახვას ის იწყებდა, ის  
გვაგულიანებდა და ნაცადი მეგზურივ-  
ით მიგვიძლოდა მამულის გზებზე, რაც  
მას ჩვენთან შედარებით მრავალი წლის  
წინ პერნდა მოვლილი და სისხლხ-  
ორცეულად შეთვისებული.

პირველად მან წაგვიყვანა და შეგ-  
ვაყვარა კახეთი, სვანეთი თუ ხევსურე-  
თი, ნოსტე და უფლისციხე, ხევსურე-  
თის ჭიუხები და ქართლის სოფლები,  
პირველად მან წაგვიყვანა ზღვაზე და  
ალპინიადაში, პირველად მან აგვაგული-  
ანა, რომ გვენახა მყინვარწვერისა და  
ორწვერის განუმეორებელი სილამაზე,  
დაგველაშქრა ეს მაღალი მწვერვალე-  
ბი. ყველგან, ყოველთვის, განუყრელად  
თან დაგვყვებოდა მისი დიდი იმედი  
და სიყვარული.

ახლა ხშირად მწარე სინანულით  
ვფიქრობ ხოლმე, ყოველთვის  
გურამისთვის რომ დაგვეჯვრებინა  
უფრო მეტს ვნახავდით, უფრო მეტს  
შევიცნობდით, ვინ იცის გაცილებით  
უფრო ძლიერები და მამაცებიც კი  
ფოფილიყვით, რისკენაც მუდამ მოგვი-

წოდებდა.

ამ სინანულმა ერთი შორეული,  
სტუდენტობის პირველი წლების  
დროინდელი ამბავი გამახსენა, რამაც  
კიდევ დამარწმუნა ჩემი ფიქრის სის-  
წორეში და მომინდა სხვებისთვისაც  
გამეზიარებინა ან ცოტათი მაინც  
მეგრმობინებინა იმ გარდასული დღეე-  
ბის სურნელი, საუკუნის მესამედზე  
მეტი წნის წინ რომ დარჩა უსასრუ-  
ლობაში.

ერთხელ, 1955 წლის გაზაფხულის  
მობრძანების უამს, გურამის წინადადებ-  
ითა და დაუინტებული მოთხოვნით გა-  
დავწყვიტეთ ორი-სამი დღით ზღვაზე  
წავსულვიყავით ზამთრისეული მოწყ-  
ენილობის გასაფანტავად.

მარტის თვე იდგა. თბილისის  
ახლო-მახლო ქედებზე ჯერ კიდევ იდო  
თოვლი, მაგრამ პაერში უკვე ადრეული  
გაზაფხულის თბილი სურნელი ტრი-  
ალებდა.

მივდიოდით ხუთი ამხანაგი. გურამი  
ყველა მათგანს სათითაოდ ესაუბრა და  
მისთვის ბუნებრივი გადამდები აზარ-  
ტით დაარწმუნა ყველანი წასვლის  
სიკეთეში, რადგან მისი სიტყვებით  
აუცილებელი იყო ჩამოგვეფერთხა  
ზამთარში დაგროვილი სულიერი  
მტვერი და თბილისური გაზაფხულის  
სწრაფ დადგომას განახლებულნი  
შევხვედროდით.

გამგზავრება ჩვენი ძირითადი სარ-  
ჩოს – სტიპენდიის აღებას დავამთხ-  
ვიეთ, თორებ ასეთი ნახევრად თვით-  
ნებური განავარდების დროს მშობლე-  
ბი ზედმეტ კაპიკსაც კი არ გვაძლევდ-  
ნენ.

სადგურზე გასვლის წინ ერთად ვიგახშემეთ სარდაფში მოწყობილ სა-საუზმეში და თითო-ორი ჭიქა იაფი კახური ღვინოც გადავკარით.

სალაპორში ბილეთები არ აღმოჩნდა. ფულის დაზოგვის მიზნით, რასაკირველია, საერთო ვაგონით მივზრ-მანდებოდით.

მატარებელი ათ საათზე გადიოდა, გასვლას ბევრი აღარ უკლდა. გურამი გამცილებელს მოელაპარაკა. გამგზა-ვრების ნიშანი მისცეს და ჩვენც ავჭით ვაგონში.

ვაგონი ხალხით იყო გაჭედილი, აუტანლად ცხელოდა, ყველა ეწყობო-და, ყაყანებდა, ერთმანეთს უძახდა, ჩვენ ძლივს ვიშოვეთ შესასვლელთან ახ-ლოს ორიოდე ადგილი, მაშინ ესეც საკმარისი იყო ოცი-ოცდაერთი წლის ბიჭებისათვის.

პირველად სამს მოუწია ორის ადგილზე დასხდომა, ისხდნენ და ჩვეულებისამებრ სიცილით კვდებოდ-ნენ.

გურამ თიკანაძე და მე ფეხზე დავრ-ჩით, გამოვედით იქვე ტამბურში, სადაც მე პაპიროსს ვაბოლებდი და თან ვლაპარაკობდით.

გურამ თიკანაძემ მითხრა – ხვალ გადაუდებელი საქმე მაქს, გურამს ვერაფრით გავუტეხე ხათრი, თორემ ახლა ნამდვილად არ წამოვიდოდი. ამ ლაპარაკში მეც გამახსენდა ჩემი აუცილებელი საქმეები და ასე შევ-ჩიოდით ერთმანეთს, რაც უდაგოა მგ-ზავრობის მეტად ცუდმა პირობებმა და გაჭედილი საერთო ვაგონით მგზა-ვრობამ განსაკუთრებით გაამძაფრა.

გურამმა შემომთავაზა, მოდი ჩუმად დავრჩეთ, მაინც სამნი არიან, მხიარუ-ლად იქნებიან, ხუთნი ისედაც ბევრნი ვართ, დასაჯდომი ადგილიც კი არ გვაქსო. მეც ჩავთიქრდი და როცა წარმოვიდგინე გაგრამდე თუ სოჭამდე ასე ნახევრად ფეხზე მდგარი ჩასვლა, უფრო მეტად ჩემი ოთახი და ლოგინი მომენატრა, თანაც რა სჯობდა – მშობლებს ვეტყოდი, რომ არ წავედი, მათ დავუჯერე და მომავალში უფრო მეტი ავტორიტეტი მექნებოდა. ბიჭებისთვის არაფერი არ გვითქვამს, რად-გან არ გამოგვიშვებდნენ.

ამასობაში მატარებელი მცხეთაში გაჩერდა. სულ რამდენიმე წუთი იდგა. ჩვენ კიდევ ერთხელ დავენახეთ ბიჭებს, გურამ რუსიშვილს სიგარეტიც კი გამოვართვით, ვითომ გაგვითავდა და მატარებლის დაძვრისას ფრთხილად ჩავედით გაგვირვებული გამცილებლის თვალწინ და დავრჩით.

თვალს მიეფარა მატარებლის უკანა ვაგონის წითლად მბჟუტავი სინათლეც. მცხეთის სადგურის ბაქანზე ციოდა და სუსხიანი გამჭოლი ქარიც უბერ-ავდა მტკვრის ვიწრო ხეობიდან.

სადგური მერთალი ყვითელი სი-ნათლით იყო განათებული. ჩვენ მო-საცდელ დარბაზში განრიგი ვნახეთ. ნახევარი საათის შემდეგ გადიოდა თბილისისაკენ ბორჯომის მატარებე-ლი.

მე და გურამ თიკანაძემ ზღვაზე გასასეირნებლად ჩვენი საწყალი სტი-პენდიდან მაშინ სახელგანთქმული მცხეთური ღვეზელი მივირთვით და ლუდიც დავაყოლეთ. შემდეგ მა-

ტარებულში ჩავსხედით და ჯერ თორმეტი საათიც კი არ იყო უკან თბილის-ში რომ დავბრუნდით.

გურამ რჩეულიშვილს ეს ამბავი ძალიან ეწყინა, ვერ წარმოედგინა როგორ ვთქვით უარი ზღვაზე, სივრცეზე, სიახლეზე, მისებურ განახლება — გადახალისებაზე და კარგა ხნის მანძილზე მაყვედრიდა ხოლმე ასეთ მოქცევას, ან ხშირად ისეთი გატაცებით, ისეთი ლამაზი ფერებით ყვებოდა იქ გატარებულ რამდენიმე დღეზე, რომ გულის სიღრმეში სინაული მავსებდა — რატომ არ წავედი, რატომ არ დავუკერებურამს და რა საქვეყნო საქმეები გავაკეთე ჩემი მოულოდნელი დარჩენით.

ჩვენს მიერ მიტოვებულმა სამმა მეგობარმა პირველი დღე სოჭში გაატარა, მეორე დღეს კი გაგრაში ჩამოვიდნენ, სადაც ყოფნა გურამს ძალიან უყვარდა. გაგრაში მათ ერთ-ერთი მეგობრის ახლო ნათესავი ექიმი შეხვდათ, მან ბიჭები სახლში მიიწვია და კარგად უმასპინძლა.

ექიმის სახლი შუა გაგრაში იდგა. ვახშმობის შემდეგ გურამმა თქვა წავიდეთ და ზღვის პირას ჰაერზე გავისეირნოთო.

კარგა ხანს ისეირნეს და მთვარის მკრთალი შუქით განათებული ზღვის ცქერით ტკბებოდნენ.

ის დღეც და წინა დღეც მართლაც შშვენიერი, მზიანი იყო. საკმაოდ ცხელოდა კიდეც, როგორც არცთუ იშვიათად იცის ხოლმე მარტის თვეში.

მერე ზღვაში კენჭებსა და ბრტყელ ქვებს ისროდნენ, გახურდნენ და ტანისა-

მოსიც მოიშილიფეს. ზღვა ღელავდა. დაახლოებით ორ—სამ ბალამდის აღწევდა ღელვა. გურამმა წინადადება წამოაყენა — მოდი, ვიბანავოთო.

ბიჭები წინადამდევი იყვნენ, მაგრამ გურამმა დაარწმუნა ისინი: თქვე კაი ხალხო, უამრავი ადამიანი მთელი ზამთრის განმავლობაში ცივ, ყინულიან წყალში ბანაობს, თავს ბრწყინვალედ გრძნობენ, კაჟივით მაგარი ჯანმრთელობა აქვთ და ჩვენ ამ ერთხელ წყალში შესვლით რა მოგვივაო.

ზღვის წყალი მართლაც ცივი იყო, მაგრამ პირველი გაბედვის შემდეგ თითქოს გათბა კიდეც და ცურვისას სასიამოვნოდაც კი იქცა.

ბიჭებმა ცოტა იჭყუმპალავეს ნაპირ-ნაპირ, შორს შესვლა კი ვერ გაბედეს. გურამი მარტოდმარტო შევიდა შორს. მაშინ უკვე ბრწყინვალედ ცურავდა. ბიჭებს შეეშინდათ, ერთხანს უძახეს გურამს, მაგრამ როცა არაფერი გაუვიდათ, ჩაიცვეს და ისე ელოდებოდნენ.

გახალისებული გურამი აღმა — დაღმა დაუყვებოდა ნაპირს, ზოგჯერ ისე შორს შედიოდა ზღვაში, რომ არც არაფერი ჩანდა და აღარც ხანდახან მოტანილი ხმაური ისმოდა.

კარგა ხანს იყო ზღვაში, როცა გული იჯერა, მხოლოდ მაშინ გამოვიდა, ხომ არ გაიყინეთ უმოძრაოდო, — გაიცინა, ცოტაც წაივარჯიშა, ირბინა და ტანისამოსი ჩაიცვა, მერე კი გაგრის ულამაზესი ფერდობებისაგენ გაიშვირა ხელი და თქვა: „ეს ადგილი ძალიან მოწონს, აქ უნდა დავრჩე სამუდამოდ და ავიშენ სახლიო“.

ეს ადგილი, სადაც გურამმა ჯერ კიდევ ცივ, ნაზამთრალ ზღვაში იცურავა და სადაც მას საცხოვრებლად სახლის აშენება სურდა, იყო ზუსტად ის ადგილი, ანდა სულ რაღაც ოცი-ოცდაათი მეტრის დამორჩებით იმ ადგილიდან, სადაც ხუთი წლისა და ხუთი თვის მერე აბობოქრებულ, გამშვინვარებულ ზღვაში სხვების სიცოცხლის გაფრთხილებისა და გადარჩენის დროს ტრაგიკულად დაიღუპა ოცდაექვსი წლის გურამ რჩეულიშვილი.

ჩვენდა სამწუხაროდ და საუბროდ აღსრულდა მისი წინასწარმეტყველება, გაცხადდა მისი შინაგანი ფარული შიში და გულში ჩაბუდებული სევდა, რის დაჯერება კი არა თუნდაც შორეული წარმოდგენაც არაფრით შეგვეძლო.

გურამი იყო სულიერად და ფიზიკურად სრულყოფილი ბიჭი. იყო შესანიშნავი სპორტსმენი; მთასვლელი; კალათბურთელი; მოკრივე; ცხენოსნობაში ხომ ტოლი არ ჰყავდა. მართლა საოცარი ბუნებრივი მონაცემები ჰქონდა, სპორტის ნებისმიერ სახეობაში შეეძლო თავის გამოჩენა და თვალსაჩინო მიღწევების მოპოვება.

ის ბევრი შინაგანი თვისებით განსხვავდებოდა გარშემო მყოფთაგან, იყო გაცილებით უშუალო და თავისუფალი, მართალი და გაბედული, საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული რეჟიმის პირობებს საერთოდ ვერ ეგუებოდა, ცხოვრების მიმართ საკუთარი დამოკიდებულება ჰქონდა, ეს სწავლის, მოქმედებისა და თუნდაც ჩაცმისადმი მხოლოდ მისეული მიღგომითაც იყო

წარმოჩენილი. 1958 წელს დაწერილ ორიგინალურ ნოველაში „ბატონო ტელემაყურებელო“, იგი მკითხველთა სახით თითქოს ფართო აუდიტორიას მიმართავდა საკუთარი აზრების გადმოცემის მიზნით:

„მე დავიბადე თქვენთან ერთად, გავიზარდე თქვენთან ერთად, სკოლაში დავდიოდი, დავდიოდი ისევ და ისევ თქვენთან ერთად კინოებში, თეატრებში და ექსკურსიებზე, ზაფხულობით ბორჯომში, მერე ზღვაზე, ზამთარში ბაკურიანში. ვიცვამ თქვენსავით „ბუტილკა“ შარვალს 1955 წლიდან, არ ვატარებ ჭუდს. ჩვენ ყველა ვიზრდებით ერთად, ვსწავლობთ ერთმანეთისგან და ყველა ერთი და იგივე წიგნიდან სწავლობს იმას, რაც მის ბუნებასთან ყველაზე ახლოა. მე თქვენგან განსხვავებით დავდივარ უპალსტუხოდ, გაღელილი გულით და მძიმე მაღალყელიანი ფეხსაცმელებით, ლანჩაამძვრალითაც, რადგან ახალი მაღალყელიანის შოვნა ძნელია, მე კი შევეჩვიე მას, ის არის მძიმე და გრილი, ერთნაირად მაღება ოპერაში და მთაში, კინოში თუ ჩხუბში“.

უაღრესად ოპტიმისტი და სიცოცხლისმოყვარული ბიჭი იყო, იუმორიც უხვად ჰქონდა მომადლებული, უტეხი ძალა და მტკიცე ნებისყოფა ჩანდა მის ლამაზად ჩამოქნილ სახესა და ძლიერ კისერში, თავისებური მყარი ნაბიჯებით სიარულსა თუ ჭეშმარიტად რაინდულ ქცევაში.

თავისი პატიოსნებითა და ვაჟებური ცხოვრების მკაცრი ნორმებით მართლაც რაინდს, ხევისბერსა თუ

უფლისცინის მთავარს ჰგავდა. ამიტომაც კუბახდით ბიჭები ზედმეტ სახელად რჩეულასა და ვამებს – უფლისცინის დიდი მთავრის სახელს, რაც მის ბუნებრივ შინაგან სიამაყეს მოხდენილად ესადაგებოდა.

გურამის ნათელი ოპტიმიზმი კარგად ჩანს მის ნაწარმოებებშიც.

აი, რას წერდა 22 წლის ბიჭი თავის ერთ-ერთ პირველ მოთხრობაში „ასვლა“:

„კაცმა უნდა მთელი სულით იცოცხლო, – ან რა არის მუდმივობა, – სისულელე. ყველა ადამიანი მუდმივად ცხოვრობს: ყოველ შემთხვევაში მისი მარადიულობა ის წლებია, რომელსაც გაატარებს ამ ქვეყანაზე. კაცმა რომ თქვას, არცა კვდება კაცი, იბადება სხვა, რომელიც ოდნავ განსხვავდება გარდაცვლილისაგან“.

ეს იყო ნათელი, ოპტიმისტური ფილოსოფია, ეს იყო სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული პრობლემის ახსნა, რაც ყოველთვის აწუხებდა ახალგაზრდა უნიჭიერეს შემოქმედს და რაც მის მრავალ ნაწარმოებს წითელი ზოლივით გასდევს.

ბუნებით ოპტიმისტსა და უშიშარ გურამს ბედისწერის მძაფრი განცდა არ ასვენებდა. ძალზე ხშირად უახლოესი მეგობრებისათვის უთქვაშს და ნაწერებშიც არაერთხელ აღუნიშნავს – მალე დავიღუპებიო.

ეს მძიმე წინათვრმნობა ყოველთვის თან დასდევდა, გულის სიღრმეში იყო მიმალული და თავისდაუნებურად ტკივილივით იჩინდა ხოლმე თავს.

ზაფხულის ერთ დამეს, როდესაც

„ზემელზე“ ვიდექით და ჩვენი მეგობრების გამოჩენას ველოდებოდით, მითხვა თცდაათ წლამდე თუ ვიცოცხლებულ რამდენი რამის გაკეთებას შევძლებო. მე გავჯავრდი, ეს აზრი მის არტისტულ ბუნებას მივაწერე, ასეთი რამის თქმა და განჭვრეტა ვის შეუძლია, შენ ყველა ჩვენგანზე მეტს იცოცხლებ – მეთქი. ჩემი დღიურებიდან შემდეგ აღვადგინე, რომ ეს საღამო 1959 წლის ზაფხულისა იყო. ერთი წელი, მხოლოდ ერთი წელი რჩებოდა გურამის დაკარგვამდე, ჩვენი ათასობით იმედის დასამარებამდე.

ერთხელ იგივე „ზემელზე“ ჩვენი შელაპარაკებისა და შერიგების შემდეგ მითხვა: ბიჭო, გამიფრთხილდი, ხომ იცი მე დიდხანს ვერ ვიცოცხლებო. ასეთი რამის დაჯერება მე კი არა მის არცერთ უახლოეს მეგობარს არ შეეძლო; მსგავსი რამ შინაგანი ტკივილის მოძალების უამს არაერთხელ უთქაშს ედიშერ რჩეულიშვილის, გურამ გეგეშიძისთვის, თენგიზ ჯაშიაშვილისთვის, ერლომ ახვლედიანისთვის... მაგრამ ვინ დაუშვებდა იმის გაფიქრებასაც კი, რომ ძლიერსა და მამაც გურამ რჩეულიშვილს, რომლის იმედი ყველა ჩვენგანს ჰქონდა და რომელიც ჩვენი აზრით ქვეყნის გადაბრუნებასაც კი შეძლებდა, მართლა მალე ელოდა აღსასრული. ეს რომ ოდნავ მაინც გვეგრძო, ალბათ გვერდიდან არცერთი მეგობარი არ მოსცილდებოდა, მაგრამ ვინ და როდის გაქცევია განგების მკაცრი განაჩენით გამოტანილ ბედისწერას?! საუბედუროდ, სულ ცოტა ხნის შემდეგ, გაგრის საქალაქო საავადმყო-

ფოს სარდაფის პატარა ოთახში გურამის ცხედართან თავზარდაცემული და სულიერად განადგურებული როცა ვიდექი, შინაგანი შიშით ვკანკალებდი იმის სასოწარკვეთილი შეგრძნებითაც, თუ როგორ ასრულდა გურამის სიტყვები და როგორ გამართლდა ის, რის შესახებაც არაერთ ხელ უთქვაშს ჩვენთვის.

წერის მანერით, სიღრმით, შინაარსით, აზრობრივი დატვირთვით, დინამიზმით გურამი ჭეშმარიტად თანამედროვე მწერალი იყო ამ სიტყვის ყველაზე საუკეთესო და მისაბამი გაგებით. გურამის ნაწარმოებებში თანამედროვეობა სჩექფდა არა მაშინ დოგმად ქცეულ სოციალისტურ მოვლენებზე წერით, არამედ სამყაროს ღრმა აღქმით, ცხოვრებისეული პრობლემების წინ წამოწევით, სიკეთის დამკაიდრებით, სიმართლით, სიყვარულით.

1986 წელს ერთ-ერთ ინტერვიუში მისი უახლოესი მეგობარი გურამ გეგეშიძე ხაზგასმით აღნიშნავდა: „ჩემი ღრმა რწმენით, გურამ რჩეულიშვილი გახლდათ ჩემი თაობის ყველაზე ნიჭიერი, ყველაზე მნიშვნელოვანი და, რაც მთავარია, ყველაზე ღირსეული მწერალი. მისი შემოქმედება თხემით ტერფამდე თანამედროვეობის სულისკვეთებით არის გამსჭვალული“.

მოვიტანოთ თუნდაც ასეთი მაგალითი. მიუხედავად იმისა, რომ გურამ რჩეულიშვილის მშვენიერი ნაწარმოები „უსახელო უფლისციხელი“ შორეულ წარსულს ეხება, იგი მაინც ცხადად სუნთქვავს თანამედროვეობით. აქ წარსული და აწმყო ოსტატურად

ერწყმის ერთმანეთს, რისი საშუალებითაც საოქმელიც უფრო ძლიერად და შთაბეჭდავად გამოიყურება. ძველისა და ახლის მონაცვლეობა აინტერესებს მკითხველს, მის განწყობას კიდევ უფრო ძაბავს, თვალნათლივ წარმოაჩენს პოლარულად საწინააღმდეგო სურათებს, რომელთა შორის უხილავ ძაფებს ოსტატურად აბამს ოცდასამი წლის დაბრძნებული ჭაბუკი:

„ახლა მთაზე რაღაც საყდარი მოჩანს, შეძლებ ისევ რიგია სახლებისა; ზევით, მთაში, გვირაბი გაპყავთ... ერთ პატარა ადგილსაც ვერ ნახავთ დაუსახლებელ – დაუმუშავებელს... ხოვლეს ბოლოზე უძველესი სამოსახლო ბორცვი ითხრება. მატარებლიდან საკონტროლო თხრილი ჩანს შავ ხაზად. მატარებელი ისევ მიდის. ჩერდება. მე ქვახრელში ჩამოვდივარ. აქ, ქვაში, სამოსახლო ხვრელებია, იმიტომ ჰქვია ქვახვრელი. მწვანეში ზის ახლანდელი სოფელი. ჩემს პირდაპირ, მტკვრის მარცხენა ნაპირიდან უფლისციხე იყურება გამოთხრილი თვალებით. ცხელა, მტკვრის ნაპირას ვჯდები, ვისვენებ. ჩემს პირდაპირ ბორანს აკეთებენ. იმის უკან სახლებს აშენებენ. დავიდალე. ამდენი შთაბეჭდილება ერთ დღეში! ერთი ადგილი ვერ ვნახე, რომ თავისი ისტორია არ ჰქონდეს, რომ ქვა არ იყოს ქაზე დადებული. და ეს მონაკვეთი, რაც მე დღეს ვნახე, ნაწილია ერთი დიდი ისტორიისა. ვცდილობ აღარ ვიფიქრო. ჭიანჭველასათვის მშრომელი და დაუზარელი ყოფილა ჩემი ხალხი“.

სწორედ ეს დაუზარელი შრომა,

მამულის კეთილდღეობისათვის დღენიადაგ ზრუნვა, წარსულთან უწყვეტი კავშირი და ამ საფუძველზე ახლის შენება გურამს მიაჩნდა როგორც თავისი პირადი, ისევე ყველა ნამდვილი პატრიოტი ქართველის უმაღლეს დანიშნულებად.

გავისხმოთ, რა ბრწყინველე მოწოდება თუ ვეებერთელა გულიანად ამოხეთქილი აზრები დაგვიტოვა გურამა, როდესაც თავის ბრწყინვალე „ალავრდობაში“ ყველას გასაგონად განაცხადა: „ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ჭყბობაში“.

გურამი საქართველოს გამრავლებას ნატრობდა, რაც ჩვენი წინვლის საფუძვლად და ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიაჩნდა. ყოველი ქართველის დაბადება მისთვის გულწრფელი ხალისი იყო, მახლობლის დაბადება კი მთუმეტეს დიდ სიხარულს იწვევდა. მას ღრმად სჯეროდა, რომ ახალგაზრდობა არის ერის მომავალი, რომელთაც წინაპრების დაწყებული საქმე უნდა გააგრძელონ, გააძლიერონ და გამარჯვებამდე მიიყვანონ, ახალგაზრდობის იმედი ყოველთვის ჰქონდა, არა მარტო თანატოლებთან თუ უფროსებთან, უმცროსებთანაც მთელი გულით მეგობრობდა, მათ მიერ გასავლელ როულ გზებს იმედიანი თვალით გასცემოდა.

აქ კიდევ მინდა მოვიტანო ნაწყვეტი ორიგინალური ფორმით დაწერილი ნოველიდან „ბატონი ტელემაყურებლებო“. ეს ნაწარმოები და მასში შემავალი ეს ნაწილიც იწერებოდა მაშინ, როდესაც მის უახლოეს ნათე-

სავსა და მეგობარს დათო ჯავახიშვილს ვაჟი შეეძინა. გურამი ამ დროს მოსკოვში იმყოფებოდა რამდენიმე თვით, იქ მუშაობდა. მოსკოვის ცენტრში, დიდი ოუენსკის შესახვეში, პუშკინის მოედნიდან ორასიოდე მეტრის დაშორებით მდებარე პატარა სახლის ერთ პატარა ოთახში იჯდა, ოცნებობდა და ჩვეული გამალებით წერდა გურამ რეულიშვილი. პატარა ნათესავი შორეულ რუსეთშიც არ ავიწყდებოდა და სითბოთი სავსე მახლობლური გრძნობით მიესალმებოდა, მისი დაბადება კი იმდენად სასიამოვნო მოვლენად მიაჩნდა, რომ ყველას ერთიანად ულოცავდა:

„მომილოცია თქვენთვის, ტელემაყურებლებო, ახალი ჯავახიშვილის დაბადება!.. ვუსურვებ ჩემს პატარა ძმისშვილს, ყველაზე ცოტა, ღირსეული ტელემაყურებელი მაინც იყოს, როცა გაიზრდება. მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ მას თვით მოუსმენს ხალხი; ის ჩვენი მომავალია! რა საოცარია, არა? მარტო მომავლებით ვართ თითქოს... აბა, პატარა ჯავახიშვილი! ღმერთო ჩემო, შენი სახელი მაინც ვიცოდე, მაგრამ ის ვიცი, რომ შენ ქართველი ხარ, შენი ჭირიმე და გწამდეს ჩემი, თუ ოდესმე დახმარება დაგჭირდა, მოდი ჩემთან, შენს უფროს ბიძასთან“...

თანამედროვეობის მძაფრი სულისკვეთებით სუნთქავს 1989 წლის 21 აპრილს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული უსათაურო ნოველა, რომელიც მწერლის არქივიდან რედაქციას მიაწოდა გურამის უმცროსმა და უსაყვარლესმა დამ მარინე რჩეულიშვილმა, ვინც ათეულო-

ბით წელი შეალია გურამის არქივს და დიდი მწერლის დანატოვარი თხ-ზულებების ექვსტომეულის აკადემიურ გამოცემას. ეს ნოველა სხვა ნაწარმოებებთან ერთად 1956 წლის ზაფხულში წამაკითხა გურამმა, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო და მის გამოქვეყნებაზე თუნდ შორეული ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. მხოლოდ საჯაროობისა და დემოკრატიზაციის ჯერ კიდევ ჩანასახ პერიოდში გახდა შესაძლებელი თვითმხილველის თვალით დანახული ნაწარმოების რესპუბლიკურ პრესაში დაბეჭდვა. ნოველა 1956 წლის 9 მარტს ავადგასახსენებელ დღეებს შექება, ათეულობით გაფრენილი წლის წინათ არის დაწერილი და ისეთი მძიმე შეგრძნება მაქს თითქოს ცოცხალი გურამი დადიოდა რუსთაველის პროსპექტზე და 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკულ ამბებს მემატიანის მახვილი თვალით აღწერდა. როგორი საოცარი ძალით ესადაგება ჩვენს თვალწინ უდანაშაულო ქართველების დაღვრილ სისხლს იმ შორეულ წლებში დაღვრილი სისხლი, რის განცდაც კიდევ უფრო გაგვიძმაფრა ოცდაორი წლის ბიჭის მიერ უშუალო განცდით შექმნილმა მართალმა ნაწარმოებმა.

იმ დღეს, 1956 წლის 9 მარტს მეგობრები ერთად ვიყავით. წინა დღესაც ერთად ვიარეთ მიტინგებზე, მტკარის ნაპირას სტალინის ძეგლთან თუ მოედნისა და რუსთაველის პროსპექტის თითქმის მთელ გაყოლებაზე რომ იმართებოდა, რადგან ასეთი რამ სრულიად უჩვეულო იყო ჩვენთვის და მართლა გვაინტერესებდა, სხვა რაიმე

გარკვეული მიზნები არც გაგვაჩნდა. მოწვენებითი თავისუფლების განცდა, ლექციების გაცდენისათვის პასუხის არ მოთხოვნა, საკუთარ ნება-სურვილზე მიშვება მეტისმეტად მაცდური აღმოჩნდა.

მთელი დღე გარეთ ვიყავით, კიდეც შეგვცივდა და კიდეც მოგვშივდა. დაღამებულში გადავწყვიტეთ გურამრუსიშვილთან ავსულიყავით, რომელიც მაშინ რუსთაველის პროსპექტზე „ზაირა ვოსტოკას“ რედაქციასთან ახლოს ცხოვრიობდა. ამ დროს რუსთაველის პროსპექტზე ვიმყოფებოდით ოფიცერთა სახლის წინ. პროსპექტი ხალხით იყო გაჭედილი და ბობოქრობდა. გურამ რჩეულიშვილი, თენგიზ ჯაშიაშვილი და კიდევ ერთი თუ ორი ამხანაგი არ წამოვიდნენ, ცოტა ხანს კიდევ დავრჩებითო.

ჩვენ სახლში გავთბით, დავნაყრდით, შემდეგ აივანზე გავედით, რომელიც რუსთაველის პროსპექტს გადასცემროდა და მეორე სართულიდან ყველაფერს კარგად ვხედავდით. ჩვენი წამოსვლის შემდეგ ალბათ ერთმა საათმა განვლოდა უცებ ლენინის მოედნის მხრიდან გუგუნი, გრიალი და გამყინვი სროლის ხმები მოგვესმა. ადგილზე გაგშეშდით, მოულოდნელმა შიშმა აგვაკანკალა.

როცა გონის მოვეგეთ, პროსპექტს მივაშურეთ, ჯერ კიდევ ზუსტად არ ვიცოდით რა მოხდა. პროსპექტზე უპვე წივილ-კივილით და არნახული ღრიანცელით მორბოდა ხალხი, ქალები, ბავშვები, ახალგაზრდები, მოხუცები, ახალგაზრდები სჭარბობდნენ. ჩვენ ერთი

ნაცნობი ბიჭი შევაჩერეთ და ვკითხეთ  
რა მოხდა: გვესროვლებს, ხალხი დახოცებს,  
ტანკები მოდიანო, სხაპასხუპით მოგვა-  
ყარა დაბნეულმა ბიჭმა. ჩვენ გაოგნებ-  
ულები დავრჩით. ამ დროს გაფითრე-  
ბული, აქლოშინებული გურამი, ოწნიში  
და ერთი ამხანაგი გამოჩნდნენ, ჩვენთან  
მოდიოდნენ. ერთად ავედით გურამ  
რუსიშვილის სახლში. ლაპარაკის თავი  
აღარ გვქონდა. ყველას ნერვიულად  
აცახცახებდა.

ხალხი კი მორბოდა და მორბოდა.  
ჩვენ ცოტა ხანს გავჩერდით. მერე ბი-  
ჭები გამალებით დაუყვნენ ელბაქიძის  
დაღმართს, მე და გურამი კი ჯავახიშ-  
ვილის აღმართით ავედით ლარსის  
ქუჩაზე, სადაც მაშინ ცხოვრობდა მისი  
ოჯახი. გურამმა არაფრით არ გამიშვა,  
მაშინ მკრთალად განათებულ დამრეც  
ვარაზის ხევზე გადამაცილა, სახლში  
მიძიებანა და თვითონ კი მარტო დაბ-  
რუნდა. ყოველთვის ასე იცოდა, თითქოს  
თავად არ ეშინოდა და მეგობრის  
მფარველობა ჩვეულებრივ მოვლენად  
მიაჩნდა.

სწორედ იმ მძიმე ტრაგიკული  
განცდის გამოძახილია მისი უსათაუ-  
რო მოთხრობაც, რომლის ერთი პატ-  
არა ნაწილიც გახსენების მიზნით აქაც  
მინდა მოვიტან:

„უკანა მიაწყდა წინას. ლამე იყო.

ტ. ტ. ტ. !

ტ. ტ. ტ. !!

ტ. ტ. ტ. !!!

ისვრიან!

— ისვრიან!!

— ისვრიან!!!

— დამჭრეს!

— მოარტყეს!!  
— მოკლეს!!!  
ტანკები!  
ტანკები!!  
ტანკები!!!  
ხალხი აირია.  
ხალხი ახრიალდა.  
ხმაურისაგან ხმაური აღარ ისმო-  
და.

პატარები ტანკებს ახტებოდნენ.  
მოწაფემ ცარცი დააძრო ჯიბიდან.  
და სვასტიკა დაახატა მუხლუხას.  
ტ. ტ .ტ !!!  
ტანკიდან უსულოდ გადმოვარდა.  
გვხოცავნ!  
გვესვრიან!!  
გვულეტენ!!!  
ხალხი მიდიოდა ტანკებზე.  
ხალხი გარბოდა.  
ხალხი იბრძოდა რითიც „შეეძლო“.  
საშინელი სურათია, მართლაც შე-  
მაძრწუნებელი, მაგრამ ეს არის დიდი  
მწერლის თვალით დანახული ულმო-  
ბელი სურათი, ვანდალიზმის რეალური  
აქტი, რაც არსად არცერთ ქვეყანაში  
არ უნდა ხდებოდეს და მითუმეტეს, არ  
უნდა მეორდებოდეს.

გურამ რჩეულიშვილმა მთელი თავი-  
სი ცხოვრებითა და შემოქმედებით  
დამტკიცა, რომ ის იყო, არის და იქნება  
ჭეშმარიტად თანამედროვე მწერალი,  
კაცი, პიროვნება, რომელიც ყოველთვის  
საჭირო იყო ქართული ლიტერატურ-  
ისათვის, ქართველი ხალხისათვის,  
როგორც მაგალითი, როგორც მაღალი  
და სრულიად განსხვავებული ფენომე-  
ნი, როგორც ახალგაზრდა თაობის  
იდეალი და ნათელი დასტური იმისა

თუ როგორ უნდა იცხოვოს ამ ქვეყნად ახალგაზრდა კაცმა, შემოქმედმა, მამულიშვილმა, მოქალაქემ. ის არის რეალური პიროვნება, ვინც დიდად გაუსწრო საკუთარ დროს, საკუთარ მეოცე საუკუნეს და მომავალ საუკუნეებში გაიჭრა, როგორც დიდი და მაგალითის მიმცემი პიროვნება.

1958 წელს დაწერილ ღრმაშინაარ-სიან და ორიგინალურ კინომოთხრობაში „ბევრი ბავშვები ერთად, ანუ შუადღის შემდეგ, მთელი ღამე და დიღა“ ოცდაოთხი წლის გურამ რჩეულიშვილი ჩვენდა დიდად სამწუხაროდ კიდევ და კიდევ აღნიშნავდა: „მე არ დავბერდებიო“. იგი მართლაც არ დაბერდა, მძლავრი მეტეორივით გაიქროლა, მაგრამ ოდნავადაც არ ჩამქრალა, ოცდაექვსი წლის მარადიულ და ნაა-დრევად დაბრძენებულ ჭაბუკად დარ-

ჩა. იგი ერთგანაც წერდა: „სიცოცხლე მინდოდაო“: მართლა როგორ უნდოდა სიცოცხლე და უფრო მეტად ქართველ ხალხს როგორ სჭირდებოდა მისი სიცოცხლე, რამდენ რამეს შექმნიდა, რამდენ სასარგებლოს გააკეთებდა მშობელი ერისთვის, ვისი კეთილდღეობისათვის თავის დადებაც მისი უმაღლესი მოწოდება იყო.

ჩვენ კი დღეს მხოლოდ იმის შეგნება გვამშვიდებს, რომ ქართველ ხალხს, ქართველ ახალგაზრდობას დარჩა დიდი მწერლის თვითმყოფადი, მაღალი შემოქმედება, ულამაზეს ლეგენდად ქცეული გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება, დარჩა მისი მარგალიტებივით ასხმული ნაწარმოებები, რაც მარადიულად დაამშვენებს მდიდარი და საამაყო ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდს.

უკანასკნელი „ცისქარი“,  
1989 წლის, №10

## ქამი მოსაგლის აღებისა

ცოტა ვინძესთან შეიამოებს ურთიერთობა და სიახლოეს ისე, როგორც ნუგზარ წერეთელთან, ვინც ორიოდე წლით არის ჩემზე უფროსი და, ამდენად, ერთი დიდი თაობის წარმომადგენლებად, სამოციანელებად ვთვლებით. ჩემს თვალწინ გაიარა მისმა უდალატო, დაუძრახველმა ცხოვრებამ და არ მასსოვს, რაიმე შეშლოდეს, რამეზე უკან დაეხიოს, თუკი ოდნავ მაინც შეეძლო გაკეთება. არაერთი მწუხარება მქონია ცხოვრებაში და მუდამ ვკრძნობდი მხარზე მის ძმურ ხელს; მუდამ მამხნევებლა, გულს ნუ გაიტეხო, მუებნებოდა. ყველასათვის სამაგალითო გზის მაჩვენებელია ის უკიდეგანო თავდადება, რაც მან თავის გვერდიდან მოუშორებელი, უპირველესი და უღვთოდ დაღუპული მეგობრის, გურამ რჩეულიშვილის სახელის უკვდავსაყოფად გამოიჩნია.

საიუბილეო, სამოცდამეთხუთმეტე წლის მიჯნასთან ნუგზარ წერეთელს თავისი ლექსების ახალი, ძალზე მრავალფეროვანი წიგნის („საქართველოს ერთი მეციხოვნე“) პირველი განყოფილების სათაურად გაღაკტიონ ტაბიძის სტრიქონი შეურჩევია – „სამშობლო უმთავრესია“ – და, ამ შემთხვევაში, ფრაზა განსაკუთრებულ დატვირთვას, სიმბოლურ მნიშვნელობას იქნის, იგი თავმოსაწონებლად გამოტანილი ლოზუნგი კი არ გახლავთ, ნუგზარ წერეთლის ყოველდღიური ცხოვრების წესია, რაც ბევრ რამეში ვლინდება. ყველა ლექსი, გარემოებათა გამო, თანაბარი ძალითა და შთაგონებით

რომ არ არის დაწერილი, ეს მანაც კარგად იცის. ამიტომ, მეც მხოლოდ იმაზე გავამახვილებ ყურადღებას, რაც გულზე მომხვდა.

მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი, დიდი კულტურული წარსულის მქონე ერი ვართ და დღემდე ვერ ვისწავლეთ მტერ-მოყვარის გარჩევა. როგორ შეიძლება მოკეთედ ჩათვალო იგი, ვისაც ფიქრად მუდამ ისა აქვს, როგორ ჩაგელაპოს და გაგანადგუროს. იყო და რჩება ჩვენი უიღბლო მამული ყოველნაირად შევიწროებული, „ცხრამხრივ მიწაჩამოჭრილი“ და ქართველთა განაგებას ბოლო აღარ უჩანს.

ნუგზარ წერეთელი ილიასეული პირდაპირობით, დაურიდებლად ხატავს შემზარავ, შეულამაზებელ სურათს იმისა, რა ძვირად დაგვიჯდა გადამეტებული კარლიაობა და განთქმული სტუმართმოყვარეობა; ვინც შევიცოდეთ და შევიფარეთ, როცა დრო იხელთა, ყელზე სწორედ იმან დაგვაბჯინა დანა.

არც სინდისი ადარდებთ,  
არც წყევლა და კრულვა,  
ასე გაძლოს სადამდე  
საქართველოს სულმა.  
სულმა მრავალტანჯულმა,  
ხმლებით დაჩეხილმა,  
გეძალება სხვა რჯული,  
ამოგავსო მღილმა.  
მტრების სათვალთვალო ხარ,  
გაჭირვება გერგო,  
მწუხარებამ გამოგხრა,  
შავი მუხის ქერქო.  
(„მარადიული სირცხვილი“)

### წირული ვედრება:

ღვთიურ, სამოთხისდარ მამულს არ  
მოვუფრთხილდით, უდიერად მოვექცით  
და ბუნებამაც თითქოს შური იძია —  
რამდენჯერ ვიზილეთ მეწყერისგან  
წალეკილი სოფლების სავალალო  
ხვედრი. ჩვენს თავს დატეხილმა  
ეკოლოგიურმა კატასტროფებმა დააწ-  
ერინა ნუგზარ წერეთელს გულჯავრი-  
ანი ლექსი „სამაგიერო“, რომლის რამ-  
დენიმე სტრიქონის ამოწერაც საკმა-  
რისია იმის წარმოსადგენად, უგუნურო-  
ბისა და წინდაუხედაობის პასუხად რა  
მკაცრი სასჯელი მოგვეზღო:

რა ნაღვლიანად უბერავს თავისუ-  
ფლების ქარი,

მიწასთან გასწორებული მოჩანს  
მთაცა და ბარიც...

...

წარლგნა აწვება აჭარას, იმერეთსა  
თუ კახეთს  
და გვიხდის სამაგიეროს მაღალი  
ღმერთი მკვახედ.

მნელია იმასთან შეგუება, როცა შენი  
თვალით ხედავ საფიცარი სამშობლოს  
რღვევას და უკეთურობის შესაჩერე-  
ბლად ძალ-ღონე არ გყოფნის. ამ დროს  
ყოვლის მაშენებელი სიყვარულის ადგ-  
ილს გულგრილობა და სიძულვილი  
იკავებს, მომავალს სახარბიელო პირი  
არ უჩანს, ერთადერთ ნუგეშად ისევ  
უზენაესი რჩება და პოეტი კოშმარუ-  
ლი სურათების დახატვის მერე  
ლოცვის ენაზე გადადის, როგორც ამას  
ჩვენი დიდი წინაპრები (ილია, აკაკი,  
ვაჟა) აკეთებდნენ; იქნებ უფალმა კვ-  
ლავ ისმინოს ბოროტი ძალების გან-

დღეები სწრაფად მიდიან,  
ღრუბლებს მიდენის ქარი,  
არაფერია მშვიდი და  
არაფერია მყარი.

ქვეწად სხვაგავარი სულია —  
ზიზღის, შურის და ბოლმის,  
მამულსაც ვეღარ უვლიან,  
საუკუნისგან მოღლილს.

ინგრევა წლობით ნაშენი,  
გვესვრის მოსისხლე მტერი,  
ღნერთო, გვარგუნე საშველი,  
გადაგვირჩინე ერი!  
(„არაფერია“)

არაფრით არ მეგონა, ნუგზარ წერ-  
ეთლისთანა სულისკვეთებისა და შე-  
მართების კაცს თუ ოდესმე უიმედობის  
განცდა შეეპარებოდა ესოდენ მძლავრი  
აღნაგობის სხეულში, მაგრამ ბოლო  
ათწლეულების განმავლობაში იმდენ  
საშინელებას შევესწარით, მნელია  
წონასწორობა შეინარჩუნო და წლო-  
ბით დაგროვილი ვარამი არ ამოსთქვა:

მხოლოდ ქართული მსურდა,  
მხოლოდ ქართული მწამდა —  
ერთიანობა სულთა,  
აზრთა, მიზანთა, წამთა.

ვერ მოვერწარი ამას  
ვერასდროს,  
ვერცერთ დროში,  
ჩვენი პაპის თუ მამის  
დანატოვარი დროშით.  
(„აღსარების ნაწილი“)

ეს უსასოობა და სასოწარკვეთა  
რომ დროებითია, ამას ამავე ლექსის  
ფინალური სტროფიც ცხადყოფს,  
გაუტეხელი სულის ყივილად რომ

გვესახება:

ისმის ყრანტალი სვავთა,  
კლდეს ენარცხება წერო,  
მსურს მიწის წვენი ვსვა და  
შევქმნა,  
ვიბრძოლო,  
ვწერო.

შესაფერისი განწყობილება როცა  
ეწვევა, ნუგზარ წერეთელი პეიზაჟის  
ხატვის ჩინებული ოსტატია, მაგრამ  
თვალწარმტაცი სურათი მას განყენებ-  
ულად არ იზიდავს, იგი მუდამ სიც-  
ოცხლის მარადიულ რიტმშია ჩართუ-  
ლი და სტრიქონებსაც ეს თავბრუდამხ-  
ვევი ექსპრესია გადაეცემა. ამის ნა-  
თელსაყოფად ერთ-ერთი საუკეთესო  
ლექსის („ქარიანი დღე ნოებერში“)  
პირველივე სტროფი იკმარებს:

ქროდნენ ქარები ზენა და ქვენა,  
ყვითელ ნიაღვარს მიჰქონდა  
დირბი,  
და მაგონებდა ფოთლების ცვენა,  
შეუწყვეტელი წუთების სირბილს.

დაახლოებით ამავე ხასიათისაა,  
ოლონდ ემოციურად სხვა სოფელთან  
არის დაკავშირებული ლექსი „ზესხ-  
ოში“, სად ყოფნასაც ავტორი უდიდე-  
სი მადლიერებითა და ნეტარებით იხ-  
სებს. არაფერია იმაში დასაძრახი, რომ  
პირველივე სტრიქონი გიორგი ლეონიძ-  
ის შედევრის – „ნინო წმინდის“ –  
უბრწყინვალეს სახეს გვაგონებს (ეს  
თავისებური ხერხია, ილუზიაა, რისი  
მაგალითებიც ლირიკაში უთვალივია);  
მთავარი ის გახლავთ, რომ ეს კურთხ-

ეული ადგილი პოეტის შთაგონების  
წყაროდ ქცეულა და მისდამი  
გამოთქმული უსაზღვრო მადლიერებაც  
აღარ გვიკვირს:

ცას ოქროსფერი ატმები ესხა,  
გადაწინწკლული ზურმოხტის  
ნამით,  
გამახსენდება ყოველთვის ზესხო,  
ჩემი ცხოვრების მშვენიერ წამით.  
რა ახლოს იდგნენ მთები  
მაღლები  
და თოვლის თეთრი მირონი  
ეცხოთ,  
ან ჩამესმოდა ხმა განახლების,  
ან იმედებით მევსება ზესხო.

მართლაც ძნელია, ასეთი ნეტარება,  
სამოთხისნაირი სილამაზე დაივიწყო  
და ის ღვთიური მადლი განელდეს,  
რამაც სიცოცხლის ბოლომდე გასახ-  
სენებელი, მართლაც განუმეორებელი,  
ზღაპრული წუთები გაჩუქა.

სიამაყით სუნთქავს ყოველი  
სტრიქონი მოზრდილი ლექსისა  
„კურთხულ იყოს მისი ხელები“ –  
კლდეში გამოკვეთილი განსაცვიფრე-  
ბელი ქალაქის – ვარძის – დიდე-  
ბულებას რომ წარმოსახავს და თამა-  
რის ათინათით არის გასხივოსნებუ-  
ლი. მთელი ბრწყინვალებით წარ-  
მოგვიდგება საქართველოს დედად შე-  
რაცხილი „მზექალი“ – თამარი. მა-  
გრამ აქვე იგრძნობა შეშფოთება იმათი  
სიველურის გამო, ვინც ხელყოფს ჩვე-  
ნი ქვექნის ღირსებას მის ხელთუქმ-  
ნელ ძეგლებს. შეჩვენებულია წყევლა-  
კრულვის ღირსი „მოძალადენი, ჩვენი

დიდების გამქურდველები“ ყოველ  
ნაბიჯზე, უამთა დინებისაგან გადარჩე-  
ნილი ქვაბულებიდან წინაპართა წმინ-  
და სახეები შემოგვყურებენ. განსაკუთრე-  
ბულად ამაღლვებელია ფინალური  
სტრიქონები, თვით ამ კოლოსალურ  
ხუროთმოძღვრულ საოცრებას ასე რომ  
ესამება:

გაცოცხლებულან გაცრეცილი,  
წლებით, ფრესკები  
და ჩამოდიან კედლებიდან,  
საღაც გახედავ,  
შეაბარბაცა, წარლვნასავით, ახლა  
ქვესქნელი,  
ჩვენი ფესვების აცახცახებამ.

ნუგზარ წერეთელს არაეროგან  
განუზომელი სითბოთი და სიყვარუ-  
ლით ჰყავს დახატული უღვთოდ ნა-  
ტანჯი, ძალზე განათლებული, წიგნის  
ფანატიკური მოტრფიალე შშობელი მამა,  
გენიალური აკაკის სეხნია და მის ნა-  
თელ კვალზე მიმავალი აკაკი წერეთე-  
ლი. ერთი ასეთი ლექსია „პოლიტპა-  
ტიმარი“, სადაც ავტორი ალაპარაკებს  
ჯოჯოხეთგამოვლილ შშობელს. მას  
კვლევ „შმაგი ქარი“ და „გაუვალი  
ჭაიგა“ ელანდება, ერთმანეთში არევადა  
სიზმარ-ცხადი. მკითხველი თავადაც  
ხედავს უსამართლო პატიმრობაში მყ-  
ოფის მიერ წარმოსახულ დაბინდულ  
ხილვებს; ყოველივე ეს მართლაც ხე-  
ლშესახები სურათოვნებით არის გად-  
მოცემული და ჩვენთვის მახლობელი  
ხდება მამულში დაბრუნებული უდანა-  
შაულო მსხვერპლის განცდები:

გზა იყო რთული,  
კერგასაგნები,  
მაინც მოდევდი გზას  
შეშფოთებით,  
და ნისლში ისე ჩანდნენ საგნები,  
როგორც ამღვრეულ წყალში  
ფოთლები.

ნუგზარ წერეთელს იმთავითე  
აღელვებდა გაუსაძლისი რეჟიმის მიერ  
რეპრესიონბული ქართველი მწერლების  
საშინელი ხვედრი და ამიტომ ბუნე-  
ბრივია, მის ლექსებში ასე ხშირად რომ  
გაიღვებენ ტიციან ტაბიძის, პაოლო  
იაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის და  
სხვათა მოწამებრივი სახეები. ეს არა  
მარტო მოქალაქეობრივი და მამულიშ-  
ვილური ვალის მოხდა, ურყევი  
თანადგომაც არის, რაც მისი შინაგანი  
ბუნებიდან მომდინარეობს.

უდროოდ დაფერწყლილი სილ-  
ამაზის სიმბოლოდ ქცეული ლეგენდ-  
არული სერაფიტას სახე ერთ-ერთი  
ყველაზე მიმზიდველია თანამედროვე  
ქართულ ლირიკაში. ამ თემას სათავე  
დაუდო სიმონ ჩიქოვანის ლექსების  
საუცხოო ციკლმა. აქვე უნდა გავიხ-  
სენოთ გივი გეგეჭკორის უმშვენიერე-  
სი რექვიემი პიტიაბშის სწორუპოვარ  
ასულზე. ნუგზარ წერეთელი თავისე-  
ბურად შეეხმიანა ამ ნაღვლიან და უკვე  
მარადიულ თემას, რისი გამოხატულე-  
ბაცაა მეტად მგრძნობიარე, ტრაგიკუ-  
ლად აუდერებული „სერაფიტას გახ-  
სენება არმაზში“. სუნთქვაშეკრული  
შორეული შთამომავალი შეშფოთებუ-  
ლი ეკითხება სანუკვარ ლანდს: „ასე

უდროოდ სად წახველ, სულო?“ – და  
თავადვე განაგრძობს:

ისეც წუთიერ ქეყანას ამას,  
სულ ოცდაერთი აკმარე წელი,  
შენი სიკვდილი დააჩნდა არმაზს,  
როგორც აჩნდება ყვავილნარს  
ცელი.

უნაპირო სინანულის გამომთქმელს  
გულს უკლავს „დანაცრებული სი-  
ნორჩე“ და ამ ბრწყინვალე სახეს  
არანაკლებ შთამბეჭდავი ფინალური  
სტრიქონები აგვირგვინებს:

ისევ გეხვევა შენი ნაწნავი,  
მუხას როგორაც ეხვევა სურო,  
სიყვარული და ლხენა ჩაგმწარდა,  
ცად გაფრენილო ლამაზო სულო.

შარშანდელი აგვისტოს აპოკალიფუ-  
სური მოვლენები სულისშემძრავი  
სიმბაფრით არის გადმოცემული წიგნ-  
ის მოზრდილ განყოფილებაში „ომის  
საშინელება“. რუსეთის მოდერნიზებულ-  
მა იმპერიამ, ვერაცულად დაგეგმილ  
პროვოკაციათა სერიების შემდეგ,  
საქართველოს მიმართ არნახული დან-  
აშაული ჩაიდინა. ჩვენდა სავალალოდ,  
დღევანდელი მსოფლიო უძლურია,  
ლაგამი ამოსდოს ამ მუცელამოუყორ-  
ავ გველეშაპს, რომელიც მისი დღე და  
მოსწრება სხვათა, ისედაც შევიწროე-  
ბული მიწა-წყლის მიტაცებაზეა გადა-  
სული. ციკლის საერთო სურათი, მი-  
ზანდასახულობა და განწყობილება რომ  
ცხადი გახდეს, სხვადასხვა ლექსებიდან  
ნაწყვეტებს ამოვიწერ:

მხარე ყორნისფრად მორთულა,  
გული რომ დარდით კოდოს,  
რუსი დაჰყურებს ლუთურად  
სამაჩაბლის და კოდორს.  
(„სადამდე“)

იცავს ურდოებს შვი ლავირვი,  
სახით რომ მოჰყავს ორმოს,  
სილიანს,  
მათთან ყოფნის თუ მათთან  
მგზავრობის  
გზა ყოველგვარი გადაჭრილია.  
(„სვლა“)

ბოროტება გვამზობს და  
სისხლისმშელი გვებრძვის,  
კვლავ ვიხილეთ ახლოდან  
ბოროტების ღერძი.  
(„სიმღერა“)

გაფაშისტებული რუსეთი საერთა-  
შორისო სამართლის ტრიბუნალმა  
თუნდაც იმისთვის უნდა გაასამართ-  
ლოს, რომ მისმა, ეთნოწმენდის მომწყ-  
ობმა ვანდალებმა მოსპეს ისტორიუ-  
ლი მნიშვნელობის მქონე თამარაშენი,  
შექმნას გენიალური მთარგმნელის,  
ივანე მაჩაბლის, მშობელი წმინდა ადგ-  
ილი, განადგურეს მისი სახლ-მუზეუმი.  
ამასაც არ დასჯერდნენ. იშვიათი სი-  
ლამაზის არა ერთი ქართული სოფე-  
ლი მიწას გაუთანაბრეს, მოასწორეს.  
საფლავებიც ააოხრეს, წაშალეს.  
ქართველთა ნასახლარებზე აერო-  
დრომებსა და სამხედრო ბაზებს, რას  
აღარ აშენებენ და ჯერჯერობით ყვე-  
ლაფერი შერჩათ.

ნუგზარ წერეთელი ხუთი თითივით იცნობს შიდა ქართლს, სიჭაბუქის წლები ცხინვალში გაატარა და მის-თვის ათმავად მტკივნეულია იქაურობის ასე გაპარტახება, ქართველთა კვალის ძირფესვიანად წაშლა. მსგავსი რამ ყოვლად შეუძლებელია ვინმეს საბოლოოდ შერჩეს და იმედი ვიქონიოთ, ჩვენი ერის პათოლოგიური ზიზღით შეპყრობილებს, სულითა და ხორცით ბოროტებს, აღსასრულის უამი დაუდგებათ. პოეტს ყველაფერი პირწმინდად აქვს აღნუსხული. ყოველ სტრიქონს დოკუმენტური სიზუსტე ახლავს და ამითაც მეტი ძალა აქვს:

მოსპეს თამარაშენი,  
აჩაბეთი, აქნევი,  
ვითომ ოსის საშველად  
შემოვარდა ამრევი.  
(„თამარაშენი“)

მტერი მოდგა მუხრანთან,  
ვერ გაძლა და გვიტევს,  
ძე ტაიგა – უღრანთა,  
არ ცნობს ვარდს და ტიტებს.  
(„სიძულვილის უამი“)

მიიტაცეს პერევი,  
კოდორი თუ იკორთა,  
კვლავ სიბევრით გვერევა  
მხარე დაცუტ იღორთა.  
(„მძიმე სურათი“)

ჩაკეტილია აფხაზეთი ახალ  
ბოქლომზე,  
ადევს პატარა სამაჩაბლოს  
მძიმე ურდეული,  
დუმს საქართველო,

მგლოვიარე და გაქურდული.  
(„ახდენილი ოცნებები“)

სინდისგაყიდული აფხაზი და ოსი სეპარატისტების მკაცრ გაფრთხილებად გაისმის პოეტის სიტყვები, მაგრამ იმათი სინანული (რუსეთმა არაერთხელ გამოამჟღავნა თავისი მტაცებლური ბუნება, მცირე ერების სრული გადაგვარებისკენ მიმართული) ერთობ გვიანი იქნება. მათი შეცდომა საბედისწეროა:

რუსებს მონად დაუდგა,  
მლიქნელურად, ქოსურად,  
ამ გზას ვინც გაუდგა  
უკან აღარ მოსულა.

მარჯვედ მოქნეულ სხარტულებში კიდევ უფრო გულისამრევად გამოყურება სამარცხვინო „ლიდერთა“ ლაფში ამოთხვრილი სახეები:

X X X

შამბა, აშუბა, მათ წინ ბალაფში,  
მაგრად ჩაეფლნენ რუსულ  
ნაგავში.

X X X

მათთვის რუსული რუბლიც  
კი ბრწყინავს,  
რუსი გააქრობს სოხუმს და  
ცხინვალს.

ერთგან, მრუმე ფერებში, იმედის სხივი იჭრება; წარლვნას, შეუძლებელია, არ მოჰყვეს შვიდფეროვანი ცისარ-

ტყელა (ბიბლია და „თორნიკე ერისთავის ფინალი გავიხსენოთ“) და ნუგზარ წერეთელიც სატანურ ძალებთან, აღზევებულ ბოროტებასთან შეურიგებელი გაუკაცური იერით წერს:

აწვიმს ტყვიავს და აწვიმს  
ქარალეთს,  
სივრცე ირჩევა დამწვარ  
ფარდებად,  
და მაინც ისმისი ტკბილი ჰარალე,  
ვით არდაცემა და შემართება.

ჩემმა ერთმა სიყრმის მეგობარმა მიამბო: ჩემი ქალიშვილი და შვილიშვილი, შარშანდელ აგვისტოს, შიდა ქართლში იმყოფებოდნენ. ჯოჯოზე-თური დღეები გადავიტანე. შემოჭრილ ჯარისკაცებს ის სოფელი, ახალგორის მიმდებარე ობისი რომ დაუკავებიათ, მოსახლეობის მიმართ აგრესია არ გამოუჩენიათ. იქაური მცხოვრებელი მამაცი, ლირსეული ქართველები ნირ-შეუცვლელად დახვდრიან, შიში და ძრწოლა არვის დატყობია. მერე, რომ უნახავთ, სოფელში დაბანაკებულებს სასმელ-საჭმელი აქლდათ, კიდევაც მიუტანიათ ოჯახებიდან ყველაფერი, მშივრები დაუნაყრებიათ. ერთ ჯარისკაცს (ისინი ბაიკალის მხრიდან ყოფილან, წესიერი, გაურყვნელი ზნეობის ბიჭები) ასეთი უანგარო ყურადღებით ნასიამოვნებს, სინაზულით უთქვამს: „.....“

ჩვენდა სამწუხაროდ, რუსეთის გამათხოვრებულ, მძარცველ არმიაში, რომელმაც, საძრახისი საქციელით, მთელი მსოფლიოს წინაშე მოიჭრა თავი,

ამგვარად მოაზროვნენი ძალზე ცოტანი არიან.

კარგად არის ცნობილი, რა მზრუნველობას, შეუნელებელ ყურადღებას იჩენს ნუგზარ წერეთელი ცოცხალი მეგობრების მიმართ და რაოდენ პატივს მიაგებს გარდაცვლილთა ხსოვნას. ყოველივე ეს დროდადრო აისახება ხოლმე მისი რედაქტორობით გამომავალ „საზოგადოება ცოდნის“ ურნალში, რომელსაც, თავისი მიმართულებისა და მრავალროვნების გამო, საქმაოდ მოზრდილი დიაპაზონი აქვს.

საიუბილეო კრებულშიც მთელი განყოფილება („ტკივილიანი გახსენა-ბა“) ეთმობა საწუთოსაგან განშორებულებს და პოეტი დიდი გულისტკივილით, თანამიმდევრობით გვიხატავს ძვირფას სახეებს, ახალი წლის ღამით, „მოგონებათა ტალღა“ რომ წამოატივ-ტივებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ სათაყვანებელი გალლერეის შუაგულში ბრილიანტიგით ბრწყინავს ისევ და ისევ მისი უპირველესი მეგობარი, ქართული მწერლობის სამუდამოდ დამამშვენებელი გურამ რჩეულიშვილი. თვალნათლივ ჩანს, რამდენ ცინცხალ, გაუხუნებელ მოგონებას იტევს გურამ და ედიშერ რჩეულიშვილების, აგრეთვე, სხვა მეგობრების გასახსენებლად დაწერილი მღელვარე ლექსი „კოჯრის ქუჩა“. იგი საგანგებო გარჩევის ღირსია, მაგრამ აქ მხოლოდ ორიოდე სტროფის ამოწერა უნდა ვიკმაროთ:

გამოცლილია ჭიქა ძირამდე,  
გადავლილია დამწვარი ველი,

და ცრემლებამდე,  
და ტირილამდე  
მომენატრება დღეები ძველი.  
...  
მძიმედ მიგორავს საწუთო  
კოჭლი,  
წასასვლელ სივრცეს აგანიერებს  
და მოწყენილი ჩნდს ქუჩა კოჯრის,  
დაობლებული ბავშვის იერით.

დრო ულმობელია. საუკეთესო  
წლები წარსულის კუთვნილება გამხ-  
დარა და ზამთრის პეიზაჟი ზედმიწ-  
ევნით ეხამება პოეტის ნათელ სევდას:

ის ცხოვრება გაფრენილა,  
არ ტრიალებს მორევი,  
სპეტაკ თოვლით დაფერილან  
საქართველოს გორები.

ახლობელთა რიგები სამწუხაროდ  
გამეჩერებულია და ცის ავი გრუხუ-  
ნი ყრუდ ჩაესმის ჩავიქრებულს; მთლია-  
ნად სურათი ბუნებრივი და მარჯვედ  
მიგნებული მეტაფორა, სიმბოლურ იქნი-  
ოდნა:

კვლავ ქუხს დასალიერთან,  
დეკემბერი ბრაზობს,  
როგორ დაცარიელდა  
ჩვენი სადარბაზო.

კონკრეტული მისამართი აქვს ამავე  
ტონალობით დაწერილ, ჭირისუფლის  
ცრემლივით გამჭვირვალე ლექსის –  
„მელიქიშვილის ქუჩის სახლთან“ –  
ცხოვრებაგამოვლილი ორი დიდებუ-  
ლი ვაჟკაცის, მთელი თბილისისთვის

საყვარელი თემო ნაცვლიშვილისა და  
გურამ ლორთქიფანიძის (ლორთქიას)  
ხსოვნას რომ ეფერება. იგი თავიდან  
ბოლომდე ლად მელოდიად იღვენთება  
და ყოველი მინიშნება ცხადად იკვეთ-  
ება, ძალდაუტანებლად ხმიანობს:

ქარი მღერის ნანას და  
ფანჯრებს ფიფქებს ახლის,  
კვლავ ნათდება ანაზდად  
ვერისუბნის სახლი...

ასევე ძალუმად იგრძნობა, როგორ  
დაუმწუხრებია დეკემბრის მსუსხავი  
ქარბუქით გაბრუებული ვაჟკაცი უახ-  
ლოესი ადამიანის, ბორის ინასარიძის  
უდროო სიკვდილს. მეგობრის მოლან-  
დება, წარმოსახვაში გაელვება, სამწუხ-  
აროდ წამიერია, იგი კვლავ აჩრდილთა  
სამყაროს უბრუნდება:

ცივი ქარი დეკემბრის ისევ  
უკლის აივანს,  
შენი ლანდიც ირწევა – თალზი,  
შავი პერანგი...  
გხედავ და მენატრები, მაგრამ  
გაი, ვაი რომ  
მიჯნის იქით გაბრუნებს  
ბედისწერა ვერაგი.

სხვანაირად, გამორჩეულად უყვარ-  
და ნუგზარ წერეთელს ჩვენი განუმეო-  
რებელი ზაურ ბოლქვაძე, მისი თავისთა-  
ვადი პოეზია, უსაზღვროდ კეთილი და  
დიდი ნიჭის პიროვნება, ვისაც ასე  
მოულოდნელად დააცხრა სუთამსუთავი  
(„სხვებზე ფიქრობდი, ამ დროს კი

თურმე სიკვდილი როგორ ახლოს გელოდა...“) სხარტად, მოქნილად არის დახატული ძვირფასი ზაურის პორტრეტი, წერის ეგზომ ეფექტური მანერა, ხოლო ფინალურ სტრიქონებში ოსტატურად არის მოთხრობილი მეგობრის მცირე, ერთსტროფიანი უსათაურო, ნამდვილი შედევრი, სულს რომ ერთბაშად აგიფორიაქებს:

სიტყვა მოგედავა ჯავრიანი,  
არ გეშინოდა უკან მოხედვის,  
ჩაფიქრებული და ჯავრიანი,  
მოსწრებულ ლექსით გულს  
იოხებდი.

...

დარდებს ვერაფრით გაუძლო  
გულმა,  
რადგან მრავალჯერ სისხლითაც  
წერდი,  
და მოგიტაცა სიკვდილმა  
კრულმა,  
რომ ადარებდი სიცოცხლის  
წერტილს.

მნელია გაზომო, რა სითბო და კეთილშობილება ახლავს იმ ალალ სტრიქონებს, ნუგზარ წერეთელმა გარდაცვლილ ახლობლებს (შალვა მჭედლიშვილი, თენგიზ კახიძე, ასან ნადირაძე, სოფიკო ჭიაურელი, ნოდარ მენაძე, ანდრო და თემიკო ჭიჭინაძეები, დემანა რჩეულიშვილი და სხვები) ხსოვნას რომ მიუძღვნა.

დავიწყებასთან ბრძოლის აპოთეოზად, უკვდავების პიმნად გაისმის ჰაეროვანი, ოცნების მსუბუქ ნისლში გახვეული ულამაზესი სტრიქონები, ჭირისუფლის ერთგულებით დაწერილ,

ლექსების ამ სევდიან რკალს რომ აბოლოვებს:

არაფერიც არ ქრება,  
ჩვენ კი, როცა გავქრებით,  
კალავაც ცისფერ აფრებად,  
წლებს მოვყებით გაფრენილს.

ნუგზარ წერეთელი მოგზაურობის თავგადაკლული ტრფიალია, ხოლო ყველაზე მეტად მის დაუდეგარ სულს ზღვის სტიქია ეთანადება. ბუნების ამ საოცრების ხილვისას აღძრული და ლექსად შეკრული შთაბეჭდილებები მას ცალკე ციკლად („ზღვის სურათები“) გაუერთიანებია. აქ მრავლადაა მოხდენილად შერჩეული სურათები (მაგალითად, ასეთი: „.... და გემბანს, როგორც მოხატულ ფინჯანს, ედება თეთრი შიშინა ქაფი...“), მაგრამ ეს ფერწერული სახეები პოეტს, როგორც უკვე ვთქვი, განყენებულად არ იზიდავს, ყველაფერი განწყობილების გასამთლიანებლად არის მიმართული:

სველი სიგრილით მავსებს

ზღვაური,  
ტუჩებს ედება სიმღაშის წებო,  
დღეს ვარ თამამი და უცნაური,  
რომ სული ლურჯი  
ტალღებით ვღებო.

არაერთგან იგრძნობა მოგზაურის დაუოკებელი ტემპერამენტი, გაშლილ სივრცეთა მოხილვის მარადი წყურვილი, რის გარეშეც ვერ დაიწერებოდა აგრერიგად ლალი სტრიქონები:

გაბრუებს ქარი,  
როგორც სივრცის თვალის

მოვლება,  
ვით შემოდგომის  
საოცარი ეს ოფორტები,  
შენ ვერასოდეს ვერ იტანდი  
ერთფეროვნებას,  
შენ გიზიდავენ  
უცხო პორტები.

ატლანტის ოკეანეში მყოფსაც არ  
შორდებამტერთაგან შევიწროვებული,  
დავიჯგნილი საქართველოს საწუხ-  
არი, წუთითაც არ ავიწყდება თავისი  
ამქეფნიური ვალი და უკან იტოვებს  
აბორგებულ ტალღებს:

სამშობლოს ჯვარი მკერდზე  
მკიდა,

ყველას კაცურად ვუთვლი მისაგებს  
და ატეხილი ფიქრით მივდივარ  
ოკეანიდან მამულისაკენ.

ამავე თემის ბუნებრივი გაგრძელე-  
ბა მომდევნო ციკლი – „მოგზაურო-  
ბის დღიურიდან“, რომელშიც ფერა-  
დოვნადაა არეკლილი სამშობლოსა თუ  
უცხოეთში ხეტიალის დაუვიწყარი,  
სიამის მომგვრელი სურათები. ყმაწვი-  
ლური ჟინით არის ანთებული, ძალზე  
ლამაზი, ფერწერული ლექსი „ლამე  
მატარებელში“. მღელვარე სისხლიდან  
დაძრული სტრიქონები თითქოს ვაგო-  
ნის ბორბლების დაგა-დაგს მიჰყვება:

მე ახლა მარხილით  
ქროლვა მენატრება  
და ვნება სტეპების თმაქერა  
ალების,  
დამეში არყები ჩანან

კელაპტრებად,  
სახლებს შეფეთქილი  
უელავთ თვალები.

მრავალ საფიქრალს აღძრავს და  
საამო წუთებს განგაცდევინებს „ცხრა  
წყაროს უღელტეხილზე“, „კრაკოვის  
წაბლები“, „მაღალი ატატრებისკენ“,  
„ლიდიცე“, „სოფელი საზღვართან“,  
„ყურში ჩამესმის ბაჩკოვის ზარი“ და  
სხვა შშვენიერი ლექსები, რომელთაგან  
მრავლად შეიძლებოდა მიმზიდველი, მო-  
მხიბლავი სტრიქონების ამოწერა. სა-  
მაგიეროდ მთლიანად უნდა მოვიტანო  
(მისი სტრიფებად დანაწევრება გამი-  
ჭირდება) იშვიათი შთაგონებით შექმ-  
ნილი „ექსპრომტი სიმღერისას“, მსოფ-  
ლიოში სახელგანთქმული უნიჭიერე-  
სი იტალიელი საესტრადო მომღერ-  
ლის რაფაელა კარას ჯადოქრულ ხე-  
ლოებებს ასე მუსიკალურად, ძალდაუ-  
ტანებლად რომ გვისურაოთხატებს და  
მონატრებულ სამყაროში გადაგვტყორც-  
ნის:

გადაიხსნა ფარდები,  
დაკიდული ფარად,  
სცენა განავარდების –  
რაფაელა კარას.  
ფიქრი აღარ იმღვრევა,  
იწებ ფიქრიც კმარა,  
და იღვრება სიმღერად  
რაფაელა კარა.  
შორი სამფლობელოდან  
მოვარდნილი ქარად,  
ო, რა ვნებით მღეროდა  
რაფაელა კარა.  
ქარს გაპქონდა ზუზუნი

ქედებიდან ბარად,  
მერე დასცხო რუსული  
რაფაელა კარამ.  
რომ ანგრევდა ქარი კარს,  
არ ვაგდებდი არად  
და მღეროდა „კალინკას“  
რაფაელა კარა.

წინამდებარე წიგნში, ვფიქრობ, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ციკლია „სიყვარულის ნაშერევები“, ვინაიდან ნუგზარ წერეთლის რაინდულ პიროვნებაში ყველაფერი ამ დიად, ამაღელვებელ გრძნობას ემორჩილება; აქ ერთმანეთ-შია ჩახლართული სინანული და ნეტარება. პოეტი ერთგან თვალს ავლებს საუკუნის ნახევარს, შშობლიურ ქალაქში რომ გაატარა („თბილისის გზები გაუვლია“) და ჩანს, როგორ წყდება გული, ერთ დროს ვარდივით გაშლილ ულამაზეს არსებებს ჭკნობამ რომ დარია ხელი, ძველი მშვენიერების აჩრდილებიც აღარ არიან:

ო, რამდენჯერ, სულ ტყუილად,  
მაწყევლინეთ თავბედი,  
მშვენიერო გოგონებო, როგორ  
შემომაბერდით.

აქ ყოველი მეორე ლექსი საგანგებო დაკვირვებისა და გარჩევის ღირსია და ზოგიერთ მათგანს, რადგან ციტირება დიდ ადგილს დაიჭერს, ჩამოვთვლი მაინც. აი ისინიც: „შორი სიყვარული“, „განშორება“, „დედა-შვილი“, „იმედი“, „„XXX ზღვაზე იძალა კარგმა ამინდმა“, „მინაწერი კავბატას წიგნზე“, „თოვლიანი მხარე“, „მიუხდავად

ამდენი ტანჯვის“, „XXX მაინც რამდენი ხანი გებები“, „ფიქრი კოცონთან“, „რად უნდა იყო“...

ღრმა გრძნობა, სასურველ არსებასთან ურთიერთობა თუნდაც ხანმოქლე იყოს, მუდამ წარუშლელ კვალს ტოვებს თვითეულ ჩვენგანში. ამის დასტურად გამოდგება ჩეხ გოგონასთან გატარებული გვიანი შემოდგომის სანეტარო დღეები, რომელთა დავიწყება პოეტს არ ძალუშს. დროის მანძილი ვერაფერს აკლებს დიდი ხნის წინ განცდილ მღელვარებას:

იანა, შენი თვალები მწვანე  
ახლაც მშვენიერს მაგონებს პრაღას,  
ვუსვამდი კითხვას  
მიმქროლავ წამებს –  
ვნახავ თუ აღარ,  
ვნახავ თუ აღარ.  
იმ დაუკიწყარ ნოებბრის დღეებს  
თითქოს ვკითხულობ ახლაც  
ზეპირად,

ჯერ არ ციოდათ ტანმაღალ ხებს  
და პრაღას ისევ ოქრო ეფინა.

...

შემოღამების ციალი ლურჯი,  
ოცნებასავით დამრჩება მარად,  
და თუ შენს ქალაქს დღეს

ფერებს ვურჩევ,  
მას სიყვარულის ფერები ფარავს.

ასევე შორულ მოგონებას აცოცხლებს და ამგვარი მძაფრი განცდებით სუნთქავს ლაღად ამღერებული ლექსი „გახსენება“ და მღელვარების მიზეზი აქაც მწვანე თვალთა ცეცხლოვანი გამოხედვაა, „ღადარივით ცხელი ტუჩები“ ქალისა, ვისთან ერთადაც დილ-

ამდე შერჩა „სინოპის სანაპიროს“  
გაფრინდი წლები გავერმგროთალებულა,  
სამუდამოდ დანთქმულა წარსულში,  
მაგრამ თვითონ იმ ღამის გრძნეულებას ეშხი და ლაზათი არ დაკლებია:

წლებს ფერებიც დაღარვიათ,  
ჩანან სხივჩამქრალები,  
მახსოვს მია მარღანიას  
მწვანე ფერის თვალები...

ამ სტრიქონების დამწერი ბოლომდე ერთგული რჩება ადამიანთა მოდგმის ყველაზე ძლიერი და მშვენიერი გრძნობისა, რომლის გარეშეც არსებობას ყოველგვარი აზრი ეკარგება. ასე რომ არ იყოს, იგი ვერ იტყოდა:

მისით დავლახე ყველა სავალი,  
ყველა გასაჭირს მისით უძლებდი,  
რომ სიყვარული არის მთავარი,  
აქ სამუდამოდ დავრჩი  
გულწრფელი.

სიამოვნებით მინდა ავღნიშნო, რომ ასევე შთამბეჭდავი და ფასეულია ლექსების ციკლი „ყველაფერზე ფიქრებიდან“, რომელშიც მრავალი სატკივარია გაშიშვლებული. ერთ-ერთი ას-სეტ საჭირბოროტო, შემაძრწუნებელი ლექსია „დაღუპვა“, რომელშიც დაუფარავი პირდაპირობით არის წარმოჩენილი ნარკოტიკებს გადაყოლილი, გზააბნეული თაობების მომაკვდინებელი ხვედრი. გავიხსენოთ, რამდენი ჩვენგანი გამხდარა ამგვარი სავალალო სურათის შემსწრე:

ის შეეწირა ნემსებს და წამალს,  
ლამაზი ბიჭი გადიქცა ლენჩად,  
დარღით დაზფრულ დედას  
და მამას  
გაშავებული ლანდილა შერჩათ.

აქ ერთ გუსაკლავ მსხვერპლზეა  
გამოიტული სინწული, მაგრამ, სამწუხ-  
აროდ, ჩვენს პატარა სამშობლოში „მათი  
რიცხვი ლეგინია“, და საგანგაშო ძღვო-  
მარება კარგს რომ არაფერს უქადის  
საქართველოს მომავალს, ამას მარ-  
ჩიელობა არ ჭირდება. წერილის გა-  
დატვირთვას ვერიდები, თორემ საგულ-  
დაგულოდ გასარჩევია ლექსები: „მთა-  
ვარი“ „XXXიმ ძველებური ბავშვური  
ჩვევთ“, „დასასრულისკენ“, „XXXვით  
დიდთოვლობას მთებში ლანქერი“,  
„ორი ექსპრომტი შვილიშვილებს“ და  
ზოგიერთი სხვაც.

მცირე ავტოპორტრეტად მესახება  
ერთი ამოსუნთქვით დაწერილი ლექ-  
სი „კაცობა“, რომელიც მედგარ ხასი-  
ათს, ცოცხალ სახეს, გულახდილობას  
წარმოგვიჩენს:

არ მიცხოვრია მშიშრობით,  
ან შემაშინოს რამ,  
დროს როგორაც კი ვიშოვნი,  
აუცილებლად ვსვამ.  
დვინოს ვიწონებ ქარვისფერს  
ქართული მიწის წვენს,  
მერე მივყვები ქარის ფრთებს,  
მეგობარსა და მწეს...  
ბილიკებს ვინც კი მიშლიდა,  
ყველა მიწაში წევს.

ლირიზმითაა აღსავსე და შიგადა-

შიგ ირონიის სუსხი დაჰკრავს მცირე  
ზომის „უცებ ნათქვამ პწკარებს“, სუ-  
რათთა და განწყობილებათა ნაირგვარ-  
ობით რომ გამოირჩევა. არ იქნება ზედ-  
მეტი, მათი ერთი, გულზე მოსახვედრი  
ნაწილი მაინც რომ არ ამოვწეროთ და  
დავაკვირდეთ:

X X X

ისე დაკარგა ბევრმა ნამუსი,  
კაცურ კაცს ძებნა უნდა მამულში.

X X X

ხუთი ღამე ვცხოვრობდი  
მე „ლასკალას“ გვერდით,  
განუწყვეტლივ მესმოდა პუჩინი  
და გერდი,  
მეც ნამდვილად სხვაგვარი  
აღტაცებით ვწერდი.

X X X

ისე მენატრება აფხაზეთის  
გზები, სიხარულით მოვლილები,  
მესმის ტკივილები  
ლტოლვილების.

X X X

ცხოვრება ჩემი წაგიდა თარსად,  
ძმასავით ტკბილი მეგობრები  
შემომეცალნენ  
და დასარეკიც აღარ მაქვს არსად.

X X X

ცარიელ თავებს იწონებენ  
პრადო-პამერით,  
უკვე ძნელია, შეადარო  
ბრიყვი მოკეთეს,  
აღარც კი მჯერა ჩემი ქვეყნის,

ძველი ამ ერის,  
სად რესტორნები ურჩევნიათ ბიბ-  
ლიოთებს.

X X X

საულვაშეზე ზოგჯერ ულვაშით,  
გინდა სიცხეში,  
გინდა ყინვაში,  
თავშერგულია რუსულ დუმაში  
და მივლინებით დადის  
ცხინვალში.

ვფიქრობ, ყველასთვის გასაგები  
უნდა იყოს, რა ჭიპის უნამუსო, გათა-  
ვხედებულ, ღირსებააყრილ მარიონეტე-  
ბზეც არის მინიშნება ამ ბოლო, ქამან-  
დივით ნასროლ მინიატურაში. იმის  
იმედსაც არ ვკარგავთ — კრემლი ახლო  
მომავალში ერთი ასად მოიმკის მის  
მიერ დათესილ ბოროტებას.

სრულიად სხვა სახით წარმოჩნდა  
ნუგზარ წერეთელი წიგნის ბოლო,  
ორიგინალურიბით გამორჩეულ განყო-  
ფილებაში „პროზა ლექსებად“. მას,  
ცხადია, ახსოვდა ბოდლერის მიერ  
დანერგილი ახალი ჟანრი („ლექსები  
პროზად“), მაგრამ სიტყვებს ადგილი  
რომ შეუცვალა, ალბათ განსხვავებული  
აზრიც ჩადო თავის დასათაურებაში.  
საგანგებო დასაბუთება, მტკიცება არ  
ესაჭიროება იმას, რომ ფორმა, პროზა-  
ული სამოსელი სათქმელმა განაპირო-  
ბა. ტრადიციული, რითმიანი ლექსი ვერ  
შესძლებდა იმის რამდენადმე სრულყ-  
ოფილად გადმოცემას, რისთვისაც  
პროზაურად გაწყობილი პერიოდები  
უფრო შესაფერისი აღმოჩნდა. ზოგი-  
ერთი ხელმოცარულისთვის, ეგზომ

მომძლავრებული ვერლიბრი ერთგვარი თავშესაფარი გახდა, რათა თავიანთი უნიჭობა დამალონ, შენიღბონ. არსებობის უფლება ყოველგვარი ფორმის ლექს აქვს, მთავარია ვინ იყენებს მას და როგორია შედეგი.

პროზაულად გამართულ პირველ-სავე მოზრდილ ტექსტს („ლექსის ტრფიალი“) ნუგზარ წერტელი მამის ხსოვნას უძღვნის. პოეტი სადავოდ არ ხდის ჭეშმარიტებას, რომ არსებობის უფლება ორივეს აქვს – „თეთრ ლექსაც და რითმიანსაც“, მაგრამ აღიზინებს ზოგიერთების საეჭვო მიღრეკილება, საქმე გაითოლონ (ამ მხრივ განსაკუთრებით აიშვეს თავი ქალებმა) და ტონობით ახვავებენ ჩალასავით უგემურ, ხელოვნურად დაბურდულ, გამოუცდელ მკითხველთა დასაბნევად გამიზნულ დახლაკნილ სტრიქონებს. საუკუნოვნი, კლასიკური ფორმებისგან განდგომას გულისხმობს ნუგზარ წერტელი, როცა წერს:

ახლა პირიქით  
სწორედ ურითმოს ეტანებიან,  
ვიდრე წაბლის ხის ნატივ  
ოდასავით  
ლამაზად გაწყობილ  
რითმიან ლექსს,  
დღეს უკვე ძალზე ძნელდა  
წაბლის ხის შოვნა  
უფრო ადვილად იშოვება  
რკინა-ბეტონის კონსტრუქციები,  
რასაც შეიძლება უფრო თანამედ-  
როვე შეხედულება აქვს...

სწორედ ასეთი, „წაბლის ხის ნა-

ტივ ოდასავით“ გაწკრიალებული სადა ლექსით სულდგმულობდა პოეზიის „უერთგულესი მსახური თუ ქვეშევრდომი“, ციხის საკანში წლობით გამოკეტილი, „სულმნათი აკაკის პატ-არა სეხნია“, ვისაც, საპატიმროდან თავ-დაღწეულს, თვეობით ატარებდნენ უსულგულო რედაქციები და სამად-ლოდ, წელიწადში ორ-სამ ლექსის თუ დაუბეჭდავდნენ, წიგნის გამოქვეყნება კი არაფრით არ აღირსეს.

გაქნილ უუნქციონერებს, გამომცემ-ლობათა უსირცხვილო მესვეურებს არ ბეზრდებოდათ „უსასრულო, დაუმთავრებელ ტყუილთა წყება“ უღ-თოდ აწვალებდნენ გულაგის ჯურ-ლმულებში ნაწვალებ სანთელივით პიროვნებას. ერთი ამგვარი, სიბოროტით ცნობილი ინკვიზიტორი, ვითომ პოეტი, დამბეზღებელი, ათასობით „ანონიმების“ მჯდაბნელი, ისეთი ამაზრზენი სიცხ-ადით არის დახატული, გვარსახელით მოხსენიება არც იყო საჭირო:

მატყუარებშიც იყო ერთი  
გამორჩეული,  
შავი და ცალყბაგამოგდებული,  
რომ აბოტებდა უსაშველოდ  
დაკოურილ ფეხებს,  
და თან მუდმივი საჩივრებით  
იყო გართული.  
ის თავად ქმნიდა უნიჭობით  
იდეურ ლექსებს,  
სხვისი ლექსები კი ფეხებზე  
ეკიდა მუდამ,  
მის მიერ შექმნილ მლიქვნელობის  
ატმოსფეროში...

ასევე დოკუმენტური ამბავი უდევს საფუძვლად ღრმა ადამიანური თანადგომითა და სიყვარულით დაწერილ მწუხარე თავგადასავალს – „ჩემი საწყალი, მარტოხელა მასწავლებელი“, ნუგზარ წერეთელი თავისი აღმზრდელი პედაგოგის ენით აუწერელი გასაჭირის გადამტანი უსპეტაკესი პიროვნების, თამარ ჯაფარიძის ხსოვნას რომ უძღვნის. ორიოდე დღის გათხოვილი იყო ახალგაზრდა ქალი, როცა შველა სიკეთით შემკული მისი მუზლე ჯალათებმა დაიჭირეს და მოუსავლეთში გადაკარგეს, გააქრეს. მის მერე აღარც გაუხსარია, მაგრამ თავის მოვალეობას ღრმა მოხუცებულობამდე განუხრელი თავდადებით იხდიდა. იგი ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცის“ ღირსეული მემკვიდრე და ბედის მოზიარეა, მასავით სხვებზე გადაგებული. თამარ ჯაფარიძის უიღბლო ცხოვრების გასასიგრძეგანებლად, მოქლი ტექსტის გადმოწერა მოგვიხდებოდა და, ამდენად, ფინალურ სტრიქონების სადა, ბუნებრივ მდინარებას უნდა დავკერდეთ:

დაღონებული მივყებოდი  
დარიბულ კუბოს,  
და სუდარიდან, შეიძლება  
ცოტა მოკლედან,  
მოჩანდა მისი საცოდავი ჭადარა  
თმები,  
რაც ტკივილის და სინანულის  
საშინელ განცდას  
უფრო და უფრო მიძლიერებდა.  
ამავე ტიპის ნაწარმოებია „მწუხ-

არე პორტრეტი“, რომელიც სოხუმელი ახლგაზრდობის თვალსაჩინო ლიდერის, ჯემალ ანთიას შემზარავ ხედრს გვამცნობს. მრავალმხრივი უნარით დაკილდობული, იგი, ჯერ კოდვ აფხაზეთში ტრაგედის დატრიალებამდე, ათვალწუნეს აფსუა სეპარატისტებმა, ათასიათი ხრიკები მოუწყვეს და თავი მოაკვლევინეს. ექვს გვერდზეა განფენილი ის საშინელი სურათები, საიდანაც ჩანს, რა სულისშემუთველი გარემო შექმნეს ქართულ მიწაზე უბნელებმა ძალებმა, ორი საუკუნის განმავლობაში რომ ამზადებდნენ აფხაზეთის მიტაცების მზაკვრულ გეგმას.

ყველაზე მნიშვნელოვანი, მრავლისმთქმელი და მრავლისდამტევი მაინც მეოთხე, პოეტურად ამეტყველებული ტექსტია – „შემთხვევით გადარჩენილი ფოტოსურათი“, რომლითაც პოეტი თავისი მოამაგე, ნაჯაფარი, საწყალი ბებიის ცხოვრებას აღადგენს. ეს მღელვარე ეპიზოდები იმდენად მშობლიური და ახლობელია, ყველა ჩვენთაგანს ეხება. „სალესი ქვის“ დარად გალეული ბებია ისე მიიცვლება ოთხმოცდაოთხი წლისა, ოჯახს მისი სურათი არ დარჩება. მხოლოდ ორმოცი წლის თუ მეტის მერე შემთხვევით აღმოაჩენენ „ერთადერთ შავ-თეთრ ფოტოს“ და ეს ხდება საბაბი წარსულის ზედმიწევნით სახიერად გაცოცხლებისა, მახვილგონივრულად შემჩნეული წვრილმანების ფონზე:

ნაპოვნ სურათზე მოჩანს სივრცე  
ჩამობინდული,  
მიდამო სპეტაკ, თანაც მაღალ

თოვლს დაუფარავს,  
ღრმა წეობაც კი ნისლით თეთ-  
რად ამოვსებულა.

ამ თეთრმა ნისლმა ყველა  
ქედი თეთრად შებურა,  
ნისლში საღებავდგადასმულივით  
დარჩნენ სერები,  
ჩვენი სერები, ულამაზესი,  
დაქანებული ფერდობებით  
გამორჩეულნი,  
სადაც იმ მძიმე, შორეულ და  
გათოშილ წლებში  
ბებიაჩემის ერთადერთ თხას  
ვაძოვებდი, ვაბალახებდი,  
მერე კი სქელ რძეს,  
შეღამებულში ბებოს მოწველილს,  
ნელ-ნელა ვსვამდი უდიდესი  
სიამოვნებით,  
თან ხმელა ჭადის გაციებულ  
ნატეხს ვატანდი.  
შორს იყო მამა, ცხრაკლიტულში  
გამოკეტილი,  
მაშინ ვიცოდი, შვილი ვიყავ  
პოლიტპატიმრის...

ამ სტრიქონებმა ისეთი განცდა  
დამიტოვა, თითქოს ჩემი გაუხარელი  
ყრმობის ფურცლებს გეითხულობდი,  
იმდენად მსგავსია ჩვენი ოჯახების  
თავგადასავალი.

ჩემს დიდი ხნის მეგობარს, ჩვეუ-  
ლებრივ მუდამ მარჯვედ, ოსტატურად  
აქვს ხოლმე მოფიქრებული ნაწარმოე-  
ბის ფინალური ნაწილი, ბოლო  
წერტილი. ამ ჩვევას იგი არც ამჯერად  
ღალატობს, რასაც „შემთხვევით გადა-  
რჩნილი ფოტოსურათისა“ და თვით  
წიგნის დამამთავრებელი სტრიქონები

### ცხადყოფს:

ის მაგიდაზე თვალსაჩინო  
ადგილას მიდევს,  
თან ვუფროთხილდები,  
თითქოს ოქროს ზოდი მდებოდეს,  
რადგან სურათი თვალწინ  
მიდგენს –  
დედას, მამას, უფროს ძმას,  
ჯონდოს,  
და ჩვენს ახლობლებს,  
დღეს რომ ქვეყნად აღარ არიან.  
და მხოლოდ ასე,  
სურათების სახით შემოგვრჩნენ,  
რისი დაკარგვაც არასოდეს  
არ შეიძლება.

თავში მხოლოდ ვახსენე, დასას-  
რულს კი უნდა ვთქვა – ამაყი და,  
ამასთანავე, სადა სათაური აქვს ნუგ-  
ზარ წერეთლის ლექსების ახალ კრე-  
ბულს – „საქართველოს ერთი მეციხ-  
ოვნე“ – რომელზეც ჩემი პირუთონელი  
აზრი გამოვთქვი. ზოგი, სარგებელს  
დახარბებული თანამედროვის მსგავსად,  
იგი „მეცეხოვნე“, საკუთარ კეთილდღე-  
ობაზე მზრუნველი საქმისანი არასოდეს  
ყოფილა; ნიადაგ იმას ცდილობდა, სა-  
ზოგადოებისთვის, სამშობლოსთვის  
სასარგებლო ეკეთებინა და კიდევაც  
აკეთებდა. გულით ვუსურვებ თავის  
ლამაზ, ტრადიციულ ოჯახში, ძვირფას  
მეუღლესთან ერთად, შვილებსა და  
სვილიშვილებში გახარებულს, კიდევ  
დიდხანს ეხილოს მაცოცხლებელი მზის  
ნათელი და რაც ყველაზე მთავარია,  
საქართველოს უკეთეს დღეებს

მოსწრებოდეს.  
**ეძღარ კვიტაიშვილი**  
23 აგვისტო, 2009

## **50 წელისა და მეტის გამარჯვებულების აღნიშვნის დღე**

ოსმალის ჩამოსახლება ქართლში  
და ქართველების ამაგი და დგაფლი მათზე

### **ისტორიული მიმოსილება ზ. ჭიჭინაძისა\***

ზაქარია ჭიჭინაძე (1854-1931წ.წ.)

ქართველო სახოგადო მოღვაწე, ცნობილი გამომცემელი, ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარი იყო. მისი ერთ-ერთი საყურადღებო ნაშრომი „ოსების ჩამოსახლება საქართველოში“ 1916 წელს დაიბეჭდა და დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა, წლების წინ განმეორებითაც იქნა გამოცემული. აქ ნაჩვენებია როგორ ეუფლებილენ ჩვენი დაუდევრობის გამო მომთაბარე ოთა ტომები ძირძველ ქართულ მიწა-წყალს, რაც დღეისათვის, სამწუხაროდ, ოკუპაციულია რუსეთის მიერ.



თამარ მეფის მიცვალების შემდეგ,

ქართველებს ბევრი გარეული მტერი აუტყდათ, ესენი საქართველოს მოსვენებას აღარ აძლევდნენ, ამიტომაც ქართველთ აღარ აქვნდა დრო, რომ თავიანთ მეზობელ ოსებისთვის ისეთი მფარგელობა გაეწიათ, როგორც ეს იყო ბაგრატ მეოთხის დროდან მოყოლებული თამარ მეფის გარდაცვალებამდე.

საქართველოს გაჭირვებულმა მდგომარეობამ ქართველი ერი დიდს განსაცდელის გზაზედ დააყენა, ამიტომაც საქართველოს გარეში გასულნი ქართველნიც უცხოს ქვეყნებიდან სულ შინ იკრევდნენ თავს და მტერს უძღვებოდნენ, ასევე ოსეთიდამ დაბრუნდნენ ყველა ის მასწავლებელ ქართველნი, რომელნიც კი ოსებს ასწავლიდნენ ქართულ წერა-კითხვას, სხვა და სხვა ხელოსნობას და ბევრსაც კიდევ სხვა ასეთებს.

\* - ავტორის უკანასკნელი სტილი დაცულია

ო ს ე ბ რ ს ჩ ა მ რ ს ა ს ლ ე ბ ა

## ქ ა რ თ ვ ლ ე ბ ა

და ქართველების ამაგი და დაზღვრი მათხედ.

ასტორიული მიმოხილვა ჭ. ჭიჭიათაძე.

ტ ბ ი ლ ი ს ი  
სახელმწიფო სტამბა  
1919

ქართველების გაცილებამ ოსები მეტად ცუდს მდგომარეობაში ჩააგდო, თვით ოსებმა ვერ გამოიჩინეს ვერაფერი ენერგიული შნო, თვით ვერც ოსების სკოლაში ასწავლიდნენ ოსის ბავშვებს წერა-კითხვას, მაშინ ოსები ქართულ ანბანს სწავლობდნენ, რადგანაც ქართული ანბანი ოსების ანბანიც არის, ვერც სხვა ნასწავლი კაცები გამოჩნდნენ კოჩაღათ, ნამეტურ ხელოსნობის ხელოსანთა რიცხვი ისე მოისპო, რომ ამიერ და იმიერ ოსებში ადარც ხელოსნები იყვნენ, ადარც ფეიქები და არც სხვა ასეთნი საჭირო ხელოსნობის მუშაკნი.

ოსთა საუბედუროთ ისე მოეწყო ოსების საქმე, რომ ქალი და კაცი სულ ფეხშიშველა დაიარებდნენ, ტანთსაცმელის ხომ აღარა აქვნდათ რა და სულ

ძველს ჩულებში იყვნენ გახვეულნი. ასეთ მდგომარეობაში მყოფ ოსებმა რამდენიმე ხანს გასძლეს, მაშინ კი, როცა მათში წისქვილები დაიქცენ და ქერის პურის შოვნაც კი ერთობ ძვირი გახდა, მაშინ კი ამათ იკადრეს ფიქრები და ბოლოს კი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ქართლში იწყეს გადმოსვლა, ქართველების ცარცვა, გლეჯა, სახლების წარმევა, მთელი სოფლების დაჩემება, დაბების, ქალაქების და მასთან მთელის მოსავალ პურის გატაცებაც.

ოსების ბოროტებამ და ცარცვა-გლეჯამ ქართველი ერი დიდათ დააღონა, მაგრამ ქართველნი ოსებს უთმენდნენ ყველაფერს, ვინაიდგან ქართველთ ოსები დიდათ ეცოდებოდათ და ებრალებოდათ, როგორ ფეხშიშველა მოსიარულე ხალხი, თავ-შიშველა და ძველს ჩულებსა და ძონბებში გახვეულებს ამიტომ ქართველები სთმობდნენ ოსებისას ყველაფერს, მაგრამ ოსები მაინც რაც დრო გადიოდა, მით იგინი უფრო თამამდებოდნენ და მთელს ქართლის სოფლებს იკლებდნენ, იგინი არც ხნავინენ, არც სთესავდნენ, ყოველ თვეს ველურის ძალით ქართველებს სძარცვდნენ და ამ ნაცარცვით სცხოვრობდნენ.

ამ გვარათ მთელი ქართლი ოსებმა აიკლეს და დაარბიეს და რაც დრო გადიოდა მით იგინი უფრო წინ მიღიოდნენ ავ კაცობით. ასე იყო საქართველოს გარემოება მომართული და როცა ქართველთ გარეშე მტრები აუტყდნენ, მაშინ ქართლში, თვით ქართველთ მეზობელ ოსებმაც იპოვნეს დრო და წამოყვეს თავი. მაინც ღმერთმა არ

გასწირა საქართველო და ამ განსაცდელის დროსაც მოევლინა საქართველოს გმირი და გონიერი მეფე, ეს იყო გიორგი, ძე დიმიტრი თავ-დადებულისა, შემდეგ დროს ქართველთაგან გიორგი ბრწყინვალეთ წოდებული.

გიორგი ბრწყინვალემ თავის გამეფების დღიდმანვე (1313წ.) დიდი ყურადღება მიაქცია ქართლის მდგომარეობას და ნამეტურ ოსების თავგასულობას. გიორგი ბრწყინვალეს ჯერეთ საქართველოს დაგლევ-დაფლევთა ადარდებდა და ამიტომ ოსებს წყნარათ ექცეოდა, თან აკალებდა, რომ ქართველთ ცარცული-გლევას თავი დაანებეთო. მაგრამ ოსები მეფის დავალებას არ ასრულებდნენ და უფრო უარეს შვრებოდნენ, ამიტომ გონიერმა მეფემ დროებით ოსების ალაგმვა იქით გადასდო.

გიორგი ბრწყინვალე შეუდგა ჯარის მოკრეფას და მის შემდეგ საქართველოს გაერთიანებას და ნაწილ ნაწილათ დაყოფილ სამთავროების, საერისთავოების დამორჩილებას, ყველა ესენი მას ძრიერ ძვირად დაუჯდა, რადგანაც მას ზოგიერთი მთავარი და ერისთავი ეწინააღმდეგებოდა სასტიკათ. ამ მოწინააღმდეგეთა რიცხვს გიორგი ბრწყინვალე კარგად იხსომებდა, მან მალე გაიცნო ყველა ეს პირნი, თუ ვინ იყო მისი მტერი და საქართველოს გაერთიანების არ მოსურნე და ვინ ერთგული და მსურველი საქართველოს გაძლიერების, მოწინააღმდეგის რიცხვში მოჰყვა ოსების ბელადიც, რომელიც ოსებთან ერთათ ქართლში სცხოვრობდა და ცხოვრებას და თავის

ბელადობას ოსების წინაშე ქართველების გაქუცით და გაცარცვით ასრულებდა. ეს ბელადი იყო მფარველი ოსების ქურდობის და ავაზაკობის.

გიორგი ბრწყინვალემ ამ ოსების ბელადის და ოსების ალაგმვა დროებით უყურადღებოდ დასტოვა, შეუდგა ჯერეთ დანაწილებულ და დაგლევილ, ანუ საერისთაოებათ და სამთავროებათ დაყოფილ საქართველოს გაერთიანებას და მათ დამორჩილებას, ზოგი დაიმორჩილა და ზოგი ვერა, ამიტომ მან ახლა კვალათ შესცვალა თავის გეგმა.

ვინც ვერ დაიმორჩილა, იმათ ოჯახებში ეწვია, გაუმასპინძლდა, დაუმეგობრდა, სიყვარული და ურთობა გაუმართა, რასაკვირველია ყველა ამათ ოსტატურათ ექცეოდა, ამასობაში გიორგიმ დაიპყრა შირვანი, ადრაბადგანი, (დღეს ადრიბეუჯანი), ჰაისტანის ბევრი ქვეწები და მის შემდეგ იგი შემობრუნდა ქართლში და თავის მტერ მოყვარებს სალამი გაუმართა, ყველას ესტუმრა, მეფე გიორგი ფიქრობდა, რომ იქმნება ეხლა დამორჩილდნენ, მაგრამ ლაპარაკში ყველას უიმედობა შეატყო.

მაგრამ მეფეს გული არ გაუტყდა, იგი მანც ცდას მიეცა და განიძრასა ამ შინაურ მტერთა მოსპობა, ამისთვის მან შეკრიბა დიდი მალი ჯარი და მერე მიეცა სამზადის და დიდის ნადიმის გადახდას და ყველა თავის მტრის ამ ნადიმზედ მოწვევას. ეს ნადიმი თურმე ისეთის სახელოვნებით მზადდებოდა, რომ გიორგი მეფის ყველა მტრებმაც კარგად შეიტყუს, მათ ეს დიდათაც უკვირდათ.

ბევრის სამზადისის და დიდის მზადების შემდეგ მეფემ გადასწყვიტა ნადიმის გამართვა გომბორის მთის ნაწილს ცივზედ, სადაც უფრო სიამოყნებით მივიღოდნენ მისი სტუმრები, მალე გონიერმა გიორგიმ მიმართა ყველა თავის მტრებს და დაპატიჟებით დაავალა ნადიმზე მისვლა და პატივის ცემა გიორგისა. დაპატიჟება ყველამ სიამოვნებით მიიღო და დანიშნულს დღეს მართლაც ყველა დაპატიჟებულნი ეწვივნენ მეფე გიორგის, ამათშივე იყო ოსების ქურდაცაცა ბელადიც.

გიორგიმ აქაც განიძრახა ყველას დალოლიება და სისხლ დაუღვრელათ დამორჩილება, მაგრამ ყველას ლაპარაკში უარი გამოსჩნდა. ამიტომ მეფემ შეწყვიტა მათთან საუბარი და იგი სხვა საგანზედ გადავიდა, ამ დროს, მათ უკვე გადააკვრევინა ძვირფასი კაზური, რაკი ეს მოხდა, გადაკრულებს რაც კი აქნდათ გულში გიორგის წინააღმდეგ, ყველაფერი სთქვეს, ამით გიორგიმ შეიტყო მათი ბოროტების საბუთები და ისიც, რომ ისინი უსისხლით არასულერს დასთმობდნენ.

ამიტომ გიორგიმ იხმარა თავისი გეგმის თანახმად წადილის შესრულება და რაკი ყველა ეს მტრები ვერ დაიყოლია და არც დაყოლიების მიზეზები შეუტყო, ამიტომ მან თავის მომზადებულ კაცებს, ეს თავის მტერ სტუმრები, თვით ამ დიდ სანადიმო სუფრაზედ ისე ამოაწყვეტინა, რომ იქ მათში ერთი მტერიც აღარ დარჩა, აქვე ამათში მოჰყვა ოსების ქურდაცაცა ბელადიც.

გიორგი ბრწყინვალემ ბრწყინვა-

ლეთ და ხალხის სისხლის დაუღვრელად მოსპო თავისი მტრები და მათი სამფლობელნიც შეიერთა გაერთიანებულ საქართველოსთან სისხლ დაუღვრელათ, ამის შემდეგ გიორგი ბრწყინვალემ მიმართა ქართლში შემოსეულ ოსებს და აუწყა თვისი ბრძანება, რომ დღეის შემდეგ თქვენ ქართველთა ცარცვა, გლეჯას თავი დაანებეთო, თორემ მე არ შეგარჩენთ და დაგსჯით სასტიკათაო. ახლა ველური ოსები ამაზედ უფრო გაბრაზდნენ და სთქვეს, რომ გიორგიმ ცივზედ ჩვენი ბელადი მოკლაო და ჩვენ დაწყნარებას და დაშოშმინებას გთხოვსო, ეს ჩვენგან არ იქნება, ჩვენ სისხლის აღება ვიცითო. გიორგი ბრწყინვალემ მალე სცნო ოსების აზრები, სთქვა: რაკი საქმე ასე არის, მაშინ მე ვასწავლი მათ ჭკუასო. გიორგი ბრწყინვალე ბრწყინვალეთ შეუდგა ქართლიდან ოსების გარეკვის სამზადის და ეს მან ერთობ მალეც დაიწყო.

მოხდა მალე ის, რომ ქართლში ოსებს კარგი დრო არ დაუდგათ, მთელის ქართლის სოფლებიდან ოსები აჰყარა, ქართველთაგან წართმეული სახლები წაართვა, ყველა ეს სახლები თავიანთ ძველ სახლის პატრონებს დაუბრუნა, მთელი აყრილი ოსები ერთ ალაგას შეყარა. მერე მიჰყვა ქართლის დიდის ჯარით და ყველა ეს მცარცველი ისე გადარეკა ოსეთში, რომ ქართლში ერთი ოსი აღარ დასტოვა. ამ გვარათ გიორგი ბრწყინვალემ დამშვიდა ქართლი.

გიორგი ბრწყინვალე მარტოთ ამ გაძევებას არ დასჯერდა, იფიქრა: ვაი

თუ კიდევ მერე შემოესიონ ქართველ-საო, ამიტომ იგი ქართველის ჯარით შეა გულ ოსეთამდის მიჰყვა, იქ ჩარე-კა და მასთან პირობა ჩამოართვა, რომ დღეის შემდეგ თქვენ აღარ გაბედოთ

და ქართლს აღარ შემოესიოთ, თორებ მე სასტიკათ დაგსჯითო. ამის პირობა ოსებმა დიდის სიხარულით მისცეს და თექვეს, რომ დღეიდან ჩვენი ფეხი ქართლში აღარ შემოვაო. მხოლოდ ოსებმა სოხოვეს გიორგი ბრწყინვალეს, რომ ჩვენ თქვენს ბრძანებას შევასრულებთ, თქვენ ერთი სიკეთი გვიყავითო, ჩვენს ქვეყანაში, ოსებს არა გვყავს არც ხარაზები, არც მეჩუსტე, მეწუღე, მექალამნე, არც ჭონი, არც თერძი, ფეიქარი, არა გვყავს დალაქი და სხვაც ასეთი საჭირო ხელოსნები, ეგება გვიშველოთ თქვენა, თფილისიდამ გვიბოძოთ სამ სამი კაცით თითო ხელობის, რომ მათ დაიწყონ აქ მუშაობა და ჩვენც გვექმნეს ყველა საჭირო სახ-მარებლიო.

გონიერმა გიორგი ბრწყინვალემ ამ დავალებას თავისებური კეთილის თვალით შეხედა, იგი მალე ჩამოვიდა ოსეთიდან თფილისში, შეკრიბა ყველა ხელოსნები, ყველა მათ მისცა დახმარება, ულუფა და მალე გაბრუნდა ოსეთში და ყველა ეს ხელოსნებიც თან წაიყვანა, მალე ჩავიდა ოსეთში, ყველა ესენი დაამკვიდრა იქ, ამათ გაუხსნა სახელოსნოები და ამ გვარათ შემოსა ტიტვლი-კანა და ფეხშიშველა ოსები.

ამის შემდეგ გიორგი ბრწყინვალემ ოსებს გარდა მიმართა კავკასიის მთის სხვა და სხვა ხალხებსაც და გააცნო თვისი მეფობა და ძლიერება, მათაც

აუწყა და დაავალა, რომ ზედამხედ-ვალობა იქონიეთ ოსებზედ და მათ თუ კიდევ გაბედონ ქართველზე შემოსევა, თქვენ მათ ხელი არ შეუწყოთო. მათაც მისცეს ამის პირობა.

ამ გარემოებას ვახუშტი ასე ამოწ-მებს: „მერე შევიდა და შემუსრნა კავკა-სიასა შინა მყოფნი მოსრნა და დამორ-ჩილა და მოხარკე ჟყვან ყველა იგი და დამშვიდდა ქართლი ოსთაგან, ვინაით-გან გზანი ყოველნი თვირ დაიპყრნა“.

ამის შემდეგ გიორგი ბრწყინვალე ესტუმრა თუშ-ფშავ-ხევსურ- მოხვევებს, აუწყა ოსების დამარცხება და მასთან პირობის ჩამორთმევა, რომ დღეის შემ-დეგ, იგინი ქართლში ფეხს ვეღარ შე-მოდგამენო, ამიტომაც ამ მთის ხალხს აჩუქა საკუთრებათ ყველა მათი საცხ-ოვრებელი ადგილები, ამს გარდა მათვე დაუწერა „ძეგლის დება“, და დაუმტ-კიცა, სხვაც ბევრი წყალობა უბობა ამის სანაცვლოდ მათ დაავალა ის სამსახური, რომ მთელი კავკასიის გზები ეხლა მე დავიპყარი და ამ გზებზე ყარაულები იყოლიეთ და უყურეთ, რომ ქართლში ოსები აღარ შემოიპარონ. მოხვევებმა ამის ფიცი და პირობა მისცეს და მას შემდეგ გიორგი ბრწყინვალე თფილისში დაბრუნდა და მთიელებმაც ხსნებულ გზებზედ დააყენეს მცველე-ბი, მის შემდგ ანუ 1330 წ, თითქმის გავიდა ორი საუკუნე და ქართლში ერთი ოსის ფეხი აღარ შემოსულა, ერთს კაცსა არ შემოუდგამს ქართლში ფეხი, არც იმერეთში და კახეთში.

ოსეთის ერის ისტორია მეტის მეტი სიბნელით არის გარემოცული. ოსებმა არც თვისი უძველესი დროის

ისტორია იციან, არც შემდეგ დროის, არც საშუალო საუკუნის და არც უახლოესის საუკუნოების.

ოსეთის ისტორიის შესახებ, ისევ და ისევ თუ არის დარჩენილი ისტორიული მასალები, ამას იგინი უნდა უმაღლოდნენ ქართულ მემატიანებს და საქართველოს ისტორიის წყაროებს და ამ წყაროების მწერლებს, რაც მკვიდრად და მტკიცედ არის დაცული ქართულის წიგნებსა და სიგელგუჯრებში. აი ეხლაც, მე წარმოვადგენ ოსების საგულისხმოთ, ერთ ისტორიულ გარემოებათა აღნუსხვას, ე. ი. ოსების ჩამოსახლების მიზეზებს ქართლში, რაც არ იქნება მეტი და მნიშვნელობას მოკლებული.

ეს ისტორიული მასალა მე მოვიპოვე 1884 წ. ქვათახევის მონასტერში მცხოვრებ, მღ. მონოზ. ნიკონ ჯობინაშვილის ძველს საწიგნობელში. ეს აღწერა მე მოვათავსე „ოსეთის ისტორიაში“ რომელ წიგნიც ცალკე გამოვიცი 1914 წ. ხოლო ამ წიგნში ეს აღწერა ვერ მოვათავსე, რადგანაც წიგნი თავდება მეცამეტე საუკუნის დამდეგს, ანუ თამარ მეფით და ეს გადმოცემა კი ეხება მეზუთმეტე საუკუნის დამლევს.

ოსები ვალდებული არიან ზნეობრივათ, რომ ქართველ ერს და მათ ისტორიას ისე უნდა უცქირონ, როგორც თავიანთ თავს და ძვირფას საუკუნეს, თორებ თუ მათ ქართველი ერი გადაიმტერეს და ქართლიც აიკლეს, მაშინ მათ კარგად უნდა იცოდნენ, რომ იგინიც ისე გაპტერებიან საქართველოს ისტორიის ასპარეზზე, როგორც გაპტერა

ერთ დროს ქალაქი უინვალი და აქ მცხოვრებ ოსების ავგარგიანობა და ისტორიული ცნობებიც.

ნიკ. ჯობინაშვილის ხელთხაწერი განიყოფა ასე: I ნაწილში აღნუსხულია საქართველოს აოხრება მტერთაგან, ეს ნაწილი მე გამოვეცი ცალკე წიგნათ 1880 წ. მეორე ნაწილი კი ოსებს და ოსების ჩამოსახლებას შეეხება, ეს ნაწილი კი დავტოვე, არ დავბეჭდე, რადგანაც არ მაინტერესებდა, ახლა კი, როცა საჭირო გახდა, ამიტომ წარმოვადგენ როგორც ჩვენთვის საცოდნელათ ისევე ჩვენ მეზობელ მტერთათვის.

როგორც მოწმობენ ქართველთ ისტორიის წყაროები, მეზუთმეტე საუკუნის დამლევს, ოსებს მეურნეობა ძრიელ სუსტად სცოდნიათ, თვით პურის თესვაც კი არა სცოდნიათ, მათში თურმე მარტო ქერს სთესავდნენ და ისიც როგორც მიწის მოხვნაც კი არ ყოფილა მათში წესად მიღებული, ბარითა და ნიჩბით მიწას სჩიჩქნიდნენ და ისე სთესავდნენ ქერს.

ამ გვარად მეთხუთმეტე საუკუნეში, კარგად სჩიანს, რომ ოსეთში მარტო ქერი მოდიოდა, ამას გარდა არც პურის, არც სიმინდის და ბრინჯის ხომ სანახავობაც არ ყოფილა, მთელი ოსეთის ერი ქერის ქარჯინათი იკვებებოდა. ეს იყო სულ მათი საცხოვრებელი ავლადიდება, ამიდამ ხდიდნენ ლუდს, არაფს და მით ირჩენდნენ თავს, ბაღოსნობა და ლვინის დაყენების ხომ ოსებმა სულ არაფერი იცოდნენ.

მოხდა ასეთი უბედურება, რომ ოსეთის ერთ ნაწილში და უფრო კი ქართლის მოსაზღვრე ოსებში, 1580

წლიდან, ქერის მოსავალმა გამუდმებით სასტიკად იკლო. ქერი თითქმის სულ აღარ მოდიოდა, ამ უბედურების მიზეზი ის იყო თურმე, რომ 1580 წ. ქერის ყანები დიდმა წვიმებმა და ნიაღვრებმა სულ წაიღო და მოსპო თურმე. მეორე წელიწადს ასევე მოისპო დიდი ქარებისაგან, მესამე წელს, თურმე იქმნა ისეთი ცხელი მზე, რომ ყანები თურმე სულ გადაიწვა, ასე და ამგვარად გასტანა თურმე ამ უბედურებამ, რამაც ოსების ერთი ნაწილი ერისა დიდს განსაცდელში ჩააგდო.

ოსეთში ჩამოვარდა დიდი სიმშილობა. ამ სიმშილობას, ქართველი მემატიანე ასე აღნუსხავს: „1580 წელს, ოსეთში, იქმნა სიყმილი ფრიად დიდი, მრავალნი სწყდებოდნენ სიყმილითა, ვინაიდან ოსნი იკვებებოდნენ მდელოთი“.

ბალახის ჭამამ დიდად ავნო ხალხს და მრავალი გაწყდა, იგივე მატიანე ამბობს. რომ მკვდრები დაუფვლელნი დარჩნენ.

ამ გარემოებამ ოსებზე იქონია თურმე მეტად დიდი გავლენა. ამ დამშეულ ოსებმა იწყეს თურმე აქეთ იქით გარდახვეწა და დღიური ლუკმის ძებნა მათხოვობით, ასეთი დამშეულის ოსების ერთი ნაწილი გადასახლდა შირვანში, ერთი ნაწილი ჩერქეზთსა და ერთი ნაწილიც გადმოსახლდა ქართლში.

გარდახვეწილნი ყველგან მიეცნენ მათხოვობას, მაგრამ შოვნით კი ზოგ ალაგას სულ ვერაფერს შოულობდნენ, მაგალითად ასეთი იყო შირვანი, ლეკეთი და ჩერქეზთი, სადაც ოსები ბევრს

ვერაფერს შოულობდნენ, შოულობდნენ იმდენს, რაც მარტო მათ ჰყოფნიდათ იქვე დღიურად და შინაურთათვის წასაღებად კი აღარა რჩებოდათ-რა, ქართლში გარდახვეწილი ოსები კი, ამ პურის და ქერის ქვეყანაში, შოულობდნენ იმდენ ქერის, პურის, სიმინდს, ლობის და სხვას, რაც თვითონაც ჰყოფნიდათ საზრდოთ დღიურად, და თანაცა ბევრი მონაგროვი მიჰქონდათ.

ამ გვარად რაც ხანი გადიოდა ქართლის სოფლები მათხოვარ ოსებით უფრო ივსებოდა, რაკი ოსებმა ნახეს, რომ ქართლში უფრო აღვილად ვშოულობთ პურსაო, სხვა კუთხეებში წასვლა შესწყვიტეს და მთლად ქართლისაკენ იწყეს გადმოხვეწა და მათხოვობობა. საქმე ისე მოეწყო, რომ ქართლის სოფლები მაღლე გაივსო მათხოვარ ოსებით. ყველა სოფელში მუდამდღე ისის რამდენიმე მათხოვარს მხარზედ გუდა ეკიდა, ხელში პარკი და დაირებოდა მათხოვრად.

ამ გარემოებამ საქმე იქამდის მიიყვანა, რომ ქსნისა და არაგვის ერისთავმა მათხოვარ ოსებს ჰკითხეს მიზეზი მათის სიგლახაკის და ქართლის სოფლებში ასე გადმოსვლის და გლახაობის, ოსებმა აუწყეს ქართველთ ყოველივე თავიაანთი ქვეყნის მოუსავლობის მიზეზები. აიღეს-დაიღეს და ეს ამბები ერისთავებმა და მაჩაბლებმა სიმონ მეფეს მოახსენეს. ამ მეფემ ერისთავებს ნება მისკა ასე:

რაკი ოსები მაგისთანა სიღარიბეში ჩავარდნილან, ამიტომ აუწყეთ მათ, რომ თუ ისურვებენ და ქართლში გადმოსახლდებიან, მაშინ თქვენ მიიღეთ

იგინი ხიზებად და თქვენს მამულზე დაასახლეთ, ერისთავებმა სიმონ მეფის წადილი გაჭირვებულ ოსებს მალე აუწყეს. ასეთი ამბავი ოსებს დიდად გაეხარდათ, ამათ მალე თანხმობა და მადლობა განუცხადეს ქართველთ და ამის შემდეგ მათ მართლაც იწყეს ქართლში გადმოსახლება, ასე და ამგვარად საქმე ისე მოეწყო, რომ მეხუთმეტე საუკუნის ბოლოს, ანუ მეთექვსმეტე საუკ. დამდეგს, ქართლში უკვე იმდენი ოსი იყო, რომ თითქოს კაცი მათ ყოველს სოფელში ნახავდა.

ამგვარად, ოსების ჩამოსახლებას ქართლში ხელი შეუწყო დიდად სიმონ მეფის ბრძანებამ. ამ დროს ოსები დასახლებულ იქმნებ ქსნის ერისთავის მამულზე, არაგვის ერისთავის, მაჩაბლის, ფავლენიშვილის, ფურცელაძეებისა და ზოგიც სხვა თავად-აზნაურების მიწაზე, სადაც ოსები დღემდე მოსახლეობენ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სამწუხაროდ, ოსების გადმოსახლების დროს, ქართლში, თან სულ არაფერი მოჰკონდათ და თითქმის სულ ცარიელ-ტარიელები მოდიოდნენ: ფეხშიშველი, ტანშიშველიც კი, თავშიშველა, ერთი სიტყვით ყველა ოსი იყო ჩაგარდნილი წყალ-წალებულს მდგომარეობაში.

გადმოსახლებულ ოსებს არ ჰქონდათ ლოგინი, ტანსაცმელი, ბარგი, ჭურჭელი, არ ჰყავდათ საქონელი და ფრინველი. დღიური პურის ლუპმაც კი არ გააჩნდათ თურმე. ოსებმა მიმართეს სიმონ მეფეს და დახმარება სთხოვეს. ამ მეფემ ინება და ქართველთ თავადაზნაურობას დაავალა ოსების დახ-

მარების მიცემა. ამ დროს, ოსებს დაეხმარა ის გარემოება, რომ სიმონ მეფემ ქალაქი გორი ოსმალებს წაართვა და ამიტომ უფრო ინებეს ოსების დახმარება. ოსებს ქართლის თავად-აზნაურებმა აი როგორ და რით დაუწყეს დახმარების აღმოჩენა.

გადმოსულ ოსებს მიუჩინეს სახლის გასაკეთებელი აფგილები ალაგი, სახლისათვის ასაშენებელი ხე-ტყე და სხვა მასალაც. საქმე ისე მოეწყო, რომ მოკლე დროის განმავლობაში, ოსების გადმოხვეწილებს ყველას გაუკეთდა თავის საკუთარი ქოხები, რადგანაც ოსებს არ ჰქონდათ დღიური საზრდო, ამიტომ ეს საზრდო მათ მისცეს ქართლის თავად აზნაურებმა, არ ჰქონდათ სათესათ ქერი და პური, ესეც მისცეს თავად აზნაურებმა, რომელთა მამულებზედაც ოსები ხიზებად დასახლდნენ, არ ჰქონდათ ბარი, ნიჩაბი და სხვა იარაღი, ესეც ქართველებმა მისცეს.

მაგრამ საქმე მარტო ასეთის დახმარებით არ გათავდა, ასეთს დიდს დახმარებას გარდა ოსებისათვის საჭირო იყო სხვა დახმარების აღმოჩენაც, რაც თავს იდვა ქართლის გლეხობამ.

ზოგ გლეხ კაცის ოჯახმა ოსებს აჩუქა ტანისაცმელი, ზოგმა ლოგინი, ზოგმა ფარდაგი, ზოგმა ჭილობი და სხვა ასეთებიც.

ზოგმა მისცა ჯამ-ჭურჭელი, ზოგმა კოკები, ლიტრები, ქვაბები და ასეთი საჭიროვებანი.

ქართლის გლეხები დაეხმარნენ ოსებს აგრეთვე შინაური საქონლით და ფრინველით. ზოგმა ქათამი აჩუქა,

ზოგმა ბატი, იხვი, ინდოური, ზოგმა ცხენი, ზოგმა ძროხა, ხარი, კამტი, თხა, ცხვარი და სხვაც კიდევ ასეთი.

ზოგმა ბამბა აჩუქა ნართი, სოლის ფეიქარიც დაპარდა მუქთად მოქსოვას. ასეთის დახმარებით, ქართველებმა ოსები ფეხზე დააყენეს, ასე და ამ გვარათ, ქართლის სოფლებში მოშენდა და შეიქმნა ოსთა გლეხებთა მოსახლეობა. ეს აღორძინების ხანა უწევს მე-16 საუკ. დამდეგს. ასეთის დახმარებით ოსები მოშენდნენ და სოფლებში ფეხი გაიმაგრეს.

ოსები რომლებიც ქართველებთან კარგად მიეცნენ ცხოვრებას და ამათ მალე დაიმსახურეს ქართველთ სიყვარული და თანაგრძობაც, ამიტომ ქართლის გლეხები ოსებს ეხმარებოდნენ ყანაში მუშაობითაც. მალე საქმე ისე მოეწყო, რომ ოსებმა ქართლის გლეხებისაგან ისწავლეს პურის და მისი მოყვანაც, ისწავლეს მებაღეობაც კი, ნამეტურ ვაზის გამრავლება და ღვინის დაწურვაც, რასაც ოსები თვითაც ერთობ კარგად ეწყობოდნენ.

მოხდა ის, რომ ოსეთის დამშეული გლეხ-კაცობა, ქართლის სოფლებში კარგად მოშენდა, ფეხიც და წელიც გაიმაგრა. ამათი საქმე ისე მოეწყო და ისე მოღონიერდნენ, რომ ზოგი მათში ოჯახის შვილათაც კი გახდა. ამიტომაც ამათ გულში მიეცათ შიში თავიანთ ზიზნურ ცხოვრების: ვაი თუ ჩვენმა მემამულებმა აღარ დაგვაყენონ ამ მამულებზე და აყრა დაგვიპირონ, მაშინ სადღა წავიდეთ. ამიტომ ოსებმა ითათბირეს და ერთმანეთში დაადგინეს ასე, რომ მივმართოთ ჩვენს მემამულეებს

და ვსოდოვოთ, რომ ეგები მათ გვიყმონ ჩვენათ. რაკი ჩვენი ყმობა მოხდება მაშინ აყრის შიში აღარ გვექნებათ.

ამიტომაც ოსებმა მიმართეს ქართლის თავადებს და სოსოვეს მიყმეთოთ. თ. აზ-ბმა უარი უთხრა: თქვენი ყმობა არ გვინდა, თქვენთვის იყავთ, იცხოვრეთ, თქვენ ჩვენს ქვეყნაში ბუზსაც ვერავინ აგიფრენთ. ასე ელაპარაკებოდნენ ქართველი მებატონენი, მაგრამ ოსები მაინც თავიაანთსას სჩადიოდნენ და ევედრებოდნენ ყმობას.

ბევრის დავალებით მობეზრდნენ ქართველ თავად აზნაურები და ოსებს განუცხადეს თანხმობა, ამის შემდეგ მათი ყმობაც მოხდა, ასე და ამ გვარად, ოსები ქართველ მებატონეებს ეყმნენ მე-16 საუკუნის დამლევს და მას შემდეგ მართლაც ოსები ქართლის სოფლებში სცხოვრობდნენ უვნებლად, მას შემდეგ რაც ესენი ქართველ მებატონეებს ეყმნენ, იგინი ამის გამო, ქართველ გლეხებს უფრო დაუახლოვდნენ.

დაახლოვება ისე მოიმართა, რომ მათში მალე ნათესავობაც დაიწყო, ერთმანეთში ქალების მითხოვება, გახშირდა ნათელ-მირონობა, მეჯვარეობა და სხვაც ბევრი ამ გვარები, რაც ამ ორს ერს მარტივად აკავშირებდა ერთმანეთთან და მასთან მათთი ურთიერთობისადმი სიყვარულის სხივებიც არსდებოდა, ქართველთა და ოსთა კავშირი ისე განმტკიცდა, ისე შეიყვარეს ერთმანეთი, რომ მას შემდეგ, ამდენი წნის განმავლობაში, ერთი მაგალითი არ მომხდარა, რომ ოსებს, ან ქართველებს ერთმანეთისათვის ეღალატნოთ და რამებოროტება ჩაედინოთ. ასეთი ბოროტება

ძველად ოსთა და ქართველთ შორის ამბადაც არ გაგონილა, ნაცვლად მტრობის, ოსები ქართლში გადმოსახლების შემდეგ, ქართველებთან ყოველთვის ერთად იყვნენ და ერთად იბრძოდნენ. ბრძოლის დროს არასდოროს არ უდალატნიათ, უკან არ დამდგარან.

ამიტომ უფრო გვწყინს ეს ბოროტება, ამ გარემოებას ჩვენ ვსოვლით დიდს ცოდვად და ოსების მთელის ისტორიული ღირსების შეგინებად, ეს ბოროტება ოსებისაგან ნაქნარია საქართველოს მტრების ჩაგონებით, რომელთაც ქართული რესპუბლიკური მთავრობის სისხლი სწყურიათ და რესპუბლიკის დამხობას ელტვიან. ამას ვფიქრობთ ჩვენ და ეს ასეც უნდა გახლდეთ. მხოლოდ ოსებს კი არ ეკადრებათ ქართველების მტრობა და შემულება, ამას იგინი სასტიკად უნდა ერიდებოდნენ, რადგანაც ქართველთა შეგინება იქნება მათ მამა-პაპათა საფლავების შეგინება.

ასეთ შეგინებას ისები უნდა მოერიდონ. მასთანვე მათ აუცილებლად უნდა გასცენ ის ბოროტი პირები, რომელთაც ისინი შეაგულიანეს, გააბრივეს და თავიანთ მეზობელ ქართველ ერის წინააღმდეგ ხელში ხმალი ააღებინეს. ოსებს თუ ადამიანური ნამუსი და იირცხვილი სულ არ დაუკარგავთ, მაშინ მათ ჩვენი და მათი მტრები უსათუოდ უნდა გამოაშკარავონ. ეს გამოაშკარავება იქნება ის, რომ იგინი ჩვენი ამაგის დაწიხვლვას თავს დაანებებენ, ჩვენს პურმარილს და სიკეთეს არ დაივიწყებენ, მასთან არც თვის მამა-პაპათა ღირსებას შეაგინებენ.

ძველ დროის და საშუალო საუკუნეთა ამბებს ჩვენ არ შევეხებით, მოვიყვანთ მხოლოდ უახლოეს საუკუნეთა დროის ამბებს და იმედია რომ ესეც ეყოფათ ოსებს იმის საფუძვლად, რომ დღეის შემდეგ მაინც აღარ აჰყვნენ თავის დამღუტველს და საქართველოს რესპუბლიკური მთავრობის მტრებს.

იქ სადაც მათ მამა-პაპებს ამაგი და სამსახური მიუძღვით, იმათ სისხლით დაცულს მამულზე, ოსების ღალატი და ქართველების სისხლის ღვრა არას დროს ეპატიებათ, ამას მათ არ აპატიებს თვით მათი ძველის დროის მამა-პაპანი და ის საერთო ამაგი, რაც კი ოსთა წინაპრებს საქართველოს სასარგებლოდ ჩაუდენიათ ხოლმე.

1496 წ. შაპ-ისმაილი ტფილისში ქართველებმა დამხეს და გააძევეს, ამ იმში ოსებიც იღებდნენ მონაწილეობას.

1536 წ. შაპ-თამაზი საქართველო-დან ქართველებმა განდევნეს, ტფილის განთავისუფლებაში ოსებიც იღებდნენ მონაწილეობას.

1556 წ. სულთან სულეიმანი ქართველებმა დამხეს და გააძევეს საქართველოდან ოსმალთა ჯარი, ამ იმში ოსებიც იღებდნენ მონაწილეობას. 1562 წ. გიორგი მეფემ ოსმალებზე გაიმარჯვა, ამ გამარჯვებაში ოსებიც იღებდნენ მონაწილეობას.

1578 წ. ოსმალეთმა აოხრა ქართლი და ოსეთიც. მერე ქართველებმა სძლიერს, ოსეთიდან გამორეკეს და გარეტეს, ამ ბრძოლაში ოსებიც იღებდნენ მონაწილეობას.

1583 წ. სიმონ მეფემ გორი აიღო, ოსმალნი განდევნა, დამონებული ოსე-

თი სულ გაანთავისუფლა, ამ ოშში ოსებიც იღებდნენ მონაწილეობას.

1617 წ. შაჰაბაზმა კახეთი აიკლო, ამ აკლების დროს ოსეთიდან ოსები ჩამოვიდნენ და ფიცი მისცეს კახელებს და მის შემდეგ მტერს ერთად ებრძოლეს.

1634 წ. ოსები შეუერთდნენ ქართველებს და ყიზილბაშთა წინააღმდეგ სასტიკად იბრძოლეს. ყიზილბაშნი ტფილისიდან სულ გარეცეს.

1640 წ. თეიმურაზ კახთა მეფემ ოსეთში შეაფარა თავი, ოსებში ამ დროს, მან შეადგინა ოსთა ძეთა დასი და მათ მიუჩინა წერა-კითხვის მასწავლებელნი, რომელთაც ოსეთში დახსნეს სკოლები.

1690 წ. არჩილ მეფემ ოსებში შეაფარა თავი, ოსთა მოწინავე პირნი შეპყარა და მათ უქადაგა სწავლა-განათლების მნიშვნელობა და თვალის

გახილება. ოსებმა თანხმობა განუცხადეს. მერე არჩილ მეფემ რამდენიმე ოსი რუსეთში გაიყოლა და 1706 წ. მოსკოვში მათ გააცნო რუსული სასტამბო საქმები და მასთანვე მათ აჩვენა ახლად ჩამოსხმული ქართული ასოების ყალიბები. ოსებს ქართული საბეჭდი ასოების ნახვა დიდად მოეწონათ.

ეს ამბებიც საკმარისია იმისთვის, რომ ვიცოდეთ ის ჭეშმარიტება და ისტორიული პირობები, თუ ძველად ქართველთა და ოსებს როგორი დამოკიდებულება პქონდათ ერთმანეთში და დღეს კი ამ მეოცე საუკუნეში, როცა მოვესწარით საქართველოს რესპუბლიკური მთავრობის დაარსებას, რას სჩადიან და რა ლაფით სვრიან დიდს ისტორიულ წარსულს და ქართველების ამაგს.

თბილისური შემოდგომის ნათელი

მწიგნობარის, საზოგადო მოღვაწისა და პოეტის აკაკი პავლეს ძე წერეთლის, ანუ მამახემის ძალზე ვრცელ არქივში აღმოვაჩინე მცირე ზომის მოკრძალებული მოგონება დიდი ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის შესახებ. ვინაიდან ეს მოგონება ჩვენი განვლილი ცხოვრებისა და ქართული კულტურის ისტორიის მეტად საინტერესო ფურცელია, გადავწყვიტეთ მისი გამოქვეწება სამეცნიერო – ლიტერატურულ – საგანმანათლებლო ჟურნალ „სიტყვის“ მეათე ნომრის ფურცლებზე.

მთავარი რედაქტორი.

### აპაპი ჭერეთელი

#### მცირე მოგონება უდიდეს მხატვარზე აცჟ ბატონი ლადო

დღე იდგა, ნელთბილი ზამთრისპირული მზე სასიამოვნოდ ანათებდა.

საქართველოს პროფსაბჭოს გამომცემლობა „შრომაში“, რომელიც მაშინდელი სასტუმრო „თბილისის“ შენობაში იყო განთავსებული, შემოვიდნენ პაოლო იაშვილი თავისი მუდამ მომღიმერე ვაჟეკაცური იერით, ტიციან ტაბიძე მკერდზე განუშორებული წითელი მიხაკით და შავთმანი, ხშირი შავი წარბებით, მეტად მიმზიდველი ჭკვიანური მეტყველი თვალებით დამშენებული საშუალოზე მაღალი წარმოსადეგი ვაჟკაცი.

პაოლო და ტიციანი მეგობრულად შემხვდნენ, რამდენიმეჯერ გადამკოცეს, უცნობის წინაშე კი წარმადგინა ჩვენმა დაირექტორმა, ცნობილმა ქართველმა მწერალმა შალვა აფხაძემ: „გთცანთ, ეს საქვეყნოდ ცნობილი მხატვარი ბატონი ლადო გუდიაშვილია, ეს კი (ჩემზე მოუთითა) ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი აკაკი წერეთელი“. (ნიჭიერი ალბათ ჩემს წასახალისებლად და გამოსაჩენად უთხრა, რადგან ირონიის რაიმე

ნიშანწყალიც კი არ იგრძნობოდა).

ბატონმა ლადომ ხელი ჩამომართვა: „ჰო, პოეტი, კარგი“, მეტი არაფერი უთქვაშს, მაგრამ ისე აღალად გამიღიმა, ისე მომითათუნა ხელი მხარზე, რომ მისი სიტყვები პატრიარქის დალოცვად მომეჩვენა.

საპატიო სტუმრების მოსვლასთან დაკავშირებით დირექტორმა დავალება მოგვცა მე და სახელგამის საქმეთა მმართველს ელისაბედ გელოვანის ქალს, თავად კი მოსულებს კაბინეტში შეუძლვა. დავალებული საკითხის მოგვარების შემდეგ სახომისაბჭოდან, რომელიც მაშინ მოთავსებული იყო დღევანდელ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, უკანვე დავბრუნდით, ოღონდ არც დირექტორი და არც სტუმრები აღარ დაგვზვედრიან. შემდეგ დირექტორმა გვითხრა, რომ სახელოვანი ქართველი პოეტები და დიდი ქართველი მხატვარი საქეიფოდ ორთაჭალის ერთ-ერთი ბალის ცნობილ რესტორანში მოუპატიუებდა.

მალე ოცდახუთ წელს მიტანებუ-

ლი ახალგაზრდა კაცი „სახელგამში“ გადამიყვანეს სამუშაოდ – დირექტორის მოადგილედ და წიგნით ვაჭრობის ორგანიზების სამმართველოს უფროსად, რითაც ფრიად გაოცებულიც და ქმაყოფილიც დავრჩი, დავრწმუნდი ჩემი სჯეროდათ და გაცილებით მეტსაც მოელოდნენ. ეს იყო 1928 წელს.

„სახელგამი“ მაშინ მოთავსებული იყო ერთ დიდ დარბაზსა და ოთახებში, ოპერის თეატრის მოპირისპირე შხარეს, სადაც დღეს „საქწიგნის“ ცნობილი პირველი მაღაზია ფუნქციონირებს.

აქ უფრო ხშირად ვხედავდი და ვხვდებოდი ბატონ ლადო გუდიაშვილს, აქვე ხშირად მასთან ერთად მოსულ დავით კაკაძეს, ელენე ახვლედიანს, ქეთევან მაღალაშვილს, ისინი საფრანგეთის დედაქალაქ პარიზიდან ახლად დაბრუნებულები იყვნენ და საზოგადოება მათზე გაცხოველებული ინტერესით ლაპარაკობდა.

ბატონ ლადოსთან ჩემი დახლოება მოხდა მას შემდეგ, რაც „სახელგამი“ გადაიტანეს გიორგი მეთორმეტის ვაჟის ერეკლე ბატონიშვილის ყოფილ სასახლეში, კიროვისა და სულხან საბა ორბელიანის სახელობის ქუჩების კუთხეში. ამ პერიოდისთვის სახელგამის საფინანსო სამსახურის უფროსად მოიწვიეს სისკ სახელმწიფო ბანკის საზღვარგარეთის ერთ-ერთი განყოფილების, როგორც ამბობდნენ თეირანის ყოფილი მმართველი გრიგორ ამბაკოს ძე დამბაძე. ამ მშვენიერი აღნაგობის, მშვენიერი სახისა და უსაზღვროდ სპეტაკი სულის ადამი-

ანმა ძალიან დამიახლოვა, უჩემოდ ლუქმას არ გატეხავდა, ყველგან დაგყავდი. ჩვენს უანგარო მეგობრობას მის გარდაცვალებამდე ოდნავი ჩრდილიც კი არ მისდგომია.

როგორც ვიცოდი, გრიშა დუმბაძე ცხოვრობდა „სახელგამთან“ საკმაოდ ახლოს, კეცხოველის ქუჩის №11-ში, დიდი ლადო გუდიაშვილის კარის მეზობლად, ბაგრატიონთა ყოფილ სახლში. ჯანსაღად მშურდა, რომ ამხელა ხელოვანი მისი უახლოესი მეზობელი იყო და ძალიან ხშირად კი არა ყოველდღე ხვდებოდა.

ერთ დღეს მცირე მეგობრულ პურმარილზე შინ დამპატიუა, დათქმულ დროს, ბუნებრივია, დაუგვიანებლად ვესტურე, მოხდებილ მაღალ აივანზე მთელ თბილის რომ გადასცეროდა, ტახტზე ერთად ისხდნენ და გულიანად საუბრობდნენ ლადო გუდიაშვილი და გრიგორ დამბაძე. უშუალო საშუალება მომეცა პირადად მესაუბრა გენიალურ შემოქმედთან, მისი საოცრად ტებილი ქართულით მეც დავმტკბარიყავი და საკუთარი თვალით ახლოდან მენახა მისი დიდებული ნაწარმოებები.

პატარ-პატარა ჭიქებით ნება-ნება მივირთმევდით ღვინოს, ამასობაში ბატონ ლადოსთან სტუმრები მოვიდნენ, ბოდიში მოგვიხადა იძულებული ვარ გავიდეო, თუმცა ჩვენც არ დაგვტოვა, თან წაგვიყვანა ნახატები თქვენც დაათვალიერეთო.

ორი თუ სამი საათი ვათვალიერებდით გუდიაშვილის ზღაპრულ სამყაროს, ვტკბებოდით მისი უშვენიერესი ქმნილებებით, ვისმენდით მხატვრის შთამა-

გონებელ საუბარს, მერე ბატონმა ლადომ ნატურმორტივით დახატულ სუფრაზე მიგვიპატიუა, სადაც გვიან დამეტდე დიდი სიყვერულით ვსვამდით ერთმანეთისა და საქართველოს დიდების სადღეგრძელოს.

უახლოესი მეზობლის ახლობლური დამოკიდებულება იმითაც კარგად ჩანდა, რომ გრიგოლ დუმბაძის სიბის დავით მალაქიას ძე ბობოზიძის ოჯახის კედლებს ამშვენებდა დიდი მხატვრის სამი ულამაზესი ფერწერული ტილო, ეს იყო: 1. ქალი თავსახურით, 2. ქალი დოქით და 3. ბატონი ლადოს სურათი ქვეშ მისებური უკვდავი ზელით რომ იყო მიხატული შველი და მტრედები. ამას გარდა დიდი ლადოს შედარებით პატარ-პატარა ნახატები თავის სიცოცხლეშივე დაურიგებია თავისიანებისთვის უზომოდ კეთილ ბატონ გრიშას, რასაც ახლა ოქროს ფასი დაედო.

ერთხელ საკმაოდ მრავალრიცხოვანი სტუმრების წასკლის შემდეგ გრიგოლ დუმბაძესთან ერთად დარჩენილ ბატონმა ლადომ მეც მაჩუქა მოზრდილი ფერწერული ტილო წარწერით, მახსოვს „ორთაჭალელი კინტო“ ერქვა. სურათს მოწიწებით ვინახავდი, ისე ვუფროთხილდებოდი კაბინეტის კედლებულიც კი არ დაკიდუ, ცალკე ვინახავდი პოლიტიკური მოტივით ჩემი დაპატიმრებისა და ქურდულ — გამანადგურებელი კონფისკაციის შემდეგ ეს მხატვრული ტილოც უკვალოდ გაქრა გიგო გაბაშვილის, დავით კაკაბაძის, ელენე ახვლედიანის, ქეთევან მაღლაშვილის, ირაკლი გამრეკელის, უჩა

ჯაფარიძის, კორნელი სანაძის და სხვათა სურათებთან ერთად. ალბათ, ახლა ჩემი კუთვნილი დიდებული სურათები „პპ“-ს ვინმე მაღალი თუ დაბალი ჩინონის ბინის კედლებს ამშვენებს, ან გაყიდულია და უგზოუკვლოდ დაკარგული. ამ განსენების წერისასაც კი გული სასტიკად შემომკვნესის.

მიქროდნენ წლები, ბატონ ლადოს ხშირად ვხვდებოდი ხან გრიგოლ დუმბაძის, ხან მისსავე ოჯახში, სახელოსნოში, გენიალური მხატვრის განუმეორებელ სამყაროში, ხან გამომცემლობაში, „საქწივნის“ მაღაზიასა თუ რომელიმე ლამაზ თბილისურ დუქანში. ბატონი ლადო ძალიან ცოტას სვამდა, მაგრამ ახლობელ ადამიანებთან ჯდომა და დარბაისლური მუსაიფი უყვარდა, უაღრესად საინტერესო მოყოლა იცოდა, იხსენებდა პარიზულ დღეებს, ეფვლს, პიგალს, შანზელიზეს, ლათინურ კვარტალს, მოდილიანს, პიკასოს და ჩვენ მოგონებათა ზღაპრულ სამყაროში გადავყავდით. იშვიათად გვქონდა ბედნიერება მისი ცეკვაც კი გვენახა დიდი სტუმრიანობის დროს. ქალაქური ცეკვები ათასჯერ მინახავს, მაგრამ ისეთი ეშითა და ლაზათიანი მიხვრა-მოხვრით, როგორც ლადო გუდიაშვილს შეეძლო, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, არსად და არასოდეს მინახავს. და აი, როგორც იქნა მრავალწლიანი უნდობლობისა და ეჭვების მძიმე სოციალისტური კედელი დაიმსხვრა, ეწ. ცისფერ გალერეაში მოეწყო ლადო გუდიაშვილის პერსონალური გამოფენა, მთელი თბილისი რიგში იდგა, საგამოფენო დარბაზები მნახველებს ვეღ-

არ იტევდა, მე რამდენჯერმე ვიყავი, მთვარულივით დავდიოდი, უკვდავ ქმნილებებს ენაჩავარდნილივით მიშტერებული და გაოგნებული ვამბობდი ჩემთვის – აი, რა შეუძლია ადამიანის უსაზღვრო ტალანტს, შრომისმოყვარეობასა და მტკიცე ნებისყოფას, რადგან დიდი ლადო გუდიაშვილი შხოლოდ მარცხენა ხელით ხატავდა, მარჯვენა ხელი ბავშვობიდანვე ჰქონდა დაზიანებული.

ლადო გუდიაშვილისადმი მიძღვნილი ლექსის პწკარები საგამოფენო დარბაზშივე იწერებოდა, გონებაში ლაგდებოდა, მალე შემეძლო ზეპირადაც კი მეტქა, თუმცა შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა ვერ გავტედე, იმ ზღვა შთაბეჭდილებებში ჩემი ლექსი წვეთივით დაიკარგებოდა, გადაცემა ან დაუყონებლივ გაგზავნაც ვერ გავტედე და მხოლოდ წლების გავლის შემდეგ ფოსტით ვაახლე. გაიარა ცოტა ხანმა და ჩემთვის მოულოდნელად მივიღე ბატონი ლადოს ნახელკეთები უმშვენიერესი ნახატი „ლამაზმანი“ ძალიან გულთბილი ამაღლვებელი წარწერით.

გამიკგირდა კიდეც ყოველთვის საქმით უკიდურესად დატვირთულმა მსოფლიო დონის ხელოვანმა ჩემთვის როგორდა მოიცალა, თუმცა დიდბუნებოვანი ადამიანი სწორედ თავის სამაგალითო დიდბუნებოვნებისა და მაღალი სულის სისპეტაკეს ყოველთვის გამოავლენს. გთავაზობთ ჩემს დიდი

ხნის ლექსისა და გენიალური ლადო გუდიაშვილის დახატულ ლამაზმანს დიდი მხატვრის ულამაზეს ხელნაწერთან ერთად.

საქვეყნოდ პატივცემულ დიდ ხელოვანს ბატონ ლადოს შთაბეჭდილებები თქვენს უკვდავ ქმნილებათა დათვალიერების შემდეგ.

„.... გრძნობა თავაზიანის სიყვარულისა, ისეთივე ძლიერია, ისეთივე მკვიდრია, ისეთივე ბუნებრივია, მაშასადამე ისეთივე სამართლიანია და პატივსაცემი, როგორც სიყვარული მამაშვილური, დედა-შვილური. ვერა ძალა მაგ სიყვარულს ვერ ამოჰკვეთს ადამიანის გულიდან“. ილია ჭავჭავაძე.

გიცქერით თუ გიგონებთ  
გული შემიტოკდება,  
ერი თქვენი მშობელი  
არასოდეს მოკვდება.  
მე მართალი კაცი ვარ,  
ყალბად არვინ მიქია,  
მოვარდნილი ზვავი ხართ,  
მოვარდნილი სტიქია.  
ზღვისოდენა ძალა გაქვთ,  
ნიჭი მეტი ასჯერაც,

ამ სასწაულს ვით ქმნიდით?  
მჯერა, კიდეც არ მჯერა.  
მხოლოდ ერთი სიცოცხლე  
ამას როგორ ეყოფა?  
აქ ზომ საუკუნეა  
და მრავალი ეპიქა.  
ეს სურათი ნაზია,  
ის სურათი გოროზი,  
მეფე თავის ტახტზე ზის,  
თავგი თავის სოროში.  
ომიც არის, ქორწილიც,  
ქეიფიც და ხადილიც,  
ზოგჯერ სასწაულიც კი  
არ მეონია ნაძვილი.  
ასე ვით მოასწარით,  
ყველაფერი სად ნახეთ,  
უკვდავობის მოწილე —  
ქარს ანდობდით მათრახებს.  
აქ ჩანს თამარ დედოფლის  
ლაშქრის ნანადირევი,  
საქართველო ტრიფიალით  
მართლა გადაირევი.  
შეჯიბრება სხვა ერთან  
არასოდეს გვევევია,  
ჩემი უფრო მიტაცებს  
იმიტომ რომ ჩემია.  
თქვენაც მუდამ ჩემი ხართ,  
ღვთაებრივი სიწმინდე,  
ხატეთ, ხატეთ, გვახარეთ  
და მარადის იდიდეთ.

12. 02. 79.

დიდი ქართველი მხატვარი ლადო  
გუდიაშვილი მწერდა:  
„ძვირფასო ბატონო აკაკი!  
მივიღე თქვენი ბრწყინვალე ლექ-

სი, აღფრთოვანებული ვარ თქვენი ტა-  
ლანტით, ესოდენ მაღალი მხატვრული  
გემოგნებით.

„ნუთუ მოვარდნილი ზვავი ვარ  
ან მოვარდნილი სტიქა“.

ყველაფერი ის, რაც თქვენ ნახეთ  
ჩემს შემოქმედებაში, „თუ ნაძვილად  
სასწაულია, თუ უკვდავად დახატული  
და ასახულია“, — ეს ყველაფერი თუ  
ასეა, მაშ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ  
ქართველი ვარ, მეც მჯერა საქართვე-  
ლოს მშვენიერება, სიბრძნე და უკვდავ-  
ება; — იგი უძველესი ანტიკური დროის  
უდიადესი ქვეყანა; ქართველი ერი  
უხსოვარი დროის შვილია, უზენაესი  
მხატვრული კულტურის მფლობელი!

იცოცხლოს, იდლეგრძელოს ჩვენმა  
ერმა და ქართულმა მიწა-წყალმა,

სიყვარულით, პატივისცემით,  
საუკეთესო სურვილებით.

ლადო გუდიაშვილი 7. III. 1979.  
ქ. თბილისი.

როგორც უკვე ვთქვი, წერილს თან  
ახლავს ლადო გუდიაშვილისეული  
ბრწყინვალე ნახატი, ფურცლის ცალ  
გვერდზე წერილია, მეორეზე კი ფერწ-  
ერა. დიდი მხატვრის ეს მეგობრული  
საჩუქრი მთელი სიცოცხლის მანძილზე  
საამაყო რელიკვიად დამრჩა.

## მხოლოდ მართლის მთშმელს დაგუჯვროთ

გაზეთ „ასავალ-დასავალის“ 2009

წლის 4-10 მაისის ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ სათაურით „ჩემი ლამაზი ბავშვობა მენატრება“. ინტერვიუერი გახლავთ ახალგაზრდა ქეთი ქობულია, საქართველოს სახალხო არტისტის, ულამაზესი ქალბატონის თამარ ციციშვილის, აკადემიკოს დიმიტრი გელევანიშვილის შვილიშვილი და ჩემი ახალგაზრდობის მეგობრის პროფესორ მანანა გელევანიშვილის შვილი. პირადად ქეთის, ჩემის აზრით, ჯერ არა აქვს მიღწეული იმხელა დამსახურება, რომ მისგან ინტერვიუები აიღონ და ავტოგრაფები სთხოვონ, ეს უფრო მომავლის საქმეა.

ასეა თუ ისე, ინტერვიუ ძალიან კარგია, ახალგაზრდული, უშუალო, თბილისური, რაც უკუკველად დააინტერესებს ნებისმიერი ასაკის მკითხველს. მეც დამაინტერესა და მომეწონა კიდეც, თუმცა ინტერვიუს ერთმა მცირე ადგილმა არა მარტო ჩემი ყურადღება მიიქცია, არამედ აღშფოთებაც გამოიწვია, თანაც ზუსტად ასე მითხრა მრავალმა ადამიანმაც.

ინტერვიუს ამ ადგილას ქეთი ქობულია ეხება უნიჭიერესი გეგა კობახიძის ტრაგიკულ ბედს და სრულიად უადგილოდ აღნიშნავს: „მახსოვეს ზურაბ წერეთელს მე მივუტანე შეწყალების წერილი, ხელი რომ მოეწერა – იქნებ შემდეგ ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებს თავი აღარ შეეკავებინათ ხელმოწერაზე“.

სწორედ ამ რამდენიმე პწყარმა დამაეჭვა. ეს უაღრესად სამწუხარო

ამბავი ხდებოდა 1983 წელს, სახელგანთქმული ქართველი მხატვარი ზურაბ წერეთელი მამინ უკე მოსკოვში მოღვაწეობდა, თუმცა ძალიან ხშირად იმყოფებოდა ბაგბის საკუთარ სახელოსნოში და, აღბათ, იქ მოახერხა მასთან შეხვედრა ქეთი ქობულიამ, თუმცა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა სულაც არა აქვს. ასჯერ უფრო უეტად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იგივე პოპულარული გაზეთის „ასავალ-დასავალის“ 2006 წლის 25 დეკემბერი – 2007 წლის 7 იანვრის პირველი ნომრის ფურცლებზე გამოქვეყნებული ცნობილი ქართველი რეჟისორისა და ტრადიციული ქართული ოჯახისშვილობით გამორჩეული პიროვნების ბუბა ხოტივარის ვრცელ, მეტად საინტერესო ინტერვიუს.

აუცილებლად მიმაჩნია აღნიშნული ინტერვიუდან ვრცელი ციტატის მოტანა. ეს ნაწილი ნათლად წარმოაჩენს სიმართლეს, დიდი ქართველი მხატვრის არამცთუ უდანაშაულობას, არამედ ვაჟკაცობას, სიმამაცესა და სამაგალითო მამულიშვილობას, რაც სრულიად ძალდაუტანებლად ანუ ბუნებრივად ათეულობით წლების მანძილზე არის ზურაბ წერეთლის სისხლსავსე ცხოვრების კრედო.

მოვუსმინოთ ბუბა ხოტივარს: „მსურს იმ ხელმოწერების შესახებ გიამბოთ, რომლებსაც „თვითმფრინავის ბიჭების“ გადასარჩენად ვაგროვებდით. გეგა კობახიძის მშობლები – მიშა კობახიძე და ნათელა მაჭავარიანი ჩემი

ქმის – ქართლოსის მეგობრები იყვნენ და, რა თქმა უნდა, ჩემი მეგობრებიც. ეს ამბავი რომ მოხდა, თავი ვალდებულად ჩავთვალეთ, მათ გვერდით ვმდგარიყავით. მით უმეტეს, ვიცოდით, რომ გეგა არ მონაწილეობდა იმ სისხლისღვრაში, რაც მოხდა (და არც ისინი, ვინც გადარჩნენ). ყველა თავზარდაცემულები ვიყავით, საშინელი იყო ის განაჩენი – დახვრეტა, რაც მათ გამოუტანეს. როგორც ჩემთვის ცნობილია, პროცესში თავიდანვე მოსკოვი ჩაერთო, ქართულ შხარეს არაფერს ეკითხებოდნენ. როდესაც სიტუაციაშ კულტინაციას მიაღწია, მოსამართლე უკან არ იხევდა, ერთმა იურისტმა მიშას ურჩია, იქნებ ცნობილი ადამიანების შუამდგომლობამ იმოქმედოს და დახვრეტის მუხლი შეცვალონ. მასის, მათთან სახლში ვისხდით, მიშამ ეს მოსაზრება რომ გაგვიზიარა, უცებ სიჩუმე ჩამოვარდა – იმ დროს სარისკო იყო ასეთ შუამდგომლობაზე ხელის მოწერა. იმდენად უხერხული სიტუაცია შეიქმნა, რომ მიშას ვუთხარი: ხელმოწერებს შევაგროვებ – მეთქი. სიის ჩამოწერა რომ დავიწყე, მიშამ შემაჩერა – შუამდგომლობაზე ხელის მოწერას მამინ ექნება აზრი, თუ აქ იქნება ცნობილ პიროვნებათა გვარები – სსრ კავშირის დეპუტატების, ან სახალხო არტისტების და ა.შ. ხელმოწერების შეგროვება დავიწყეთ მე და არაჩვეულებრივმა პიროვნებამ ნოდარ რჩეულიშვილმა. ზაფხული იყო, აგვისტოს თვე, ვინც იმ პერიოდში თბილისში ვნახეთ, თითქმის ყველამ თავი შეიკავა ხელის მოწერაზე... წარმოიდგინეთ, ეს იყო ანდროპოვის დრო,

რომელიც ხალხს რეპრესიებით ემუქრებოდა, ახალ 37 წელს მოგიწყობთო, ამიტომ ეშინოდათ. რა თქმა უნდა, უხერხულ სიტუაციაში არავინ ჩამიყენებია, პირიქით, ვამშვიდებდი – თუ ხელმოწერაზე უარს იტყვით, ამას ვერავინ გაიგებს – მეთქი. თავს იკავებდნენ, ჯერ სხვამ მოაწეროსო, შემდეგ – ჩვენო. ბოლოს გავრისკე და მივედი ზურაბ წერეთელთან, რომელიც მაშინ იყო დეპუტატი, ლენინური პრემიის ლაურეატი და ა.შ. ვუთხარი: ბატონო ზურაბ, ხელს არავინ აწერს ამ შუამდგომლობას, თუ უარს იტყვით, არ დაგემდურებით – მეთქი. ბატონი ზურაბი დაფიქრდა და მიპასუხა: სიკვდილის წინაშე ყველა ერთი ვართო და ხელი მოაწერა. მაგრამ პირველად ეს ხელმოწერა გაკვრით იყო, გვარი არ იკითხებოდა – დახედა და თქვა: - გაურკვეველი რომ არ იყოს, თავიდან მოვაწერო და თავისი გვარი აბსოლუტურად გარკვევით დაწერა, ჩამოწერა თავისი ყველა რეგალია. შემდეგ მითხრა: საქართველოში ეს წერილი არ გაჭრის, მოსკოვშიც უნდა გაიგზავნოსო. აიღო ცარიელი ფურცელი და თავისი გვარი რუსულადაც მოაწერა. გადაგეხვიე ბატონ ზურაბს, ეს იყო მისი მხრიდან ვაჟეცური ნაბიჯი და დღესაც ვერ ვიტან, მის შესახებ ვინმე აუგს რომ ამბობს... ამის შემდეგ ბევრმა ადამიანმა მოაწერა ხელი“

მე მგონი ყველაფური ნათლად და პატიოსნად არის აღწერილი, თან გაცილებით დიდი პიროვნებისაგან, ვიდრე ჯერჯერობით არის ქეთი ქობულია. ამიტომაც ამ ორის ინტერვიუს-

გან უდავოდ უფრო ადრე დაბეჭდილს უნდა ვენდოთ, დავუკეროთ, მეორეს კი მსურს მამაშვილურად ვურჩიო, როცა ისეთ დიდ და სახელგანთქმულ პიროვნებაზე წერს, როგორიც ზურაბ წერეთელია, მეტი სიფრთხილე, დაკვირვება, პასუხისმგებლობა გამოიჩინოს და საკუთარი თავის გამოჩენის მიზნით ადამიანის უდანაშაულო შეურაცხოფის ცდუნებასა თუ ამბიციას არ გამოეკიდოს.

ზურაბ წერეთელი უდიდესი მხატვარია, მოქანდაკე – მონუმენტალისტი და ასეთივე პიროვნება. ბუნებით კეთილი და კეთილშობილი ზურაბ წერეთელი ყველას გულით, უხმაუროდ დაუყვედრებლად ეხმარება და უნი-

ჭიერეს ქართველ რეჟისორს მიშა კობახიძეს, აგრეთვე მის შვილს როგორ არ დაეხმარებოდა, სწორედაც რომ უშიშრად და ვაჟაცურად დაეხმარა, ერთი წამითაც უკან არ დაუსევდა. ამგვარი ვაჟაცური ბუნებისათვის ზურაბ წერეთელი ყველას უყვარს: პრეზიდენტებსა თუ პრემიერ-მინისტრებს, შემოქმედებსა თუ უბრალო ადამიანებს, ასეთივე სულისკვეთებით ზრდის იგი საკუთარ შეიღებსაც, ასეთივე თვისებები სურს შთაუნერგოს მომავალ თაობას. ამიტომაც ზურაბ წერეთელზე, დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთ თვლასაჩინო პიროვნებაზე სიმართლითა და პატივისცემით უნდა ვიღაპარაკოთ, მისი დიდი ამაგი სათანადოდ უნდა დავაფასოთ.

**ნუზ ზარ ცერესიელი,  
უურნალისტთა საერთაშორისო  
ფედერაციის წევრი,  
საქართველოს დამსახურებული  
უურნალისტი  
2009წ.**

თამაზ აფციაურმა ამ ოცდაზუთი

## ზარმაცხვთი და პოეტი

წლის წინ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტი. მას შემდგე სულ ფარმაციას ემსახურება. ქვემო და ზემო მანგლისში ორ სოლიდურ აფთიაქს განაგებს. საკურორტო დაბა მანგლისთან არსებული შემოგარენის სოფლებთან ერთად დაბაში თითქმის შვიდი ათასი ადამიანი ცხოვრობს, ყველა იცნობს თამაზ აფციაურს და მისი დიდი იმედიც აქვთ. ერთმა მანგლისელმა იხუმრა ჩვენი მთავარი ფარმაცევტიც ეს არის და მთავარი ექიმიც, ყველა ვერ მიდის საავადმყოფოში, ამიტომ თამაზი ურჩევს შესაფერის წამლებს და თანაც ასწავლის როგორ და რა დოზით უნდა მიღონო.

მე გაგონილი მქონდა, რომ ცნობილი ფარმაცევტი თამაზ აფციაური ლექსებსაც წერდა, ოღონდ არსად არ აქვეყნებდა და მხოლოდ სუფრაზე ქიიფის დროს თუ იტყოდა რომელიმე ლექსეს. დიდი თხოვნის შემდეგ თამაზმა ლექსები მათხოვა წასაკითხად, ყურადღებით გავეცანი, დიდად ნასიამოვნები და მოხიბლულიც დავრჩი, რადგან ჩემთვის საყვარელ და ახლობელ მანგლისში შვენიერი პოეტი აღმოვაჩინებინე, ის პზროვნებს სახეებით, კარგად ფლობს სიტყვას, აქვს მრავალფეროვანი თემატიკა და შთამბეჭდავად გამოხატავს საკუთარ სათქმელს. ამიტომაც გადა-

წყვიტა სარედაქციო კოლეგიამ თამაზ აფციაურის ლექსებიდან ერთი მოზრდილი ციკლის გამოქვეყნება. იმედი მაქვს ორმოცდათ წელს მიღწეული პოეტი კიდევ უფრო მეტს იმუშავებს საკუთარ თავზე, ფარმაციას პოეზიასაც შეუხამებს, რადგან ორივე ადამიანების ფიზიკურ და სულიერ დახმარებას ემსახურება. უახლოეს მომავალში აღბათ, თამაზის ლექსების წიგნიც გამოვა და საქართველოს კილვერთი ნიჭიერი პოეტი შეემატება. თამაზის უახლოესი წინაპრები გუდამაყრიდან, კერძოდ სოფელ დუმაცხოდან არიან ასევე მაღალმთიან მანგლისში გადმოსახლებული. დუმაცხო სულ ორიოდე კილომეტრითაა დაცილებული სოფელ ჩოხიდან, საიდანაც იყო ბრწყინვალე ქართველი შემოქმედი გოდერი ჩოხელი, გუდამაყრელი იყო შესანიშნავი ქართველი პოეტი თედო ბექიშვილიც, წარმოშობით გუდამაყრელია თამაზ აფციაურიც და ვინ იცის, იქნებ მაღალი მთებისა და სიწმინდეების შვილობაც განაპირობებს იქაურების ნიჭიერებას.

სამეცნიერო-ლიტერატურულ ჟურნალ „სიტყვის“ სარედაქციო კოლეგიის სახელით ვუსურვებ თამაზ აფციაურს ცხოვრებასა და შემოქმედებაში დიდ წარმატებებს.

ნუგზარ წერეთელი  
X X X

მინდვრებს ქარი ელვრება,  
მღვრიუ, როგორც ქვთინი.  
სული ლერწმისლერება  
ზეცის ლურჯი გვირგვინით,  
ქარებს გაუერთპირდა  
უშენობის ნაპირთან,  
ქარებს შეხვდა ჯებირთან  
და სიყვარულს დაპირდა.  
ქრება კოშკი ოცნების,  
ნისლისფთილაკედლება,  
გულს სიშორის დარღი და  
მძიმე სევდა ედება...  
უწადინოდ კვდებიან  
შემოდგომის დღეები,  
გვერდით აღრ მიდგანან  
ჩემი ძუძუმტები.  
მინდვრებს ქარი ემზობა,  
მეც ქარის ხმით ვქვითინებ,  
სიჭაბუქეს მივტირი  
და გაძარცულ გვირგვინებს.

### შილგლო პაემანი

რუხი ნისლები  
წამოახველეს  
მთებმა ოდიშის,  
გაუნახევრდა ლამეს სიცოცხლე  
მთვარის ლოდინში.  
და როს მობრძანდა  
პირად ბადრი – ცათა სილრმიდან,  
რიჟრაჟჭალარა  
ჩაჩანაკი  
ლამე იხილა.  
ღმერთო საცაა,  
დარეკს უამი,

გაიმზიანებს,  
დავიგვიანე,  
წუხდა მთვარე,  
დავიგვიანე.

### 6 მსაყველურობ

ნუ მსაყველურობ, ძვირფასო, ღუმილს,  
ღუმილში იქნებ ზღვა სევდას ვძლიე,  
შეხედე, ტყეთა მწვანე ღუმილში  
რა ფერი აძევს მზენასვამ იელს.

ჩუმი ცრემლი და უტყვი ტკივილი,  
არსად თქმული და არვის ნახული  
სდუმს ბეთანია, ფრესკაც ყინწვისის,  
სდუმს გეგუთი და ჯვარიც ხახულის.

ღუმილი იქნებ თანხმობაც არის,  
იქნებ ზიზღიან შიშით ვერთქმული  
ბიჭი რომ ღუმს და შენთან წითლდება  
სიკვდილამდეა შენი ერთგული.

ბაგეს ვიკვნეტ და კივილს ვიკავებ,  
კვალს აგაცდინოს ძახილმა იქნებ,  
არა, არა ჰგავს ცხოვრება ზღაპარს  
მმტრობს და გზებზედაც ხაფანგებს მიგებს.

მაგრამ ხმა ისმის ზღაპრული ეტლის  
ქარის ცხენებით, მთვარის ბორბლებით,  
გახსოვს კონკია? — ბედს ხომ ეწია,  
ფეხზედ ხომ დადგნენ მმებიც — ობლები.

ნუ, ნუ გაპქირდავ ჩემს მღუმარებას  
ღუმილში იქნებ ზღვა სევდას ვძლიე,  
შეხედე, ტყეთა ფერმკრთალ ღუმილში  
რა ფერი ადევს უმზეო იელს.

**ათასში მრთხელ**

ათში თუ არა,  
ასში თუ არა,  
ათასში ერთხელ, ერთხელ ზომ მაინც,  
ვიტყვი, რაც ამ გულს დელგმავდა ლექსად,  
რაც გვაწვალებდა მე, მზეს და მაისს.

ანისლებულან პორიზონტები,  
ჩვილის ტორტმანით მივყვები გზაწვრილს,  
დღე-დღე იზრდება ჩემში ლექსი და  
დღე-დღე მიმოკლებს ღმერთამდე მანძილს.

ზომ სულ სხვაგვარი სიკვდილი მსურდა,  
ახლა კი სულ სხვა ცეცხლით ვიწვები.  
ლექსის სულს ვძერწავ უხილავ ზელით,  
ლექსში მაცვითა ნაძვის წიწვები.

ვინ, ვინ განაგებს ფიქრთა ფორიაქს?  
ღმერთი გვბატონობს, დემონის გამო.  
„არც ერთი ლოცვა არ აღის ცამდე“,  
მაგრამ არ ვნანობ, ლოცვას არ ვნანობ.  
ათში თუ არა,  
ასში თუ არა,  
ათასში ერთხელ, ერთხელ ზომ მაინც  
ვიტყვი, რაც გულში სისხლს ამბოხებდა,  
რაც გვაწვალებდა მე, მზეს და მაისს.

## სშრალი

ჩამოწვა ზვავი,  
მთებს დაწვები ჩამოახოკა,  
გვრგვინვას ფეხდაფეხ აედევნა დუმილად მდგარი,  
თითქოსდა სივრცემ განიტვირთა სიმძიმით სული,  
ტანგათოშილი, თოვლისფერი ზეობდა ქარი.

სითეთრე ჰგავდა, მიტოვებულს  
სარეცელს ქალის  
და ცრემლი შენი  
ამაოთა ამაოებას,  
შორს  
კოპორტებად ეწყობოდნენ ლეგა ღრუბლები,  
მერე უმიზნოდ  
სდევდნენ ზეცის უსაზღვროებას.

### ბიჭინის ვიზვებს

ეჰა, ფიჭვებო, ქარით ნაოხართ,  
მზის ფერსთ მავალი ღამე გახურავთ  
და მობარბაცე წყვდიადს რატომლაც,  
ეჩურჩულებით მთვარის სამდურავს.

ჩამოგშრეტიათ ტანზე ძარღვები,  
დალლილი ზროთი ტატნობს ეყრდნობით,  
წარვლიან წელნი, მოვინაკლისებთ,  
ტრფიალით ვისაც უნდა შევყროდით.

წარვლიან წელნი და მოსვლის დღიდან  
თალხი დღეების ჯანდი იბევრებს,  
დაგვიჯერებენ გაზაფხულები  
შებლზე დარებს და გულში სიბერეს?!

არა ვარ თქვენებრ ნაგრიგალარი,  
თუმც ვნახე ზაკვაც, ვნახე დანდობაც,  
თქვენს ტოტებს აჰყვა გადმოსაჩეხად  
მიწას დახლილი ჩემი ბაგშვობა.

აპა, ფიჭვებო, ქარით ნაოხართ,  
მზის ფერსთ მავალი ღამე კვლავ გხურავთ  
და მობარბაცე ბნელში რატომლაც  
მთვარეს შესჩივით წუხილს და ურვას.  
**მოგა საცაა შემოდგომა და . . .**

მოვა საცაა შემოდგომა და  
წასკდებათ ხეებს ფოთლების ღვარი,  
ხედავდით? — ზეცას უმერცხლოდ შთენილს,  
გესმოდათ? — რეკლა ტკივილის ზარი.  
მოვა საცაა შემოდგომა და  
წალეკავს მინდვრებს წვიმების ვალსი,  
დღეთა ცრიატი კრიალოსანი,  
ცას დამანატრებს სილურჯით ავსილს.

მოვა საცაა შემოდგომა და  
იწვიმებს წვიმა, იქარებს ქარი,  
ხომ ხედავთ — სევდა ჩასვლას პგავს მზისას,  
ხომ გესმით — რეკავს ტკივილის ზარი.

X X X

წაეკიდება მზე დასალიერს,  
აქ კი ჩემს ახლოს ბინდი იძალებს,  
ცხოვრება ასე მწერალტე იერით,  
მიგებს და მიგებს ისევ ნიძლავებს.

რამ ააჭრელა ასე ქვეყანა,  
ან ერთგულებას რად კლავს დალატი,  
მგონი ასლი ვარ მწუხარებისა  
შემოდგომისგან გადმონახატი.

ჩამომიმარცვლეს მტრებმა სიცოცხლე,  
სიცოცხლე — მღვრიე ქარვის აკიდო,  
წაილონ ჩემი მოკლული გულიც  
და ხევსურთ დარად ჭერხოს დაჰკიდონ

აიხანჯლება ცა მზის მთიებით  
აქ კი ჩემს ახლოს მწუხრი იძალებს,  
ცხოვრება — მგზავრი გუდამშიერი,  
ისევ და ისევ მიგებს ნიძლავებს.

**ვიდრე ხგალ**

დაილექტა მიწაზე ღამე,  
მხოლოდ დილამდე, მხოლოდ შენამდე,  
სისხლი ფირივით გაივლის გულში  
და ერთხელ კიდევ გადარჩენამდე,

ლეშე-ლეშე სინანულს კვლავ აღიბეჭდავს  
მარმარის ბჭეთა უმძრას თვლემამდე,  
ნუ გამიმზადებთ დილევს ფიქრისთვის,  
ბევრი განცდილის გადარჩენემდე.

ერთმანეთისთვის კვლავაც ორმხრივად  
გადარჩულან გულები ფეთქვად.  
მე პროცესიას მივყვები მზისას,  
ცის უსინათლო ჩამქრალ კერამდე,  
ეშვება, ზეობს მიწაზე ღამე  
ეშვება მხოლოდ,  
მხოლოდ შენამდე . . .  
მელოდით ვინმე?

მე, წინაპართა ვარ სისხლის სისხლი,  
რაა მაღალი სისხლის ყივილზე,  
მე უფრო შორი გზა ვიყავ მათი,  
უფრო ტკივილი ვიყავ ტკივილზე.

არც კი ვუწყოდით დასაბამიდან,  
ქროდა ქარული წელი რამდენი,  
ჩვენ თაყვანს ვცემდით გაცსა და გაიმს,  
თვალს გვილიბრავდა რიდი ზადენის.

მერე დავამხეთ ძველი კერპები.  
გვქონდა დაცემაც და აღზევებაც,  
ძელიცხოველზე მჭრელნი ჩუქურთმის  
მიმოვდიოდით ურმით აღზევანს.

წინაპართ გენში ვსახლობდი დღემდე,  
დღევანდელ დღისთვის დამზოგეს იქნებ,  
დღეს შემოვლებელ კარი სიცოცხლის

სიმართლე თქვით და  
მელოდით ვინძვ?

X X X

თოვდა...

სივრცეთა თოვლით ავსება  
მოქცევას ჰგავდა თეთრი ზღვებისას.  
სამოსელს პირველს – შენსავ მსგავსებას  
უამმა უწია აღზევებისას.

თოვდა ირიბად – კუთხით მახვილით,  
ისე ლამაზად, ისე მარტივად,  
მანგლისს სითეთრე აწვა დახრილი,  
ცრემლუჩინარი სევდამ მატირა.

სულ მარტოდ ვჩანდი თოვლის ფარდაგზე,  
ვით თეთრ კედელზე რუხი ჭიკარტი,  
ბოშა გვირილებს ვთხოვე არ დაგცდეთ –  
მართლა მიყვარდი, თუ არ მიყვარდი.

დროს შეეყინა შენი ალერსი,  
ალერსი – ფიფქთა ნაზი შეხება,  
ზვავად ტკივილთა დაძვრა ჩამესმის  
და უფსკრულებში ჩაიჩეხება.

თოვდა

სივრცეთა ავსება თოვლით,  
მოქცევას ჰგავდა თეთრი ზღვებისას,  
ქარებს მინამქრულს უმეტეს ყოვლის  
სივრცე დაუპყროთ აღზევებისას.

## ჩემს შვილს

აბა ჯერ შენ ცხოვრებისა რა გეს-  
მის — პატარა ხარ...

არა და ჩემს თვალში ცხოვრება  
სულაც არა ჰყავს ხევსური ქალის ჩამო-  
ქსოვილ — ჩამინდვრებულ ხალიჩას.

სიცოცხლეს კი უფსკრულიდან  
გეზად ამომავალ გზას უფრო ვარდი,  
ცისკიდურიდან, დარდივით მძიმე, ათას-  
გვარ-ათასფერი ქვა-ლორდი რომ ეცემა  
ჩასაქოლ-ჩასამიწებლად.

შენ კი ჯერ ჯევალივით გული  
გაქვს — დაუთავთუხებელი, ნაწვიმარ  
გვირილას ფურცლებივით უსპეტაკე-  
სი,

სამყურას გულში ჩამძივებულ-ჩა-  
მარგალიტებული ცვარივით მთრთოლ-  
ვარე...

მერე მოღვმის წესად წამოიზრდე-  
ბი...

მერე, ერთ დღესაც, ვიღაც შეგხვდე-  
ბა გზად ან ბილიკად და ადამ და ევას  
თვალით შეხედავ სიცოცხლეს,  
იმ თვალით სამოთხილან გამოყრამდე

რომ უყურებდნენ სამყაროს.

მერე, გულიდან ღვთის ანგელოზე-  
ბის გალობას გაიგონებ,  
გული უცებ ჩაგივარდება,  
შეგიფრთხიალდება,

თითქოს განთიადმოძალებულ ლა-  
ზურიტის ცას კალთიდან ვარსკვლავი  
გაუვარდაო... და მე ვიცი მაგ დროს  
როგორ ლამაზია საუფლო.

ოღონდ — ფური მიუგდე ფრთხ-  
ილად, ძალიან ფრთხილად, იმის, იმ ვი-  
ღაცის, გულის ძეერას და თუ იმის  
გულშიც ანგელოზები არ იმღერიან!

მოერიდე,  
ცივად უგანე,  
თორებ ამ წუთისოფლის ოქრო-  
ბოკრო გზაზე ნაბიჯს ვერ აუწყობთ  
ერთმანეთს, ჩამუქ-ჩამოღამდებით უსიყ-  
ვარულოდ და  
ცოდნა  
ისიც,  
შენც.

## თუბინდ სულ ჭვიმდეს

ვიცი შენ დღესაც  
მოხვალ ჩემთან, ჩემო ყველავ,  
წვიმაა დღესაც.  
დღესაც ღრუბლებით დაჩადრულა  
ნაცრისფერი ცა — ნაცრისფერ დარდად,  
მოხვალ და გულზე  
უთქმელ შვებად დამაწვიმდები,  
მოხვალ სველი თმით

ღამის ფიქრებად ჩამოშლილი  
 წაბლისფერი თმით  
 და ლოცვასავით ჩუმი ხმით იტყვი,  
 „გაწვიმდა დღესაც.“  
 მე შემოგხედავ ავსებული შენით და წვიმით,  
 შემოგხედავ და წარმართივით შეგთხოვ ღვთაებას.  
 ეს ზეცა თუგინდ მარადიულ ღრუბლებად იქცეს  
 შენ ოღონდ ჩემთან იყავი და  
 ძვირფასო ჩემო,  
 „თუგინდ მზეც სულ არ გამოვიდეს,  
 თუგინდ სულ წვიმდეს.“

### 07ბ06დ ჰინკველაც არ ვიყო

თითქოს ჭინჭველაც არ ვიყო,  
 ქვა ვიყო ღობე-ყორისა,  
 მტერმა მამული გამიყო,  
 შურმა ჩამრეცხა მოყვრისამ.

ბეწვის ხიდზე ხომ მეც ვდგავარ,  
 დაფიქრებულიც, გიჟმაჟიც,  
 თავს ბევრჯერ დამთენებია  
 ნისლანაყარი რიჟრაჟი.

ჩემს გულშიც ძრულა ჩვილივით,  
 ლექსი-ხმამჭახე ციცარი,  
 სხვისი ტაბლიდან არამი  
 არც რამ მდომია მისხალი.

ჩემს წერას ავუტანივარ,  
 მადლს ვფიცავ ზეგარდისასა,\*  
 ჯერ „მოყვრის“ დედას ვატირებ,  
 მემრე ცვედანი მტრისასა.

\*/ზეგარდის წმინდა გიორგი აფციაურთია  
 სალოცავია გუდამაყარში/

---

„სამპაზლები“

დარღი?  
 უმთვარო დამის წაწალი  
 ჭორი?  
 პირბასრი ვერცხლის ხანჯალი,  
 რამდენი დადის თურმე ამ ქვეყნად  
 კაცი ორპირი, კაცი არჯალი.  
 ტკივილი – ერთად ასი სამსჭვალი,  
 სიკეთეც,  
 როგორ დაძვირებულა,  
 უსიყვარულოდ  
 წუთისოფელი,  
 ტლუ ყოფილა და არც ღირებულა.

X X X

თუნდ უავდაროს სხვა ცას ვერ ვგუობ,  
 მკერდზე დამინთო შუქი მანგლისმა,  
 მაინც გამირბის მზერა ფშავისკენ,  
 მაინც ნატვრა მკლავს ვაჟას ჩარგლისა.

X X X

წვიმები შენს თვალებს მაგონებენ,  
 შეშლილს შეშლილივით მეღიმება,  
 მერე კი  
 ჩემს თავს ვეკითხები  
 უშენოდ სიცოცხლე  
 ელირება?!

---

### უმზეო დღეა

უმზეო დღეა,  
ნოემბრის შუა  
შუკებში მღვრიე ქარი ავყიობს,  
კედლებს აწყდება  
მთვრალ ეჯიბივით  
და მიიყოლებს ფოთლის მაყრიონს.  
ზეცა ვერ იტევს ღრუბლის ნაოჭებს,  
წარბშექრულია დასალიერიც,  
არაფრისმთქმელი ფონია თითქოს,  
მაგრამ  
კვდომის და სიცარიელის.

X X X

მთებს კოკასავით შეუდგამთ მხრებზე  
ცა  
ავსებული ღრუბლით ყელამდე,  
ზეცითაც  
ძნელი ყოფილა თურმე  
მოახლოება,  
მოსვლა შენამდე.  
მთებს კოკასავით ადგიათ მხრებზე  
ცა  
დაღრუბლული, (ოდესლაც წმინდა)  
გამოკრთა ელვა,  
დაიმსხვრა კოკა  
და თქეში წვიმის  
დინდა და დინდა.

### ძ-ნ ერნას

თაყვანი ვცე შენს მშვენებას  
და სიშორის მწვერვალს,

ქმარა – გულში ზარი ჰეთებს  
ერნა! ერნა! ერნა!  
გადაჰყვება ლოდინს ფიქრი,  
გავუწყრები ზენას,  
და ნატვრისგან ფერნამკრთალ გულს  
კარს შეუღებს წყენა.  
წამწამს ცრემლი აგიმძივებს,  
ლურჯ თმებს ვერცხლის ფენა,  
თეთრ ქართაგან მომტვრეულ ფრთებს  
მოსწყურდებათ ფრენა.  
უამი მიპქრის ტანსხარტულა,  
თოვლისფერი კვერნა,  
სად ხარ ნეტავ შორეულო  
ერნა, ერნა, ერნა.

X X X

როგორც ლოკოკინა  
მზეზე მიგდებული,  
შენმა სურვილმა ჩამომახმო,  
ვიცი საშველი არ არის და  
ღვინოს ვეძალები,  
ვმაიმახობ.  
მე არც პეტეფი ვარ,  
არც ნიკო ფიროსმანი,  
ბედით თუ უბედობით ხვავრიელი.  
მინდა მაგ ბაგისფერ ღვინით გადავივსო,  
უშენოდ ფიალა ვარ ცარიელი.  
დღისით თვალსაცეცებს აგაშორებ,  
სიზმრად კი შენს საროსტანს ვეკვრი,  
კალოზე გაბნეული თავთუხი ვარ  
შენგან გალეწილი კეგრით.  
ღიმილი აღარ წაწლობს ჩემს ბაგეზე,  
შენმა მონატრებამ ჩამომახმო,  
ვიცი საშველი არ არის და  
ღვინოს ვეძალები,

ვმაიმახობ.

### დედას

მე ვიცი დედა  
 მელოდი დღესაც,  
 დღესაც დაღალე სოფლის გზები  
 ნაღვლიან მზერით,  
 „დაკვირაძლდაო“ – ამბობ ახლა,  
 გვერდზე დებ საქსოვს,  
 და სანთელს ანათებ სიბერისგან  
 ჩამჭკნარი ხელით.  
 მანდ ახლა ალბათ ლურჯი ბინდი  
 დღის ნათელს არბევს,  
 დაისი წითლობს,  
 ღამენათევ თვალებს ჰგავს მეტად,  
 ეზოდან ძაღლი  
 მგლისთვალება, ვარსკვლავებს უყევს  
 და ვხედავ დედა,  
 როგორ იწვის სანთელი კენტად.

### ჩემს შვილებს თამარს და გიორგის

„თუ საწუთოომან დამამხოს,“  
 მაქციოს მტვრად და ქვიშადა,  
 თუ ვეღარ შემოგეშველოთ,  
 გზად ვეღარ გექმნეთ მშვიდადა,  
 თუ მტერმა ქონგურ-გოდოლი  
 შემოგვინგრ-შემოგვილეწოს,  
 თქვენც ნისლმან ცხოვრებისამან  
 დაგაფრთხოთ ჩემო ფრინველნო,  
 არ გატყდეთ – საწუხართაგან,

მამულზე დარდი პირველობს.  
 არც უმეგობროდ იაროთ,  
 არც უმტროდ მტერთა ჯინაზე,  
 საწუთო ავზნინია  
 ცოდვა-მადლს წონის პინაზე.  
 თუ კარი ღმერთთან მიმსვლელი,  
 ცხრა კლიტით გადაგირაზეს,  
 ამოაქარგეთ თქვენს ყოფას  
 ის და ვარდის სინაზე.  
 ჩემი არ მოგცეთ იღბალი,  
 ქალმა დამღუპა სვარამზემ,  
 საცაა ავჯანლდები და  
 კამარას შეგრავ ქარაფზე...

## სიზმარი

მთვარეს ჩემს სარგმელთან  
 რული ერეოდა,  
 შენ კი ოცნებაო,  
 ვეღარ გელეოდი.  
 მეზმანა!  
 გავდი მოფრთხიალეს  
 ფერდობზე კაკაბს,  
 ტანთ უვარსკვლავო,  
 ღამისფერი  
 გშვენოდა კაბა.  
 მერმე?  
 გამოიცვალნენ ზმანებანი,  
 გამრავლდნენ თითქოს  
 შემოვიმძივე ყელზე შენი  
 მკლავების სითბო...  
 წლები გავიდა,  
 არ დანაცრდა  
 იმ სიზმრის სიტკბო.

X X X

სისხლისფერი ღვინო გიყვარს,  
ძოწისფერი ბაგის პატრონს,  
შორეულის სიახლოეს,  
ფიქრში დღე და ღამე ვნატრობ.  
შემოამტკრევს სივრცეს შუქი,  
დაბინდული მზერით მოხვალ,  
თუ ლოდინში გაგიმართლებს  
გულო, რაღა ჭირად ოხრავ.

### ჭერილი ცირას

მოვა შემოდგომა.  
გულამლვრეული ქარები  
საკინძესავით ჩაახევენ ამ ტყეებს ფარჩას,  
(ჩვენს საყვარელ მელოდიას იმღერებს გული).  
იწვიმებს ხშირად,  
შენი თვალებისფერი წვიმა წამოვა,  
შენი თვალებისფერი ციდან,  
მდგმურივით შემოსახლებული სევდა,  
უსიხარულო დღეებით მძირავს  
და  
მომენატრები  
ცირა!

### ზამთრის ჩანახატი

თოვს.  
ლამაზად, ძალიან ლამაზად ბარდნის  
ა) შეყინული სარკმელი  
ბ) მდუმარება  
გ) წაწვეტილი მთა, ტყით და თოვლით გათქირული,  
სამგანზომილებიანი ცივი პეიზაჟია არა?

უსიამო ფიქრი, ჩამოსაშრობად გაკიდებული, ჩიჩილი  
ყველივთ იწურება,  
სიცოცხლესავით იწურება.  
არ ვიცი სადმე მსმენია ან თუ წამიკითხავს სადმე,  
შემოღვომა სიბერეაო გაზაფხულისა,  
მაშინ რა გამოდის?  
ზამთარი სიკვდილი ყოფილა მისი  
და თუ ეს მართლაც ასეა,  
რა ლამაზი სიკვდილი სცოდნია გაზაფხულს . . . ხალხო!

### ნოემბრის ჩანახატი

ვიცი  
მიწა ძვლებს იხვეწება,  
ბალახი წვიმას,  
გული სიყვარულს ითხოვს,  
სნეული სიცოცხლეს.  
თვალამოღამებული — შუქს დღისას,  
მანინჯი — სილამაზეს,  
მზისდარი — დიბა — ატლასს,  
ვიცი,  
ვინ რას იხვეწება, ვიცი,  
მხოლოდ შემოღვომით ხატიონივით ჯგროდ შეხორხლილი,  
გაშიშვლებული ხეებისა ვერა გამიგია რა.  
ასე მგონია, მათი აწვდილი, ქართაგან ნაძარცვი ტოტები ხელებია  
და ზეცას რაღაცას შესთხოვენ ცივი ქარისაგან აკანკალებულნი,  
გაფარჩული თითებით...  
გაუგონარია მათი მუდარა,  
ალბათ გაზაფხულს იხვეწებიან  
და ისინი რომ არა,  
გაზაფხული ნამდვილად აღარასოდეს მოიხედავდა ჩვენსკენ,  
ადამიანებო!

ანა გოგოსაშვილი ახალგაზრდა დამწყები შემოქმედია, ფერიასავით ლამაზი, პოეტური, ჭკვიანი. პირველკურსელმა გოგონამ უკვე საკუთარი ლექსების კრებული გამოსცა, რაც დიდად სასიხარულო მოვლენაა. პირველ წიგნს „ფიქრები“ ეწოდება და მართლაც კრებული სავსეა პოეზიის უსაზღვროდ მოყვარული ავტორის, დაფიქრებული, ნიჭიერი და მშვენიერი სტრიქონებით. დარწმუნებული ვარ ანა გოგოსაშვილს საკუთარ თავზე დიდი და მძიმე შრომის შემდეგ აუცილებლად სახელოვანი მომავალი ელოდება. დღეს კი იმის ნიშნად, რომ მე მართლა მომეწონა ანა გოგოსაშვილის გულწრფელი ლექსები კრებულიდან ერთ მნიშვნელოვან ნაწილს ვაქეყნებთ ჩვენს უურნალში, რომ რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა შეძლოს წაკითხვა და ავტორისადმი საკუთარი სურვილების გამოთქმა.

### **ნუგ ზარ წერეთელი**

\*\*\*

ძლიერ მწარეა ეს განშორება,  
ისევ ყვავილობს ნუში,  
მაგრამ იმხანად რომ იყვავილა,  
მე ისე ჩამრჩა გულში.

ისე, იმხანად რომ იყვავილა,  
აღარ ყვავილობს ახლა.  
არ მინდა ვიყო მე ამ ტანჯვაში.  
მომინდა ფრთების გაშლა.

და თუ გავშალე მე თეთრი ფრთები,  
ვეღარ მიხილავთ დაბლა.  
და მაშინ ვიფრენ სულ ზევით, ზევით,  
სულ ზევით, ზევით, მაღლა.

ჩემზე იტყვიან, მისი ცხოვრება  
ერთ ლამაზ ზღაპარს ჰვავდა.  
და ჩემი სულის გასახსენებლად  
დარჩება თეთრი აბრა.

2002 წ.

\*\*\*

ქოქისპირულად წვიმდა  
წვიმა, ძალიან წმინდა,  
ნაპირს მოადგა მთვარე  
მინდა, მოვქსოვო წინდა.

ერთიმეორეს ვაგო  
ჰარმონიული თვალი.  
მინდა, საკუთრად მყავდეს  
მე სიყვარული მთვრალი.

მთვრალად დავტოვო მუდამ,  
საღად ოცნება არ ღირს.  
სიყვარულს დაცვა უნდა,  
მას, ასე ძლიერ დაღლილს.

2003 წ.

\*\*\*

მე იმ შესვედრით  
ვიქეცი ფიქრად  
და შენთან გულში  
დავიდე ბინა,  
მე ის პატარა გოგო ვარ, ერთხელ  
ქუჩაში შენ წინ რომ გაირბინა.

მაგ ამბის შემდეგ გავიდა წლები,  
უკვე დიდი ვარ, აღარ ვარ გოგო,  
და იმის შემდეგ პირველად ვხვდები,  
პირველად ვხვდები, მიყვარდი როგორ.

2005 წ.

\*\*\*

ზოგჯერ მგონია, რომ ვარ დიდი,  
ზოგჯერ — არ ვიცი.  
ზოგჯერ მგონია, რომ ვარ  
პატარა, რასაც განვიცდი.  
ზოგჯერ არ ვიცი, ვინ ვარ,  
არ ვიცი, არ ვიცი.  
გაუგებარია ეს ყველაფერი,  
რატომ ვცხოვრობ.  
ვიცდი და  
განვიცდი.

2006 წ.

\*\*\*

ფანჯრის იქით, ქვებთან ახლოს,  
დგას შავთვალა წბო.  
იქ მსაჯულთა მოედანზე  
დგას ქართველთა ბრძო.  
ვიღაც ყვირის — არა!  
ვიღაც კი — წო.  
ფანჯრის იქით, ქვებთან ახლოს,  
დგას შავთვალა წბო.

2002 წ.

\*\*\*

ფიქრი დიდია,  
ჩემზე დიდია,  
და მასზე დიდი  
რა არის, ნეტავ!

ამ გზების იქით

ვიწრო ხიდია,  
და იმ ხიდს იქით  
ვერაფერს ვხედავ.

სიცოცხლეს ვუძღვი მე ჩემს ბავშვობას.  
სიყვარულს ვუხსნი  
სიცოცხლეს, ვბედავ.  
ამ გზების იქით  
ვიწრო ხიდია,  
და იმ ხიდს იქით  
ვერაფერს ვხედავ.

2002 წ.

\*\*\*

სანამ ბროწეულს მოუბამს კვირტი,  
სანამ გიყვარვარ და ისევ ვტბებით,  
სანამ ჩვენ ზამთრის თეთრ განთიადში,  
არ დაგვიკარგავს ბავშვობის ფრთები,

სანამ სითეთრე არ გამწვანდება,  
სანამ სითეთრის უმანკო დილას  
ჩვენ სითეთრეში ვცხოვრობთ და გვძინავს,

სანამ იქნება ბავშვური ფიცი,  
სანამ იქნება, ნამდვილად ვიცი,  
ბედნიერებით ვცხოვრობთ მანამდე,  
ბედნიერება მუდამ თანა გვდევს.

მერე იწყება ცხოვრება დიდი,  
რომელიც როგორც წისქვილი მიდის.  
მერე გვჭირდება, გვჭირდება ხიდი,  
რომელიც დათქმულ ადგილას მიდის.

თუ ვერ ვიპოვეთ, ჩვენც ვიკარგებით

ჩვენი ცუდით და ჩვენი კარგებით.

ცხოვრების ბოლოს ჩნდება ნაგები,  
ჩვენი უბადლო ამხანაგები,  
ჩვენი ცდომილი და სწორი გზები,  
რომელზეც ყველა როდესმე ვდგებით.

მერე პაუზა  
იბუდებს გულში,  
მერე დაუზარს გიხდება ძილი,  
და აურზაურს სიზმარში ხედავ,  
რომელიც არის ცხოვრების ჩრდილი.

2007 წ.

\*\*\*

მიყვარს ზაფხულის სურნელი,  
და ყვავილების ცქერა,  
ქუჩის ყოველი გამგლელი  
და ის ყმაწვილი ქერა,  
ზაფხულის პაპანაქება.  
შენ სიყვარულის გჯერა?

200 წ.

\*\*\*

სიჩუმეს სმენა სჭირდება  
 და ისიც გეტყვის რამეს.  
 როცა ტირილი გინდება  
 და ძლიერ გავხარ ღამეს,  
 მასავით მარტოსული ზარ,  
 იმედით ეტრფი მთვარეს,  
 სიჩუმეს ყური დაუგდე  
 და ისიც გეტყვის რამეს.

2001 წ.

\*\*\*

მიღის ქუჩაში კაცი,  
 სევდიანი და მკაცრი,  
 ცაში ახედა, მზეა,  
 მოხალისე და ანცი.

დღეს ღამე შეცვლის მერე,  
 ამოგორდება მთვარე,  
 მთვარეს სიცილი არ სურს,  
 მიიმალება მალე.

იღვიძებს დილას ბავშვი,  
 სიხარულია მასში,  
 ცაში ბატონობს შაშვი  
 და დალივლივებს მაშინ,

როცა ვიღაცის გულში  
 შენზე ფიქრია ისევ,  
 და დაბარდნილა თოვლში  
 ჭადრის ხები ისე,  
 როგორც არავის ახსოვს.  
 თოვლი ხეს რუშებს აქსოვს.  
 ხვალაც იქნება კაცი

სევდიანი და მკაცრი,  
და დაინახავს, მზეა  
მოხალისე და ანცი.  
ზეგ?!  
2003 წ.

თამუნა კაჭარავა  
საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნის“  
პუმანიტარულ-ფარმაცევტული ინსტიტუტის მეორე  
კურსის სტუდენტი

\*\*\*

ყოველთვის, როცა საღამო დგება,  
მე გული შენზე დარდით მევსება,  
არ ვიცი როგორ შევეშვა ფიქრებს,  
მე შენზე ვფიქრობ, შენც ფიქრობ იქნებ?  
ასეც ვიფიქრებ ყოველთვის შენზე  
ჩვენი შეხვედრის იმ ლამაზ დღეზე,  
მე ვიცი, რომ შენც ოცნებობ ჩემზე  
და სხვებს ოცნებით არასდროს შემზერ.

\*\*\*

ზამთრის ცივ დამეს შენზე ფიქრი დამისაკუთრებს,  
შემომაწვება, დამამძიმებს ამ გულს პატარას,  
როგორ გავუძლო ამდენ ტკივილს? რა მოვუხერხო?  
ტყვეობის გზები სიყვარულმა გამომატარა.  
დილით თენდება შენზე ვფიქრობ, დამით ბნელდება  
და შენზე ფიქრებს ვერ იშორებს ტანჯული გული,  
იქნებ ოდესმე, ტრფობა არც შენ გაგიძნელდება,  
რომ დამით აღარ ვიძინებდე მე გაყინული.

I თავი

მოხას დენი

მიხამ სასტუმროს მოჩითული ფარ-  
და გადასწია და მივარდნილ, მოსკო-  
ვურ უბანში „უშანკაიან – ტელეგრეფი-  
ანი“ ხალხი დაინახა, პირიდან ორთქლს  
ბოლქვ-ბოლქვად რომ უშვებდნენ, მა-  
გრამ ნაყინს მიირთმევდნენ ამ ყინვაში  
და მიხას გასაოცრად იცინოდნენ  
კიდეც!

— ვანო! ჩვენ მოვერევით ამათ? —  
მისამ ახლახან გამოღვიძებულ მე-  
გობარს გადახედა.

— რა გვაქვს რო, საჭიდაო?

— რა ვი, დამოუკიდებლობა კი  
გვინდა და... ესენი იანვარში ნაყინს ჭამენ  
და ჩვენ დაგინდობენ? — მიხას ფიქრი  
სადღაც შორს, თეთრი სივრცის მიღმა  
გაექცა.

— კაზეთი მამუნაზრა!

— კარგი თუ კაცი ხარ ნუ ამატ-ირე! — ჩასუქებული, რეიტუზიანი ვანო ცრემლის დასაფარად ლოგინიდან წამოხტა და აბაზანაში შევიდა. ცოტა ხანში მიხას გამოსძახა

— კარგი რამ კია ცხელ წყალში  
ბანაობაი...


— ცხელი წყალი თელავშია მარტო... ისიც „ინგურისტში“:

— გაიგე მისა? რაც წამოვსულვა-  
რთ, როდის იყო?.. 91-ის ნოემბერში,  
იმის მერე დენი თვალით აღარ უნახ-  
აკო ჩვენს სოფელში!

- რა იწი?

— ერთი კახელი შამხვდა გუშინ, ფული მთხოვა, ჩვენსავით დამართნა, იმის კოლს მოუწერია მისთვის.

— რაო? ჩვენი სოფლები იყო? —



ანურვიულდა მისა.

— დაწყნარდი კაცო, ჩვენი სოფლე-  
ლი რომ ყოფილიყო განა ეგრე  
გავუშვებდი...ფული რომ მქონოდა მა-  
გასაც ვინ ჩემი „ტრულაილა“ გაუშ-  
ვებდა, მაგრამ... მოკლედ არცერთ  
სოფელში არ ყოფილა დენი!

— მაგასაც ჩვენსავით დამართნია?  
— ჩაიძია მიხა.

— ლვინო გზაში გაფუჭნია და ვე-  
ღარ ბრუნდება შინ, — მევალეებისა  
რცხვნია...

— რამ გააფუჭა ცისტერნებით არ  
მოჰქონდა?

— რა ვი, ღვინო არ იქნებოდა კარ-  
ავ. — თუ სახი აწოდე

— ჩვენი რო კარგი იყო, რა მოვ-იგეთ როო...ფიქრებში წავიდა მიხა. ამ ორის მორია ამ თაობას:

— გრუზინი! კ ვამ გოსტი!  
ხმას ორი მაღალი „ბუხანე“ რუსი  
შემოჰყვა.

— ნუ ჩტო რებიატა! ნე ნედაელა  
ზდეს გალიატსა?

სკორა ვესნა! ზემლიუ პახატ ნადა  
— დამცინავად უთხრა ერთ-ერთმა კახ-  
ელებს, ეტყობოდა „ჯრისკაცის მამა“  
ჰქონდა ნანახი.

— სპერვა პახატ! პატომ სეიატ!  
ნაღვლიანად ჩაუცინა ვანოს.

— არამი იყოს თქვენზედ მახარაშ-  
ვილის ტანკი და მისი  
გმირობა!..ჩაილაპარაკა მიხამ.

— ხვატიტ პა გრუზინსკი ბალ-  
ტატ! მკაცრად მიუგო მეორე „ბუხ-  
ანკაძე“ — ბერიტე ეტი დენგი, ი ვალი-  
ატე ატსუდა! ატო, ეტა ტოუე ნე პალუ-  
ჩიტე, ნიკტო ვამ ნე პამოუეტ, სტალინ  
დავნო უმერ!

მიხამ და ვანომ მაგიდაზე გად-  
მოგდებული ასიანები დათვალეს და  
ერთმანეთს გადახედეს:

— არაფერი გვრჩება! — ამოიოხრა  
მიხამ.

— სხვა რა გზა გვაქვს, ვალში მაინც  
არ დავრჩებით და აქედანაც გავასწრებთ,  
სასტუმრო თუ არ გადავიხადეთ, საერ-  
თოდ დაგვიჭერენ, კიდე კარგი, შენ არ  
დაგიჯერე და იაფიანში წამოგიყვანე...

— ხელი ჩაიქნია ვანომ.

ფული გაზეთში შეახვიეს და ჩე-  
მოდანში ჩადეს.

რუსებმა „უშანკები“ დაიხურეს და  
კარი გაიხურეს...

— რამოტენები არიან ე ვირები,  
ამათთან ჩხუბი არ გინდოდა?

— აბა ბიჭო, ვიფიქრე, ბეჭებზე არ

დაგვდონ მეთქი. ჭიდაობის ტერმინი  
გაიხსენა მიხამ.

— იი! ბეჭებზე დადებაი ვინა ჩიოდა,  
კიდევ კარგი პარტერში არ ჩაგვაყენეს,  
— გაიცინა ვანომ.

— ეგ ფული, ახლა რო ვფიქრობ,  
არც ისე ცოტაა... ოპტიმიზმი იგრძნო-  
ბოდა მიხას ხმაში.

— მერე და კაცო — გააგრძელა  
მსჯელობა მიხამ — იმ ჩვენს ძმებს  
ცოტა რომ პირი ვუტეხოთ, ცოტა...  
სულ დაკარგული არა ჰქონდათ?

— თორე არ არიან დაკარგვას  
შეჩვეულები! ჩვენ გაგვიჩნახებენ, კერძო  
მეწარმეებსა, — ამ სიტყვას ვანომ გან-  
საკუთრებულა გაუსვა ხაზი, — აბა  
კომუნისტებს რას გაუბედავდნენ...

— არ გადაუგდიათო? სულ ძალით  
აბარებინებდნენ ფურძენს. დაავიწყდათ?

— გული მოუკიდა მიხას ჩვენ რა, მარ-  
ტო ჩვენთვის ვზრუნავთ? რო ვიწვა-  
ლეთ? მარტო მაგათოვინ გვიმუშავია  
რა! იცი, რა ვქანათ ვანო? რესტორანში  
ჩავიდეთ, მომენატრა! ხვალ კი გავთრინ-  
დეთ!

— მა ბილეთები?

— ბილეთები ყრია! „შანსით“ გავ-  
ფრინდეთ. ბიზნესკლასითა, მა, ჩვენ ბი-  
ზნესმენები არა ვართ?

— აბა ვიგრიალოოთ? — გაუცინა  
ვანომ მიხას. მიხამ ჩაცმა დაიწყო.

გაიპარსეს, მოწესრიგდნენ და  
გარეუბნის სასადილო ტიპის რესტორ-  
ნის შუაგულ მაგიდას მოუსხდნენ. ოფი-  
ციანტს გაესაუბრნენ. შეკვეთა მისცეს.  
ოფიციანტი ბუფეტისკენ რომ დაიძრა,  
ძმაკაცებმა ისეთი მუხტის მზერა გააყ-  
ოლეს — იმ საცოდავს საჯდომზე

ლამის ბოლი აუკიდა.

— ჩვენ მმობას გაუმარჯოს, — დაწითლებული თვალები ერთმანეთს მიაპყრეს.

— გაუმარჯოს! მაინც ყოჩაღები ვართ აი! — სულმოუთქმელად დასცალეს ვინც გველოდებასი, ვინც გვენატრებასი. ამასობაში ოფიციანტმა რაღაც მოიტანა.

— ქალებს გაუმარჯოს! კაკ ვას ზვატ? — წამოიწყო მიხამ.

— ია ნა რაბოტე! ცივად შეტრიალდა უსახელო ქალბატონი. მმაკაცებმა თვალების პროექტორები ისევ მიანათეს კოხტად მიძავალ, გალამაზებულ ოფიციანტს, რო შემოტრიალდნენ, ორი კაცი დაინახეს კონიაკის ბოთლით ხელში. კონიაკს სომხურად ეწერა. სომხები იყვნენ. მიხა ფეხზე წამოდგა და სულით და გულით მიიწვია „ზემლიაკები“.

— კაკ ვას ზვატ? — ჰკითხა კახელმა მეღვინემ.

— მარსპედ! ა, ეტო აშოტ — უპასუხა სომეხმა მეკონიაკემ.

— ზე ბრატსტვო!

— ტი ზნაეშ, ჰაოს ი ქართლოს — ბრატია!

— ვაბშე და, არმიანი ი გრუზინი ბრატია, ნო არმიანი ბილი რანშე — თქვა აშოტმა.

— ზა დრუზიუ! — თქვა მიხამ.

— ზა ველიკუიუ არმენიუ, აჭ მორია და მორია! — თქვა მარსპედმა.

— აჩმახებს, — გაიცინა ვანომ, — მაინც კაი, ბიჭები ჩანან!

— ზა დრუზბუ! — შემარიგებული სიტყვა მიხას ეკუთვნოდა. ცოტა ხან-

ში ვანომ ჩაულაპარაკა „კოლეგას“.

— კარგი ბიჭები ჩანან, გადავუხადოთ...

— მერე სახლში რა მიგაქვს? ვალებს ესენი გადაგიხდიან? — მიხამ კოპები შეკრა.

— კარგი! კარგი! დო ვსტრეჩი ვტელავი!

კოცნა — პროშნით სომხები თავის მაგიდას დაუბრუნდნენ. გზა და გზა „შალახოს“ ცეკვავდნენ.

— ვერ წამოგვიკიდებო, „მიმინოი“ ნანახი გვაქ! იანგლა მიხამ.

— რა კარგადა თქვი შე ვირო, შენა, — მიესიყვარულა ვანო.

— ვირი რა საკადრისია, შე აქლემო, შენა, — მოეფერა მიხა.

ასეთ „სიყვარულობაში“ იყვნენ, „ვარიეტე“ რომ დაიწყო. შუქი ჩაქრა. მარტო ერთი სკამი იყო განათებული. გამოვიდა გახდილი, შოლტივით გოგო, სკამს გადაალავა, მერე ისე დაჯდა — ძმაკაცებმა ვერც კი დაინახეს, თვალი როგორ ჩაუკრა მათ ამ ანგელოზმა.

— ნახე... ნახე... — ჩურჩულებდა ვანო

— დამაცა ერთი! — წაულრინა მიხამ.

გოგო შეტრიალდა, შიშველი საჯდომი მაყურებელს მიუშვირა, შემდეგ წინ გადაიხარა, ერთი ვიწრო თოკი „ეცვა“ სხვა არაფერი! უცებ, კაცი გამოვიდა, მიატრიალ — მოატრიალა ეს გოგო, ისე მოირგო, მიხას წნევამ აუწია!

— დავიმუხტე ვანო! ამოიგმინა — დავიმუხტე!

— მაიცა, მაყურებინე, — უზეშად

გააწყვეტინა ვანომ.

- კიდევ კარგი, სომხები არ დავ-პატიჟეთ — ბუტბუტებდა მისა.
- ეგ რა შუაშია? — გაოცდა თანა-სოფლელი.

— ის ფული ამ ქალს უნდა მივცე!

— მერე მე? — ჩვენი ვალები?

— სომხებს რო აძლევდი?!? ასეთი აგრესიული მისა, ვანოს ჯერ არ ენახა! არადა, ერთად გაიზარდნენ, ერთ კარგ, ბარაქიან, კახურ სოფელში!

ამ დროს მეორე გოგონაც შეუერთდა მოცეკვავებს.

მისას გული მოულბა:

— შენ ის... მეორე...

— ოღონდ საერთო ხარჯით, მისა, საერთო ხარჯით — ისე ამბობდა, ეტყობოდა: ვანოც ხარჯს აღარ დარდობდა!

მთვრალი მისა წამოდგა და სცენი-სკენ გაემართა, როცა მოუახლოვდა, ერთ-ერთმა მოცეკვავემ ფეხი ასწია და რეაქცია რომ არ ჰქონოდა, თავს წააგებდა.

— ატაიდიტე ატ სცენი, — დაუძახა ადმინისტრატორმა.

— ია იო ხაჩუ! — ფული დაანახვა ადმინისტრატორს.

— კტო ვი ტავარიშჩ? ე ტო უე ნი ბარდელ?

— არა ბიჭო პატიოსნები არიან...

— ამოასლოკინა მისამ. ბარდელია მა რა არი? გადმოკარკლული თვალები მისას დიდ გაოცებას გამოხატავდნენ.

— დვე ხაროშიე! დვე! — ფულს ცხვირთან უტრიალებდა ადმინისტრატორს. ამ უკანასკნელმა ხელი დაუკინა ვიღაცას, ამ ვიღაცამ სხვებს

დაუსტვინა, პანღურ-პანღურ გამოაგდეს მისა გარეთ, ყინვაში, თოვლში. ვანოც ზედ მიაყოლეს.

— მარო მამენატრა, — თქვა მისამ.

### X X X

ჩაბნელებულ სოფელს მანქანა მიუახლოვდა. მისამ ჯერ ვანო მიაყვანინა სახლამდე, მერე თვითონ მივიდა. ღამის ორი საათი ხდებოდა. მისა ფეხაკრეფით მიიწევდა წინ, — არაფერი ჩანდა. ასანთს ანათებდა და ასე წვალებწვალებით მიაღწია საძინებელს. მაროს ტკბილად ეძინა. მისამ გაიხადა და ფრთხილად მიუწვა.

— ჩამოხველ? — ჩურჩულით იკითხა ჯერკიდევ მძინარე ქალმა.

— არა! გესიზმრები! — გაეხუმრა მისა.

— მერედა არა გშია? წამოიწია მარო.

— არა, მარო, დამუხტული ვარ! — ვნებიანად წარმოსთქვა ქმარმა და მაროს ფერება დაუწყო.

— შენ კი გაქრი, შენა — ძლივს ამოილულლულა ქალმა — მო-გენატრე?

პასუხად ლოგინის ჭრიალი. საწოლის თავზე დაკიდებულმა ნათურამ რაღაცნაირად გამოანათა და ჩაქრა.

საწოლის რყევამ იმატა, რიტმული ხასიათი მიიღო. უცებ, მთელი სახლი განათდა! მარომ თავი მისას ბეჭიშე-მოდნა გამოჰყო და შეპკივლა:

— დენი მოვიდა კაცო!

— რა დროს დენია! — ამოიქშინა მისამ — დაწექი!

ის იყო, მარო უნდა დამორჩილე-

ბოდა, რომ ბავშვები ყვირილით შემოცვივდნენ საძინებელში:

— დენი მოსულაა! — მამის დან-

ახვაზე გაოცებული ბავშვები შედგნენ.

— მამი... — თქვა უფროსმა.

— მამა მოსულა! — იყვირა შუა-  
თანამ.

— მამა-მამი! — იძახდა სამივე. მიხ-  
ამ მათკენ წამოიწია. მარომ თავის  
მოწესრიგება დაიწყო.

მიხა ლუღლუღით წამოიდგა, ჩე-  
მოდანი მოიძია, გახსნა და ბავშვებს  
საჩუქრები დაურიგა. მაროც ღიმილით  
შესცექეროდა ციდან ჩამოვარდნილ  
სასწაულს — მიხას.

— გავეჭედეთ მაგრად და ბევრი  
ვერაფერი ჩამოვიტანეთ — თქვა მამამ  
და მეუღლემ.

— შენ რომ ცოცხალი ხარ, რაღას  
დავეძებ! მარო ფანჯარასთან მივიდა,  
გარეთ გაიხედა და გაკვირვებული შე-  
მოტრიალდა.

— დენი რო არავისთან არის? მოელ  
სოფელში ბნელა! მიხამ მხრები აიჩე-  
ჩა. მალე ნათურას ძაბვა დააკლდა და  
ნელნელა ჩაქრა. სანამ ჩაქრებოდა, მა-  
რომ ბრძანება გასცა:

— აბა, ბალღებო, დაიძინეთ!

ყველანი საძინებლისაკენ გაემართ-  
ნენ, თან ნათურას სინანულით გამოხე-  
დავდნენ.

მიხამ გააგრძელა თავისი „საქმე“. უკვე ძლიერ დაღლილი იყო, მაგრამ  
მაინც შეძლო და ისევ ააჭრიალა  
ლოგინი. ნათურა ისევ აენთო, ოთახში  
დენი მოვიდა!

### X X X

— „დვიუკი“ უყიდია მოსკოვში!

— გასძახა ერთმა მეზობელმა მეორეს.

— ფული უშოვია! — დაასკვნა მე-  
ორებ.

— იმდენი ხანი იყო იქ, ალბათ  
„მერსედესსაც“ იყიდის!

ვანოსაც უთხრეს ეს ამბავი.

— რა „დვიუკი“, რის „დვიუკი“,  
ხალხო! გაგიჯდით? ვალები როგორ  
დავფაროთ ის არ ვიცით და თანაც  
იმოტენა „დვიუკს“ რა გვათრევინებ-  
და მოსკოვიდან — თბილისში არ იყ-  
იდება?!

— მა დენი საიდან?!

ამ კითხვაზე ვანომ ვერაფერი უპ-  
ასუხა. ვანო იყო ედისონი კი არა!  
თუმც ვეჭვობ, ედისონსაც რაიმე ჭკვი-  
ანური ეთქვა ამ შემთხვევაში.

ვანომ ცოტა იფიქრა და გენიალური  
გადაწყვეტილება მიიღო:

— ელექტრიკი ედიკა იპოვეთ და  
იმასა ჰკითხეთ! თუ როგორ შეიძლე-  
ბოდა ჩვენს ჩაბნელებულ სოფელში,  
კერძოდ აღებულ ერთ სახლში მო-  
სულიყო დენი!

ვიღაც აფრინეს ედიკას მოსაძებ-  
ნად. მანამ იქეთური, აქეთური თქვეს,  
ედიკაც გაჩნდა.

— დენი გუშინ ვერსად ვერ იქნე-  
ბოდა, თბილისიდან ვიყავით გამორთუ-  
ლი — კომპეტენტურად დაასკვნა, როცა  
მოისმინა რაშიც იყო საქმე.

— თუ „დვიუკი“ არ არის — გააგრ-  
ძელა ბრძნულად — (როგორც თქვენ  
ამბობთ!) ან აკუმლატორია, ან „პერ-  
ენოსკა“ აი, მანქანიდან რომ გამოჰყავთ  
ის...

— ოოო, ეგ შეიძლება! ერთი ძველი აკუმულატორი ეგდო სახლში, — თქვა ვანომ, — მაგრამ დამის ორ საათზე მაგის გამცოცხლებული მისა არ იყო...

— რა აკუმულატორი, რი აკუმულატორი, მთელი სახლი ერთი ხანი გადაჩახჩახებული იყო! — თქვა ერთმა მეზობელმა.

— ჰო, აკუმულატორი მაგას ვერ გაქაჩვდა — დასძინა ელექტრიკმა. — მაშ რაშია საქმე? იქნებ მოგეწვნათ? ხომ არ დაღიერ, მეზობლებო? — გაიცინა.

— მაშ გაეჩრიკოთ „დვიუოკი“ თუ არ იყო ნახავთ!

ვანო გაცოფდა:

— რა უფლებით „ჩერიკამთ“? თქვენ რა პროკურატურა ხართ? თქვენა ვინა გკითხავთ, თქვე უსაქმურებო თქვენა! ხედავ კაცო? — ელექტრიკს მიუბრუნდა — ამაღამ მეც გავანათებ ჩემს სახლს თქვენ ვინა გკითხავთ?! შეგროვილთ ერთი კაცი გამოეყო, მსხვილი და ჩუმად მდგარი.

— ჯერ ჩვენ გაგვისწორდით ჩემო ვანო და მერე გინდა „დვიუოკი“ იყიდეთ და გინდა პიდროელექტროსადგური! ვანო წამით შეყოვნდა, ამ კაცს არ ელოდა.

— თანდილ, კაცო, ეგ რა შეუაშია, შენთან დღეს მოვალთ! ისე ვერ გივაჭრეთ როგორც ჩაფიქრებული გვქონდა, მაგრამ...

— ჰოდა ეგ „მაგრამ“ არის „დვიუოკი“, — შეაწყვეტინა თანდილამ.

— ბიჭო, ედიკ, მომეხმარე, — გამწარდა ვანო — „დვიუოკის“ ჩემოდანში ჩადებდა?

ყველა ელექტრიკს მიაშტერდა. არასოდეს უგრძენია თავი ასე საჭირო კაცად ედიკას, მით უმეტეს ამ ბოლო თვეებში. ისე, რაღაც მცოცავ დენს კი ეძებდა, მაგრამ, ამ შუაგულ კახეთამდე მაგ დენს ვინ მოუშვებდა!

პაუზა გაახანგრძლივა. ეს მისი წამი იყო!

— ოთხასვატიანი ჩემოდანში ჩაეტეოდა...

— მერე, ტანსაცმელი? ტანსაცმელს გადაყრიდა, საჩუქრებს?

საჩუქრების ხსენებაზე თანდილა-საკენ გაეპარა თვალი.

— გააჩნია ჩემოდანს! — უპასუხა ედიკამ.

— მოკლედ წავიდეთ და ვნახოთ, იყიდეთ თუ არა „დვიუოკი“. თუ არა, ჩემი მოსაცემი მომეცით, თქვენც კარგად, — მეც კარგად!

თანდილას ამის უფლება ჰქონდა. მიადგნენ სახლს.

— მიხა! მიხა! — დაუძახა ერთ-ერთმა — „დვიუოკ“ არ ასველებ?

— დავასველებდი რომ მქონდეს, მაგრამ მაგის დასველება არ შეიძლება, დენს არტყამს! — გაიცინა მიხამ, მაგრამ ამდენი ხალხი რომ დაინახა, დიმილი შეაშრა პირზე.

— რა მოხდა ხალხო, ხომ მშვიდობაა?

— მაგარი მშვიდობაა! ყველგან ომია! დენი თვალით არ გვინახავს. შენ კი „დვიუოკი“ გიყიდია, გილოცავ!

— ხალხს თანდილა გამოეყო.

— არა თანდილ, არ მიყიდნია — გაიცინა მიხამ — „დვიუოკის“ თავი მქონდა? მერე, რომ ამოხვალ, ყველაფერს

გიამბობთ. ახლა წადი, ის ბიჭებიც მაიყვა. თქვენთან კი ბოლიში „სეპრეტნი“ საუბარი გვაქვს! ცნობისმოყვარეობა დაუქმაყოფილებელი ხალხი იქითა აქეთ წავიდ-წამოვიდა. გაბრაზებული, რა თქმა უნდა.

თანდილამ კომპანიონები ამოიყვანა.

— აი, თქვენი ფული — მაგიდაზე ფული დააწყო მიხამ.

სანამ სმას დაიწყებდნენ, მიხამ და ვანომ ყველაფერი გულახდილად უამბეს სტუმრებს, თუ როგორ წეწავდნენ მათ გზა და გზა, — როგორ უტეხა პირი მყიდველმა — დათქმული ფასი რომ აღარ მისცეს, რა ბრძოლები არ გადაიტანეს, მაგრამ სხვის ქვეყანაში რას გახდებიო და ა.შ. თხრობა რომ დაასრულეს ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოდგა. მიხას და ვანოს თავები ჩაელუნათ და ასე ელოდნენ განაჩენს.

— თქვენ კარგად იყავით, ამასაც არ ველოდი, — თქვა ერთ-ერთმა სტუმარმა. მიხამ მაღლიერი თვალებით ამოხედა სიტყვის ავტორს.

— ჰო, — ჩაერთო თანდილა, — მბიმე ცხოვრებაა, ფული საერთოდ აღარ იშოვება, რაც წახვდით ყველაფერი გაძვირდა, თანაც თუ რამე გაქვს „მთხრელები წაიღებენ“. ასე, რომ ფულის ქონა ახლა საშიშიც კია, — ჩაფირდა.

— ასე ვიტყვი, „დაიწვნენ“ და ვერაფერი ჩამოგვიტანეს — თქო — ამოიხენეშა თანდილამ.

— ჰო, უგრე ვქნათ, მიხა, უგრე! ათა-სი ბოროტა ქვეყნაზე, ცოტას გავინებთ, ვითომც არაფერი მოგიციათ, თქვენც

ნუ მოიკლავთ თაგს მართლები ვართო.

— ჰოდა, სანამ გვაგინებთ, ერთიც დავლიოთ!

კარგა ხანს იქეიფეს, მაგრად დათვრნენ ლამფის შუქზე... როცა ყველა წავიდა. მიხამ ისევ მაროს მიაშურა...

იმ დამტესაც მიხას სახლში დენი მოვიდა.

### X X X

მეორე დღით მაროსთან მეზობლის ქალი, თეკლა შემოვიდა.

— კარგი ქიფი გქონდათ წუხელის მარო! დენიც არ გაკლდა! — ორაზროვნად წარმოთქვა ეშხიანმა თეკლამ.

— ჰო, მოვიდა შუალამით, დღე არ მოგვდის, ტელევიზორი მამენატრა! — ამოიხერა მარომ.

— ტელევიზორი კი არა, ერთხელ ანთებული მანახა ჩემი „ლუსტრაი“ და მეტი აღარაფერი მინდა, არა გჯერა?

— თქვენთან კიდევ არ მოსულა? — შეფიქრიანდა მარო.

— არა! რატომდაც მარტო თქვენთან მოდის! — წყენით თქვა თეკლამ.

— მარტო ჩვენთან არა?..ღმერთო! ეჭვი მაჭვს ერთ რაღაცაზე — მაროს თვალები გაუფართოვდა. ეჭვი მაჭვს!

— რაო, მარო, თუ ქალი ხარ, მეც მითხარი!

— ვერ გეტყვი! მაიც არ დამიჯერებ და დამცინებ კიდეც, არა, არა თავი დამანებე!

— მითხარი.

— ვერა!

— მითხარი, გემუდარები...

— მოდი შევთანხმდეთ! ყურში გეტყვი და თუ არ დამიჯერებ, ვითომც არაფერი მითქვამს!

— ყურში რათა ქა, ორნი ვართ, მარტონი ვართ...

— მრცხვენია! — ეს ისე გულწრფელად წაროთქვა მარომ, რომ თეკლა მყის დათანხმდა.

— აპა ყური და ილაპარაკე რამდენიც გნებავს — ყური მაროს ტუჩებს მიადო.

— კარგი ერთი... რას ამბობ? უი, უი!.. მეხი კი დავაყარე მაგას... — ასეთი რეპლიკების თანხლებით მარომ თავისი ეჭვები გაუნდო თეკლას.

პაუზა დიდხანს გაგრძელდა.

— როგორ გავიგო არ ვიცი... მართლა ეგრეა თუ დამთხვევაა, ნეტავ? არ ვიცი რა ვქნა... დავიბენი.

თეკლეს ერთმა აზრმა გაუელვა, პირიც კი დააღო სათქმელად, მაგრამ გადაიფიქრა და ისევ დამუწა.

— რაო, გო?.. რა გინდოდა გეთქვა?

— ღალატში თუ არ ჩამეთვლებოდა... წამოიწყო თეკლამ.

— ეგ რა გაიფიქრე, შე კახპა შენა, — გაცეცხლდა მარო, — გაწიწმატდა. — შე კახპა შენა, როსკი პო!

— შენ რა იცი, მე რა გავიფიქრე?

— გაეცინა თეკლას, — იმიტომაც, რომ შეც ეგ იფიქრე!

— ჰო, მეც ეგ ვიფიქრე. — გამოტყდა მარო.

ორივენი გაჩუმდნენ. ეტყობა, შემდეგ ნაბიჯს თვლიდნენ.

— ერთი ღამე რომ მაინც მომცადენი!.. — თეკლამ ამოიოხრა, თან ალალი დარდი ამოაყოლა.

მარო შეგნებული ქალი იყო, მარომ უცებ გადაწყვიტა!

— სხვას მაინც ვერ ვენდობი. ქვეყანას მოსდებს. შენი იმედი მაქვს — ჩვენს შორის დარჩეს ეს ამბავი. მისას ვეტყვი, რომ რაღაც ხელობა სჭირდება თეკლას, მარტოხელა ქალია, გადადი, დაეხმარე, მადლია — მეთქი, შენ პური და ღვინო დაახვედრე ხომ იცი, პატიოსანია, ისე ვერ შეაცდენ.

— ვიცი, ვიცი! — გაიცინა თეკლამ.

— რა, ეჭვი გებარება? თუ არ დათვრა, ეგ მეც არ მეკარება! თეკლამ არაფერი უპასუხა. არადა „მწარე“ პასუხი ჰქონდა მომზადებული. სხვა დროს აუცილებლად ეტყოდა.

— ან ეკდოტი იცი? — უცებ ჰკითხა მაროს.

— რომელი?

— ჰელო რომ ქალაქში წავიდა ექიმთან.

— მერე, მერე? არ ვიცი!

— ექიმს შესჩივლა: ქმარი ვერ მაკმაყოფილებსო! საყვარელი გაიჩინეო, ურჩია ექიმმა. მყავს, მაგრამ ისიც ვერ მაკმაყოფილებსო. მეორე გაიჩინეო, უთქვამს ექიმს. მეორეცა მყავ, მესამეც და მეოთხეცაო, მაგრამ ვერ მაკმაყოფილებენო. ექიმს გაოცებულს უპასუხნია, ქალბატონო, თქვენ ავადმყოფი ყოფილხართო! ჰკითლის უთქვამს: ჰოდა ექიმო, ცნობა მომეცი, რომ ავადმყოფი ვარ, თორე სოფელში ბოზს მექახიანო!

მარო ჩაბჟირდა...

— შენ კიდე ელექტრიკ ედიკასთან მიდი, ცნობას მოგცემს, ვითომ „მანტიორი“ ხარ! ეე, თეკლა! კიდევ კარგი ეჭვიანი არა ვარ, თორემ ცნობას მოგცემ-

დი შენა! წადი, დამეტარგე!

თეპლამ მარტოხელა ქალს რომ შეშვენოდა, იმაზე კარგი სუფრა გაშალა, მიხა მოვიდა, რაღაც მიაჭედა, რაღაც ჩამოხსნა, რაღაც სხვენზე აიტანა და „სამუშაო დღეც“ მორჩა. ის იყო წასვლა დააპირა, თეკლამ პურმარილზე მით პატიჟა.

— მაროსაც დავუძახოთ, — ალალად თქვა მიხამ.

— მიხა, ისეთი რაღაც უნდა გითხრა, მოწმე არ უნდა მყავდეს.

— კარგი, — უცებ დანებდა მიხა — დაასხი. შენი დაწურული ღვინით მინდა დაგლოცო!

— შესვეს. მიხამ ხაშლამა გადაიღო.

— პოპოპო — რას თანთალებს!

— რაღაცას გაგონებს არა? — ახითხითდა თეკლა, — ერთიც დალიე და უკეთ წარმოიდგენ რაღაც-რაღაცებს!

— რას გულისხმობ, მეზობლის ქალო! — ეჭვმა გაპრა მიხას.

— აი, მოსკოვში რომ იყავ... იმაი ვგულისხმობ! აი, იქ თეთრი, თეთრი ქალები რომ არიან აი, სწორედ იმას ვგულისხმობ. მუსიკაზე რომ ცეკვავენ და მერე...

— რა მერე? — იკითხა მიხამ

— დენი რომ მქონდეს ტელევიზორს ჩავრთავდი (მაგნიტოფონი „ვესნა“ გამიფუჭდა), ვიცეპვებდით და ნახავდი, რაა მერე. მიხამ დიდი ჯამი გაავსო, უსიტყვოდ დალია და წამოდგა.

— მოდი ვიცეკვოთ! ვითომ უკრავს ეგ ოზერი მუსიკა!

თეკლაც თეატრალურად მიეჭრა,

დაბზრიალდა, კაბა აიგეც-ჩაიკეცა. მიხას თვალი რომ გაექცა, ერთბაშად ჩაუხვია და მკერდიმკერდს მიყრდნობილი ნელი ტანგო წამოიწყო. ძალიან მაღე თეკლას ლოგინიც აჭრიალდა და ოთახში შუქი მოვიდა!

— მე წავალ, — თქვა მიხამ წყნარად.

— მაიცა! ტელევიზორს ვუყუროთ ერთად! რა ბედნიერი ვარ!

— რო მოგვადგეს მაროი...

— არ მოვა! — გადაჭრით ნათქვამა მიხა დაამშვიდა.

— კიდევ დავლით და მერე კიდევ ერთხელ... დენი დილამდე რომ იყოს!

— თვალი ჩაუკრა აღტაცებულმა ქალმა მორჩილ მამაკაცს.

— დენი რა შუაშია ჩემს წასვლასთან, მე რა... აკუმულიატორი ვარ?

— გაიკვირვა სტუმარმა.

— აკუმულიატორი კი არა „დვიუოკი“ ხარ „მიხავ“, „დვიუოკი“, თანაცორ კილოვატიანი! — დააზუსტა მასპინძელმა. თანაც ტელევიზორი ჩართო. ეს უკანასკნელი აციმციმდა, მერე ვიღაც საუბრობდა, სამეცნიერო გადაცემა აღმოჩნდა.

— გამორთე ერთი ეგ იდიოტი, რაში გაინტერესებს!

— იყოს შენ შემოგევლე, რომ აჩვენებს ის მიხარიან, რას ამბობენ სულ არ მაინტერესებს!

ტელევიზორის შუქზე თეკლას შიშველი სხეული ცისფრად ლაპლაპებდა (ფერები დაკარგოდა ძველ, საბჭოთა ტელევიზორს) მიხა დაიძაბა.

— მოდი ჩემთან თეკლა... — ჩაიჩურჩულა, თითქოს ეშინოდა არავის

გაეგონა მისი ხმა.

— მოვფრინავ ჩემო ენერგოწყაროვ, სიცოცხლევ! — თეკლა ლამის თავზე დაახტა მიხას. „დვიურკი“ დილამდე მუშაობდა.

— მართალი ვყოფილვარ! აღელვებული ხმით წარმოთქვა მარომ, პირვე-ვარი გადაიწერა. ფანჯარას მოშორდა და საძინებლისაკენ წავიდა. გზას „ლამ-ფა“ უნათებდა...

### X X X

მეორე დღეს თეკლამ კლუბის დირექტორის კარი შეაღო.

— რამ მოგიყვანა თეკლა ამ სიცოვეში, ამ გაყინულ კლუბში, — დირექტორი ფეხზე წამოდგა და სკამისკენ წაუძღვა მოულოდნელ, ახალგაზრდა სტუმარს.

— კინოს ხალხი აღარ უყურებს არა? — ჰკითხა თეკლამ.

— რაც ტელევიზორი შემოვიდა, ნელ-ნელა იქლო ხალხმა.

— ხომ იცი, ოცდაათი წელია აქ ვმუშაობ. პირველად იცოცხლე, სავსე მქონდა ყოველდღიურად დარბაზი. ეს „მამლუქიო“, „აბეზარაო“, „თოჯინები იცინიანო“, ინდური ფილმი ხო თვეობით გადიოდა, ათ-ათჯერ უყურებდა ხალხი. მერე და მერე ჯერ „ილუზიონიმა“ წამართვა მაყურებელი, მერე „ეს ესტრადაა“-მ, ფეხბურთებმა. ამ ბოლო დროს კი ყოველდღე ამერიკული კინო იყო და აქ ვიდა შემოვიდოდა, აბა!.. — დირექტორმა გრძელი მიმოხილვა დაასრულა და კითხვით სავსე თვალები მიაპყრო მომხიბვლელ თანასოფლელს.

— ახლა ტელევიზორი თითქმის აღარავისთან მუშაობს, ორ-სამს თუ აქვს „დვიურკი“, დანარჩენი ყველა აქ მოვა, კინოს თუ გაუშვებ!

— მართალი ხარ, მაგრამ დენი? ამას რომ „დვიურკი“ უნდა, იმის ფული გამგეობასაც კი არა აქვს, თანაც კუპონებში ვინ მოგცემს ეგეთ „დვიურკის“, რუსი ჯარისაგან თუ შეიძენ, მანეთებში!

— ერთ საიდუმლოს გეტყვი, უფრო სწორად ბიზნესს გეგმასა!

დირექტორმა ყურები ცქვიტა.

— კლუბში რო დენი მოგიყვანო, პურმარილ იკისრებ?

— პურმარილს კი არა... წილში ჩაგაყინებ!

— ეგ თავისთავად! — საქმიანი ქალის პოზა შეიფერა სტუმარმა.

კრანის უკან პატარა გასახდელო ოთახი რომ გაქვს, იქ პურმარილი გაშალე ორ კაცზედა. შენ სეანსი დანიშნე ხვალ, 10 საათზე...

— 10-ზე გვიანია, ზამთარია, ყველას სძინავს...

— მართალია, ადრე დამდება. სანამ ქათმებივით არ დაეძინებათ, 6-ზე დანიშნე.

— რა ფილმი გავუშვა? ინდური რო გავუშვა, ორი სერია? — დირექტორს სიცოცხლე დაუბრუნდა. თეკლა დაფიქრდა.

— კარგი ღვინო თუ იქნება... იყოს ორი სერია, ოღონდ ერთი პირობით იქ ტახტი შეიტანე.

— ტახტი არის! — კინალამ წამოსცდა „არის უფროსოო“. დროულად „დაამუხრუჭა“ დირექტორმა.

წილზე შეთანხმდნენ და ხელი-ხელს დაპკრეს. გამომშვიდობებისას დირექტორმა მიაძახა:

— თუკლავ, ხომ იცი „მელკი“ აფერისტობაზე „სროკია“!

— ეს „კრუპნი“ გამოვა! — გაუცინა თეკლამ.

მისა მოძებნა სოფელში და გააფრთხილა:

— მიხა, ხვალ არ დალიო, საღამოს კლუბში უნდა ვიყვეთ.

— კლუბში რა ოხრობა მინდა?! —

— პურმარილზე ვართ დაპატიჟებული.

— ოოო, ეგ სხვა საქმეა! —

— თანაც — დასძინა თეკლამ — ჩვენს მეტი არავინ იქნება!

### X X X

6 — საათისთვის ოთხასამდე ადამიანი კლუბთან ჭრიალებდა. „ლამფუის“ შუქით „განათებულ“ დარბაზში შედიოდნენ და სხდებოდნენ.

— დენი არ მოვა, — ბუზღუნებდნენ ხელების სრესით, — გვატყუებენ!

— არ მოვა და არ დავამტვრევ თავყბასა იმ გასიებულ დირექტორსა?

— თქვა ვიდაცამ ჩახლეჩილი, ავტორიტეტული ხმით. ამ ხმამ ყველა დამშვიდა.

ამ დროს თეკლამ მიხა ოთახში „შეაპარა“. მიხამ სუფრას გადახედა, ოთახი მიათვალ-მოათვალიერა, ტახტზე საბანი და ბალიში რომ დაინახა, ყველაფერს მიხვდა და შემფასებელი კაცის დამაჯერებლობით თქვა:

— ყოჩალ, თეკლა!

ცოტათი წაიხემსეს, ცოტა დალიეს.

მიხამ წამოიწყო.

— ეს ხალხი რამ გაასულელა, ამ ბნელაში რო სხედან? რაო, კინოს ელოდებიან?

— ჰო, კინოს ელოდებიან, ორ სერიანს: ვიღაცას ბავშვს მიუგდებენ. ის ბავშვი გაიზრდება და თავის დას შეიყვარებს მერე დედამისი თავს იკლავს — ხალით იცნობს თავის შვილსა...

— ეგ „ბაში აჩუქსა“ ჰგამს — გაიცინა მიხამ

— იქ მმას იცნობს თავისი და ხალითა...

— ჰო, კარგი, კარგი! როგორც არის!

— მიხამ ჭიქა ასწია. — ეს იმ ერთადერთ მანდილოსანს გაუმარჯოს, რომელიც იმ ორასი სულელი დედაკაცისაგან იმით განსხვავდება, რომ მაგ სისულელის ამ ყინვაში ცქერასა მიხასთან ყოფნა და სიამოვნება ურჩევნია მააააშ!

— მაშ, ჩემო სიცოცხლევ! — თეკლამ საათს დახედა. 6 სრულდებოდა

— მაშ! — კიდევ ერთხელ თქვა და დიდი, ხანგრძლივი, ფრანგული კოცნა წამოიწყო მიხასთან. დარბაზში ნათურებმა ბჭუტვა დაიწყეს. გახარებულმა მაყურებელმა ტაში დასცხო. გაოცებული კინომექანიკოსი ძილბურანისაგან გამოერკვა, წამოხტა და ფირის აპარატში ჩადება დაიწყო. მიხამ თეკლა ტახტზე მიაწვინა და ლიფი აუწია, თავი თეკლას მკერდში ჩაჰვა... ძაბვამ იმატა. დარბაზში კონტროლიორი შემოვიდა და ბილეთების შემოწმება დაიწყო, ვინც შემოპარული გახლდათ, ისეთი დიდი სტრესის ქვეშ იყო, იმანაც წაიღო ჯიბისკენ ხელი, ფულის ამო-

საღებად. მიხამ ყველაფერი გახადა თეკლას, ტახტიც ამოძრავდა და სეან-სი დაიწყო. ტიტრების კითხვით არც ადრე იკლავდა ვინმე თავს, მაგრამ ამჯერად, რაღაც სხვანაირად საზეომო აზრთა — გაცვლა-გამოცვლა სუფევდა დარბაზში! მიხამ პირველი და მეორე სერიაც ვაჟკაცურად „შეასრულა“: თეკლა და დირექტორი ორივენი დაქმაყოფილებული იყვნენ, თავისებურად, რა თქმა უნდა! მიხამ ჩაიცვა და გარეთ გამოვიდა.

— ჰა, როგორი ფილმი იყო მიხა, მოგეწონა?

— მაგარი იყო, მაგარი! უპასუხა მიხამ ჯერ კიდევ არდაშლილ ახალ გაზრდებს.

კლუბის გამგე თეკლას კაბინეტში დახვდა.

— ქალო, ჯადოქარი ხარ?

— რაცა ვარ, ეგა ვარ! ფული მამე!

— აჲა, ეს შენი წილია, — კუპონები გაუწოდა თეკლას — ისე, ვისთან ერთად ქეიფობდი?

— ეგ ფირმის საიდუმლოა! შენ მებაღეს რას ჰკითხულობ?

— არა, არა! რას დავიძებ, შენ ოღონდ კინო გამაშევბინე და გაზაფხულამდე „მერსედეს“ ვიყიდი.

— რა ჭირად გინდა „მერსედესი“! ჩამოგაგდებენ და აზერბაიჯანში გაყიდიან. „ვოლგა“ — იყიდე, მარად ახალგაზრდა იქნები!

— ეგ როგორ?

— „ორერას“ „ზაპისები“ ჩადე, „ვოლგა“-ში ჩაჯექი და 1971-ში ამოცყოფ თავსა.

— ჲა, შე, ეშმაკო შენა! დამცინი არა?

ერთი განახა რა ჯეელი ვიყავი?!

თეკლამ ახედ-დახედა, შეაფასა და უთხრა:

— დიდი-დიდი ორასვატიანი იქნებოდი!

დირექტორმა ვერაფერი გაიგო. თეკლამ თავისი ჩანთა, რომელშიც ლეიბი, საბანი და ბალიში ედო, აიღო და გარეთ გამოვიდა:

— აბა წავედი, მალე დენი ჩაქრება!

— შემდეგი სენსი ხვალ ხომ? მიაძახა დირექტორმა.

— ხვალ არა, შეიძლება „აკუმლატორი“ დავდეს. ამდენს ვერ გაუძლებს... სამი დღის შემდეგ იყოს.

— ფილმს ჩამოვიტან, აფიშებს დავამზადებ

— გეგმა დააწყო „კლუბმეისტერმა.“

— კი, ეროტიკა ჯობია, ბევრი დალევა არ დასჭირდება!

— შენ დენ მიმიხედე! ისე გაცხოვრო რომა, დედოფალივითა!

ეროტიკული ფილმის აფიშაც მალე გამოაგრეს სოფელში. თეკლამ მიხას პაემანი დაუნიშნა.

— შენ რა სულ კლუბში მიბარებ, სახლი არა გაქვს?

— სახლში ნათესავები მომივიდნენ, მიხა! უარს ნუ მეტყვი! რა, განა ცუდი იყო კლუბში?

— ცუდი არ იყო, მაგრამ... ეჭვი მაწვალებს! რაღა მაინცა და მაინც იმას რო ვშვრები, მაშინ მოდის ეს ოხერი დენი!

— მოდის და მოვიდეს! ეგ მეც შევამჩნიე! — თავი მოისულელა თეკლამ

— ჩვენ იმასა ვშვებით, ხალხი კი კმაყ-

ოფილია.

— შენც რა სულ ხალხზე ზრუნავ ლენინივითა, აი! ამ სიტყვაზე მიხას მეორე სიტყვა გაახსენდა სკოლიდან: „ექსპლუატაცია“!

— ესე იგი შენ მე ექსპლუატაციას მიწვე? მერე? მერე მე რა? მე არაფერი?

— შენ პურმარილი, ლამაზი ქალი — დერძის გარშემო დატრიალდა — და კუპონებიც —.. აპა, აიღე შენი წილია! მიხამ ფული გამოართვა, სასწრაფოდ გადაითვალა და ჯიბისკენ გააქანა.

— ეგრე ცოტა?

— დირექტორს ახლა ეროტიკა ჩამოაქვს და მეტს გამოვართმევ. თანაც, ყველაფერი შენზეა დამოკიდებული, კარგად იმუშავებ, მეტს მიიღებ! ასე-თია კაპიტალიზმის ულმობელი კანონი!

— ქალო, მე ცოლი არა მყავს?

— ეე, ეგეთები არ იყოს! კინოს გაშვება ჩემი იდეა!

პატენტი მაქვს აღებული. შენმა ცოლმა და შენ თქვენი სახლი გაანათეთ, მუქთაზე! მე ფულს ვაკეთებ! არგუმენტი მყარი იყო. მიხა გაჩუმდა.

### X X X

ეროტიკულმა ფილმმა სულ გადარია ხალხი, უფრო სწორად, მართებულად რომ ვთქვათ, ნახვის სურვილმა.

დარბაზი ერთი საათით ადრე გაივსო. მიხა პურმარილს მიუჯდა, თეკლა გვერდით მოისვა. მიხამ მაგიდას გადახედა:

— ამოდენა სუფრაზე ვინმე არ მოგვეწვია?

— აქ მე და შენ უნდა ვიყოთ მარ-

ტონი, ბიჭო! საქმე ეგრე კეთდება! — გაიცინა თეკლამ, — სეანსის შემდეგ ვინც გინდა ის მოიყვა და ჩაისხი ეგ ოხერი ღვინო!

ფილმი დაიწყო. მიხამ და თეკლამ თავიანთი „ფირმენი“ ქოცნა წამოიწყეს, მაგრამ თეკლამ შეატყო, რომ მიხას რაღაც ცეცხლი აკლდა. დიდხანს ეხვევიდნენ ერთმანეთს, ტახტიც ჭრიალებდა, მაგრამ დარბაზში ძაბვა დაბალი იყო. ფილმი ხარვეზებით მიღიოდა, კიდევ კარგი ერთსერიანი იყო, თორემ მეორეს მიხა ვეღარ „გაქაჩავდა“. არადა, რაღაც ბედად, თურმე მაშინ ჩერდებოდა სეანსი, როცა ვიღაც მაგარი ქალი იხდიდა. ხალხი ძლიერ უკმაყოფილო დარჩა!

თეკლამ დირექტორისაგან მოტანილი ფული მიხას გაუყო. მიხამ ჯიბისკენ გააქანა დაუთვლელად. იმდენად უკმაყოფილო იყო თავის თავით, ხმას არ იღებდა.

— მიხა, მომისმინე! დირექტორი დენის ხარისხით არ არის აღფრთოვანებული, ძალიან ღელავს, ასე თუ გაგრძელდა, ბიზნესი ჩაგვეშლება:

— ბიზნესი და სიყვარული მე არ გამიგია! — აღმოხდა მიხას.

— როგორ, კაცო? ნახე ერთი დღევანდელი კინო და მიხვდები. შენ გვინია, იმ კინოში ქალები სიყვარულით იხდიან?

— მეც გავიხდი, რა... მერედა დენი მოვა?

მიხა მართალი იყო. თეკლა შეფიქრიანდა.

— რა ვქნა, — მოწყენით თქვა მიხამ, — დაგეგმილი როა, ეტყობა ის ხალისი

არ არი.

— კარგი, კარგი, დამშვიდდი. შენ დასვენება გჭირდება, ხვალ 7 საათამდე ისევ ძელი მიხა იქნები.

— საერთოდ ხომ არ გამდის მუხტი? იქნება და ვბერდები, ხომ ბერდება ხალხი, აღარაფერი უნდათ!

— რა დროს შენი სიბერეა?! შენა ბიჭი, ფსიქოთერაპევტი გჭირდება და მე ჩაგიტარებ ხვალ მაგ ფსიქოთერაპიას, არატრადიციული სექსის მეთოდებითა! — მიხამ პირი დააღო.

ხალხი კლუბისკენ დაიძრა.

— დღეს კარგ დენს გვპირდებიან, ხარვეზები აღარ იქნებაო, ამბობენ! — აგულიანებდნენ თანასოფლელები ერთმანეთს. მიხამ უკანა შესასვლელთან თეკლა და ვიღაც მშვენიერი გოგონა დაინახა, ერთმანეთს ესაუბრებოდნენ. თეკლა მიხას დანახვაზე სასწრაფოდ დაემშვიდობა გოგონას და მიხას შეეგება.

— შევიდეთ, ვინმე არ დაგვინახოს!

— კარისკენ უბიძგა მიხას.

— ის გოგო ვინ იყო? — იკითხა მიხამ.

— ჩემი სტუმარია, თბილისიდან, ხომ გითხარი ამასწინათ, ნათესავები მომივიდნენ — თქო?

— მერედა, გოგო ეროტიკაზე მაიყვანე?

— არა, კაცო! სახლში გავუშვი!

— ჰოო, კარგი გოგოა! — ნაღვლიანად თქვა მიხამ.

— შენ ეხლა ეგეთებს თავი დაანებე! მე რა, ცუდი გოგო ვარ? ვინდა ახლა აქ რიგი დავაყენო? მიხამ უხალისოდ გაიცინა... თან ოთახში შევიდნენ.

— ჰო, ამ სოფლის ეროტიკა შენა ხარ! ამათ რა იციან?!

— ეროტიკა რომ ვარ ეგ შენ იცი, სინამდვილეში კი მე სექს ბომბი ვარ! და არა მარტო ამ სოფლის!!!

— რაო? — ინტერესი გაუღვივდა მიხას.

— მაშა, მაშა... დაეგდე აქა და რამე გადაიღე, მოშიებული იქნები!

რამდენიმე ჭიქა, რომ დალიეს კარებზე ფრთხილი კაცუნი გაისმა.

— ვინ უნდა იყოს? — შემფოთდა მამაკაცი.

— არ ვიცი, ახლავე ვნახავ. — თეკლა წამოდგა.

— არა, სჯობს არ გააღო, დირექტორი არ იყოს!

— თუ დირექტორია, აქ არ შემოვუშვებ ნუ გემინია ამ ლაპარაკში თეკლამ კარი გამოაღო, რაღაცა ჩაიჩურჩულა და მიხას გამოხედა:

— ის ჩემი ნათესავი გოგოა! შამოვიდეი?

— რა თქმა უნდა! — მიხა წამოდგა, სკამები ენერგიულად მისწი-მოსწია, ოთახში ლამაზი, ჯანმრთელი გოგონა შემოვიდა სიცივისაგან თვალებაცრემ-ლებული.

— გაიცანი, ეს მიხაა! ეს კიდე მაკა!

მიხა მიუახლოვდა, თვალი-თვალში გაუყარა და რომ არ შეშვენოდა ისე ნაზად თქვა:

— გამარჯობა, მაკა!

— დაბრძანდი! დაბრძანდი! სანამ სეანსი დაიწყება, მერე კი წადი, უფრო სწორად, მიირთვი და სეანსის დაწყებამდე წადი. ჩვენ საქმე გვაქვს. — თეკლა აღელდა. მიხამ ჭიქები გაავსო.

- ისე სიხარულით გევლოს და ისე განათებული გზა გქონოდეს, როგორც შენ შემოანათე ამ ჩაბნელებულ სოფელში! — თეკლას გადახედა — თუ გინდა... წუთისოფელში!
- თქვენ ფილოსოფოსი ყოფილხართ, — გაიცინა მაკამ
- როგორც ყველა კახელი — თქვა მიხამ და ჭიქა ბოლომდე დასცალა!
- კინო გიყვარს? — უცებ ჰქითხა მიხამ.
- კინო მიყვარს, მაგრამ ეროტიკული არა, უფრო რომანტიკული ფილმები მიყვარს, ფრანგული განსაკუთრებით.
- ფრანგული კოცნა მეც მომწონს, რაღა დაგიმალოთ! — წამოსცდა მიხას.
- მიხა! უცხო ადამიანთან ეგ რა ლაპარაკია, არ გეკადრება! — შენიშვნა მისცა თეკლამ.
- არა უშავს, — ღიმილით თქვა მაკამ, — სოფელში ყველაფერი ნატურალურია, ნატურალური თავისთავად კარგია: ყველი, ღვინო, სიტყვა-პასუხიც... ალბათ.
- სიტყვა-პასუხის რა მოგახსენოთ ჩემო მაკა, ხშირად კახელებს ძაან ნატურალურად გამოგვდის ეგ საქმე!
- სამაგიეროდ, კარგად გამოგდით!
- თვალებში შეხედა და ისე უპასუხა მაკამ. თეკლამ შეშფოთებული თვალებით შეათვალიერა მაკა. შემდეგ მიხას გახედა, თვალით ანიშნა, დროაო.
- ნატურალურ სიყვარულს გაუმარჯოს, — წამოდგა მიხა, — ანუ ნამდვილს! რა მნიშვნელობა აქვს, სოფლის არის თუ ქალაქის?
- მაგაში გეთანხმებით. — თქვა მაკამ და ღვინო მოსვა.
- ოო, ეგ ღვინო გაქეთებული არ არის, ეწყინება! ბოლომდე უნდა დალით!
- მიხა, გეყო, მაკა არ სვამს! — ეს თეკლებ თქვა.
- ასეთ ღვინოს აუცილებლად დავლევ! — მაკამ ბოლომდე დასცალა ჭიქა.
- კარგი მიხა! მალე სეანსი დაიწყება, მაკა წასასვლელია. — შეევდრა თეკლა.
- სეანსი-მეანსი მე არ ვიცი. მოდი, ჩვენს სტუმარს გაუმარჯოს, რომელმაც სიცოცხლე შემოიტანა ჩვენს მოწყნილ ცხოვრებაში! — დალია და თეკლას მიმართა:
- მუსიკა არ გვაქვს?
- დენი არ არის! — მოუჭრა თეკლამ.
- მოდი ისე ვიცეპვოთ, უმუსიკოდ!
- ეგ როგორ? — გაიკვირვა მაკამ.
- უყვარს მაგას უმუსიკოდ ცეკვა!
- თითო საფეხქელთან მიიტანა თეკლამ და დაიტრიალა.
- თეკლა, შენ იმღერე და ჩვენ... ვიცეპვებთ, ხომ კარგი აზრია? ამდენი მსმენელი ერთად მანც არ გეყოლება!
- დამცინი არა? რა ვიმღერო?
- „შატილის ასულო!“ — რაც გინდა, ის იმღერე!
- თეკლამ ღიღინით წამოიწყო: „შატილის ასულო, ლერწამო ტანითა...“ მიხა წამოდგა, თავი დაუკრა მაკას.
- გოგონა წამოდგა, თავისუფლად, მოურიდებლად მიეყრდნო მიხას მკერდს. ასე ტრიალებდნენ უხმოდ.

მიხას ურუანტელმა დაუარა, თავისი გულისცემა ესმოდა. რაღაც არგანცდილი სითბო დაეუფლა. თეკლამ ხმას აუწია.

უცქ, კარადაზე შემოდგებულმა მტკრიანმა მაგნიტოფონმა დაკვრა დაიწყო!

— დენი მოვიდა! — შეპყვირა გაოგნებულმა თეკლამ. თეკლა გარეთ გავარდა, დარწმუნადა, რომ სეანსი დაიწყო! იგი დაიწყო ყოველგვარი ჭახტის ჭრიალის გარეშე! ის იდგა ქანდაკე-

ბასავით და უცქერდა, თუ როგორ გაფრინდა მშვილდისრიანი ანგელოზი ოთახიდან ღია ფანჯარაში, რომელიც ვიღაც დაუდევარს გაეღო, მიხა და მაკა კი ისევ ცეკვავდნენ. მათ არ სცოდათ, მათოვის ნამდვილი, ელვარე დენი ანათებდა, მათოვის ყველგან გაზაფხული იყო! მარადიული, დაუსრულებელი გაზაფხული, რომელსაც ადამიანები მეორენაირად სიყვარულს უწოდებენ.

**ნუგზარ ერგემლიძე. 1999წ.**

**თბილისი**

**ახალი რედაქცია 2009.**

**აგვისტო. სპეციალურად შურნალ  
„სიტყვა“-სათვას.“**

## ორგორ დაგადგენის ფოთელს უროვნება

დამაწინაურეს. სიდედრის რჩევით ახალ სამსახურში გადამიყვანეს. რა დაგმალო და, სიდედრი სულ ამას ჩას-ჩიჩინებდა ჩემს მეუღლეს, რა სამსახური აქვს ასეთი შენს ქმარს, რომ თვეში 32 დღე მივლინებაშია, მაგას რად უნდოდა ცოლი ან შვილიო. ჰოდა, მეც გამოვიცვალე სამსახური.

ძველ სამსახურში თავს მეფესავთ ვერძნობდი. განყოფილების უფროსი ვიყავი და ჩემს ხელქვეითებს ჩემი სურვილის მიხედვით დავარბენინებდი. ახლა მეც რიგითი სპეციალისტი ვარ და მიდი და ირბინე სხვის სურვილზე. თან ვფიქრობდი, როგორ მიმიღებდა კოლექტივი, როგორ გავუგბდი და როგორ გამიგბდნენ. ხომ მოგეხსენებათ, ახალი ფეხსაცმელი როგორ გეხსამუშება, სანამ შეეჩვევი და მოირგებ. მეც თავს რაღაც უხერხულად ვერძნობდი. ჩვენი განყოფილების გამგის მოადგილესთან შემიყვანეს, ერთი შეუხედავი, მუზუზალივით შვი ადამიანი აღმოჩნდა, უცხვირპირო. ეს რომ ნაყინის გამყიდველი იყოს, ამისგან ნაყინს არავინ იყიდის — მეტე, - გავიფიქრე.

განყოფილების გამგემ შემიყვანა ჩემს სამუშაო ოთახში, მომიჩინა საწერი მაგიდა და ამაყად გამოაცხადა: იცნობდეთ, ჩვენი ახალი თანამშრომელია, გვარად წერეთელი. მეც ძველი ოფიცერივთ ფეხი-ფეხზე შემოვარტყო და ისე მივესალმე ახალ კოლეგებს.

დავჯექი ჩემს საწერ მაგიდასთან და გადავხედე ოთახს. ოთახი ძალზე პატარა მეჩვენა იმ თანამშრომლები-

სათვის, რომლებიც აქ გრანდიოზულ სამუშაოს ეწეოდნენ.

როგორც ყველა ახალ თანამშრომელს, მეც მსურდა გამეგო ჩემი კოლეგების გვარი, სახელი, წარმოშობა, განათლება, თუ რას საქმიანობდნენ და რითი სუნთქავდნენ.

ჰოდა ჩემს პირდაპირ მჯდომ ერთ-ერთ ულვაშიან, სიმპათიურ ახალგაზრდას მივმართე: — მეგობარო, თქვენი გვარი და სახელი მიბოძეთ, თუ შეიძლება.

— დავით სავანელი!

— სასიამოვნოა, — სადაური ხარ წარმოშობით?

— კახელი ვარ, წინანდლიდან.

კიდევაც არ გამიკვირდა, რომ „ტანკივით“ იჯდა და ჩემი ოთახში შესვლა თითქოს არც გაუგია.

ისევ ფიქრებმა წამილო. შევხედე ცარიელი წყლის გრაფინს და გამახსენდა ძველი სამსახური, რომ ჩავახველებდი, უკვე ხვდებოდნენ და ციფი წყლის მოსატანად გარბოდნენ. ახლა კი დაჯექი და ახველე რამდენიც გინდა... ნუთუ ასაკით ჩემზე უმცროსი არავინ იქნება, რომ ხანდახან წყლის მოსატანად გავგზავნო!

გადავხედე ოთახს და იქვე ჩემს გვერდით მჯდომ თანამშრომელს მივუტრიალდი, რომელიც ყველაზე ახალგაზრდულად გამოიყურებოდა.

— რამდენი წლისა ხართ?

— ორწლიურია რვის!

ბიჭიკო მამჩემზე 2 წლით უმცროსი აღმოჩნდა. გუნებაში გავი-

ფიქრე, ალბათ, ყვავის ჯიშისაა — მეთქ.

- რა გვარისა ხართ?
- ელიავა, სამეცნიეროში გავიზარდე და იქ მივიღე განათლება.

ხოს! რა ინტრიგანის სიფათი აქვს, რა ქნას, მაგის ბრალი ხომ არ არის ბანძაში რომ დაიბადა.

ისევ ფიქრებმა წამიღო. დროის მოსაკლავად ჩემგან მარცხნივ მჯდომ სიმპათიურ ახალგაზრდა მივაპყარი მზერა, რომელიც თითქოს არც მამჩნევდა და მტრის ჯიბრზე საანგარიშოს კუთხით რაღაცას ცოდვილობდა.

— უკაცრავად, რომ მუშაობას გაწყვეტინებთ, მიბრძანეთ თქვენი გვარი?

კვირტია ვარო, ზუგდიდიდან, სკოლა იქ დავამთავრე, მაგრამ სულ გადმოვედი თბილისში საცხოვრებლადო.

ახლა ჩემს მარჯვნივ მჯდომ ტარაკანასავით შავ ბიჭს მივუბრუნდი, შევხედე, სომეხს ჰგავდა. ზრდილობის გულისთვის იმასაც ვკითხე გვარი და ეროვნება.

მან ამაყად მიჰასუხა:

- ერისთავი ვარ, ტოო!

კინალამ არაბული ყირა დავარტყი, მაგრამ მაგიდამ არ გამიშვა. გუნებაში გავიფიქრე, ალბათ თხუთმეტ მანეთიანი ერისთავია. ჯანდაბას მაგის თავი, ბაგრატიონზე, რომ არ დაეწერა, მაგრამ სიფათი მაინც ჰყიდის, ნაღლი დაშნაკია.

ახლა ყურდღება ჩემს პირდაპირ მჯდომ თანამშრომელზე გადავიტანე, რომელიც ცმუკავდა და უადგილო რეპლიკებს ისროდა. გუნებაში გავიფიქრე, რა არის დედის სიყვარული, თორებ ეს რა გასაზრდელი იყო. მასაც

შევეკითხე სახელი და გვარი თავაზიანობის გულისთვის.

— ემ-პე-ზე ვარო.  
მე უცებ ავტობუსი „პაზი“ წარმოვიდგინე და შევეკითხე, თუ რას ნიშნავდა „ემ-პე-ზე“;

— როგორ არ იცით, - მე ვარ მერაბ პეტრეს ძე ზამბახიძეო.

— ეროვნება? — შევეკითხე მე.

— ფოთელი, - მიჰასუხა. გაკვირვება რომ შემამხნია, თვითონ დასძინა: ბატონო, ჩვენ, ფოთელებს ეროვნება არ გვაქს, გინდა რუსი იყოს, გინდა ებრაელი, გინდა თათარი, ვამბობთ, რომ ფოთელები ვართო.

შეატყო, ეს რომ გამიკვირდა, წამოდგა მაგიდიდან და შუა ოთახში დაიწყო მანჭვა-გრეხვა.

იცით, რა, მე ძველი მოჭიდავე ვარ, კარგად ვფლობ ქლასიკური ჭიდაობის ილეთებს: სუფლექს, გასაღებს და სხვა ამგვარსო.

მე მას დინჯად მივმართე. შენ თუ მოჭიდავე ხარ, ახლავე დავადგენ, მიგაყენე კედელთან და ვუთხარი: თუ ჭიდაობაში ვარჯიშობდი, კისერი მაგარი გექნება — მეთქი. ჩავუტარე უბრალო თბილისური ხუმრობა, მოვწიე თავში რაც ძალი და ღონე ქონდა, გავუშვი ხელი და ფოთელმა მოჭიდავემ ჟუმბარასავით მიახალა თავი კედელს, რის შემდეგ თვალები გადატრიალა და ძირს დაენარცხა.

ძალიან შევწუხდი, ასეთი ილეთით ხომ ჩემი მეხუთე კლასელი ბიჭიც არ ტყუვდება.

მე მართლაც მოჭიდავე მეგონა და ძალზე შევწუხდი, რომ ასეთი უადგი-

ლო ხუმრობით გავაცანი თავი ახალ კოლექტივს. „ემ-პე-ზე“ რამდენიმე დღეს აღარ გამოჩენილა.

ძალზე განვიცდიდი მის არყოფნას, ზოგი ხუმრობდა ტვინის შერყევით წევსო, ზოგი — თითქოს თავის ქალა აქვსო დაზიანებული, ახადეს ოპერაციის დროს, მაგრამ შიგ ტვინის ნატამალიც ვერ იპოვესო.

ბოლოს, როგორც იქნა გამოჩნდა „ემ-პე-ზე“, მმურად გამიღიმა და გადა-

მკოცნა. გახარებულმა მახარა:

როგორც იქნა დავადგინე ჩემი ეროვნება, გურული ვარ! წარმოშობით ჩოხატაურიდანო.

ასე დავადგენინე ფოთელს ეროვნება.

**გობრონ ჭირითებლი, –  
გადამდგარი გენერალ-მაიორი,**

## ნუბზარ ჭერეთელი

## 08082 მთვარე

თამაზ აფციაურს

ახლა ქარები დაატყდნენ მანგლის  
 იმ მოჟამული წვიმების მერე,  
 კვლავ შეჩვეული დარდები დაგლლის,  
 როგორც ზამთარი მთებსა და ველებს.  
 ქარიშხლის ზოლი წივის წალკიდან,  
 არ ჩანს ზამთრისპირ მზე მიბჟუტული,  
 უიმედობის ზარი აკივლდა,  
 გაქრა ჩიტების მშვიდი ქლურტული.  
 ქარი ფიჭვებში შლიგინით დაქრის,  
 გოხნარს ხალებად აზის ფარები,  
 ზოგჯერ იფიქრებ დატოვებ მანგლის  
 და ისევ თბილის შეეფარები.  
 თუმცა მნელია მოსწყდე მაგ ჭალებს,  
 სადაც აფრქვევენ სურნელს ქარები,  
 შენ სიყვარულით ნაღდით გაგმსჭვალეს—  
 ლექსის, წამლების, ცდის, დახმარების.  
 ისევ დაჰყვები საყვარელ მანგლის,  
 ხალხს ძველებურად ეიმედები,  
 მთვარე შავ ღრუბელს თოხივით მარგლის,  
 დიდი კლდეკარის ჩანან ქედები.  
 უნდა გალიო გზები უმარცხოდ,  
 არ შეანელო ბედთან კამათი,  
 შენს გუდამაყარს,  
 ჩოხს და ღუმაცხოს  
 იგივე ბადრი მთვარე დანათის.  
 ამ მთვარემ შავი ნისლიც გაცურა  
 და წამოედო გორას ნაციხარს,  
 უნდა იარო მუდამ კაცურად,  
 რადგან ქართული ლექსის კაცი ხარ.

მანგლისი, აგვისტო, 2009

**უბანში დარჩენილი პაცი**  
**თამაზ კილასონიას ხსოვნას**

ჭეშმარიტ ქართველს,  
 ნამდვილ ქალაქელს  
 და მეციხოვნეს გავდი,  
 დღეს თუ რაიმე მალაპარაკებს,  
 მხოლოდ კაცური დარდი.  
 მცველად ედექი საყვარელ უბანს,  
 პატიოსნების ნიშნით,  
 ისევ მოისხამ უბრალო ჯუბას,  
 ხელს აღარავინ გიშლის.  
 დაუყვედრებელ სიკეთეს თესდი,  
 კიდეც იცოდი ფასი,  
 და მხოლოდ ერთხელ სასტიკად შეცდი  
 ასე უდროოდ წასვლით.  
 ვერის უძველეს სასაფლაოდან  
 კვლავ გადმოჰყურებ უბანს,  
 ცხოვრება ადრე უფრო ყვაოდა  
 ახლა ქცეული ჩხუბად.  
 შენ კი ნატრობდი მუდამ მშვიდობას,  
 სხვების ყვირილიც გწყინდა,  
 საქართველოსთვის კარგი გინდოდა,  
 კვლავაც სიკეთე გინდა.  
 დარდებს წყაროსთან ძმაკაცი დაცლის,  
 მერე დაგიწყებს ქებას,  
 როცა უბანში დარჩება კაცი,  
 საქართველოშიც რჩება.

2009 წ.

ყმაწვილობიდანვე ვოცნებობდი მეთარგმნა ჩემი უსაყვარლესი პოეტის, უდიდესი ინგლისელი ლირიკოსის ჯონ კიტსის (1795-1821) რჩეული ლექსები. ვწუხვარ, რომ დღემდე ვერ ავისრულე ეს ოცნება და ახლადა ვეცადე ქართულად ამერტყველებინა შელის მიერ ღვთაებრივ ადონისთან გაიგივებული, ოცდაექვსი წლის ასაკში გარდაცვლილი გენია. თუ ხნოვნების გამო სურვილი არ გამინელდა და შევძლი, მინდა ვთარგმნო მისივე მოზრდილი შედევრი „მილი და პოეზია“, აგრეთვე, ბულბულის, შემოდგომისა და ბერძნული ურნისადმი მიძღვნილი დიდი ოდები. ამჟამად კი ორი სონეტის თარგმანის გამოქვეყნებას უნდა დავჯერდე.

**ემზარ ქვიტაიშვილი  
6 ივნისი, 2009.**

### პონ პიტსი

#### შალბატონ რეინოლდსის პატას

რაო, ხომ გასცდი სიჭარმაგეს, ფისუნავ, მითხარ,  
ვინ წამოგახებს, რომ ცხოვრება გალიე უქმად,  
აგიწაპნია გემრიელი რამდენი ლუქმა,  
გამოუყვანე წირვა რამდენ თაგვსა და ვირთხას?  
შემომაცქერდი, მწვანე თვალთა რად იკლო შუქმა,  
ცქვიტე ყურები ხავერდისა, ნაწყენი რით ხარ?  
ამოიკნავლე ნაზად, როგორ იბრძოდი დიდხანს,  
თევზი, წრუწუნა, ვარიკები ხომ სანსლე უხვად?  
თავს ნუ ხრი დაბლა, რა ვქნათ, ხრინწი დაგეტყო ხმაში,  
დახვეწილ მაჯებს ნუ ილოკავ, სიბერის კლიტე  
გბორკავს, ეგ ბეწვი ფუმფულაა, ვით ადრე, მაშინ  
უწყალოდ გბეგვეს მსახურებმა, კიდევ და კიდევ,  
ჭაბუკობისას თავზარს სცემდი მეტოქეს საშიშს,  
როდესაც მთვარით გაბრწყინებულ კედელზე იდექ.

## XXX

ის, ვინც ქალაქში დიდხანს იყო გამოკეტილი,  
ნეტარებაა რაოდენი, იზილავს როცა,  
ცის სახეს გახსნილს, შეისუნთქავს უწმინდეს ლოცვას  
ღურჯი თაღისა, ღიმილი რომ უქრთის კეთილი.  
ვინ არის მასზე ბედნიერი, მუხლმოკვეთილი,  
ბალაზს, ბიბინას, ვინც ჩაკოცნის, ეღირსა მოცლა,  
სევდიან ამბავს, სიყვარულის, ხალისიც მოსავს,  
კითხულობს, გულში რომ ეღვრება თაფლის წვეთივით.  
შინ დაბრუნებულს, მიმწუხრის ჟამს, ბულბულის სტვენა  
ჩაესმის, სრბოლას, ღრუბლებისას, უყურებს ცაზე,  
თავბრუდამხვევი, ეუფლება ჭმუნვა და წყენა,  
წუხს, რარიგ სწრაფად გასრიალდა დღე, შვებით სავსე,  
უეცრივ თვალწინ დაუდგება სურათი ზენა,  
მჭვირვალ ეთერში ცრემლი სწყდება ანგელოზს ასე.

*ინგლისურიდან თარგმნა  
ემზარ კვიტაიშვილმა*

---

## ნუბზარ ჭერეთელი

ახალგაზრდობის ფლების თარგმანებიდან

მერი გელათი

შემოდგომაზე

მომქროლავ წლებზე ნუ დარდობ მხოლოდ —  
მათგან ოცნება ზვედრად მზად არი,  
ჯერ შემოდგომას არ უჩანს ბოლო,  
შენ კი გაფიქრებს უკვე ზამთარი.

თუმც ფოთლებს ცვენა წილად რგებიათ —  
მიწა არ არის ყინვით დაზრული,  
წლები უკვალოდ იკარგებიან,  
როცა სულია ახალგაზრდული.

წლების ჩავლა ნუ გავსებს სიცივით,  
ბევრი რამ გვრჩება მათგან ქებული,  
ხშირად, ტკბილია სხვისი სიცილი,  
ჩვენ როცა ხმა გვაქვს მიწყნარებული.

და თუ მოსჯილ ბედს გვერდს ვერ შევუვლით,  
თუ ყუჩად წოლა გვიწევს მარადი,  
ჩვენი სიცოცხლე მერცხლად ქცეული  
მუდმივობაში ხომ ინაგარდებს.

1952წ.

### ს. უსენენი

საპარსული მოტივები  
№4.

შენ სთქვი საადი სიყვარულისთვის,  
თურმე კოცნიდა გულმკერდსო მხოლოდ,

გთხოვ დაიცადე, გთხოვ ღვთის გულისოვის,  
როდისმე მეც ხომ ვისწავლი ბოლოს.

შენ მე მიმღერე: „რომ ევფრატს იქით,  
მომკვლელ გოგონებს სჯობსო ვარდები,“  
რომ ვყოფილიყავ მდიდარი ჯიბით,  
იქნებ შემექმნა სულ სხვა ჰანგები.

მე მწამს, რომ მოვჭრი მალე იმ ვარდსაც,  
ჩემი სურვილი სწორედ აქ არი,  
რომ ქეყანაზე შაგანეს გარდა,  
არავინ იყო მისი სადარი.

შენთან აღთქმისოვის ხომ არ მოვედი,  
მე ხომ არა მაქვს აღთქმის გორები,  
თუ დავიბადე როგორც პოეტი,  
მაშ პოეტივით გეამბორები!

20/XII -52 წელი

## 08061 გალაპუგა

### ჰექა-ძუხილი პუნდულზე

ის ემზადება უყოფმანოდ...  
გაფრინდნენ დღენი  
და ჩემი შვილი-ჯარისკაცი უკანვე მიდის,  
ვმალავ ფეხსაცმელს დაბრუნების ვადამდე ღელვით  
და კოსტუმს ისევ ძველებურად სიფრთხილით ვკიდებ.  
მე მის კვალს გავცქერ...  
და ამ დროს კი კუნძულის თავზე,  
სახელწოდებით ძალზე მშვიდით,  
ძალზე კეთილით,  
ჰექა-ქუხილი აგრიალდა სიკედილით სავსე,  
როგორც გამოცდა ბოროტების განუწყვეტელის.

სავსე და ცხელი ღრუბლების ქვეშ  
 ტალღებს რომ შლიდა,  
 უცებ აბორგდა ოკეანე ველურის დარი,  
 არა, დარჩენა არ შეეძლო არაფრით მშვიდად,  
 თუნდ ყოფილიყო სამჯერ უფრო დიდი და წყნარი.  
 მაგრამ მე ვხედავ  
 არა მხოლოდ ტალღებს გონებით,  
 შორს,  
 ცეცხლის იქით,  
 სადაც სივრცეც ცეცხლის ფერია,  
 ეშელონები,  
 კვლავ მიდიან ეშელონები,  
 და შვილებს ჩვენსას დაბრუნება არ უწერიათ.  
 ჩვენს პლანეტაზე,  
 სად ნამით და მწვანით თვრებიან,  
 გზაზე, რომლებსაც  
 ქარბუქი და ჭყაპი ედებათ,  
 ახოვან შვილებს,  
 თუ ეს ვისაც აღარ რგებია,  
 შავთვალებას თუ ქერათმებიანს  
 ერთი წუხილით მისტირიან ყველა დედები!  
 მაგრამ ამტყდარი საშინელი დელგმის პასუხად,  
 ხალხი მარადი  
 – უწმინდესი ვალის დამცველი,  
 კეთილი ნებით აცამტვერებს ომის მოლოდინს,  
 რათა შვილები არ წავიდნენ ჩვენგან ბოლომდის,  
 და ისევ დედებს დაუბრუნდნენ  
 ლხენით სავსენი!

## XXX

ის შემოვიდა  
ყინვისაგან აწითლებული  
აივსო სახლი  
სუნამოს და ჰაერის სუნით,  
მოწკრიალე ხმით და სწავლისადმი  
უპატივცემლო ჩვეულ  
ლაყბობით.  
მან დაუყონებლივ დააგდო იატაკზე  
მხატვრული უურნალის მსგავსი ტომი  
და იმავ წამსვე მომეჩვენა, რომ  
ჩემს დიდ ოთახში  
ძალზე ცოტა არის ადგილი.  
ყველაფერის ეს  
იყო ჩემთვის ოდნავ საწყენი  
და უფრო მეტად უაზრობა.  
სხვათაშორის, მან მოინდომა,  
რომ წამეკითხა მისთვის მაკბეჭი,  
როდესაც უკვე მიწის წიაღს მივუახლოვდი,  
რომლის შესახებ ვერ ვბაასობ აუღელვებლად,  
მე შევნიშნე, რომ ისიც არის აღელვებული  
და უჩვეულო ყურადღებით უცქერს ფანჯარას.  
თურმე რა იყო  
მოზრდილი და მთლად ჭრელი კატა,  
ებლაუჭება სახურავის კიდეს წვალებით  
და ეპარება კოცნით გართულ ღუღუნა მტრედებს.  
ყველაზე მეტად მე გავბრაზდი მხოლოდ იმაზე,  
რომ ჩვენს მაგივრად იქ მტრედები კოცნიდნენ ერთურთს  
და რომ წავიდნენ პაოლოს და ფრანჩესკას დრონი.

1954წ.

---

### ტომას ხარდი

ეს ამინდია გუგულს რომ აღწენს  
და მაღალს მეც,  
ღვაროთქაფი წაბლის თავთავებს არხევს,  
ირხევა ხეც.  
მღერის ბულბული მთელი წმით ტკბილად,  
წვიმა საფრენად წამოშლის ბარტყებს  
და „ტრევლეს რესტოან“ ყველანი ფრთხილად  
დაასხდებიან შენობის სარტყელს.  
ქალიშვილები ვხედავ საუბრით  
მოდიან სამოსმოქარგულები,  
მეცხვარე ესეთ ამინდს გაურბის  
მეც არ მიზიდავს იგი სრულებით.  
როცა წიფელი აცახცახდება,  
რუხს და ყავისფერს აყვება დენას,  
ქარის სურვილი თითქოს ახდება  
შრიალს დაიწყებს ყოველი ფენა.  
გორაკებს ღელვა აღარ ედებათ,  
ნაკადულები მინდორს ფარავენ,  
ჩამწკრივებული წვიმის წვეთები  
ჭიშკრის კარბაზე თავს იფარავენ.  
და მიფრინავენ ფრთების სავსავით  
შინ ჭილყვავების რუხი გუნდები,  
და მეც ასევე,  
და მეც მათსავით  
სახლში ვბრუნდები.

1967წ.

მსოფლიო მასშტაბით ცნობილი დიდი ქართველი მეცნიერი ბატონი **აპ-ლიამ ზურაბაშვილი** საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნის“ გამორჩეული ლექტორი იყო, ამავე დროს მრავალი ბროშურის ავტორი. 1988 წელს გამოსაცემად ვამზადებდით მის საინტერესო წიგნს ახალგაზრდობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ბატონმა ავლიპმა მოგვიტანა წინასწარი თეზისები, რაც გაშუქდებოდა წიგნში. არქივის გადასინჯვისას ამ საყურადღებო მასალას წავაწყდით და ვაქვეყნებთ ჩვენი უურნალის ფურცლებზე, რაც უდავოდ სასარგებლო, საჭირო იქნება ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

**მთავარი რედაქტორი.**

### **დეპულებები, ოომელთაც აქვთ პირდაპირი პატიორი შრომისა და ზემობის პრინციპების**

ახალგაზრდობას ვუსურვებ ცოცხალი, სისხლსავსე მოქმედებას ცხოვრებაში და მას ძლიერ ვთხოვ ღრმად გაიაზროს და შეიგრძნოს ყოველი დებულება.

აღნიშნულ დებულებას მე არა მარტო ვემსახურები, არამედ მათით ვცხოვრობ, ვარსებობ.

1. ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ (დეკარტე).

2. ვწითლდები სირცხვილისაგან, მაშასადამე ვარსებობ.

3. ჰომო მორალის მეტია, ვიდრე ჰომოსაპიენს.

4. მუშაკი უფრო ადვილია იყოს დიდი მეცნიერი, ვიდრე დიდი ადამიანი (აკადემიკოსი კაპიცა – ნობელის პრემიის ლაურეანტი).

5. პედაგოგი, რომელიც განათლებული და განსწავლულია, შეიძლება ჯერ კიდევ არ იყოს დიდი ადამიანი; ხოლო პედაგოგი, რომელსაც ჰყავს მოწაფეები, უეჭველად დიდი ადამიანია (კაპიცა).

6. შრომის გარეშე მყოფ ადამიანს არ შეუძლია დაიცვას თავისი ღირსება (ლ. ტოლსტოი).

7. ხელოვნებისადმი გემოვნების დაკარგვა დიდი დანაკარგია, ვინაიდან იგი წარმოადგენს მორალის დაკარგვას (ჩ. დარვინი).

8. მორალის დაკარგვას ანუ დაქვეითებას, დეფიციტსა თუ ზრდას შეუძლია გამოიწვიოს ადამიანის გარკვეული გაველურება არა ტყეში, არამედ თავისივე გარემოში (ა. ჩეხოვი).

9. ადამიანის გაველურება იწვევს მის გადაგვარებას (ა. ჩეხოვი).

10. ხელოვნება მტკიცედ უნდა იდგეს მორალის პრინციპებზე (პ. სტანისლავსკი).

11. მორალი, წარმოადგენს რა პიროვნების ცენტრალურ ღერძს, მის გარშემო უნდა ტრიალებდეს ადამიანის ყველა მოქმედება, ქცევა, ჩანაფიქრი, ოცნება და სურვილი.

12. ჩვენს დროში მეცნიერება და ხელოვნება, სიბრძნე და სილამაზე (შშ-ვენიერება), შრომითი და ზნეობრივი გმირობა წარმოადგენენ ურთიერთ-განუყრელ კატეგორიებს.

13. ჩვენს დროში ადამიანისეული ფაქტორი, რომელიც იღებს მოქალაქეობრივი მოწოდებისა და მოქალაქეობრივი მოვალეობის ხასიათს, პირველ რიგში გულისხმობს ცნებას ადამიანობისა და პრაქტიკული პუმანიზმის შესახებ.

14. პრაქტიკული პუმანიზმი გულისხმობს ნათელი აზრებისა და თბილი ადამიანური გულის არსებობას; სუფთა ხელების არსებობას; შურის გრძნობის უქონლობას, რომელიც ადამიანს ანადგურებს სულიერად და ფიზიკურად და ბოლოს, გულისხმობს სიკეთის გრძნობის არსებობას.

15. დღევარძელობის აქტიური საწინდარია შემდეგი სამი პრინციპი:

1. შრომა, შრომა და შრომა; 2. არასდროს არავისადმი შურის უქონლობა;

2. ვაკეთოთ სიკეთე, ვინაიდან იგი შველის არა მარტო რეციპიენტს (ვინც ღებულობს), არამედ დონორსაც (ვინც აკეთებს სიკეთეს).

16. ფსიქიკა ბუნების გვირგვინია; გვირგვინია ბუნების ეფოლუციური სრულყოფისა, ხოლო მორალის პრინციპი წარმოადგენს პიმნს ადამიანის პიროვნებისადმი.

17. ადამიანში სკლეროზს იწვევს არა შრომა და ნამდვილი ზნეობრივი საქმიანობა, არამედ უსაქმურობა,

სიზარმაცე, ავტოფილური ეგოიზმი, მუქთახორობა და დროის ფუჭად გატარება.

18. ოჯახი სახელმწიფოს ფუძეა, ამავე დროს ოჯახში უნდა სუფევდეს დედობრივი ალრსისა და მამის კეთილი, ბრძნული ავტორიტეტის პრინციპები.

19. ადამიანის ბედნიერებას შეადგენს მისი სამსახური შრომის, სიკეთისა და სინდისის პრინციპებისადმი, რაც ხელს უწყობს სულიერი სიმშვიდისა და სულიერი სიმხნევის ვითარებას.

20. სრულიად მიუღებელი უარყოფითი მოვლენები: სნობიზმი, ე.ი. უცხოური, კრიტიკას მოკლებული ჩვეულებების წაბამვა.

21. სნობიზმი და სულიერ მოვლენათა მექანიკური გააზრება იწვევს ადამიანის პიროვნების მორალური პოტენციალის დაქვეითებას.

22. ს. კორსაკოვის თანახმად, პიროვნების მორალური პოტენციალი წარმართავს გონებისა და აზრის ძალას.

23. შრომა, დისციპლინა და წესრიგი განამტკიცებენ, ამრავლებენ და აძლიერებენ ადამიანის მორალურ პოტენციალს.

24. შრომა და ზნეობა ურთიერთი-საგან განუყრელი კატეგორიებია. მშრომელი ადამიანი აქ შეიძლება უზნეო იყოს, ზნეობრივ ადამიანს კი არ შეუძლია შრომის გარეშე ყოფნა.

25. სიტყვიერი დარიგება და ჭკუის სწავლება თითქმის უშედეგოა მორალური პოტენციალის დამკვიდრების საქმეში. ამ მხრივ გადაწყვეტი სასარგებლო ფაქტორს შეიძლება წარმოად-

გენდეს მხოლოდ მაგალითი, მიმართულება ანუ ვექტორი, რომელიც უნდა მიემართებოდეს არა ქვემოდან ზემოთ, არამედ ზემოდან ქვემოთ; სხავანაირად რომ ვთქვათ, არა სანიტრიდან სწავლულისაკენ, არამედ პირიქით, სწავლულიდან სანიტრისაკენ.

26.პიროვნების სპეციალური თვისებები: შრომა, მოვალეობა, ნდობა, მზრუნველობა, სიყვარული და სინდისი.

ანტიპიროვნებას ახასიათებს ჩემს მიერ აღნიშნულ თვისებათა უქონლობა და იმსახურებს სერიოზულ გაკიცხვასა და უარყოფით დამოკიდებულებას საზოგადოების მხრივ.

27.იაკობ გოგებაშვილის აზრით, უზნეობის მიკრობი თავისი ვირულენტობით ნებისმიერ მმიმე ინფექციაზე – ქოლერასა და შავ ჭირზეც კი უფრო საშინელია.

28.ილია ჭავჭავაძე – საზოგადოებაში მორალის დეფიციტს არსებით სენად ანუ სატკირად თვლიდა, რამდენადაც იგი უხილავად და უჩინრად მოქმედებს ადამიანზე.

29. ქართულ მეტყველებაში სიტყვა „ზნეობა“ შედგება ორი ნაწილისაგან: „ზნე“ და „ობა“, როგორც ვხედავთ, ქართულ მეტყველებაში „ზნეობა“ ქლერს როგორც ქცევის, მოქმედების, მოვლენების დღეობა, დღესასწაული, ზეიმი.

30.სწავლების პრიციპი, როგორც უმცროსესა და სამუალო, აგრეთვე უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში უნდა ეფუძნებოდეს კეთილშობილურ, ავტორიტეტულ-კეთილგანწყობილ, --

ურთიერთპატივისმცემელ, ურთიერთმომთხოვნ, ურთიერთოთვითკრიტიკულ ურთიერთობას მსმენელთა (მოსწავლეთა, სტუდენტთა) და პედაგოგებს (მასწავლებლებსა და პროფესორებს) შორის. აქ მცირე ან ცუდად მოფიქრებული ისმერებული სამაურის მომენტები წმირად უშედეგოა. მთავარი პრინციპია: ავტორიტეტული მომთხოვნელობა უნდა ეყრდნობოდეს კონტიგენტის ზედმიწევნით აუცილებელ საჭირო ცოდნით შეიარაღებას. ამასთან, ვიხსენებ ი. პავლოვს, რომელიც არასოდეს ართმევდა ძალასა და სულს ყველაზე რთულ საკითხსაც კი, მაგრამ გადმოსცემდა მარტივად. დისკუსიებს იგი ყოველთვის იწყებდა მიმართვით „ძლიერ მარტივია“, როთაც მსმენელთათვის ქმნიდა მასალის წარმატებით აღქმისა და თვისების ატმოსფეროს.

31. მშობლებისათვის არ არსებობს უფრო სასიხარულო და ამაღლებული განცდა, როდესაც შვილები ახარებენ მათ თავიანთი შრომითა და კეთილშობილური ქცევით და არ არსებობს უფრო მწარე ემოცია მშობელთათვის, როდესაც შვილები ვერ ამართლებენ მშობელთა ზრუნვას.

32.ნებისმიერი პროფესიულ – აკადემიური ან პოპულარული შინაარსის ლექცია, თუ ის აუდიტორიის მსმენელებში გარკვეულ კვალს არ ამჩნევს, უსარგებლოა.

33.ნებისმიერ ფილოსოფიურ ლექციასა თუ მოხსენებაში უნდა ქლერდეს ადამიანურობის, სიმართლისა და სიკეთის მომენტები.

34.თამბაქოს წევა, ლოთობა, ალკო-

ჰოლიზმი და შემდეგ ნარკომანია შეადგენენ დიდ სოციალურ-ფინანსურულოგიურ ბოროტებას, რაც შეეხება ნარკომანიას, იგი მიმაჩნია მორალის დაავადებად.

აღნიშნული მდგომარეობა უპირველეს ყოვლისა ეხება მოსწავლე ახალგაზრდობას, მკაცრად და მყარად გვახსოვდეს, რომ თამბაქოს წევს, ლოთობას, აღკოჰოლიზმსა და ნარკომანიას აქვს ჩამოყალიბების საერთო ღრძი, რომელიც იწყება ადრეულ, ახალგაზრდა ასაკში, თამბაქოს თითქმის უკანებელი წევისაგან.

35. განსაკუთრებით სასარგებლოდ მიმაჩნია შევჩერდელია ჭავ-

ჭავაძის შემოქმედებით დებულებაზე: დიდი ილია ჭავჭავაძე გვევლინება პიროვნების ფსიქოლოგიის ყველაზე იდუმალი იდეების გენიალურ აპოლოგეტად. მრავალი წლის წინ მან წამოაყენა დებულებები სოციალურ და სოციალურ ფსიქოლოგიური მნიშვნელობის თანამედროვე, აქტიური პუმანიზმის პრინციპების შესახებ. იგი გვევლინება ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდისა და განათლების მგზნებარეფუმებდლად.

მორალი, სიკეთე, ადამიანურობა, ჯანსაღი პატრიოტიზმი და მშეიღებიანი შრომა შეადგენენ დიდი საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიის საფუძვლებს.

## მზიური ფერის შეცნობისათვის

ამ წერილზე მუშაობისას ვფიქრობ-დით, რომ ჩვენ შეიძლება არ გვცოდნ-ოდა ადამიანთა ხასიათის ცუდი და კარგი თვისებების, მათი ჭეშმარიტი ბუნების, იმპულსების, ფიქრებისა და იდეების კონტროლის უნარის შესახ-ებ, მაგრამ ამის გამო ნუ შემფოთდებ-ით, რადგანაც ჩვენს ირგვლივ ძალიან ახლოს, ან თუნდაც ძალიან შორს არ-სებობს ბუნების ფერთა სამყარო, რომელიც ადამიანთა ქცევაზე მოქმედებს, უქმნის განწყობას, მართავს მათ გრძნობებს, სურვილებს, აწვდის იდეებსა და შეხედულებებს და ეხმარება ბუნების სილამაზის აღქმაში.

ფერს, როგორც განსაკუთრებულ ფერობენს, ადამიანთა ყოფაში მნიშვნელო-ვანი ადგილი უკავია, ზოგს მასზე ფსიქოლოგიური დამოკიდებულებაც კი გააჩნია და ფიქრობს, რომ ესა თუ ის ფერი, მის წარმატება – წარუმატე-ბლობაზე მოქმედებს.

ყოველი ფერი საკრალური საიდ-უმლოების მატარებელია. საუკუნეებ-ის მანძილზე ფერები ადამიანის შინა-გან განცალში უფრო არსებობდნენ, ვი-დრე ემპირიკაში. ჯერ კიდევ ანტი-კურ ეპოქაში პლატონი „ნადიმში“ ფერს აღწერს, როგორც ფორმას, რომელიც თანაფარდია შეხედულები-სა და გრძნობისა. გარდა იმისა, რომ ყოველი ფერი იწვევს გრძნობად – კონკრეტულ განცდას, ამავდროულად უმაღლესი სიმბოლოს მატარებელია. გოეთეს თეორიის მიხედვით კი, ფერი არის არა მხოლოდ სქემატური სიმ-

ბოლოს აღმნიშვნელი, არამედ რაციო-ნალური სისტემის სფეროდან მომ-დინარე. მიუხედავად იმისა, რომ ფერი აბსტრაქტული მცნებაა და მას არ გააჩნია საგნის არც ერთი თვისება, ციფი, თბილი და ა.შ. სინამდვილეში სულ სხვა რეალობასთან გვაქვს საქმე. არ-სებობს ფერების ფსიქოლოგიური ზეგავლენა მათი „სიცივისა“ და „სით-ბოს“ მიხედვით როგორც ერთი მხრივ განსაკუთრებულად დამახასიათებელი შავი ტონების მძლავრობა, ხოლო მე-ორე მხრივ „ნათელი პალიტრა“ ანუ „მზიური ფერები“. ჩვენი კვლევის სა-განს ამჯერად ეს უკანასკნელი წარ-მოადგენს. ფერი, რომლითაც ნათელი პალიტრა ყველაზე სახიერად გამოის-ახება, არის ყვითელი, რომელიც ამავე დროს მზის ფერია. მზე სინათლის წყაროა, ძველ ეგვიპტურ მითოლოგია-ში „რას“ სახელწოდებით ღმერთის მნიშვნელობას გამოსახავს. მზე სიც-ოცხლის სათავეა. ამდენად ყვითელი სიცოცხლის ფერი არის, მითოლოგიური წარმოდგენების ანალოგიას გვიდას-ტურებს ბიბლია. (თავი 1-3; 1-9;) „ოქა ღმერთმა იყოს ნათელი! და იქმნა ნათე-ლი! დაინახა ღმერთმა, რომ ნათელი კარგი იყო და გაპყო ღმერთმა ნათე-ლი და ბნელი.“ ე. ი. ნათელი მზიური ყვითელი ფერი სიცოცხლის იმპულ-სის მატარებელი ფერია. ძველ ეგვიპ-ტურ მითოლოგიაში ყვითელი ფერი იყო სინათლის სიმბოლო. შემცნების ფორმის უმაღლესი გამოხატულება. ეგვიპტელი მხატვარი გვევლინება

როგორც ქურუმი, მიღმიერ სამყაროდან მფარველ ძალთა გამომხმობელი. ეგვიპტელთა რწმენით, დედამიწაზე არსებობს დანიშნულების შეცნობის შემდეგ ფარაონის სული პირამიდების საფეხურის გავლით უერთდება „რას“, ანუ მზის სულს. დიდი ფარაონის, ეხნატონის პერიოდში ფერწერის განვითარებამ ყვითელ ფერს მიანიჭა არა მარტო სიმბოლური მნიშვნელობა, არამედ სინამდვილის ამსახველ ფერად აქცია.

ტიბეტურ მითოლოგიაში ყვითელი ფერი თეთრ ფერთან ერთად აღნიშნავს ამაღლებულ ზე განწყობილებას.

ძველი ბერძნებისათვის სამყარო იყო ცეცხლოვანი ფერებისაგან შემდგარი. ყვითელი ფერი მათთვის მანათობელი სიხარულის გამოხატულება იყო.

ბევრი მხატვარი შენაგანად ებრძოდა ყვითელ ფერს, თუმცა ყოველთვის ხაზს უსვამდნენ მის სირთულეს. მაგალითობისათვის იტალიური მაღალი აღორძინების მხატვარი ტიციანი იკმარებდა. პიკასო ყვითელი ფერის უფლებას ისე იცავდა, როგორც ადამიანის უფლებას.

არც ერთ ფერს არ გამოუწევებია იმდენი დავა, რამდენიც ყვითელ ფერს. ანდრი შევერელის თეორიის მიხედვით — ამ ფერს მიენიჭა სინათლის ფუნქცია. მისით ხდება უსახური, ქაოსური სინამდვილის გასულიერება. ის „დესტრუქციულ ქაოსს აქცევს კოსმოურ წესრიგად.“

ყვითელი ფერის უმთავრესი თვისებაა, რომ ის არ უნდა იყოს ჩაკეტილი. მას ეშინა იზოლირების და უყვარს

შიგნით თავის გულში პქონდეს მომწვანო — მონარინჯისფრო ნათება და გარეთ ასხივებდეს. ამ ფერს მხოლოდ მაშინ შეუძლია ატაროს ყვითლობა, როცა ასხივებს, იხარჯება და თავის სხივისნობის ენერგია გარეთ აფრქვევს, ანუ როცა ყვითელს „უხარია.“ როცა ყვითელი იკეტება — კვდება. მნელია მისი დაფიქსირება სივრცეზე, რადგან ის როგორ დასაჭრი ფერია. თუ გვსურს გაანათოს ყვითელმა, გარშემო უნდა მივულაგოთ ისფერი. მაშინ მიღწევა მისი მაქსიმალური სიკაშკაშე. ყვითელი ფერის ბუნება ლურჯ ცაზე გაფრქვევაა. მხატვარმა რომ ის სიბრტყეზე დააღავოს, უდიდესი ოსტატობა არის საჭირო, რათა არ გაურიოს მწვანე. ამ ფერთან შერევით ყვითელი ფერი წახდება. წმინდა სახით ყვითელი ფერი მხოლოდ მზეშია. ის როგორც მგრძნობიარე ფერი, განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იჩენს სხვა ფერებთან ურთიერთობისას. ის იმდენად აქტიური არ არის, რომ რომელიმე ფერი დააზიანოს, არამედ თავად ზიანდება.

ცნობილი სამხრეთ ამერიკელი მხატვარი ნიშიზავა მიიჩნევს, რომ „ამ უცნაური თვისების გამო ის ჩამოჰვავს კეთილშობილ სულს.“ თუ ყვითელი ცუდად შეეხო წითელს, დაზიანდება. იასამნისფრთან შეხებისას ქმნის სრულ ტალახს. ყვითელი ფერის ფუნქციის გამოცვლა ნიშნავს, მისი არსის დაკარგვას. XX საუკუნის ერთ-ერთი დიდი მხატვარი ხუან მირო წერს: „თუ გრძნობადია განათება, ყვითელია, თუ ვერ გრძნობს თავის თავს და ანათებს —

თეთრი.“

1666 წელს ისააკ ნიუტონმა სპექტრად დაშალა მზის სინათლე. XX საუკუნე იყო მზის სპექტრის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი. სწორედ მაშინ გახდა შესაძლებელი მზის სპექტრში შთანთქმის ფრანკოფერის ხაზების აღმოჩენა და შესწავლა. სპექტრის არსებობის კიდევ უძველეს ხანაში იკვლევდნენ ქალდეველები და ბაბილონელები.. ყვითელი ფერი სპექტრში დევს შუა ადგილას. სპექტრი იწყება ულტრაინფერით და მთავრდება ინფრაწითელით. ყვითელს გვერდით მოჰყვება თვალისითვის კარგად ასაღებელი მომწვანო და ცისფერი. სპექტრის ძირითადი ფორმებია: ყვითელი, ლურჯი და წითელი. დანარჩენი ამ ფერთა ვარიაციებია. შვიდი ფერის დაღაგებით ცისარტყელა გამოსახავს ფერს, რომელიც მიღება მზის სხივის წვიმის წვეთებში გარდატეხის შედეგად.

გოეთეს თეორიის მიხედვით აქ ფერები ერთმანეთს ეხმარებიან, ეკონტრასტებიან და გაძლიერებას აღწევნ. ჩამოყალიბდა დამატებითი ტონის ცნება. ყვითელისა და წითელის შეზავებით ვიღებთ ნარინჯისფერს. ხოლო ლურჯისა და ყვითელის – მწვანეს. წითელი და ლურჯი ქმნის იისფერს. სწორედ ამგვარი სპექტრალური დაშლის პრინციპზე ააწყვეს იმპრესიონისტებმა (პისარომ, მონემ, სიორამ) თავიანთი შემოქმედება.

ფერწერის ძირითადი კანონების შესწავლის საქმეში უდიდესი შრომა გასწია ეჟენ დელაკრუამ. სპექ-

ტრალური ფერის განვითარების საიდუმლოება მან ყვითელ ფერთან მიმართებაში განიხილა. ის მიიჩნევდა, რომ მზის შექმის ტონალობის შესაბამისი ელერდობა რომ გვქონდეს, უნდა გამოვიყენოთ ყვითელი ფერი. კლასიციზმის „მამად“ აღიარებული ნიკოლა პუსენი თამამად იყენებდა ტონის ნიუანსებს და წითელ-ყვითელ კოლორიტს. ბალზაკმა სწორედ პუსენის ფერწერაზე დაკვირვებით აღმოჩინა „ვოლიერების სისტემა“ ანუ სინათლის ძალის ინტენსიურობის მიხედვით, ფერის, მისი ანარეკლებისა და ძირითადი ფერადოვანი აკორდის ტონის ნიუანსირების თავისებურებანი, რომელიც შემდგომ შეისწავლეს და განვითარეს: ვატომ, შარდენმა, დელაკრუამ, კურომ.

წმინდა ყვითელი ფერის აღსაქმელად იმპრესიონისტებმა დაძლიერ სალონური აკადემიზმი, დატოვეს სახელოსნო და გავიდნენ ღია ცის ქვეშ, პლანეტები სამუშაოდ, საკუთარი მხატვრული მოთხოვნების შესაბამისად და მეცნიერული აღმოჩენებისათვის. დაიწყეს დაკვირვება მზიური სინათლის რეფლექსების ურთიერთმოქმედებაზე, ისინი აკვირდებოდნენ სინათლისა და ატმოსფეროს მოვლენებს, არა სუბიექტური ფორმისათვის, არამედ ბუნების შინაარსიანი და მოძრავი სახის შესაქმნელად. მათ შემოქმედებაში მზიურ ფერწერას ყვითელი აძლევს, არამიწიერ, საკრალურ იდუმალებას, რომელიც ფერთა გამასთან ზუსტი ტონალობით იძლევა ფერთა პოეზიის განცდას. თითქოს ხაზები კარგავენ დანიშნულე-

ბას და ფერები იკავებს მის ადგილს. ყვითელი ფერი თოტქის ათავისუფლებს საგანს და ერთი განზომილებისაგან და შეაქვს მასში ზეაღმატებული თავისუფლება. მხატვარი უნდა გრძნობდეს, რომ ყვითელ ფერს არ წაართვას ტერიტორია, როგორც მზეს არა აქვს საზღვარი და ლოკალურ წლებში ვერ მოაქცევ. ასეა ყვითელიც, რადგან ყვითელი ეგვიპტური ღმერთის „რას“ სიმბოლოა – მიჩნეულია, რომ ის არის სისავსის, სრულყოფილებისა და სიმწიფის სიმბოლო. რუდოლფ შტაინერი ყვითელ ფერთან, მიმართებაში ნაშრომში – „პიროვნულის სამი ასპექტი“ წერს: „ძლიერ პიროვნებებს მკვეთრად ყვითელი, ელგარე აურა ახასიათებთ.“

ვან გოგმა ყველაზე მისტიკურად იგრძნო ყვითელი ფერის არსი. რის შესახებ უძრავი გამოკვლევა არსებობს, ამიტომ საგანგებოდ აღარ შევეხებით. ფერწერულ ტილოზე, „საბილიარდო“ ის ღამესაც ყვითელი, მზიური ფერით გადმოგვცემს. აქ სავსებით შესაძლებელია რუსთაველის საკრალურ მეტაფორასთან „მზიან ღამესთან“ პარალელის გავლება. ანუ ორი შემოქმედი დამოუკიდებლად ქვეცნობიერზე გავლით როგორ მიდის მზიური ფერის ერთიდაიმავე რაკურსით ხედვამდე.

გოგონი ყვითელი ფერის ფუნქციას ყავისფერში თეთრი ფერის შეტანით აღწევდა. ემილ ზოლას რომანის „შემოქმედებას“ მთავარი პერსონაჟი მხატვარი კლოდი – ყვითელ ფერთან დაკავშირებით ამბობს: „ხელოვნებას სჭირდება მზე, ჰაერი, ნათელი – ახალგაზრდა ფერწერა.“ იმპრესიონისტების აზრით ყვითელი ფერით ხდება მატერიის გასულდგმულება, ხოლო მზე თავად არის უზენაესი მხატვარი, სინათლის წარმომქმნელი დიდოსტატი. სიცოცხლის დინამიკის ავტორი. მზე მუდამწმინდა ყვითლით აღიქმება.

ნორვეგიელი დრამატურგის იბსენის დრამა „მოჩვენებაში“, ახალგაზრდა მხატვარი რომლის ფერწერის უმთავრესი ფერი ყვითელია, ამბობს: „ჩემს ნახატებში არის მზე, სადღესასწაულო განწყობა ადამიანთა ბედნიერი, მოციმციმე სახეები.“ აქვე უნდა გავიხსენოთ კურბეს სიტყვები: „მე ჩემს სურათებში ვმოქმედებ ისე, როგორც მზე ბუნებაში.“ უარყოფითისა და დადებითისა, ბოროტისა და კეთილისა, სიკვდილისა და სიცოცხლის ბრძოლაში მაინც უფლის კოსმიური ნათელი იმარჯვებს, როგორც უსახურ ყოფაზე ზეაღმატებულია მხატვრის ფერადოვანი გამით მოტანილი იდუმალი ფერწერული პოეზია.

**ლელა აფციაური,  
პროფესორი, ი.ჭავჭავაძის სახ.  
თბილისის უნივერსიტეტის ლექტორი**

მოსაწყენი დღე იყო გაგრაში; მოლ-  
რუბლული ცა შავად იმზირებოდა  
დედამიწისკენ. ზღვას მზე და სითბო  
უყვარს, წვიმა კი მართლაც მოსაბეზრე-  
ბელი იყო დამსვენებელთათვის.

სანატორიუმის სარკმელთან მიკ-  
რული გურამი ჩაფიქრებული გაჰყურებ-  
და ჰორიზონტს; დროდადრო კი  
ფიქრებიდან ზღვის საშინელ ბრდლვ-  
ინგას გამოჰყავდა. „რა ცუდი ამინდია“  
— გაიფიქრა და ისევ ოთახისაკენ შე-  
მობრუნდა. მზერა კარგად ნაცნობ სა-  
გნებზე გადაიტანა. დაჟინებული  
ჩაჰყურებდა, თითქოს რაიმე სიახლეს  
ეძებსო, მერე საწერ მავიდაზე შეაჩერა,  
სადაც ქაღალდები უწესრიგოდ ეყარა,  
ზოგი დაჭმუჭნული ფურცელი ძირს,  
იატაკზეც ეგდო. გურამს სახის გა-  
მომეტებელება წუთითაც არ შესცვლია,  
პირიქით, თვალიც კი გაუშტერდა უწეს-  
რიგოდ მიყრილ ქაღალდებზე.... აჩქარე-  
ბით გაიარ-გამოიარა ოთახში და ისევ  
სარკმელთან შედგა. სულს ეხმაურე-  
ბოდა ეს ბორგვა... ჯებირებს მინარ-  
ცხებული ტალღები რაღაც უცნაურ  
ბგერებს გამოსცემდნენ და ამ საიდ-  
უმლოებაში ჩახედვაც კი მოუნდა; დარ-  
წმუნებული იყო, რომ ზღვა მას ებუტ-  
ბუტებოდა რაღაცას.

ალაგ-ალაგ გაშავებული ცა ნელ-  
ნელა მუქდებოდა, მოწყენილ დღეს ღამის  
ბინდი სცვლიდა. გურამმა ისიც კი  
გაიფიქრა, მალე დაღამდაო.

გასამხიარულებლად ფიქრები თბი-  
ლისში დარჩენილ მეგობრებზე გადა-  
იტანა: ნუგზარი, მისი მეგობარი ხომ  
მოსკოვში წავიდა და თვითონ გააცი-  
ლა, მერე კი აქეთ გამოუწია გულმა.  
ზღვაზე უფრო კარგად მუშაობდა, ვი-  
დრე სხვაგან. ზღვა მისი შთაგონების  
წყარო გამხდარიყო. „ალბათ ჩამოვი-  
და ნუგზარი მოსკოვიდან!“ გაიფიქრა  
და სიცხადით იგრძნო, რომ მეგობარი  
ძალზე ენატრებოდა. ნუგზარის სახე  
ედიშერის სახემ შეცვალა....

ისე შეუმჩნევლად ჩამობნელდა  
სარკმელთან, რომ ვერც შეამჩნა. სას-  
ადილოში ჩასვლა დაეზარა და სა-  
წოლზე მიწვა. ხელები თავქვეშ ამ-  
ოილაგა და მკაცრი მზერა ოდნავ  
მოულბა. წამით გაირინდა. ზღვის  
ღრიალში და ტალღების მსხვრევაში  
შეუძლებელი იყო რაიმეს გაგება, მა-  
გრამ, როცა ტალღა უკან გაბრუნდა  
და ოდნავ შესამჩნევი სიწყნარე  
დამგვიდრდა, სმენა ოდნავ დაძაბა, მას  
ნაცნობი მუსიკის ხმაც შემოესმა. სახე  
სიკეთით სავსე ღიმილმა გაუპო, იმდე-

ნად ესიამოვნა მუსიკის ხმა. შოპენის მუსიკას ისე შთამბეჭდავად, ჯადოსნურად უკრავდა ვიღაც ზემოთ, რომ დაიძაბა... ყური მიუგდო. სუნთქვაც კი შეიკრა, რომ უფრო მკვეთრად ეგრძნო მუსიკის გავლენა.

სასიამოვნო მუსიკა არ წყდებოდა. გურამმა თვალები მინაბა და მთლად მოექცა მისი გავლენის ქვეშ.... ცხადად გრძნობდა, ოუ როგორ დახტუნავდა კლავიშებზე ქალის, თეთრი, ბროლივით ლამაზი ხელები და მსმენელს ჯადოსნურ სამოსში ახვევდა....

საწოლიდან საოცარი სისწრაფით წამოდგა, საწერ მაგიდას მიუახლოვდა, მოძებნა კალამი და აჩქარებით დაიწყო წერა. დაწყებულ მოთხოვნას რამდენიმე გვერდი მიუმატა. ვერაფერს ვეღარ გრძნობდა, აღარც ზღვის ხმაური უნისლავდა გონებას და აღარც მისი ბრდღვინვა. ცარიელ ფურცლებს უცბათ ავსებდა და გავსებულს ახლით სცვლიდა. მუსიკის ხმა გამოძახილს გურამის სულში პოულობდა და ეს უფრო აძლიერებდა წერის სურვილს. გურამი ზღვაში გასულ მეზღვაურზე წერდა, რომელსაც ტალღების რისხვა ვერ აშინებდა და პირიქით, თვითონ უტევდა გამდვინვარებულ სტიქიას.... მეზღვაურის ძლიერება თითქოს მის სხეულში გადმოვიდა და თვითონ უტევდა სტიქიას, თვითონ ემოსა ღურჯ ზოლიანი მაისური, რომელიც ზღვის ქაფს მისთვის ტანზე შემოეტკიცა. აგზნებული სახე ნელ-ნელა დაუმშვიდდა. მუსიკის ხმა ნელ-ნელა მისუსტდა და მერე შეწყდა კიდეც. დაწერილი სტრიქონები ერთი თვალის შევლებით

გადაიკითხა და მაინც დაუკმაყოფილებლობის სევდა იგრძნო, მაგრამ წერა აღარ გაუკრძელებდა. მაგიდა ისევ ისე დატოვა... საწოლზე მიწვა და ისევ ფიქრებს მისცა თავი, ისევ ზღვას მიუგდო ყური. საზარელი ხმა ჰქონდა ტალღებს, როცა ჯებირებს მთელი სიძლიერით ენარცხებოდნენ, შემდეგ კი ქმენითა და ღრენით უბრუნდებოდნენ ჯოჯოხეთურად, შავ მომზირალ ზღვას, რომელიც ბევრ უბედურებას უმზადებდა ადამიანებს თავისი სიშმაგითა და მრისხანებით.

წვიმის წვეთები მინაზე უცნაურად, რიტმულად წკაპუნებდნენ. ცა წვიმით სავსე მასას ჰგავდა, რომელიც შავად იმზირებოდა და ეს ჩამუქებული სიშავე უფრო საზარს ხდიდა მის გამომეტყველებას.

ლექსს იშვიათად წერდა, მაგრამ ისე ძლიერ მოზღვავდა მასში წერის სურვილი, რომ რამდენიმე წუთში ლექსიც დაწერა, რომელიც დედის სიყვარულს უძღვნა და დედას სთხოვდა ნუ ჩავიდოდა ზღვაში, რადგან ზღვა ღელავდა და სუსტს დაახრჩობდა, თვითონ კი თოლია იყო და მხოლოდ ართობდა, ეთამაშებოდა ტალღებსა და მძვინვარე ქარს.

საწოლზე პირქვე გადაბრუნდა და ისევ გაირინდა. გვერდით მდებარე საწოლიც ცარიელი იყო. არ ჩანდა გურამის ბიძაშვილი, რომელიც სანატორიუმში ექიმად მუშაობდა და მარტოობა რაღაც მტკიცნეულად შეუერთდა მას.

ძლი თანდათანობით ახვევდა თავის ბურანში. ქუთუთოები ისე დაუმძიმდა, რომ ეგონა თვალებზე კაცის სიმძიმე

ტვირთი ედო. ნელ-ნელა ითრევდა ძილი გურამს და ამ უკანასკნელსაც არ უცდია თავის დაღწევა მისგან, მაგრამ ძილიც მოუსვენარი ჰქონდა ჭაბუკს. ოთახში სიცარიელე უხილავად შემოპარულიყო, ვერ გრძნობდა, თითქოს სხეულში კოცონი ენთო ისე ბორგავდა ძილში. თხელი, საზაფხულო საბანი ამოზნე-ქილ, ძლიერ მკერდზე ჩამოსცურებოდა და ღამის სიბნელეში მისი ძლიერი გულ-მკერდი მოჩანდა. სუნთქვაც მკერდივით ძლიერი ჰქონდა ჭაბუკს, მაგრამ დროდადრო სუნთქვასაც ეტყობოდა, რომ ვერ იყო მშვიდად გურამი...

1960 წლის 23 აგვისტო გათენდა, თითქოს ჩვეულებრივი დღე, რომელიც არაფრით არ გამოიჩინდა აგვისტოს სხვა დღეებიდან, მთელი კვირის განმავლობაში გადაუღებლად რომ წვიმდა და წვიმდა... ეს დღეც ასეთი იყო. თითქოს ცას პირი მოეხსნაო, ისე წვიმდა. საშინელი, მოშავო ფერი გადაჰკრავდა ირგვლივ მყოფ საგნებს, რომელიც წვიმას გაეშავებინა. ქუჩებში ისმოდა ზღვის ღელვისაგან გამოწვეული ხმაური. დამსვენებლებს უკმაყოფილო სახეები ჰქონდათ. ქუჩაში კანტი-კუნტად თუ გაიღლიდნენ; აჩქარებული ნაბიჯით დადიოდნენ ადამიანები.

წინადღით სავსე ქუჩები ახლა უკაცრიელს დამსგავსებოდა, ჩელიუსკინელების სახელობის სანატორიუმიც უკაცრიელს ჰგავდა. დამსვენებელთა ნაწილი ცისფერ ეკრანს მისჩერებოდა, ნაწილი ოთახებში არტყამდა ბოლთას, ნაწილი კი გულის გასაგრილებლად რესტორანში იმყოფებოდა.

მოღუშული ცა პირს არ ხსნიდა,

თითქოს გულმოსულიაო, ბრდდვინავდა და ბრდდვინავდა... ცივად სცრიდა, წვიმა კი გადაღებას არც აპირებდა...

გურამი სანატორიუმის ფანჯრიდან გაჰყურებდა ზღვას და ყურს უგდებდა მრისხანე მუქარას. ჰორიზონტიც შავად მოჩანდა და კაცს უნებურად ზღვა უდაბნოდ მოეჩვენებოდა, რომ არ ემოძრავა ისე საშინლად. ზღვა კი შეტევაზე გადმოსულს ჰგავდა, რომელიც უზარმაზარ ტალღებს ერეგბოდა. ეს დაუცხრემელი ღელვა რაღაცით ჰგავდა გურამის სულს, ამას თვითონაც გრძნობდა გურამი და სიამოვნებდა ხმაური, თუმცა მისთვის უკეთესი იყო მცხუნვარე მზეში გადაწოლილიყო ზღვის ბეჭებზე და ასე გაჩერებულს უფრო კარგად ეგრძნო წყლის სიკეთე... მაგრამ აბორგებული, პირზე ქაფმომდგარი ზღვაც რაღაცით იზიდავდა, ეს გაბოროტებული, შეუბრალებელი სტიქია თითქოს გურამს იწვევდა და დამარცხებას უწინასწარმეტყველებდა. იქნებ მისი ადრინდელი სიმშვიდე მოჩვენება იყო?! როცა მის ამოზნექილ, სარკესავით მოლივლივე ზედაპირზე თოლიები ეთამაშებოდნენ და ყველაფერი ლამაზად მოჩანდა.

მზერა სარკმელზე მოწყაპუნე წვიმის წვეთებზე გადაიტანა. წვეთები თითქოს თამამით, სიცილით იმსხვრეოდნენ დაშლილი სწორ, ლამაზ კვალს სტოვებდნენ მინაზე... „კაცმა უნდა მთელი სულით იცოცხლო... ან რა არის მუდმივობა, – სისულელე. ყველა ადამიანი მუდმივად ცხოვრობს: ყოველ შემთხვევაში მისი მარადიულობა ის

წლებია, რომელსაც გაატარებს ამ ქვეყ-  
ანაზე. კაცმა, რომ თქვას, არცა კვდება  
კაცი, იბადება სხვა, რომელიც ოდნავ  
განსხვავდება გარდაცვლილისაგან...“ –  
ეს სიტყვები ისე ცხადად გაიყლო  
გულში, რომ უცნაური, სხვებისთვის  
ამოუცნობი ღიმილი გაუკრთა სახეზე.  
ყოველი გმირი მისი მოთხოვნისა მხ-  
ოლოდ გურამის შემდეგ იბადებოდა, მისი  
გმირები ისევე რეალურნი და ხელშ-  
ესახები გამხდარიყნენ, როგორც გურამი,  
და ამის წარმოდგენამ ლამაზი, ალალი  
ღიმილით გაუნათა სახე.

გურამს სიცოცხლე ძალიან უყვარ-  
და. ბუნებასავით ლალსა და ამაყს  
ბუნება სათაყვანებელ ხატად გადაექ-  
ცია. ახლაც, სარკმელთან მდგომი, ჩაფ-  
იქრებული, ღიმილით გაპყურებდა  
პალმებსა და ევკალიპტებს, რომელთ-  
აც ქარი ტოტებს ისე უნიავებდა  
თითქოს ტანსაცმელს ძალით ხდისო.  
დაორთქლილ მინაზე უცნაური ფორმა  
გამოიყვანა და მზერა ისევ ზღვამ  
წარსტაცა.

ზღვა ბავშვობიდან უყვარდა. ზღვა  
და მთა, აი რა იყო მისი იდეალი, თითქოს  
საკუთარი შვილებიაო, ვერც ერთის  
სიყვარულს ვერ გამოჰყოფდა ცალკე...  
მთა თავის ძლიერებით, ამაყი სახით  
იზიდავდა, ყოველთვის რაღაც ამოუც-  
ნობ საიდუმლოს მაღავდა... ეს საიდ-  
უმლო სწუუროდა გურამს... უყვარდა,  
როცა სიკვდილთან ახლოს იყო და  
სჯაბნიდა მას. მთა! – მაღალი, ამაყი  
და წმინდა, სპეტაკი თოვლივით.

გაახსენდა მეგობრები, რომლებიც  
ძლივს დაიყოლია ექსპედიციაში წაყ-  
ვანაზე, თოვლის ქულებით შებურული

მყინვარწვერი და მაინც დაუვიწყარი,  
ბედნიერი დღეები იქ გატარებული.

ზღვაც მთასავით უყვარდა. მისი  
გმირებიც მუდამ ან ზღვასთან ბრძო-  
ლაში კვდებოდნენ, ან მთასთან ჭიდ-  
ილში, ეს ორი სტიქია იყო, რომელსაც  
გურამი ყველაზე დიდ უპირატესობას  
ანიჭებდა, უფრო მეტს მუშაობდა ზღ-  
ვაზე, ვიდრე ისვენებდა. მას უყვარდა  
წერა, როცა შორს, სიზმარივით მო-  
ისმოდა ტალღების ჩუმი ამაფორიაქე-  
ბელი ხმა.

სიკვდილზე ხშირად ფიქრობდა.  
უცნაურად გრძნობდა ყოველთვის, რომ  
სიკვდილს უახლოვდებოდა, თითქოს  
ხანდახან მის სუნთქვასაც გრძნობდა,  
მაგრამ იმდენად ოპტიმისტი იყო, რომ  
პირიქით, სიკვდილთან მიახლოვება  
სიცოცხლისა და შექმნის, ახლის შე-  
ქმნის წყურვილს უფრო უძლიერებდა.  
საოცრად სწამდა, რომ ყოველი ადამი-  
ანი მეორედ იბადებოდა წლების, ანდა  
საუკუნეების შემდეგ.

დამით დაწერილი ლექსი გადაი-  
კითხა და ზღვისადმი ლტოლვა უფრო  
სიცხადით გამოიკვეთა მასში. დედა  
მოენატრა. ბავშვურად მოუნდა მისი  
თბილი ხელებით მოფერება, ალერსი...

უცბად იგრძნო, რომ ვერასოდეს  
ვეღარ ნახავდა საყვარელ დედას, ვერ  
შეხედავდა მის ჭკვიანურ თვალებს და  
შეაურულა, მაგრამ ეს წამით იყო  
მხოლოდ, ყოველი წუთი მისთვის სანუკ-  
ვარი იყო, წუთებში ჰქმნიდა ადამიანის  
უკვდავებას და ცდილობდა რაც შეი-  
ძლება ბევრი ემუშავა, ყოველი წუთი  
მარადისობად გადაუქცია.

მთაწმინდა მოენატრა. დღევანდელ დღეს უფრო მძლავრად იგრძნო ახლობლების და საყვარელი ადამიანების მონატრება, ეს მონატრება აუხდენელ სიზმარს ემსგავსებოდა თავისი მრავალ ფეროვნებით.

ქუჩები ცარიელი იყო, მაგრამ გურამს საოცრად მოუნდა გავლა და ზღვის ნაპირზე სეირნობა. წვიმამ ვერ შეაშინა. კიბეებზე აჩქარებით დაეშვა. ბიძაშვილი მოინახულა და უთხრა, რომ ცოტას გაივლიდა და მალე დაბრუნდებოდა. მარტო სიარული უყვარდა გურამს, უფრო მეტს ფიქრობდა, თითქოს მარტო სიარულში ახალ-ახალ თვისებებსაც აჩენდა თავის არსებაში.

გარეთ გამოსულს წვიმის წვეთები სახეზე ცივად დაეცა. ხალათის საყელო აიწია და მხრები ოდნავ მოწურა. არავითარი აღელვება და აჩქარება არ ეტყობოდა. საათი პირველს აჩვენებდა. გულში მეგობრებისაკენ საოცარ ლტოლვას გრძნობდა, ისეთი შეგრძნება დაეუფლა, რომ ასე ძალიან თითქოს არავინ არასოდეს არ მონატრებია. მარტოობას მტყივნეულად განიცდიდა, მაგრამ მაინც გადაწყვიტა მარტოს ესეირნა საყვარელი ქალაქის ქუჩებში...

წვიმის ცივი წვეთები სახეზე რიტ-მულად ემსხვრეოდა და სიამოვნებდა გურამის წვეთებთან თამაში. პატარ-პატარა გუბურებში წვეთი ლამაზი ხმაურით ვარდებოდა და ისიც გუბურას უერთდებოდა... ზღვა მოშორებით იყო, მაგრამ ნგრევის, ბრდლენის ხმა მაინც აღწევდა გურამის სმენამდე. შეაურეოლა, ეხლა უფრო ძალიან მოენატრა მზე და წყნარი ზღვა, მოლივ-

ლივე და ჯეჯილივით სასიამოვნო, როცა მზის სხივებს მოთმინებით ირეკლავ-და ზედაპირზე. ეს უგემური, არასასია-მოვნო დღეები კი გადაუჯაჭვა ერთმანეთს... ახსოვს რამდენ ხანს დასეირნობდა ქუჩებში მარტო. აჩქარებით მოსიარულე დაშვენებლები გაკვირვებულ მზერას აყოლებდნენ, ქალიშვილები კი კეკლუცად, ეშმაკურად გაულიმებდნენ და ისინიც აჩქარებით ეფარებოდნენ თვალს.

მხოლოდ გურამს არ ეჩქარებოდა. მიაბიჯებდა წვიმით მოკირწყლულ ქუჩებში და ფიქრობდა, ისევ სიკვდილზე ფიქრობდა...

მას იმდენჯერ ჰქონდა სიკვდილი გადატანილი რამდენჯერაც დაიღუპა მისი გმირი და მოახლოებული სიკვდილი კი არ აშინებდა, უბრალოდ ართობდა მხოლოდ. გაგრის ლამაზი მთები მძიმე ჯანღით იყო დაფარული, თითქოს მხრებზე უშველებელი ტვირთი აწევსო, ოდნავ მოხრილიც ეჩვენებოდა კაცს.

წვიმის წვეთები მის თმებში მარგალიტებივით ბრწყინავდნენ. ხუჭუჭო თმებში მძიმებივით ჩასწვნოდა წვეთები რამდენიმე წვეთი კი ქუთუთოებზეც დაჰკიდებოდა ცრემლივით...

პალმასაც თითქოს აეკეცა მარაოსავით გაშლილი ფოთლები და მოწყენილი გამოიყურებოდა. საღ-გურისაკენ მიმავალ გზას გაუყვა გურამი, იმ იმედით, იქნებ ვინმე ნაცნობი ენახა და მარტოობის მწვავე შეგრძნება დროებით მაინც ჩაეხშო. საღგურის შენობის კედლები მეტი წვიმისაგან გაშავებულიყო და მისი შეხედვა არასა-

სიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდა. ახლომისულმა ნაცნობებიც შენიშნა. ლენინგრადელი და თბილისელი ბიჭები იყვნენ. გურამს ესიამოვნა მათთან შეხვედრა. ერთმანეთი თბილად მოიკითხეს. აღმოჩნდა, რომ ისინიც მარტოობას შეეწუხებინა და სასეირნოდ გამოსულიყვნენ გარეთ. მართალია გურამს გულთბილი მეგობრობა არ აკავშირებდა მათთან, მაგრამ ამ შეხვედრამ მაინც გაახარა ჭაბუკი. ყველამ ერთხმად წამოაყენა აზრი, რომ სადმე, წყნარ ადგილას შესულიყვნენ და პირი გაესველებინათ. წინააღმდეგი არავინ აღმოჩნდილა. გურამთან ერთად შვიდნი იყვნენ. ლენინგრადელებს ერთი გოგონა ახლდათ. შორს არსად უცდიათ წასვლა. იქვე, სადგურთან მდებარე პავილიონში შევიდნენ. ზღვისფრად შედებილ პავილიონში სისუფთავე და სიწყნარე სუფევდა.

ორი პატარა მაგიდა გააერთიანეს და სახელდახელოდ გაწყობლ სუფრას შემოუსხდნენ. გურამი ხუმრობდა, მოსწრებულ სიტყვასაც ამბობდა, მაგრამ თითქოს უცხონი იყვნენ მაინც ეს ადამიანები მისი სამყაროსათვის. თავისი ძმაკაცები მაინც სხვანი იყვნენ... მათთან მოხვედრილს თავიც ავიწყდებოდა, ეს იყო ნამდვილი მეგობრობა, ცხოველმყოფელი და ლამაზი. ნუგზარის ლექსები მოხნატრა გურამს... მასთან ბაასი და ხუმრობა, გულშიც კი გაივლო: რა იქნებოდა ისინი ახლა აქ ყოფილიყვნენ: ნუგზარი, კლიმერი, ბორისი... მაგრამ ღრმა ფიქრებიდან შამპანურის ბათქმა გამოაფხილა. თეთრი ქაფის წინწკლები ხალათზეც დაღვრო-

და და ღიმილით მოიცილა.

შეავსეს ჭიქები. გაზის ბუშტუკები თლილ ჭიქებს კედლებზე მიეკრო და ჭიქა აიხორკლა.

გურამმა თავის ვაჟკაცურ ზელებში მოიქცია პატარა, მუცელ გამობერილი ჭიქა და თვალი გაუშტერდა მოძრავ გაზის ბუშტუკებზე. ჭიქა ტუჩებთან მიიტანა, ოდნავ, შესამჩნევად დააქნია და მოსვა...

დანამული თმები ნელ-ნელა შეაშრა, სახეზე ოდნავ წამოგზნებაც შეეტყო და ამან უფრო დაამშვენა. ქალიშვილი დროდადრო სათხო ღიმილით შეხედავდა ხოლმე გურამს და ამ უკანასკნელს სიამოვნებდა ქალის ყურადღება.

გურამს არ ესიამოვნა სასმელი, თითქოს სიტყბოს ნაცვლად მწარე გემოც კი იგრძნო პირში. ოხრახუშის პატარა ღერო აიღო და მას დაუწყო წიწკნა...

ბიჭებმა ცუდ ამინდზე ჩამოაგდეს სიტყვა. თბილისელები წასვლასაც კი აპირებდნენ ღამით, უამინდობამ გაგვაწამაო...

მალე წამოიშალნენ. ბიჭები ღიმილით გამოვიდნენ პავილიონიდან. წვიმას გადაელო, მაგრამ ქარის ქროლვას ემძლავრა. მაღალი, მარადმწვანე ხეები ერთმანეთს ეხლებოდნენ ტოტებით...

ზღვაზე ჩასვლა გადაწყვიტეს. ერთერთმა ლენინგრადელმა ცურვა მოინდომა. სხვების გაკვირვება რომ დაეძლია, ამტკიცებდა: გაცილებით უარეს ღელვაში მიბანავიაო.

გურამმა წყნარად მიმართა ნაცნობს:

— ღელვა რვა ბალამდეა. ახლა ზღვაში შესვლა აპსოლიტური უაზრობაა და არავითარ ვაჟკაცობას არ წარმოადგენს.

მყრაბ ლენინგრადელი მაინც თავისას არ იშლიდა. სასმელისაგან თვალები წამოგზნებოდა და ცდილობდა იქ მყიფთათვის გმირობის მაგალითი ეჩვენებინა. სამმა ბიჭმა მაინც მოახერხა ზღვაში შესვლა... ბიჭები ღრმად შეცურდნენ წყალში... მთის სიმაღლე, ტალახისფერი ტალღები, რომლებიც მრისხანებით ბრდლვინავდნენ მათ სიცოცხლეს საფრთხით ემუქრებოდა... ნაპირიდან კარგად მოჩანდა მათი შეშინებული სახეები, — როცა აზვირთებული, აქოჩრილი ტალღებით თავზე უვლიდნენ, წყალში უჩინარდებოდნენ,... მერე კი ისევ ჩანდა მათი სასოწარკვეთილი სახე... ისინი უკვე შველას თხოულობდნენ...

ნაპირზე ხალხი შეგროვდა. მოხუცი ქალი მუხლზე ხელის ცემით თავისთვის ჩურჩულებდა:

— ვაი შვილებო, რამ გადაგრიათ, რამ? — ამ ღელვაში ნორმალური ადამიანი შესვლას, როგორ გაბედავდა!..

ორმა ბიჭმა ტანსაცმლის გახდა დაიწყო, რათა ამხანაგები გადაერჩინათ.

ზღვისკენ ზურგშექცევით მდგომი გურამი გაცხარებული უუბნებოდა:

— თქვენი შესვლით უფრო გაართულებთ საქმეს. მოითმინეთ, საცაა მაშველი მოვა და ჩვენ გამოვიყვანთ, თქვენ მაინც ვერ უშველით...

გურამი ზურგით იდგა ზღვისკენ ჯებირის კიბეზე...

უცბად იმ ადგილს უზარმაზარი,

სახლისოდენა, აქაფებული, ამღევრეული ტალღა დაეხეთქა და გურამი თან გაიყოლა.

ქალებმა ყვირილი დაიწყეს. განწირული ხმით კიოდნენ, რომ ეშველათ საფრთხეში ჩავარდნილთათვის.

უკან გაბრუნებულმა ტალღამ გურამი სიღრმეში შეითრია. ჭაბუკი ვერ გამორკვეულიყო რა მოხდა, მაგრამ უცებ მოეგო გონის, შიში მისთვის უცხო იყო, ცურვა კარგი იცოდა და ცურვით გამოსწია ნაპირისაკენ. ის ხედავდა ნაპირზე შეგროვილ ხალხს, დროდადრო მათ სახეს ავარდნილი ტალღა ჰქონდა.

დიდხანს ებრძოდა გურამი გამძინვარებულ სტიქიას, მოზღვავებული ტალღები მალ-მალე ქვეშაც იქცევდნენ, მაგრამ გურამი სასოწარკვეთას არ მისცემია... უწინ თუ ვამები და ვაჟა ამარცხებდნენ სიკვდილს, ახლა გურამის ჯერიც დამდგარიყო...

დაღლილი, ოდნავ გაფითრებული გურამი წვალებით მიცურავდა ნაპირთან, ძლიერმა ტალღებმა ძალა გამოაცალა და მძიმედ სუნთქვდა. ზღვას მისთვის ხალათი გაეხადა და მეზღვაურის ზოლიანი მაისური ძლიერ სხეულზე გაკროდა.. გული ხშირი მოძრაობისაგან ადიოდა და ჩადიოდა... სპორტსმენის დაკუნთული სხეული ზოლიან სველ მაისურმი გამოკვეთილად მოჩანდა. გურამი ხედავდა ნაპირზე შეგროვილ ხალხს. ისინი ხელებს უქნევდნენ. სმენა დახშობილი ჰქონდა, მაგრამ მაინც გაიგონა თანაგრძნობით შეწუხებული ხმები:

— ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!

— ამ წუთას, — დაიძახა გურამმა.

აჩქარებით გამოირბინა სველი, ქვიშიანი სანაპირო და რამდენიმე წამში კიბეებსაც აირბენდა, მაგრამ უზარმაზარი, მთის ხელა ტალღა ხელმეორედ დაეჯახა ჯებირს და გურამი კვლავ გაიტაცა...

ნაპირზე შეგროვილმა ხალხმა უფრო უმატა ღრიანცელს. ქალების კივილის ხმაც ისმოდა.

გურამი ამაოდ ებრძოდა ტალღებს. თითქოს სიკვდილიც იგრძნო ჭაბუქმა, რომელიც გვერდით, ავაზასავით განაბული და ჩასაფრებული უდარაჯებდა. ბრაზი მოერია. უნდოდა, ძალიან უნდოდა დაემარცხებინა იგი მხოლოდ იმისთვის, რომ გამარჯვების სიხარული არ ეგრძნო სიკვდილს.

ნაპირზე კი ადამიანთა ჯგუფი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. მათი ნაკადი ერთადერთმა ჭაბუქმა გაარღვია. ჭაბუქს დაკუნთული, მზისაგან გარუჯული მკერდი ფოლადივით უბრწყინავდა.

იგი წყალში გადაეშვა. რამდენიმე ჯერ ტალღაც დაეჯახა ჭაბუქს, მაგრამ ძლიერი მკერდით გაარღვია წინააღმდეგობა და გურამს მოუახლოვდა.

მრისხანე ზღვა ნაპირისაკენ გზავნიდა აბორგებულ ტალღებს და ქვეყანას წალეკვით ემუქრებოდა. მისი მრისხანება წამითაც არ ცხრებოდა.

მიახლოვებულ ჭაბუქს გურამმა სვენებ-სვენებით უთხრა:

— „მე არა მიჭირს, მეგობარო, როგორმე გამოვალ, მათ უშეველე, თორუმ დაიღუპებიან,“ და ხელით ოდნავ უბი-

ძგა აფხაზ ჭაბუქს...

უკანასკნელი ღონე მოიკრიბა გურამმა. ძალა ეცლებოდა, მაგრამ ცდილობდა ზღვას ბრძოლაში არ ჩამოვარდნოდა.

გურამი გრძნობდა, რომ რამდენიმე ძლიერი დარტყმით ზღვა ძალას გამოაცლიდა და ვერასოდეს ველარ გააღწევდა ნაპირამდე. თვალი მოჰკრა ტალღის ქოჩორზე მოფართხალე ნაცნობებს, რომელთაც სწრაფად უახლოვდებოდა გაბედული ჭაბუქი. მას არ შეეძლო ესარგებლა სხვისი დახმარებით, როცა იცოდა, რომ მასზე ძლიერ სხვას უჭირდა, სხვას სჭირდებოდა დახმარება...

ნაპირზე შეგროვილი ხალხი გადარჩნის იმედს უღვიძებდა. მკლავები დაეღალა. ისეთი შეგრძნება დაუუფლა, თითქოს ხელები სხეულზე აღარც ება და არც არასდროს ჰქონია. წყალში გაჩერდა. ძალ-ღონის მოქრება მას ახლა უფრო ძლიერ სჭირდებოდა ვიდრე ოდესმე... წამით თვალი ჩაშავებულ პორიზონტს გაუშტერა... გონებაში შავით მოსილ ქალს მიამგვანა და თითქოს წყალში დედის შეძრწუნებული სახე გამოჩნდა გაფართოებული თვალებითა და თეთრი თმებით... ხელაგმოწვდილი დედა გადარჩენას ემუდარებოდა გურამს... გურამი გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას, მაგრამ ამის შეგრძნება მისთვის საშინელება იყო... კიდევ ერთხელ უნდა დაემარცხებინა სიკვდილი ვაჟას მაგივრად... მის წინ უზარმაზარი ტალღა აიფოფრა, გარეული ულაყივით ყალყზე შედგა და გურამი თავის სიმძიმით ქვეშ მოქცია. ტალღის ქვეშ მოყოლილს კვლავ

ქალების ტირილისა და გნიასის ხმა შემოესმა... გული რაღაც სითბომ გაუთბო.. რაღაც ბავშვური გულუბრყვილობით უხაროდა ნაპირზე თავშეყრილი ხალხის თანაგრძნობა. ტალღამ რამდენიმე წამს გადაუარა თავზე და ისევ გამოჩნდა გურამი ტალღებში.

ნაპირთან თავშეყრილი ხალხი ახლა უფრო გამეტებით აყვირდა...

გურამ... გურამ... თითქოს ქალის ნაზი, მაგრამ სასოწარკვეთილი ხმა ჩაესმა ჭაბუკს... მოეჩვენა ცის ტატ-ნობზე ლამაზი ქალიშვილის სახე, რომელსაც დიდი, გამლილი თმები მკერდზე ჩამოშლოდა და ზღვისფერ თვალებში შიში ჩასახლებოდა... თითქოს ქალწული მხოლოდ მას უხმობდა მტრედისფერი ხელებით, რომელიც სიშავეში ოქროსფრად ბრწყინვდა... გურამს სახეზე სიმწრის ლიმილი გადაეფინა, იქნებ ეს სწორედ ის ქალიშვილი იყო, რომელსაც ამდენი წელი იმედით ელოდა, რომელიც მთელი ცხოვრება უყვარდა და შეხვედრის რწმენა არასოდეს არ დაუკარგავს...

ზმანება გაქრა და მის წინ ისევ ტალღა აიყალყა. გურამს მოეჩვენა, რომ ზღვა ბოროტებით სავსე იყო და შეუბრალებლად ხარხარებდა და ხარხარებდა...

მთელი სხეული სტკიოდა. ნაბეგვსა და ნაცემს ჰერება, მაგრამ სიცოცხლის მძაფრი შეგრძნება ისე ძლიერ აბორგდა მასში, რომ ჭაბუკმა უკანასკნელად მოიკრიბა მალა და ნაპირისაკენ გასწია...

გონებაში მისი გმირები საოცარი სისწრაფით ცვლიდნენ ერთმანეთს.

აზსენდებოდა მასთან და ზღვასთან შეჭიდებული ჭაბუკები და უხაროდა, რომ ძალიან ბევრჯერ სიკვდილი გააბრიყვა, ვერ მოერია მას.

ახლა თვითონაც რაღაცით ემს-გავსებოდა თავის გმირს. ნუთუ ეს წინააღმდეგობა ბორკავდა ოცდაექვსი წლის მანძილზე, ნუთუ ზღვასთან ჭიდილში მოეღებოდა ბოლო მის სიცოცხლეს ?! – და ეს დღე გახდებოდა მისთვის საბედისწერო?!

– არა, არა, უნდა აჯობოს ზღვას. უნდა გასცუროს ნაპირისაკენ, რომ ხელახლა განიცადოს სიკვდილთან გამარჯვების სიხარული...

გურამ... გურამ... გურ....

მართლაც ზმანებას ჰერება. ისევ ქალწულის ცრემლიანი თვალები დალანდა გაშავებულ ცაზე... რომელსაც სითეთრე აქა-იქ ლაქებივით შეპარვოდა...

დაბრუნდი გურამ!...

ისევ ის შემაძრწუნებელი, ნაზი და ტკბილი ხმა. თითქოს ბედნიერებას ჰპირდებოდა მისი ხავერდოვანი ხმა...

გურამმა სცადა ისევ თავად ეშველა თავისთვის, მაგრამ ნაპირთან მიახლოებული, ზურგიდან დაძგერებულ ტალღას ისევ უკან მიჰყავდა საოცარი სისწრაფით... ჭაბუკი უფსკრულში ჩავარდნილს ჰერება, როცა ტალღები მართლა უფსკრულივით ღრმავდებოდნენ და ჭაბუკს ზემოდან წყლის შხეფებს აყრიდნენ. უცანური ხმა მოესმა. დაღლილი სხეული მას უკვე აღარ ემორჩილებოდა, მაგრამ ღონის დაძგით მზერა ცისკენ მიმართა. ზღვიდან რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე ვერტ-

მფრენი გამოჩნდა. იმედის პატარა შუქმა გაანათა მისი გონება. მფრინავმა სასწრაფოდ შემოავლო წრე და გაჩერდა. ნელ-ნელა ვრტმფრენიდან თოკი ჩამოუშვეს. ქარი გრგვინავდა და თოკის კიბეს აქეთ-იქით ანარცხებდა.

ვერტმფრენიდან ჩამოშვებული კიბე უფსკრულში ჩაშვებულ თოკს ჰგავდა. ზღვა ბრდლენიავდა, ტალღები ნელ-ნელა იწევდნენ მაღლა, ცარიელ სივრცეს უცბად საოცარი სისწრაფით ყოფდნენ შუაზე და შემაზრზენ ხმას გამოსცემდნენ. გურამმა თვალი მოპერა სახეშეცვლილ ნაცნობებს, რომლებსაც ღონე გამოლეოდათ და ბედშეგუებულ ადამიანებს ჰგავდნენ...

„გურამ-გურამ მოკვდება... დედა არ კვდება, დედა არ შეიძლება მოკვდეს, კვდება მხოლოდ შვილი“ ეს პატარა მონაკვეთი მოთხრობისა საოცარი სისწრაფით აღდგა მის გონებაში, თითქოს შვებით ამოისუნთქა, როცა თავისივე დაწერილი სიტყვების სიწფელე ცხადად წარმოიღენა... მხოლოდ სინანულმა გაიელვა მის დაღლილ გონებაში: „ნეტავი თუ ვთქვა ჩემი სათქმელი...“ მცირე დაუმთავრებელი მოთხრობაც გაახსენდა სანატორიუმის პატარა ოთახში ობლად მიტოვებული... გრძნობდა, რომ სიკვდილთან შეერთება უმტკივნეულოდ ხდებოდა... თითქოს სიამოვნებდა კიდეც ეს გაურკვეველი ბურუსით შობილი ხმაური... უფრო სწორად ვედარც გრძნობდა ტალღების ხმაურს და ტრამალზე, უკიდეგანოდ გაშლილ ტრამალზე წარმოიღინა თავი... ქუთუთოები დაუმბიმდა, უშველებელი ტვირთი აწვა

თვალებზე, ვერტმფრენი უზარმაზარ ფრინველს მიამსგავსა. ბიჭები მის გვერდით ფართხალებდნენ და გაშეშებული, ღონე გამოცლილი თითებით თოკის კიბეს ებლაუჭებოდნენ, სახე ტკივილებისაგან ჩასთეთქვოდათ და ერთად ერთ ხსნის იმედს ნატვრისთვალივით მისჩერებოდნენ. გურამმა ოთხივე წინ გაატარა კიბეზე. როცა პირველი შეიყვანეს ვერტმფრენში მესამემ და მეოთხემ კი სიხარულის ფრთები გამოასხა მას, მათ სძლიერ სიკვდილს? - კიდევ ერთხელ გაიმარჯვა გურამმა...

უზარმაზარი ტალღა, რომელიც კაცს მხოლოდ სიდიდით შეაძრწუნებდა მშვიდად ემზადებოდა მორიგი შეტევისათვის. თითქოს მოიგროვა ძალაც და ისეთი სიმძლავრით მიენარცხა გურამს, რომ კიბეს ჩაჭიდებული ჭაბუკი კვლავ ღელვაში მოაქცია, ხალხის გნიასმა და შეძრწუნებულმა ხმამუფრო იმძლავრა...

ხალხის ნაკადი მოხუცმა ქალმა გაარღვია. შავი თავსაფარი მძლავრ ქარს მოეძრო თვიდან და მოჩანდა სპეტაკად დათოვლილი თეთრი თმები... სახე თმების ფერი ჰქონდა ქალს. თხელ, სიფრიფანა ტუჩებს ოდნავ შესამჩნევად ამოძრავებდა და კაცი მიხვდებოდა, რომ ქალი ლოცულობდა მარჯვენა ხელით პირჯვარს ისახავდა და თვალს შავ ღრუბლებს არ აცილებდა, თითქოს ხსნას იქ ეძებდა.

ბავშვები შეშინებულ, გაფართოებული თვალებით მისჩერებოდნენ შემაზრზენ ტალღებს, ზოგი ქალი კი თვალებზე ხელაფარებული ტიროდა,

თითქოს აღარც სურდათ ეცქირათ  
ტრაგიკული სურათისათვის...

გურამს თავის გადარჩენის სურ-  
ვილი არ ამოძრავებდა ისე ძლიერ,  
როგორც გამარჯვება სურდა, უნდოდა  
ზღვა, ეს უძველესი სტიქია ერთხელ  
კიდევ დაემარცხებინა, მხოლოდ ერთხ-  
ელ... თითქოს ვიღაც უხილავს მის-  
თვის ძალა ჩაედგა მეორედ ისე იგ-  
რმნო ძალთა მოზღვავება ჭაბუქმა და  
რამოდენიმე მეტრის მანძილზე მოქანავე  
კიბე, როგორც იქნა დაიჭირა.

სველი, უხეში თოკი ზელგბში მოიქ-  
ცია, სუნთქვა უჭირდა. ერთი საფეხუ-  
რით ზემოთ აიწია, სიხარული იგრძნო,  
თუმცა ისევ წყალში იყო... მეორე, მეს-  
ამე... საფეხურებს სთვლიდა გურამი...  
მეოთხე, მეხუთე... მეექსე... მოქვენა, რომ  
ნელ-ნელა კიბე ისევ წყლისკენ იწევ-  
და, თვალი მორღვეულ, ძაფამდე და-  
სულ თოკს ჰგავდა... ხსნის უკანასკნე-  
ლი იმედით ისე სწრაფად გაქრა,  
როგორც გამოჩნდა. დამპალმა თოკმა  
ვერ გაუძლო სიმძიმეს. ხალხის შეძრ-  
წუნებულმა ხმამ, სიმწრის ღიმილი  
მოჰგვარა ჭაბუქს, არა, მას არ შეეძლო  
შშვიდად მომკვდარიყო, ეს მისთვის, მისი  
ბუნებისათვის უცხო იყო, ისევე როგორც  
თვითმკვლელობა... უნდა ებრძოლა  
უკანასკნელ შესაძლებლობამდე. რად-  
გან სიკვდილიც ბრძოლაში სურდა,  
სიმშვიდე მისთვის უცხო იყო და არც  
სიკვდილი სურდა სიმშვიდეში...

ძლიერმა ტალღებმა ზოლიანი მაი-  
სური ტანზე შემოახია ფორმადაკარ-  
გული მაისური გურამს ხელებზე გად-  
მოეფარა... მაგრამ ძალა აღარ შესწევ-  
და მის მოსაცილებლად. გრძნობდა

გურამი, რომ ზღვა ნელ-ნელა ქურდუ-  
ლად იმორჩილებდა. მას ძველებური  
ძლიერებიდან კვალიც არ დარჩენოდა...  
ფრთხებადმტვრეული არწივს ჰგავდა  
უკვე...

ზღვის აქოჩილი ტალღა ახლა  
ხან ზემოთ მოაქცევდა, ხან ქვეშ იყო-  
ლიებდა. ხელებს უმწეოდ ამოძრავებ-  
და...

მოეჩვენა, რომ ცის კიდე ბროწეუ-  
ლის ყვავილისფრად შეღებილიყო,  
თეთრი ღრუბლები კი ცის სამკაულივ-  
ით მოჩანდა... ამ უცნაურ სილამაზეში  
ნელ-ნელა ამოცურდა გადიმებული, ქრ-  
ათმიანი ქალიშვილი, რომელიც ბროლ-  
ისფერ, თლილ ხელებს უწვდიდა, ქალ-  
იშვილი იმ სიყვარულს ჰპირდებოდა,  
რომელსაც რაღაც უცნაური მტანჯვე-  
ლური შიშით ელოდებოდა და მოსვ-  
ლის იმედიც არ ჰქონდა.

ტალღის ცემისაგან შეშუპებული  
დატანჯული სახე თითქოს ღიმილმა  
გაუნათა, ხელების აწევაც სცადა, მა-  
გრამ ვერ შეძლო, ხელები მას უკვე  
ვეღარ ემორჩილებოდნენ. როგორ ძლი-  
ერ უნდოდა ფეხქვეშ სიცარიელის ნაცვ-  
ლად სიმყარე ეგრძნო, რათა ღონე  
მოეკრიფა, ასე კი ცაში გამოკიდულს  
ჰგავდა... გონებაში წამით ფიქრმა  
გაუეღვა:

— ჩემი წინათგრძნობა არ იყო  
სიკვდილთან შეყრის შიში, არა, ეს  
უბრალოდ ინტუიცია იყო, რომელიც  
აუცილებლად უნდა გამართლებულიყო  
მე ვგრძნობდი, რომ ვერასოდეს ვერ  
გავხდებოდი მოხუცი, მე ბრძოლის  
ველზე უნდა მოვმკვდარიყავი და არა  
ომადათოვლილი სადმე რკინის საწოლ-

ში მწოლიარე...

არავითარი ტკივილი აღარ სტან-ჯავდა უკვე. საოცრად მსუბუქად გრძნობდა თავს, თითქოს არც არას-დროს ყოფილიყო ასე და მხოლოდ სიზმრად ნანახი სამყარო მეორდებოდა მის თვალწინ...

დედა... დედა...

უფრო გონებაში გაივლო სიტყვები, ვიდრე თქვა, რადგან სკელი, გაფი-თრებული ტუჩები მას უკვე აღარ ემორ-ჩილებოდა...

ეს არ ჰგავს საშველად მოხმობილ ხმას. მას არ შეეძლო ეთხოვა შველა. არა, ეს მონატრებას უფრო ჰგავდა, იმ კაცის მონატრებას, რომელმაც კარგად იცის, რომ ვერასოდეს ვეღარ ნახავს საყვარელ ადამიანს და სურს დიდხ-ანს დაიმახსოვროს მისი ადამიანის სახე.

ცა ისევ შავად იმზირებოდა... აღარ-სად ჩანდა ქერათმიანი ქალიშვილი, მხოლოდ სიკვდილს ხედავდა მის წინ მთელი სიმაღლით ამართულს... ტალ-ღა ისე ძლიერ შეასკდა, რომ თითქოს მარჯვენა ხელი მოპგლიჯესო რკინის იარაღით. კბილები სიმწრისაგან ერთ-მანეთზე დააჭირა. არა, მას გმინვაც კი არ აღმოხდებოდა.

უკანასკნელად აღიმართა ტალღა, გაიბერა, მაღლა-მაღლა წავიდა, უკა-

ნასკნელი შეტევისათვის მოემზადა და ყალყზე შემდგარისა ზემოდან გადაუარა გურამს... ძლიერი ძალა მას საოცარი სისწრაფით ფსკერისაკენ მიაქანებდა... ნელ-ნელა უახლოვდებოდა უხილავსა და მარადიულს სამყაროს.

ზღვა ისევ ყალყზე შემდგარი რისხ-ვისაგან ცოფებს ჰყრიდა. ისევ მოურეკე-ბოდა ნაპირისაკენ უზარმაზარ ტალ-ღებს... ისევ იდგა ხალხი ნაპირზე და უფრო მეტად ვიშვიშებდა... ზეცაც სალი კლდესავით შეუბრალებელი და შეუ-ვალი გამხდარიყო. არ ჩანდა მხოლოდ გურამი... ბრძოლა დუელს ჰგავდა და გამარჯვებული ზღვა უფრო ბრწყი-ნავდა მრისხანებით, რადგან ვერ შეა-შინა ჭაბუკი, ვერ დააკვნესა და უკა-ნასკნელ წუთამდე შეუპოვრად ებრძო-და...

ნაპირიდან კარგა მოშორებით, წერტილივით მოჩანდა ხის ნაგლეჯზე ჩამომჯდარი თოვლიფერი თოლია... ნაღვლიანად იმზირებოდა აქეთ-იქით, ტალღებს კი არ უშინდებოდა, საქანელა-სავით არწევდნენ მას ტალღები...

იქნებ სული იყო პატარა თოლია გურამისა და ტალღებში გაუჩინარე-ბულ სხეულს სინანულით გაჰყურებ-და... მას ხომ სჯეროდა, რომ ზღვა ვერასოდეს მოეროდა, რადგან თოლია იყო...

იორდა ბეგლარი შვილი

1984 წ.

ქ. თბილისი

---

## მინას დენი

აბარეთ ქართულ მიწას. ისინი კაცურკაცებისათვის დამახასიათებელი ნიშანთვისებებით ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს, ერთი თელავს წარმოადგნდა, მეორე ოზურგეთს, მესამე კი ზესტაფონ – ხარაგაულს. სამივე იყო ქართული სილამაზით უხვად დაჯილდოებული, საშუალოზე მაღალი, ნათელი სახეებით, კეთილშობილური მანერებით, სამივე იყო საქართველოს გულმზურვალე პატრიოტი, კაცომოყვარე და შრომისმოყვარე, ოჯახისა და მეგობრობის თაყვანისმცემლები, ერთგული და უღალატო, ღირსებითა და ბუნებრივი სიბრძნით გამოჩენილები. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სამივე მათგანი საკუთარი დიდებული ქართული კუთხეების კოლორიტულ სახეებს ანდა სავიზიტო ბარათებს წარმოადგენენ. არცერთი არ იყო დიდი მწერალი ან დიდი მეცნიერი, მაგრამ იყვნენ დიდი კაცები, სამაგალითო მამულიშვილები, საკუთარი ცხოვრების წესით მისაბაძები და სამაგალითონი, რაც ხშირად პოეტის, მხატვრის თუ მეცნიერის სახელსაც აშკარად გადასწონის ხოლმე, სწორედ ასეთი ადამიანები აშენებენ უხინჯო ცხოვრებითა და უშრეტი სიკეთით ადამიანური ყოფის ტაძარს. ისინი კი მიდიან, მიდიან, მათი მსგავსები ძალზე ცოტანი რჩებიან.

საოცარი დამთხვევები არსებობს ამ ცოდვილ და არეულ-დარეულ ქვეყნად, ხშირად ფატალური, უფრო იშვიათად სასიხარულო. 2009 წლის ქარიანი თებერვლის თვეში, სულ რაღაც ათი დღის მანძილზე – 3 თებერვლიდან 13 თებერვლამდე, სამი უბრწყინვალესი ქართველი ვაჟებიცი, ათეულობით წლის განმავლობაში ჩემი ახლო მეგობარი, დიდი გულისტყვილით მივ-

ათ დღეში სამი ახლობელი ადამიანის დაკარგვა წარმოუდგენლად მნელი იყო, მართლაც ხელშესახებად

წაიღეს გულისა და ცხოვრების ნაწილი. მათზე წარსულში ლაპარაკიც კი მიჭირს, სამივეზე ცალ-ცალკე წერა ძალიან ამაღლვებელია, დამთრგუნველი, იქნებ ამიტომაც სამი დაუკიტყვრი მეგობრის ერთ ტკივილიან საჟურნალო წერილს ვუძღვნი რითიც მინდა მადლობა გადავუხადო მათ.

### X X X

დემნა რჩეულიშვილი 1952 წლის სექტემბრის ბოლოს გავიცანი ქალაქ თელავში, ულამაზეს ნადიკვარზე, როდესაც პირველკურსელმა, 18 წლის გურამ რჩეულიშვილმა შეგვრიბა 12 მეგობარი და საქართველოს უბრწყინვალესი კუთხის კახეთის გასაცნობად წაგვიყვანა. მაშინ ჩვენი მასპინძელი იყო 22-23 წლის დემნა რჩეულიშვილი. თბილი მეგობრული შეხვედრა ახლო მეგობრობაში გადაიზარდა, რაც თითქმის 57 წელი გაგრძელდა, დიდი და ღირსეული პიროვნების უდროო გარდაცვლებამდე. მან მხოლოდ ოთხმოც წელს მიაღწია, ეს კი ძალიან ცოტა იყო ისეთი გამორჩეული ადამიანისთვის, ისეთი სახელოვანი თელაველისთვის, როგორიც იყო დემნა რჩეულიშვილი, ის არა მარტო თელავსა და კახეთს, არამედ მთელს საქართველოს დააკლდა.

თელავში ჩვენი პირველი და დაუკიტყვარი მოგზაურობის შემდეგ დემნა რჩეულიშვილს ძალიან ხშირად ვხვდებოდით. თბილისისა და თელავის გარდა პირადად მე დაუკიტყვარი მეგობრული შეხვედრები მქონდა მასთან გორში,

ქუთაისში, სოხუმში, სოჭში, მოსკოვში, ბაქოში, ყველგან ერთნაირი იყო, არ იცვლებოდა, დრო და მანძილი მასზე უმცირეს გავლენასაც კი ვერ ახდენდა. ყველგან იყო ღირსეულზე ღირსეული ქართველი კაცის განსახიერება — თბილი, ყურადღებიანი, სიკეთით და ოქმორით სავსე, გულუხვი, ხელგამლილი, ყველას უშურველი მასპინძელი, კახური ანუ თელავური ტრადიციების უერთგულესი მცველი და წინამდლოლი, დაპატიჟებას ვერ დაასწრებდი, მასპინძლის როლს წამითაც არ დალატობდა, თავისებური სიჯოუტეც ჰქონდა, რასაც იტყოდა ვეღარ გადაათქმევინებდი, თავისას მაინც ბოლომდე გაიტანდა.

თითქმის ყველა სამსახურში, სადაც კი მომიხდა მუშაობა, საზღვარგარეთის უამრავი დელეგაცია ჩამოდიოდა, განსაკუთრებით საქართველოს საავტორო უფლებების კომიტეტში. დაგემილ შეხვედრებსა თუ თეატრებში, კინოსტუდიაში, მუზეუმებში ყოფნის შემდეგ პროტოკოლი თითქმის ყოველთვის ითვალისწინებდა სტუმრების მეგობრულ მიპატიჟებას ქვეყნის ქალაქებისა თუ რაიონების გასაცნობად, ძირითადად პურ-მარილის გასამართავად და ღვინის სასმელად. მაშინდელი ზემდგომი ინსტიტუტების მიერ ძირითადად შერჩეული იყო ბათუმი, სოხუმი, ცხინვალი, ბორჯომი, ბაკურიანი, გორი, მცხეთა, თელავი, სიღნაღი, ყვარელი თუ საგარეჯო. ყველაზე მეტი სტუმრიანობა მაინც თელავზე მოდიოდა. კარგად მახსოვს თელავსა და წინანდალში გვყვდა უნგრეთის, ნებალის, სლოვაკეთის,

ინგლისის, ესპანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების და სხვა ქვეყნების დელეგაციები, ძალით უფროსად მოვლენილი რუსეთის სმის სურვილით გაედენთილი წარმომადგენლების ლტოლვას თელავისადმი ხომ საზღვარი არ ჰქონდა. მიღებული წესის მიხედვით ყოველთვის ვრეკავდი რაიონის ხელმძღვანელობასთან, ჩავიდოდით თელავში და კაბინეტსა თუ მოსაცდელ ოთახში ყოველთვის გვხვდებოდა დემნა რჩეულიშვილი. მერე მივხვდი: იცოდნენ რა დემნა რჩეულიშვილთან ჩემი ახლო მეგობრობის ამბავი, პირადად დემნას აწერდნენ გამასაპინძლებას. უმაღლესი დონის შეხვედრები იმართებოდა თელავში, წინანდაღში, ძირითადად კი სახელგანთქმულ შუამთის რესტორანსა თუ შუამთის ულამაზესი ტყე-პარკის სხვადასხვა მომზიბლავ ადგილას. ამ ყველაფრის მოთავე იყო საოცარი ძალის ხიბლით სავსე დემნა რჩეულიშვილი, მასთან ერთად ყველასთვის კარგად ცნობილი და საყვარელი პიროვნება, ჩვენი უახლოესი მეგობარი, დემნას უმცროსი ძმა, დაუვიწყარი ედი რჩეულიშვილი, რომელიც არა მარტო მინისტრის მოადგილეობითა თუ გაერთიანებების უფროსობით იყო ცნობილი, არამედ ვაჟკაცური სიდინჯით, კეთილშობილებით, კაცომლყვარეობით.

ორივე უბრწყინვალეს ვაჟკაცს ყველა დიდ პატივს სცემდა, საერთოდ ედიც და დემნაც იყვნენ განუმეორებელი ძმები, საოცარი ქართული თვისებებით დაჯილდოებულები, მართლაც კაცურ-კაცური ადათ-წესებით გამორ-

ჩეულები, სიყვარულითა და ერთგულებით სავსენი. მათთვის სიტყვა დალატი საერთოდ არ არსებობდა, ვერც იტანდნენ ასეთი თვისებების უმცირეს გამოვლინებასაც კი, ყველას დამსმარები და გულითადი პატივისმცემლები იყვნენ. მეც უკვე თელავში ხშირ-ხშირი სტუმრობისას ქალაქის ხელმძღვანელ ჩინოვნიკებს კი არა, ჩვენს უახლოეს მეგობრებს დემნა და ედი რჩეულიშვილებს ვატყობინებდი და ერთი შემთხვევაც კი არ მახსოვს, მათ უარი ეთქვათ ან მამაპაცური შეხვედრისათვის თავი აერიდებინათ.

დემნა რჩეულიშვილი იყო თავისი უსაყვარლესი თელავის ნამდვილი პატრიოტი, მოამაგე და საკიზიტო ბარათის მოვალეობის შემსრულებელი. მან საკუთარი შრომითა და კაცობით ბევრს მიაღწია, იყო მაშინდელი ცნობილი „ალაზანმშენის“ „იორმშენის“ თუ მექანიზაცია – პიდროტექნიკის სხვა ობიექტების უფროსი, თბილისშიც ხშირად სთავაზობდნენ კიდევ უფრო დიდ ადგილებს, მაგრამ მას თელავის მიტოვება არაფრით არ შეეძლო, თელავი იყო მისი ყრმობის აკვანი და განუმეორებელი სიყვარული, თელავის გარდა სხვაგან ცხოვრება ვერც წარმოედგინა, ეს კი არა, თავისი პირადი ცხოვრების წესით სხვებსაც აყვარებდა თელავს – საქართველოს ამ დიდებულ კუთხეს.

სწორედ მისი სამაგალითო ცხოვრებით შთაგონებულმა ჯერ კიდევ ჩვიდმეტი წლის წინ დავწერე ლექსი სათაურით „დემნა რჩეულიშვილისათვის გაგზავნილი ბარათი“. ლექსი

დემნას გავუგზავნე, შემდეგ კი დაიბეჭდა 1996 წელს გამოცემულ ლექსების ერთტომეულში „რის სიყვარულიც მე მისწავლია“ . სწორედ ეს ლექსი, როგორც ჰქეშმარიტი მეგობრული პატივისცემის, სიყვარულისა და ახლობლური დამოკიდებულების ნათელი გამოსახულება შევიდა უკრნალის ამავე ნომერში გამოქვეყნებულ თელავისა და თელაველებისადმი მიძღვნილ ლექსების ციკლში. აღნიშნული ლექსის პრეცარებით სწორად იყო ნათქვამი: მერე განუყრელ შენს ტკბილ თელავთან შენც დავიწყება არ გიწერია.

ასე იყო, ასე არის და ასე იქნება, დემნა რჩეულიშვილის ნათელ სახელს დავიწყების მმიმე ბურუსი ვერ დაფარავს.

X X X

იური მგალობლიშვილი 1963 წელს გავიცნი, ეს ის დრო იყო, როდესაც ახალგაზრდა კაცი ოზურგეთის ახალგაზრდობას ხელმძღვანელობდა. გურულები ჩქარები არიანო გამეგონა, ეს შშვენიერი შესახედაობის ბიჭი კი სიდინჯით, ბუნებრივად თანდაყოლილი სიბრძნით, სიკეთით, სითბოთი და ყველა გურულისათვის უხვად მომადლებული იუმორით გამოირჩეოდა. შეუძლებელი იყო მასთან საუბრისა და მთა უმეტეს მეგობრისადმი თბილი ყურადღების გამოჩენაში ტოლი არ ჰყავდა. ამ დროს იგი უკვე ოზურგეთის რაიონის სოფლის მეურნეობის მთავარ სამმართველოს ხელმძღვანელობდა, მერე კი იყო ლაიონერის, ანასეულის და რესპუბლიკაში ცნობილი სხვა დიდი მეურნეობების თავკაცი. საკუთარი გემოვნებითა და მონდომებით ისეთ დაუვიწყარ სუფრას გაშლიდა, ისეთ საზეიმო ელფერს მისცემდა, არც მუსიკა-სიმღერებს დააკლებდა, არც ცეკვას თუ ლექსებს, რომ ძალიან დიდი ხნის მანძილზე გაგყვებოდათ მიღებული შთაბეჭდილება, თან ცდილობდა რაიონის საუკეთესო კუთხეები ეწვენებინა, თავისი მშობლიური ადგილები შეეყვარებინა. ერთ ცხელ ზაფხულში, მეუღლის მშობლიურ სოფელ გომში წაგვიყვანა. მთის ჩქარი და ცივი მდინარე ბჟუჟის ხეობა დაგვათვალიერებინა, ყინულივით ცივ წყალში ვიბანავეთ კიდეც, მერე სასმელად გამაგრებულები ლამაზ ეზოში კაკლის ხის ქვეშ გაშლილ სუ-

ლინებით ჩასვლა, ან ბათუშა თუ ურეკ-

ში წასვლისას გაჩერება. ქალაქის ღრმა ცენტრში ჩემი მეუღლის დედასა და ბიძას ედგათ სახლი პატარა სწრაფი მდინარის პირას, მწვანედ დაბურულ ხეზილიან – ადესიანი ეზოც საუცხოო სილამაზით გამოირჩეოდა. ყოველი ჩემი ჩასვლა საზეიმო განწყობას მიქმნიდა. იმ პერიოდისათვის ოზურგეთი ერთერთი ყველაზე ცნობილი და ძლიერი რაიონი იყო მთელ საქართველოში, უკეთესი დახვედრა და სტუმარ-მასპინძლობა თითქოს წარმოუდგენელიც კი იყო. ამ საქმეში იურის თითქმის შეუძლებლის გაკეთება შეეძლო, მთ უმეტეს მეგობრისადმი თბილი ყურადღების გამოჩენაში ტოლი არ ჰყავდა. ამ დროს იგი უკვე ოზურგეთის რაიონის სოფლის მეურნეობის მთავარ სამმართველოს ხელმძღვანელობდა, მერე კი იყო ლაიონერის, ანასეულის და რესპუბლიკაში ცნობილი სხვა დიდი მეურნეობების თავკაცი. საკუთარი გემოვნებითა და მონდომებით ისეთ დაუვიწყარ სუფრას გაშლიდა, ისეთ საზეიმო ელფერს მისცემდა, არც მუსიკა-სიმღერებს დააკლებდა, არც ცეკვას თუ ლექსებს, რომ ძალიან დიდი ხნის მანძილზე გაგყვებოდათ მიღებული შთაბეჭდილება, თან ცდილობდა რაიონის საუკეთესო კუთხეები ეწვენებინა, თავისი მშობლიური ადგილები შეეყვარებინა. ერთ ცხელ ზაფხულში, მეუღლის მშობლიურ სოფელ გომში წაგვიყვანა. მთის ჩქარი და ცივი მდინარე ბჟუჟის ხეობა დაგვათვალიერებინა, ყინულივით ცივ წყალში ვიბანავეთ კიდეც, მერე სასმელად გამაგრებულები ლამაზ ეზოში კაკლის ხის ქვეშ გაშლილ სუ-

ფრაზე მიგვიპატიფება. არასოდეს დამავიწყდება ოურის ახლობელმა მასპინძელმა საუზმის დაწყების შემდეგ საკუთარ ეზოში მდინარე ბუჯუდიდან გამოყვანილი სარწყავი არხი გადაკეტა და ცოტა ხანში საოცარი სანახაობა გადაგვეშალა თვალწინ – ალბათ, ნახევარ მეტრამდე სიგანის არხი უხვად წითელ წინწკლებდაყრილი კალმახით გაიცსო, მცირე ხანში მთის უგემრიელესი კალმახი ხონჩებით შემოდგეს ჩვენს სუფრაზე და ულამაზესი ქეიფი გაჩაღდა. მაშინ ჩემი პატარა შვილები იყნენ ჩასული ბებასთან ოზურგეთში და გარკვეული დროით მეც იქ ვიყავი. ოზურგეთში ხშირად იცოდა საკმაოდ ძლიერი ჩაგუბებული სიცხე. იურის შევჩივლე ძალიან ჩამოცხა მეთქი, მალე დაგავიწყებ სიცხესო, თვისებურად ჩაიცინა. ერთი საათიც არ იყო გასული, ბიჭებთან ერთად გამომიარა მანქანით. სად მივდივართ – მეთქი რომ ვკითხე, კურორტ გომისმთას განახებოთ, მალე ავედით ჩემთვის ჯერ უცნობ გომისმთაზე, სადაც თურმე მისი მეუღლე, დედა და პატარა ქალ-ვაჟი ისვენებდნენ. აქ კი მართლა დღემდე დაუვიწყარი რამ მოხდა, მიდამო ჯანლით იყო დაფარული, თქორიც ასველებდა ხეების ტევრსა და ბალახებს, ხანდახან მზე გამოაჭყიტებდა და უმშვენიერესი სივრცე ჩანდა. ისე ცოდა ეზოში დასხდომა ვერ შევძელით, ვერც ფართო აივანზე და მაგიდა შიგნით შევიტანეთ, გვიან დამემდე გაგრძელდა ბუნების წიაღში ჩვენი ახალგაზრდული ქეიფი. თავად იურის დალევა მაინცდამაინც არ უყვარდა, მხოლოდ წვრილი ჭიქე-

ბით თუ დალევდა თავის ნაქებ ადესას. ქეიფების გამართვას მხოლოდ მეგობრებისთვის სასიამოვნებლად აკეთებდა. 2002 წელს გამოცემულ ჩემს ავტობიოგრაფიულ რომანში ვწერდი, რომ იმ შორს დარჩენილ დაუვიწყარ ახალგაზრდულ წლებში ჩვენი არაჩვეულებრივი ახალგაზრდული სამაკაცო ჩამოყალიბდა. სულ ერთად ვიყავით, საზღვარგარეთ ტურისტულ მოგზაურობაშიც კი ერთად დავდილით, თბილისურ შეხვედრებშიც ერთად ვმონაწილეობდით. ყოველთვის გაუნელებელი ტკივილით ვიგონებ, რომ ოზურგეთის იმ საუცხოო სამეგობრო წრიდან დღეს უკვე ცოცხლები აღარ არიან – გურამ მჟავია, მიშიკო ანთაძე, თენგიზ კუნჭულია, ნერონ ზაქარიაძე, რევაზ კეჭეყმაძე, ახლა აღარც იური მგალობლიშვილია ამ ქვეყანაზე, აღარც მისი უმცროსი ძმა ჯოგოლა, მხოლოდ ღირსეული ოზურგეთელი რენო ურუშაძე და მე შემოვრჩით.

იური მგალობლიშვილი ბუნებით ძალიან თბილი და კეთილშობილი პიროვნება იყო, სიკეთის გაკეთებას ვერ მოასწრებდით. ოზურგეთის საკუთარ სახლში ხშირად იყვნენ ჩემი მეუღლის აზა ანთელაგას დედა, ბებია იქ ცხოვრობდა, ბიძა კი, ცნობილი იურისტი, პოლკურორი, საქართველოს პროკურატურის ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ვალერიან (კუკური) ასეიშვილი თითქმის ყოველ შაბათ-კვირას ჩადიოდა დედის სანახავად. იურის უაღრესად მახლობლური დამოკიდებულება პქონდა მათთან, ყველა თხოვნას უსრულებდა, ხშირად

თხოვნის გარეშეც აკეთებდა იმას, რაც იყო გასაკეთებელი, ჩემი ბავშვები მანქანით მიჰყავდა სასეირნოდ, არავის ყურადღებას არ აკლებდა. მერე ისე წავიდა არცოუ ბოლომდის ბეჭნიერი მისი ცხოვრება, რომ მშობლიური ოზურგეთი მიატოვა და საცხოვრებლად თბილისს გადმოვიდა, სადაც წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში წამყან თანამდებობაზე. მეგობრებს ერთი წუთითაც არ ივიწყებდა, თითქმის ყოველდღიურად ან ხშირად ურეკავდა როინ მეტრეველს, რევაზ დონაძეს, ალეკო კაჯულიას, ვაჟა სულაბერიძეს, ზალგენძესაძეს და სხვებს. მეც ძალიან ხშირად მირეკავდა, თითქმის მეზობელ შენობაში ვმუშაობდით და სასაუბროდაც ხშირად გადმოდიოდა. მერე დაიწყო უბედურება ჯანმრთელობის მხრივ, პირველი შედარებით სუსტი გაუონვის შემდეგ ეს წარმოსადევი და წელში გამართული კაცი უკვე ზელჯოხით დადიოდა. მიუხედავად ამისა ძალიან ხშირად ძველებური ლიმილით შემოვიდოდა, ინტელიგენტური ბუნების პიროვნებას ძალიან უყვარდა ჩემი ასლადგამოცემული წიგნების სამახსოვარო წარწერებით წაღება თავისთვისაც და მეგობრებისთვისაც. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კი დღითით დღე უარესდებოდა და უარესდებოდა, ფანატიკური ერთგულებით უცლიდა მუცლიე, ცნობილი პროფესორი – გინეკოლოგი ციცო ხარაიშვილი, მაგრამ განვების ძალას ვინ აღუდგებოდა, მოახლოებული სიკვდილის წინ საყვარელი ქალიშვილის გარდაცვალე-

ბაც კი ვეღარ გაიგო, უხმაუროდ აღესრულა თებერვლის ერთ ცივ დღეს სამოცდათ წელს მიღწეული და ახლა სამუდამ ძილით განისვენებს საბურთალოს სასაფლაოს ამაღლებულ ადგილას, მისი ნათელი სახე და სახელი კი წარუშლელად დარჩა ყველა ახლობელსა და მეგობარს.

### X X X

იუზა წერეთელი განსაკუთრებული და გამორჩეული ადამიანი იყო, ყველას დამხმარე, მოყვასის მოსიყვარულე, ერთგული, უდალატო, საქმიანი და ახალგაზრდობიდანვე კაცური კაცის სახელის მქონე, ის იყო ნამდვილი წერეთელი, ოდითგანვე ამ დიდი და სახელგანთქმული გვარის ლირსეული წარმომადგენელი.

მახსოვს 1964 წელს ზესტაფონს ვიყავი ჩასული რამდენიმედღიანი მივლინებით, ახალგაზრდულ ორგანიზაციაში გახარებული ხმით მითხრეს ახლა არაჩვეულებრივ წერეთელს გაგაცნობთ, იქნებ ნათესავებიც კი ხართო. მართლაც გამაცნეს იუზა წერეთელი, მაშინ გამხდარი, საშუალოზე მაღალი სიმპათიური ბიჭი, ეს გაცნობა წესისამებრ სუფრით ალგნიშნეთ, ერთმანეთს ბევრი ველაპარაკეთ, წერეთლური წესის მიხედვით ჩვენი ფუძე და ძირები გამოვიკვლიერთ, გავიგეთ, რომ ჩვენი წინაპრები საჩხერის რაიონიდან იყვნენ წამოსულები. იმ შორეული დღეებიდან ჩვენი მეგობრობაზე გაცილებით მეტი ახლობლობა დაიწყო. საოცარი ად-

ამიანური თვისებები პქონდა იუზას – საკუთარ თხოვნას თუ სატკივარს თაგს არასოდეს მოგახვევდათ, მუდამ ცდილობდა სხვისთვის გაეკეთებინა საქმეც და სიკეთეც, ეს ძალიან ხშირად ჩუმად, უხმაუროდ ხდებოდა, თითქოს შექებასაც კი ერიდებოდა. იუზა წერეთელს ზუსტად შეეფერებოდა ბრძნული გამონათქვამი „საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენო“. ის საქმით, სიკეთითა და პატივისცემით გამოჩენილი კაცი იყო.

ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში, როდესაც გარკვეული წრისათვის ცნობილი გახდა მისი თანდაყოლილი და ოჯახური აღზრდით განმტკიცებული საუკეთესო ადამიანური თვისებები, გერგილიანი მუშაობის უნარი და შესაძლებლობა, განათლება და გონიერება, არაფრით აღარ მოეშვნენ და უარის მოუხდავად შინაგან საქმეთა ორგანოებში გადაიყვანეს სამუშაოდ, მილიციასაც სჭირდებოდა პატიოსანი, მოაზროვნე ადამიანები. ეს ძაშინ ერთგვარ წესად იყო ქცეული, ახალგაზრდული თუ პატრიოტული ორგანოებიდან შეთვალობული ახალგაზრდები პირდაპირ გადაჰყავდათ მილიციაში საპასუხისმგებლო სამუშაოზე. ასეთ შემთხვევაში უარის თქმა არ გამოდიოდა, გიბრძანებდნენ, დაგაძლებდნენ და მორჩა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოედ მომავალს დაკარგავდი. ასე გახდა იუზა წერეთელი ზესტაფონის შინაგან საქმეთა სამართველოს სისხლის სამართლის განყოფილების უფროსი, მილიციის რაიონული სამართველოს უფროსი, მილიციის და დეპარტამენტის უფროსი, დამსახურებული პოლკოვნიკი, შინაგან საქმეთა სამსახურის გენერალი. მიუხდავად იმისა, რომ ორმოც წელიწადზე მეტი სულ წამყვან თანამდებობებზე მუშაობდა, ოდნავადაც არ შეცვლილა, ისევ ის მხარში მდგომი, ზედმიწევნით ყურადღებიანი, იმერელი თავადაზნაურობის ტიპიური, საუკეთესო წარმომადგენელი იყო, ასეთი ადამიანების პოვნა და მათთან ურთიერთობასაც ცდილობდა ამ არეულ-დარეულ ქვეყანაში, ცუდ, სახელგატეხილ კაცს ახლოსაც არ გაიკარებდა, ერთ ჭიქა ღვინოსაც კი არ დაღუვდა.

ერთხელ მომიყვა: საქმეზე მისულა დაწესებულებაში, სადაც უფროსად წერეთელი მუშაობდა. მდივნისთვის უთქამს ვინც იყო, იდგა, ელოდა, რომ მოგარე გამოვიდოდა, პკითხავდა რამ შეაწუხა, როგორც თავად პქონდა წესად. იმას კი მდივნის ენითვე შემოუთვლია, არ მცალიაო. არადა ამ წერეთლების მდაბალი წარმომადგენელი არც პარლამენტის თავმჯდომარე იყო, არც პრემიერ-მინისტრი და არც მინისტრი, თავისუფლად შეეძლო თუნდაც ორიოდე წუთით გამოეხდა, მაგრამ ფულით გაზულუქებულს თავი აღარ შეუწუხებია. იუზა ამდგარა, მდივნისთვის დაუბარებია – კარგად იყავით, აქ ჩემი ფეხი აღარ იქნებაო და წამოსულა. მერე გაუგია, რომ ის ვაჟბატონი წერეთელი თავის დროზე სულ სხვა

გვარით დადიოდა ამ ქვეყანაზე, მხოლოდ შემდეგ გაუკეთილშობილებიათ გვარი მთელ ოჯახს. იუზა შინაგანად გახარ-არებული იყო — აბა ნამდვილი წერ-ეთელი ასეთ რამეს როგორ იკადრებდა, ასეთი რამ წარმოუდგენელია.

თავად მთელი თავისი ცხოვრებითა და კაცობით ბუნებრივად, ძალდაუტანებლად ცდილობდა წერეთლების გვარი არ შეერცხვინა, ვინმეს აუგი არ ეთქვა, გვარის სიწმინდეს თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა, წერეთლების საგვარულო შეკრებაში ყოველთვის მონაწილეობდა, საკუთარ სწორ აზრებს აცნობდა შეხვედრის მონაწილეებს, მოწადინებული იყო დიდი გვარისთვის სასარგებლო საქმე გაეკეთებინა.

გულიანი და ხელგაშლილი ბუნების იყო, მისოთვის შეწუხება, საქმის გადაღება, უყურადღებობა არ არსებობდა. ერთხელ ჩემთან მოვიდა, ორი დღის მერე სადღაც დაპატიჟება უნდოდა, მახსოვს ვუთხარი ვერ მოვიცლი, ზუსტად მაგ დღეს ორმოცდაათი წელი მისრულდება და პირიქით შენ უნდა მოხვიდე — მეთქი. მოვალ, გადაუდებელი საქმე მაქვს, მაგრამ გნახავო, ზესტაფონში თუ ბაღდათში მიდიოდა, მესამე დღეს დილით დაბრუნდა, ისეთი უხვი პურ-მარილი, საუკეთესო ღვინო და ვარციხის ოცწლიანი კონიაკი ჩამომიტანა, მოპატიჟებულ ორმოცდაათამდე კაცს კი არა, თუნდაც ასსაც თავისუფლად ეყოფოდა. თავად კი მაინც ვერ დარჩა, სასწრაფო წესით უკან გაბრუნდა.

თბილისში საცხოვრებლად და სამუშაოდ გადმოსული მშვენივრად

დაბინავდა, ხშირად გვეპატიჟებოდა შინ, მაგრამ მიზეზები არ დაიღია და ამ ბრწყინვალე პიროვნებასთან შეხვედრის სიამოვნებები დავკარგეთ. თბილისი ძალიან უყვარდა, ნაღდი თბილისელიც იყო, შესახედაობითაც და ინტელექტითაც მაღალი პიროვნება, მაგრამ საკუთარი სოფელი ყველას ერჩივნა, იმერეთის სიო, სითბო და არტისტულ — არისტოკრატული პეტი ძალიან უყვარდა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ იუზამ და მისმა უმცროსმა ძმებმა ისე-დაც ლამაზი სოფელი კაცხის ულამაზეს ამაღლებულ ადგილას, გორაზე, თავადური გაქანების სახლები წამომართეს, მამის ნასახლარი ააყვავეს და ააღორძინეს. ხშირად უთქვამს — ძალიან მიყვარს თბილისი, მაგრამ ჩემი კაცხი უფრო მიყვარს, სიბერე იქ უნდა გავატაროო. ჩენდა სამწუხაროდ სიბერე აღარ დასცალდა.

ინტელექტუალური ბუნების პიროვნება იყო, ლიტერატურა და ხელოვნება ძალიან უყვარდა, ცდილობდა დროს არ ჩამორჩენოდა, ჩემგან თუ რაიმეს მოითხოვდა, ეს მხოლოდ ახალი წიგნების სამახსოვრო წარწერებით გადაცემა იყო, მეც წიგნებს სიყვარულით სავსე წარწერებით ვუძღვნდი. ხშირად შემოივლიდა ხოლმე სამსახურში და მეგობრულ საუბრებსა თუ მოგონებებში ვეფლობოდით. ბოლო წლებში გულს უჩიოდა, მაინც ხუმრობდა ხოლმე — ამ გაჭირვებულ ცხოვრებაში კაცს სუნთქვა რომ გაუჭირდება, იმაზე უარესი რაღა უნდა იყოს. საქმე იქმდე მივიდა, რომ გერმანიაში ძალიან რთული ოპერაციაც

გაიკეთა, რამდენიმე წელი ვაჟკაცურად იყო, არ ჩერდებოდა, არ ისვენტდა, უკვე ვეტერანების საქმეების გადაწყვეტაში მონაწილეობდა, აქაც ცდილობდა დამ-სახურებული ადამიანებისათვის სიკეთე გაეკეთებინა, მათი პრობლემების გადა-ჭრაზე ძველებური შემართებით ეფიქრა და ეზრუნა, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ღირსეულზე – ღირსეული წერეთელი მოულოდნელად აღესრულა, ჩვენ კი მუდმივ გასახსენებლად სასახელოდ განვლილი, ლამაზი და პატიოსანი ცხოვრება დაგვიტოვა.

### **ნუგ ზარ წერეთელი.**

გამომსვლელებმა დიდი სიყვარუ-ლით ილაპარაკეს ბატონი დამიანე გოგოხიას მაღალი პიროვნული თვისე-ბების შესახებ. ის ნამდვილად გამორჩული ადამიანი იყო, ძალიან დიდი კაცი, შინაგანი სითბოთი სავსე, მიმტევებელი, ზედმიწევნით გონიერი ანუ ბრძენი, საქართველოს უსაზღვროდ მოყვარუ-ლი, ასევე მოყვარული თავისი მშობ-ლიური კუთხის აფხაზეთის, გალის, საერთოდ ყველა კუთხის.

ბატონი დამიანე გოგოხია აფხაზეთს სისხლხორცულად ახლოს იცნობდა, ყველა პრობლემა და ნაკლი იცოდა. მას შეეძლო უზარმაზარი როლი ეთა-მაშა ქართველებსა და აფხაზებს შორის სხვათა მიერ გაჩაღებული შუღლის მოწესრიგების საქმეში, მაგრამ მისი

შესაძლებლობები არ გამოიყენეს. ბოლო წლებში ნაწყენი და ერთგვარად გაბრა-ზებულიც კი ოფიციალურად წერდა: არცერთი მხარე არ ეძღვს იმ წერტილს, რომელიც მათ აერთიანებს, აკავშირებს, რომელიც ხელს შეუწყობს ოდითგანვე არსებული მეცნიერობისა და ძმობის ტრადიციების აღდვენს. განმტკმცებას: პირიქით გამოიშველი ლოზუნგები და ტენცენციები ჭარბობს. “ასეომა ქმედე-ბებმა სამუდამოდ თუ დროებით დაგ-ვაკარგინა საქართველოს ულამაზესი და ძირძველი კუთხე აფხაზეთი.

ბატონი დამიანე ნამდვილად არაჩვეულებრივი ადამიანი იყო. მე მქონდა ბედნიერება და ბედნიერებად ვთვ-ლი იმას, რომ ოჯგურ მომიწია მასთან მუშაობა. პირველად თითქმის სამი წელი მისი ხელმძღვანელობით იმ დროისათვის ერთ-ერთ ცნობილ ორგანიზაციაში. მეორედ კი მასთან მუშაობა მომიწია „საზოგადოება ცოდნაში“, სადაც ბატონი დამიანე თითქმის შვიდი წლის მანძილზე იყო თავმჯდომარე, შემდეგ კი სახალხო უნივერსიტეტების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. ეს ის დრო იყო, როცა ქვეყნის ყველა რეგიონში, ქალაქად თუ სოფლად ფუნქციონირებდნენ ძალიან მაღალი დონის სახალხო უნი-ვერსიტეტები, მაგალითად თბილისში, იყალთოში, ქუთაისში, ფოთში, რაჭაში, აჭარაში და სხვაგან. ბატონი დამიანე აქაც გულმოდინედ საქმიანობდა, როგორც ყველა პოსტზე, სადაც კი მას უმოღვაწია – ხშირად დადიოდა მივლინებებში, ყოველდღე ხვდებოდა თანამშრომლებს, ცდილობდა ყველა მათ-განს დახმარებოდა, ატარებდა თათბი-

რებს, პრეზიდიუმის სხდომებს და აკეთებდა ხალხისთვის ნამდვილად სასარგებლო საქმეს. მისი წასვლის შემდეგ ეს ძალიან საინტერესო უბანიც, როგორც დღეს ამბობენ, ჩამოიშალა, საქმიანობა გაუფასურდა, როგორც საერთოდ გაუფასურდა ბევრი მნიშვნელოვანი მიმართულება განათლების, მეცნიერებისა თუ კულტურის ყველაზე მეტად საპატიო სფეროში.

ბატონი დამიანე გოგოხია ძალიან ადრე წავიდა ამ ცოდვილი წუთისოფლიდან, საკმაოდ გულგატებილი. მისი ხსოვნა წამითაც არ შენელებულა, პატივისცემა და მოწიწება არ დაკარგვია. თუმცა გული გვეთანალრებოდა, რომ დღემდე არ გვქონდა ნაშრომი ან წიგნი ამ დიდი ადამიანის შესახებ. და აი მისმა მოსახელე შეილიშვილმა დამიანემ, როგორც სიყვარულით ეძახიან დანწირ გოგოხიამ, გააკეთა ძალიან კარგი საქმე, იწვალა, ირბინა, იშრომა და გამოსცა შესანიშნავი წიგნი სახელოვანი ბაბუის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ოღონდ არ იქნებოდა ურიგო წიგნის ბოლოს გვარ-სახელით მოხსენიებულ კორექტორს ცოტა მეტი მონდომებით რომ წაეკითხა ეს ძალიან კარგი წიგნი. დიდი სითბოთი სავსე ყველა წერილს სიამოვნებით გავეცანი. ჩემზე მაინც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ბატონი დამიანეს დღიურებმა, სადაც ჩანს მოაზროვნე და გულთბილი პატრიოტი ადამიანი. დღიურებიდან მისი ზოგიერთი მოსაზრება ისე თქმადროულად, აქტიურად უღერს, რომ პირდაპირ მომინდა ზოგიერთი ადგილი მომეტანა „რაც თითქოს სულ ახლახანს იწერებოდა, მინდოდა მიმეტანა თუნდაც მათვის, ვინც ჯერ წიგნის

წაკითხვა ვერ მოასწრო“.

აი ზოგიერთი ის ადგილი:

„ახლა დიდი გონიერება, ტაქტი და დიპლომატია გვჭირდება, რომ მივაღწიოთ დამოუკიდებელ საქართველოს.

— ურთულესი მდგომარეობაა. არავინ იცის ყველაფერი ეს რითი დამთავრდება.

— რა შევამჩნიე: თავისებურად ყველა მართალია და ამავე დროს ყველა მტყუანია. აკლიათ ტაქტი, მოთმინება, სიბრძნე ეროვნული პრობლემის გადაწყვეტაში.

— ისევ დაძაბული მდგომარეობაა ქალაქში და მთლიანად რესპუბლიკაში, გაფიცვები, მანიფესტაციები — მთავრობის გადადგომის მოთხოვნით.

— დღეს ისევ დაძაბული მდგომარეობაა, რუსთაველის პროსპექტი გადაკეტილია. არაა ეს ნორმალური მდგომარეობა. არ ჩანს გონიერი კაცის აზრი და მოქმედება. ასე არ შეიძლება გაგრძელდეს.

— მხოლოდ ჭკვიანი, ხანდაზმული ხალხის ჩარევით გაკეთდება ყველაფერი“

დამეთანხმებით — ნამდვილად სამშობლოს რთულ ბედზე ჩაფიქრებული ბრძენებულების სიტყვებია, გული დამწყდა, რომ დღიურები მოცულობით ცოტაა, ალბათ კიდევ იქნება ჩანაწერები.

ამავე დღიურში ბატონმა დამიანე გოგოხიამ ფურცლებზე დაგვიტოვა ბრწყინვალე შეგონება, გნებავთ ანდერძი:

„გაუმარჯოს სიმართლეს, პატიოსნებას და კაცობას.“

ასეთი კაცის, ასეთი ადამიანის დამიანე გოგოხიას ხსოვნას დავიწყების ბურუსი ვერასოდეს ვერ დაფარავს.

## 6. წერეთელი

ბატონი დამიანე უპირველესად ჩემთვის იყო უსაყვარლესი პიროვნება. იგი უფროსი მეგობარი, მამასავით შზრუნველი ადამიანი გახლდათ, სიკეთეს ასხივებდა და ირგვლივ მყოფთ, სიკეთითა და სითბოთი ავსებდა. მე წილად მხვდა ბედნიერება დიდი წნის განმავლობაში მექუშავა მასთან და მისი მამობრივი მზრუნველობით საკუთარი პროფესიონალიზმის ამაღლებისა და დაოსტატებისათვის საფუძველი ჩამეყარა.

არასოდეს დამავიწყდება მისი სითბოთი განათებული სახე და ძალზე თბილი მზრუნველი ხმით, მამაშვილურად წარმოთქმული სიტყვები – „რა იყო „ბაბაჩია“, რამ შეგაწუხა, ხომ არაფერში გჭირდება ჩემი დახმარება“. მე პირადად მის მიმართ ძალიან მოკრძალებული გახლდით, მაგრამ თავისი სათხოებით და ჯადოსნეური ლიმილით უფლებას მაძლევდა მის მიმართ განმეცადა იმგვარი მშობლიური გრძნობა, რასაც მაძლევდა მამაჩემი ბავშვობაში. მე ის მარიგებდა, როგორ აღმეზარდა შვილები და ბოლოს დასძნდა, არ დაგავიწყდეს „ბაბაჩია“ შენ ხარ კოლხი ქალბატონიო.

მახსენდება 1979 წ. როცა გოგონიების ოჯახს დიდი სიხარული ეწვია. ორი თვის შუალედით გაჩნდა ორი ვაჟიშვილი. ერთ მათგანს წილად ხვდა დიდი ბაბუის სახელის დამიანეს დარქმევა. მეორე დღეს მობრძანდა სამსახურში. ჩემი მილოცვის შემდეგ ამოიღო უბის წიგნაკი, სადაც სათაურად ჰქონდა შენახული ლამაზი დე-

დის ანუ რძლის ქალბატონ ნატაშასა და პირველი შვილიშვილის ირინას ფოტოსურათი, თან დასძინა: ღმერთო ჩემი, ესნი არიან ჩემი ცხოვრების ნათელი წერტილები და მაღლობა ვწირავ ღმერთს, რომ მაჩუქა ორი ძე, მასთან ბედნიერი ლიმილით და გაცისკროვნებული სახით ჩაილაპარაკა, მოეწონება კი ჩემს შვილიშვილს ეს სახლი, როცა გაიზრდება.

ბუნებით გულჩვილს სიცოცხლის ბოლო წლებში დიდი ტკივილი უკლავდა გულს – პროფესიით ისტორიკოსმა, ვათ რომ ზუსტად იწინასწარმეტყველა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემები. ამბობდა, სიფრთხილე და გაწონასწორებული პოლიტიკა საჭირო, თორემ კატასტროფა გარდაუვალია. 1989 წელს ბატონ დამიანეს ჯაფა არ დაუკლია, ყოველგვარი ხერხით ეცადა თავისი წვლილი შეეტანა აფხაზურ-ქართული ურთიერთობების მოგვარების საქმეში, სამწუხაროდ, წლობით დანობებული და ერთხელ ჩამქრალი ცეცხლი საბოლოოდ მაინც დიდ ეროვნულ უბედურებად გადაიქცა.

1991 წლის 3 მარტს დიღმის თერაპიის ინსტიტუტში თურმე საბოლოოდ გამოვემშვიდობები მას, ხოლო 4 მარტს სუსხიან დილას გაჩერდა ბატონი დამიანე გოგონიას თბილი გულისმგერა.

ბატონი დამიანეს გასვენების დღეს უამრავი ხალხი იყო შეკრუბილი. უცებ ჩემი ყურადღება ჩოხებში გამოწყობილებმა მიიპყრეს. მივხვდი მისი მშობლიური აფხაზეთიდან აფხაზები თავიანთი წილი ცრემლისთვის ჩამო-

სულიყვნენ და საუკუნო გზაზე შემდგარ სათაყვანებელ ადამიანს სათუთად აფარებდნენ ცელოფანს, რათა მის თბილ გულს არ დაჰყროდა ციდან უხვად ჩაღმოყრილი ცივი თოვლის ფანტელები. ემშვიდობებოდნენ მშობლიური ენის გარდა, აფხაზურ და რუსულ ენებზე. შეუჩერებლად თოვდა.

დაუკიწყარო ბატონო დამიანე, თქვენ ამ ქვეყნად ნათელი კვალი დატოვეთ, მე მჯერა, თქვენი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, თქვენი სახელის მატარებელი დამიანე გოგოხია ჩავა თქვენს მშობლიურ აფხაზეთში და მათ თბილად ჩაიხუტებს აფხაზი ხალხი, ვინაიდან მათ გულში, მარად იცოცხლებთ. ჩვენ კი, ვისაც გვქონდა ბედნიერება თქვენს გვერდით გარკვეული წლები გაგვეტარებინა, ვიამაყებთ თქვენით.

მნელის,

აგვისტო, 2009.

ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ საქართველოს საზღვაო სივრცე თურქეთის საზღვრიდან რუსეთის საზღვრამდე იყო გადაჭიმული. ამ ზღაპრული ზოლიდან ორასოცი კილომეტრი აგრესიულმა მეზობელმა წაგვართვა. ულმობელი დრო გაარკვევს ეს მიტაცება მუდმივია, თუ დროებითი, თუმცა ყველა რწმუნდება ამ ველური თავსედობის დროებითობაში.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა მრავალი საზღვაო კურორტი გაგვაჩნდა და, მით უმეტეს, უკიდურესად გამწვავებულ ვითარებაში კურორტ ურეკს ყოველთვის საკუთარი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს, ეს მნიშვნელობა დღევანდელი პირობების გათვალისწინებით კიდევ უფრო

## 6. გულუა.

იზრდება და ფართოვდება. ურეკის მაგნიტური სამკურნალო ქვიშა, რაც თითქმის ფოთიდან ქობულეთამდე ფართო პლაჟების სახით არის გადაჭიმული, ამ პლაჟებთან კი ქოლგებივითაა მომდგარი მრავლწლიანი ფიჭვების ტევრი, უამრავ დამსევნებელს იზიდავს. ქვიშის სამკურნალო თვისებებში ღრმად დარწმუნებული ადგილობრივი მცხოვრებლები ყვებიან, როგორ გადაყარა მოხუცმა ყავარჯნები და ისე დაბრუნდა თბილისში, ან ხერხემლის გამრუდებით დატანჯულ ბავშვს მაგნიტურ ქვიშაში დღების მანძილზე კოტრიალით როგორ გაუქრა ტკივილები. ასეთი ფაქტი მრავლად არსებობს, რაც, გინდა თუ არა გარწმუნებს, მზეზე ბრილიანტის ნამსხვრევებით აბრჭყვიალებულ ქვიშას უძლიერესი სამკურნალო თვისებები რომ აქვს. ეტყობა ურეკის სასწაულმოქმედი ქვიშის სამკურნალო თვისებები უფრო ღრმად ირწმუნეს ჩვენი მომებე სომხეთის მცხოვრებლებმა, რადგან ძირითადად ისინი ავსებენ ურეკის სახლებს, სანატორიუმებს, სასტუმროებს, კაფეებსა და ბარებს, ქეიფის დროს ყველაზე დიდი პატრიოტი ქართველები კი საკუთარ სანაპიროს ისევ ანტალია-ალანიის ქვიან პლაჟებს, ხელოვნურ აუზებსა და, რაც მთავარია, დამსევნებელთა მისაზიდად შექმნილ გაძლიერებულ კომფორტზე ცვლიან, თანამედროვე ჩქაროსნული მატარებლით ოთხ-ხუთსათიან მგზავრობას კვლავ თვითმფრინავით ძალიან ძვირ მგზავრობას ამჯობინებენ. რას იზამ, ქართველებს კარგი ცხოვრება და რაც შეიძლება მეტი კომფორტი გვიზ-

იდავს, ამდენად სხვის აწყობილ ცხოვრებაზე უფრო გვიჭირავს თვალი, ვიდრე საკუთარ ნაკლოვანებათა გამოსწორებაზე, საკუთარი კომფორტული პირობების შექმნასა და გაძლიერებაზე. ამ დროს კი აუცილებელია ჩვენს მიერ ალამივით წინ წამდლვარებული პატრიოტიზმი ყველა დიდ თუ პატარა საქმეში უნარიანად გამოვიყენოთ, რადგან საქართველო ათასობით ნაწილისაგან, გნებავთ ათასობით წვრილმანისაგან შედგება და შემდეგ ეს ნაწილები შეადგინენ ერთ მთლიანს, სრულსა და განუყოფელს.

ჯერ კიდევ შემორჩენილი მრავალი გაჭირვების მიუხედავად, პატარა და ლამაზი ურეკი საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს. გაჭირვებული ხალხი სეზონურად ქირაობს ძლიერთა და მოხერხებულთა ამა ქვეყნისათა მიერ თავის ღროზე ძალიან იაფად თუ კუპონებად შესყიდული მიწების ქუჩისაბირად მიმდებარე ზოლებს, ძირითადად ზაფხულის თვეებისათვის ხსნის კაფეებს, ბარებს, სასადილოებს, ლუდნანებს, მაღაზიებს, საცხობებს, ხილის გასაყიდ თუ წყლის ფარდულებს, რომ ორი-სამი თვის მანძილზე გაუსაძლის პირობებში მოპოვებული მცირე თანხა მომავალ წლამდე გამოიზოგონ და ახალი საქმის წამოწყებაზეც იზრუნონ.

ურეკის მეზობელი სოფლის მკვიდრმა, ძირითადად კი ურეკში მცხოვრებმა, ძველად ცნობილმა სპორტსმენმა და ჩინებულმა მოქალაქემ, სამოცდაცამეტი წლის მამული ხომერიკმა, ვისაც სასურსათო მაღაზია, ანუ დღევან-

დელი გამოთქმით, მარკეტი აქვს გახსნილი და აქვე ახალი უურნალ-გაზეთებიც იყიდება, ძალდაუტანებელი მეგობრული საუბრების დროს გულახდილად მითხრა: მე მთავრობის, ხელისუფლების კრიტიკის სურვილი როდი არ მაღაპარაკებს ზოგიერთებივით. ფაქტია ბევრი რამ გაკეთდა, რისი დანახვაც უნდა შევძლოთ, აი მაგალითად, ოზურგეთიდან ურეკამდე საშინლად დანგრეული გზით ჩამოსვლას საათნახევარ-ორ საათს ვანდომებდით, ახლა სულ ოცი-ოცდახუთი წუთი უნდება იგივე გზის გავლას, სინათლე მართალია არცთუ იშვიათად ქრება, მაგრამ წინა პერიოდთან შედარებით, როცა სულ სიბნელეში გვამყოფებდნენ, უდიდესი წინსვლა კი არა, სამოთხისებური პირობები გვაქვს შექმნილი. მაგრამ ისიც პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საქართველოს ამ საუკეთესო, მშვენიერ, დიდებულ კურორტს პატრონი არ ჰყავს, ყველა თავის სასიკეთოდ აშენებს, ყველა მოგებას თავისკენ ექაჩება, ხელისუფლებას რომ აქ რამდენიმე კომფორტული სანატორიუმი ან დასასვენებელი სახლი აეშენებინა, ქვეყანა ურეკს მოაწყებდოდა და უმუშევრობით დატანჯულ ხალხსაც საქმე გაუჩნდებოდა, თუნდაც მცირე სარჩო-საბადებელს მაინც შეიტანდა ოჯახში. სომხეთის მოქალაქეების გარდა ეს ადგილები, ზღვა და სასწაულად სასარგებლო ქვიშის პლაფები ძალიან მოსწონთ გერმანელებს, უამრავი გერმანელი ჩამოდის აქ დასასვენებლად, თან სურვილს გამოთქვას მომავალ წელსაც მშვიდ, წყნარ ურეკში დაისვენოს.

რაცაა მთელი ცენტრალური გზის გაყოლებით აშენებული, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ხალხისთვის სასარგებლო არაფერია გაკეთებული. აქედან შეკვეთილამდე და იქითაც, თუ გნებავთ საქართველო-თურქეთის საზღვრამდე, მდიდრული სახლები აქვთ წამოჭიმული პოზიციასაც და ოპოზიციასაც, თუნდ ე.წ. რადიკალურ ოპოზიციასაც, განსაკუთრებით რომ უტევენ ხელისუფლებას, წარსულ ტერმინს თუ ვიხმართ, ვითომ ლუმბენპროლეტარები იყვნენ. ახლა გვარებს მე ვერც დავასახელებ, ისედაც ყველამ ყველაფერი იცის, თუკი როდისმე საჭირო გახდება, აღბათ, იტყვიან. ურეკს უპატრონობის გამო მოვლაც აკლია, მაგნეტიტიდან რკინიგზის სადგურამდე გადაჭიმულ ოთხ კილომეტრიან ქუჩას ტროტუარები არ აქვს, ხალხი პირდაპირ ქუჩაში დადის, რაც ასე მომრავლებული მანქანების ფონზე საკმაოდ დიდ საშიშროებას ქმნის. მოსახლეობა არ არის დასაქმებული, ამხელა დაბაში ერთი საწარმოც კი არ მუშაობს, რომ ხალხმა საკუთარი შრომით ორიოდე კაპიკი იშოვოს, მთელი მოსახლეობა პლაფებზეა გასული, დაქვთ სიმძიმეები, დამსვენებლებს სთავაზობენ მოხარშულ სიმინდს, ხილს, ჩურჩელას, ტყლაპს და ათას სხვა რამეს. რა ქნან, ყველას ოჯახი აქვს მისახედი და გამოსაკვები. ამდენი ხალხი რომ საქმეში ჩააბან, ამუშაონ, რამე საწარმო აამოქმედონ, პირდაპირ შეუძლებელს შეძლებენ. ჩვენს დიდებულ ურეკს ამინდის პროგნოზებში ერთხელაც არ ახსენებენ, რომ ან ჩვენ

ან დამსვენებელმა გაიგოს როგორი ამინდია მოსალოდნელი, ცუდი, კარგი, თუ საიმედო, ამის გაკეთება მაინც არ უნდა იყოს ძნელი.

როდესაც საუბრისას წყალი მოვთხოვე, მაშელი ხომერიქმა მტურად დამარიგა — თუ ჩემი ძმა ხარ, აქაური წყალი არ დალიო, რამე ავალმყოფობა არ შეგეყაროს, ნახევარი ურეკი სასმელად უვარგისმა წყალმა დაავადაო. ბევრი ლაპარაკი კი იყო გაცილებით სუფთა და სასარგებლო წყაროების გამოყენებაზე, მაგრამ ჯერ არაფერი ჩანს, თუმცა ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, დრო მოვა ძირითადი პრობლემების მოგვარების შემდეგ ურეკისთვისაც მოიცლიან, ჩვენც უსათუოდ გვეშველება. იმის იმედიც მაქვს, რომ დამსვენებლების ნაკადი სულ მოიმატებს და მოიმატებს, ხალხი ირწმუნებს ურეკის სიკეთეს, თუ ამ ეკონომიკურმა კრიზისმა დამანგრევლად არ იმოქმედა.

ურეკის ამ ნაღდ გულშემატკივართან საუბრის შემდეგ, ისიც კარგად გამახსენდა, რომ ძალიან ხშირად ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობენ პირადი ინიციატივების, სიახლის ძიების უნარისა და აუცილებელი გერგილიანობის შესახებ, რასაც ხშირად ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობაც უსვამდა ხაზს და ადამიანებს მოუწოდებდა — მეტი ეფიქრათ ქვეყნისათვის სასიკეთო საქმეების კეთებაზე.

ამ მხრივ საუკეთესო თვალსაჩინო მაგალითად, გნებავთ ნიმუშად, შეიძლება დასახელდეს ურეკის ცენტრში მდებარე სანატორიულ-დასასვენებელ დაწესებულებად ჩამოყალიბებული

„კოლხიდა“. აյ 2006 წელს ვისვენებდი და დიდი სიამოვნებით გწერდი ჯერ კიდევ მაშინ საკუთარი თვალით ნანაზზე, სამი წლის შემდეგ კი საშუალება მომეცა კვლავაც პირადად შემუდარებინა რისი გაკეთება მოესწორ, რა კეთდება, ანუ რა არის ხალხის, მომავალი თაობის სასარგებლოდ გაკეთებული და გასაკეთებელი.

პირველი რაც ერთი შეხედვისთვის თვალში მოგხვდებათ ის, რომ ეს დაწესებულება როგორც დიდებისათვის, ისე მომავალი თაობისათვისაა განკუთხნილი. ვებქრონელა ეზოს ცენტრალურ ნაწილშია განთავსებული მრავალი ქანდაკება ბავშვების საყვარელი ზღაპრებიდან, ბაყბაყ-დევიდან დაწყებული და ბრემნელი მუსიკოსებით დამთავრებული, აგრეთვე შერჩეულია სათამაშო-გასართობი საგნები. ეზო მოფენილია მიზნიდველ ფერებად შეღბილი მოხდენილი თანამედროვე ფანჩატურებით, სადაც ყოველთვის სასიამოვნო ნაცნობებთან საუბარი ან ზღვის ულამაზესი პეიზაჟებით შთაგონებული ფიქრი. ეზოში, სასადილო კორპუსის წინ, ყოველთვის ჩართულია სასიამოვნო მუსიკა. კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, ამასთან ერთად მრავალნაირი საქმის მცოდნე და დაუდალავი პიროვნება ჯემალ ვაშალომიძე დილიდანვე ფოტო-კამერით იღებს დამსვენებლებს, ზღვს, პლაჟს, დღის საინტერესო დეტალებს, საღამოს კი კინო-ფილმის წინ ფართო ეკრანზე უშვებს მთელი დღის ნამუშევარს. დამსვენებლები, განსაკუთრებით კი ბავშვები დიდი სიამოვნებით

უცქერენ მთელი დღის ამბებს ეკრანზე. ზღვის მხარეს ლია კაფე-ბარში გაისმის სასიამოვნო ცოცხალი მუსიკა, მელოდიას მელოდიაზე უკრავს ცნობილი პიანისტი პაატა დეისაძე, სიმღერებს ფონოგრამებით კი არა, ცოცხლად ასრულებს სოხუმიდან ლტოლვილი მომღერალი თამთა ცხვიტავა. სანატორიუმ „კოლხიდის“ მესაკუთრე და პატრონი გახლავთ მთელ ზღვისპირებში ცნობილი, გამორჩეული პიროვნება ამირან ჩხაიძე, ის მუსიკის დიდი მოყვარულიცაა და მაღალი დონის მუსიკოსების მოწვევაც მისი უშუალო ინიციატივით მოხდა. აღნიშნული კაფე-ბარის გარდა დამსვენებლებისათვის სეზონურად კიდევ ორი გასართობი კაფე-ბარი ეწყობა, ერთი უშუალოდ ზღვის სანაპიროზე, მეორე კი იქვე ახლოს საბავშვო ბაყბაყდევის ზურგს უკან. სანატორიუმში ფუნქციონირებს მყუდრო კონფერენც-დარბაზი და ნათელი სამუშაო ოთახები, სადაც ტარდე-

ბა ტრენინგები, სამსახურებრივი შეკრუბები, თათბირები, რაც შესანიშნავად ერწყმის დასვენებისათვის შექმნილ პირობებს. ვრცელი ეზოსა და მომიჯნავე სანაპიროს სასეირნო ადგილები მეტლახით არის მოპირკეთებული, რაც ნებისმიერ ამინდში სეირნობის საშუალებას იძლევა. სანატორიუმის ეზოს წინ ორასმეტრიანი ქვიშის პლაჟი შესანიშნავად არის მოვლილი, მთელი დღით ქირავდება შეზღლონგები და მხურვალე მზისგან დასაცავი ფართო ქოლგები. ყველგან დგას მწვანე და ლურჯად შეღებილი სანაგვე ყუთები, რაც ჯერ კიდევ საკმაო იშვიათობაა მთელი საზღვაო ზოლის გაყოლებაზე. სანატორიუმ „კოლხიდაში“ მოქმედებს სამედიცინო პუნქტი, უშუალოდ პლაზმე კი მთელი დღის განმავლობაში მორიგეობენ მაშველები, რომლებიც წითელი და ლურჯი აღმების მონაცემებით აცნობებენ დამსვენებლებს – არის თუ არა იმ დღეს და იმ დროს საცურაო ამინდი. პლაზმე მოქმედებს საშხაპეები, გასახდელები, მცხუნვარე მზისგან დაფარული დასასვენებელი ადგილები, რაც ხალხის კმაყოფილებას იმსახურებს. „კოლხიდა“ იმითაც მკვეთრად გამოირჩევა ურეკის სხვა სასტუმროებისა თუ დასასვენებელი სახლებისაგან, რომ აქ არის სამჯერადი კვება, რაც ძალიან მოხერხებული და ხელსაყრელია ყველასათვის, რადგან აღარ უწევთ დროებით გახსნილ კაფე-ბარებსა თუ სასადილოებში სირბილი, რიგში დგომა. სანატორიუმს აქვს საკუთარი მწყობრი დაცვის სისტემაც,

რაციებით შეიარაღებული ახალგაზრდა ბიჭები თუ მათი ხელმძღვანელი ყოველ წუთს უკავშირდებიან ერთმანეთს, აცნობენ ვითარებას, მიღებულ დავალებებს, რაიმე საფრთხეს თუ სიახლეებს.

როგორც უკვე აღვნიშნე, ამ საქმაოდ დიდი დაწესებულების მფლობელი ანუ მეპატრონეა ოზურგეთელი ბიზნესმენი, შესანიშნავი პიროვნება, დინჯი, განათლებული და ნამდვილად სამაგალითო ქართველი კაცი ამირან ჩხაიძე. სასტუმროს პყავს დირექტორიც, ადმინისტრაციული პერსონალიც, მომსახურების სფეროს თუ კვების ბლოკის თანამშრომლებიც, მაგრამ ამირან ჩხაიძე დილიდან ღამემდე მუშაობს, თავად ამოწმებს ყველაფერს, მეგობრულად აძლევს რჩევებს, უამრავ სიახლესა და წამოწყებას ხელმძღვანელობს. მას გასულ წელსაც პქონდა წამოწყებული დამსვენებლებისათვის საქმაოდ დიდი, მოხერხებული და კეთილმოწყობილი აუზის მშენებლობა, რის დასრულებასაც ხელი შეუშალა მოულოდნელი სამუმივით მოვარდნილმა რუსულმა აგრესიამ, სასტიკად დამანგრეველმა ომმა, რის გამოც დამსვენებლები კი არა, შეშინებული მოსახლეობაც ტოვებდა სანაპიროს. სანატორიუმის კაფე-ბარში უხვად იყიდება „ყაზბეგის“, „ნატახტარის“, ჩეხური თუ რუსული წარმოების ლუდი. მაგრამ თითქმის ყველა თხოულობს ადგილობრივ ცივ, ახალ, გემრიელ ლუდს, კმაყოფილებს უკვე ამირანის ლუდი რომ შეურქმევიათ. ლუდი ამირან ჩხაიძის მფლობელობაში არსებული ოზურგეთის ლუდის ქარხნიდან მოდის და ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ იგი არათუ ტოლს არ უდებს, არამედ სჯობს კიდეც საქვეყნოდ განთქმულ, დიდი ტრადიციების მქონე ჩეხურ ლუდს. სანატორიუმში მრავალრიცხოვანი სტუმრების, დამსვენებლების, კორესპონდენტების, ზოგიერთი მაკონტროლებელი ორგანოს წარმომადგენლების მიღებას, საუბარს, განთავსებას, ნომრების შერჩევისას სურვილების გათვალისწინებას კულტურულად ხელმძღვანელობს ამირან ჩხაიძის მშვენიერი მეუღლე ხათუნა ლაგაზიძე, რომელიც პატარა ბავშვსაც

ზრდის და ყოველდღიურ აურაცხელ საქმეებსაც აგვარებს, თანაც უნარიანად, დროულად და წარმატებულად.

სანატორიუმში შექმნილი საერთო კეთილგანწყობითა და სითბოთი არის განპირობებული ისიც, რომ ძველი თანამშრომლები მონდომებით მუშაობენ, დამს-ვენებლებს საუკეთესო პირობებსაც უქმნიან და მაღლობასაც იმსახურებენ, იგივე ჯემალ ვაშალომიძე, მომსახურების სფეროს მუშაკები თამუნა ცხომელიძე, ნინო ურუშაძე, მანანა კუპატაძე და ბევრი სხვა. მანანა კუპატაძემ მეგობრულ საუბარში გვითხრა: არაჩვეულებრივი, სიკეთითა და ყურადღებით სავსე ადამიანია ბატონი ამირან ჩხაიძე, შრომას ნამდვილად აფასებს, უსაქმურობასა და უწეს-რიგობას ვერ იტანს, ყველა სფერო საათივით აქვს აწყობილი. გაგვაფრთხილა განთიადიდან ღამემდე უნდა ვიმუშაოთ, რომ დამსვენებელი კმაყოფილი იყოს, თვითონ ადრიანი დილიდან გვიან ღამემდე არ ისვენებს და ჩვენც მუდმივად საქმე რომ არ ვაკეთოთ, რა გაგვაჩერებს.

სანატორიუმ „კოლხიდიდან“ ღამის თორმეტი საათისათვის წამოვედით. ურეკის ახალ, ლამაზ სადგურში სრული სიჩუმე სუფევდა, მარტო გაჩერება საშიშიც კი იყო. მხოლოდ ხუთი-ექვსი მაწარწალა ძალი დარბოლა აქეთ-იქით, კიდევ კარგი აგრესიულობას არ იჩინდნენ. ფიქრში გამიელვა კიდეც – ნუთუ არ შეიძლებოდა ერთი-ორ პოლიციელს ან დაცვის მუშაქს ემორიგევა, ღამით რამ-დენიმე მატარებელი მაინც გაივლის, სატვირთო შემადგენლობებიც ჩერდებიან, მგზავრებიც, ცოტაა თუ ბევრი მაინც არიან, მათ ყურადღების მიქცევას ჭირდებათ. ამგვარი ფიქრების დროს სადგურის ბოლოს პატარა ოთახიდან როგორც იქნა დაკარგული იმედივით გამოიხედა წითელქუდა ღამის მორიგემ, რაც ბუნე-ბრივია, გვესიმოვნა. სხვა სიახლეებიც შეიმჩნევა. თბილისამდე ოზურგეთის ან ბათუმის მატარებლებით შეიძლება მგზავრობა, განსხვავება საკმაოდ დიდია. ოზურგეთის მატარებელზე რბილი ორ ადგილიანი კუპე თხუთმეტი ლარი ღირს, ბათუმის მატარებლის კუპე თითო ადამიანზე უკვე ორმოცი ლარია. განსხვავება საგრძნობია. ეს განსხვავება გამოიხატება კონდიცირებული ჰაერით, ჭერთან მოთავსებული ტელევიზორითა და მეტი სისუფთავით, ღამით თუკი არ გეძინებათ შეგიძლიათ ჩართოთ და გადაცემებს უცქიროთ, თუმცა ღამის პირველი საათის მერე ტელევიზორთან ჯდომა ძნელია. შეიძლებოდა ერთი ბოთლი მინერალური წყალი და სამთეთრიანი ერთჯერადი ჭიქებიც დაედგათ, ალბათ, სხვა საფირმო მატარებლების მსგავსად ისიც კომფორტს პლიუსად მიემატებოდა. მიუხედავად ასეთი სიახლეებისა, მატარებელმა თბილისში ჩასვლა 40-50 წუთით მაინც დააგვიანა, ეს იყო 23 ივლისს, როგორც ჩანს ან ძველი ავადმყოფობა ჯერ კიდევ ვერ მოგვიშორებია ან ძნელად გასავლელი უბნები და მოძელებული ლიანდაგები უშლის ხელს ნორმალურ მოძრაობას.

ასეა თუ ისე, პატარა და უმშვენიერესი საზღვაო კურორტი ურეკი, თავისი შშვიდობისმოყვარე, კეთილი და გულისხმიერი მოსახლეობით ფეხზე დგას, შრომობს, იბრძვის, უკეთეს მომავალს ელოდება. ცნობილი საზღვაო კურორტის საყ-

ოფაცხოვრებო შუქ-ჩრდილები მაინც ვერ აფერმკრთალებს იმ ძლიერ და სა-სიამოვნო განწყობილებას, რაც ურეაში დასვენების შემდეგ დიდხანს გაჰყვება ასობით დამსვენებელს.

და მერე შენით ვიგონებ თელავს  
ხშირად ცხადივით განვიცდი ამას,  
როცა სააგდროდ გრილა და ელავს,  
მე შენ გიგონებ ძალიან ლამაზს  
და მერე შენით ვიგონებ თელავს.  
დგას შემოდგომა ალაზნის ველზე,  
რომ ღვინომ გზები გადამიხლართოს,  
ალავრდშიაც ლექსივით გეძებ,  
შემოხიზნული გრემს და იყალთოს.  
შემოდის დილა, მშრალი და ციგი,  
მთვარე კი რჩება მთაზე ყანწივით,  
მანქანის თვალი ქარივით წივის  
და იკეცება შორი მანძილი.  
ედება გომბორს ათასი ფერი,

ქარვა, ფირუზი, თუ მეწამული,  
ათასი ფერით დგება და მღერის,  
ჩემი სული და ჩემი მამული.  
გადის ფიქრიდან შავი და მძიმე,  
და ამ ფერებით ენთება სახე,  
გომბორი ყელზე იკიდებს მძივებს,  
მერე ქალივით გაჰყურებს კახეთს.  
წინ გზა იყოფა ორად თუ სამად,  
და ფიქრი ჩემი სამივეს თელავს,  
... მე შენ გიგონებ ძალიან ლამაზს  
და მერე შენით ვიგონებ თელავს.

1954 წ.

### ¶06ანდალში

სულ დალლილი ველარ დამშვიდდა,  
თუმც ირხევიან დინჯად ნაძვები,  
ხან ისე ვლელავ, თითქოს ბავშვი ვარ,  
ამდენ ხანს ჩუმად როგორ გავძელი,  
სტუმრად მოვსულვარ წინანდალში და  
საით წასულან ჭავჭავაძენი.

1953 წ.

### თელავი და ნადიკვარი

თელავი და ნადიკვარი,  
ტაში დაჰკრეს ცაცხვებმა,  
ეს ტრფიალი და გრიგალი  
ნეტავ როდის დაცხრება?!  
ახლაც მატებობს მოგონება,  
წარსულ დღეთა დარდი მკლავს,  
მთვარე ახლოს მოგორდება  
გადავერცხლავს ნადიკვარს.  
ლივლივებენ ბალაზები,

ირწევიან კორდები,  
 დრო დამძგარა გალალების  
 შენც ნუ დამიღონდები.  
 კვლავ მაჩუქე მწველი კოცნა,  
 ბევრჯერ ტკბილად ნაგები,  
 მომაწებე ეგ საოცრად  
 მოხასხასე ბაგენი.  
 გულს სიამე დამფინე და  
 სულ ნუ გამებუტები,  
 ჩქარა, სანამ გაფრინდება  
 სიჭაბუქის წუთები.

1954 წ.

**რა პარბი იყო**

მთვარე ვერცხლავდა მთებს მიუვალთა  
 და მთებიც ჩანდნენ ამაყად მდგარნი,  
 რა კარგი იყო დამით შუამთა,  
 რა კარგი იყო ნათელი მთვარის.  
 იდგა დუმილი და საოცრება,  
 გული კი დარდებს არ იკარებდა,  
 რა კარგი იყო შენზე ოცნება  
 იმ ჭერმალალი ტაძრის კარებთან.

1954 წ.

**დამე თელავში**

ედიშერ რჩეულიშვილს

პგავს წინანდალი სიმწვანის მეწყერს,  
 შორს თოვლიანი მთები ელავენ,  
 და როგორც გრემის სალარო ვერცხლით,  
 შუქით ივსება მყუდრო თელავი.  
 მერე ქალაქი ინთება ცეცხლით,  
 სხვა სასწაული ჩნდება ბუნების,  
 ცასთან მოჩანან კუდებად მერცხლის  
 მთები ბინდისფრად შემართულები.  
 ღამე სურვილებს ვეღარ იურვებს,  
 ისევ ტებილდება ღამის თევანი,  
 ასეთი მშვიდი და მშობლიური  
 მინდა მარადის დამრჩეს თელავი.  
 თელავი კერა გამქრალ დღეების  
 და სიჭაბუკის ჩვენის მნახველი,  
 როდესაც სულ სხვა სამოთხეები  
 ვარდისფერიან ბურში გვახვევდნენ.  
 ახლა ძნელია ფიქრით გავხევდე,  
 ღამე იწყება ჩემთვის ახლიდან,  
 მავსებს თელავი,  
 მავსებს კახეთი,  
 ძალით, სიუხვით და სიმაღლითა.

1961 წ.

თელავი საგსე ბახსენებებით  
 გურამ რჩეულიშვილის,

---

თენგიზ ჯაშიაშვილის ხსოვნას

გათენდა ისე,  
თელავის თავზე  
ცა შემოდგომის გაიხსნა თითქოს,  
ეს გათენება ფიქრებით მავსებს  
და გახსენებას თავისით ითხოვს.  
დღეებმა ჩუმი დარღი გამინდეს,  
რომ შემსახუონ აქამდე უწვევს,  
მზე კი მოღებავს წითელ კრამიტებს  
და აფერადებს უძველეს ქუჩებს.  
აქ დადის ახლა გურამის ლანდი,  
თენგიზის ლანდი,  
და ძვირფას ლანდებს,  
ვაშუქებ ხსოვნის მარადი სანთლით,  
რომ ის გამქრალი ცხოვრება ჩანდეს.  
ჩანდეს შუამთა და ალავერდი  
უბედნიერეს დღეების წყებად,  
შორს ცივგომბორის მწვავე ხავერდი  
ოქტომბრის მზეზე შიშინით შრება.  
არ მავიწყდება რაც უნდა მეთქვა,  
როს ნადიკვრიდან გავცერ წინანდალს,  
ო, რა უღრუბლო დღეები გვედგა,  
ო, რა ნათელი ზეცა ბრწყინავდა.  
მეწვება გული თენგიზ და გურამ,  
რომ მე უთქვენოდ დავყვები ქალაქს,  
ზეცაში თეთრი ბუშტივით ცურავს  
შორს მიმავალი ფრინველი ცალად.  
თითქოს დაკარგულ იმედებს ვძებნი,  
გელზე წვებიან ოქროს დარები,  
გზა კი ერთია —  
მარტოდენ შებმის,  
თქვენი სახელის მაღლა ტარების.  
მომძახის ჩვენი ძველი თელავიც  
და გახსენებას ცეცხლივით ანთებს,  
ასე ამ ქვეყნად ალბათ ვერავინ

სულის შემძგრები ათი დღე

ვერ შეინახავს თქვენს  
ძვირფას ლანდებს.

1971

წ.

ადრე ბამჩრალი  
შენი ცხოვრება

თენგიზ  
ჯაშიაშვილის ხსოვნას

აღარც ზაფხული,  
აღარც ზამთარი,  
აღარაფერი არსებობს  
შენთვის,  
შენ დაფერფლილი და  
ნაზავთარი  
თბილისის მიწას მიწადვე  
ერთვი.  
მე გული მტკივა,  
ცხოვრება შენი  
ახლა შორეულს ჩამოგავს  
სიზმარს,  
და გაზაფხულიც ყვავილ-  
თა ფენით  
უკვე ვერაფერს შესძლებს  
და იზამს.  
დაგაყრის მხოლოდ აპრი-  
ლის ფერებს,  
რომ შეიმოსოს მწუხარე  
ბორცვი,  
მწარე ცრემლებად  
იწვიმებს მერე  
შენი დაშლილი ძვალი და  
ხორცი.

შემოვარდნილი წარსუ-  
ლის ელდა  
ბურუსად ქცეულ  
ფიქრებს შეარხევს,  
და გამახსენებს ყვე-  
ლაფერს ერთად,  
რასაც დარდებმა ხელი  
შეახეს.

ვხედავ დანაცრულ  
დღეებს მზიანებს,  
ერთ დროს დანახულ  
ვარდისფერ მყობადს,  
ეს მაშინ იყო,  
როს გვაზიარეს  
თბილისისა და მამულის  
ტრფობას.

ვეძებდით ჩვენთვის გასავ-  
ლელ ბილიკს,  
განუჭვრეტელი ნისლით  
მოფენილს,  
თბილისი იყო ნამდვილად  
თბილი,  
ჯერ კიდევ წყნარი და უშ-  
ფოთველი.

არ გამქრალიყო ნდობა,  
გატანა,  
არ ქცეულიყო ქვეყანა  
ხარბად,  
დრომ იმ საოცარ გზე-  
ბით გვატარა  
და გვასწავლიდა კაცო-  
ბის ანბანს.  
არავითარი ოქრო და ვერ-  
ცხლი,  
მხოლოდ იმედად ყველ-  
გან გველოდა,

მომხიბლაობა ქართული  
ზეცის,  
ქართული მიწის მიმზიდ-  
ველობა.  
ჩვენს გზაზე მუდამ იდგა  
თელავი  
ნაოცნებარი სითბო-სიმა-  
ღლით,  
კვლავ მოვარდება წსოვ-  
ნა მდევარი  
და იმ ვარდისფერ დღეებს  
მიმახლით.  
თელავის ქუჩებს მშვიდ-  
სა და ლამაზს  
ისევე ყრმობის ედებათ  
ხმები,  
სულით ხორცამდე დამი-  
ჰყო რამაც  
შემოჭრილ დღეებს იმი-  
თვე ვხვდები.  
უამი კი გარბის სწრაფად  
მბრუნავი,  
მეც დაუნდობლად გადა-  
მიარა,  
და დამრჩენიხართ შენ და  
გურამი  
დაჭრილი გულის მძიმე  
იარად...  
ახალა თბილისში დგას  
გაზაფხული,  
სითბო ედებათ ქუჩებს  
საყვარელს,  
და რაც გულში მაქვს  
გადანახული  
იმას ზამთრებმაც ვეღარ  
გამყარეს.  
ცხოვრება ჩვენი  
გაშლილ წიგნივით

წინ მიდევს გამქრალ  
თქვენი მიზნებით,  
ვფიქრობ და დამკრავს  
განცდა სიგრილის,  
განცდა სიცივის,  
და მე ვფხიზლდები.  
უმს გარდავლილი ბნე-  
ლეთში მიაქვს,  
აღარაფერი არსებობს  
შენთვის,  
შეფარებული მარადის  
წყვდიადს,  
თბილისის მიწას  
მიწადვე ერთვი.  
დამთავრდა ლხენაც,  
ფიქრიც, წამებაც,  
მხოლოდ სახელი დარჩა  
ხსოვნებად  
და ტირილამდე დამენანება  
ადრე გამქრალი შენი  
ცხოვრება.

1984

წ.

ვარდისუბნის ვარდები  
ედიშერ რჩეულიშვილს  
ვარდისუბნის ვარდები  
აბრდლვიალდნენ თე-  
ლავთან  
და მე თელავს ვბარდები,  
ვისიც ბევრი მემართა.  
თუ არ გაავდარდება  
დღეა შესაშურველი,  
ვარდისუბნის ვარდებმა

დამადევნეს სურნელი.  
 წინ ალაზნის ველია,  
 ცა ახურავს ფენებად,  
 ახლა ძნელზე ძნელია  
 ძველის არგახსენება.  
 აწ სხვა გზებით ვერ ვივ-  
 ლი,  
 ქრიან ძველი სიონი,  
 ვერცხლით გადაფერილი  
 ელავს კავკასიონი.  
 შემხვდება და მიღიმის  
 საყვარელი თელავი,  
 საღაც წლების სიღრმი-

დან

შემომყურებთ ყველანი.  
 სიჭაბუკის ფერებით  
 შემოსილან ხედები,  
 ველარაფერს ველვე  
 და მიდამოს ვედები.  
 ჩვენი ნაფეხურებიც  
 ვერ წარეცხეს ღვარებმა,  
 ნამად დამესხურება  
 გულით წსოვნის ტარება.  
 და რაც ძვირად მიღირ-

და,

კვლავ მიჩვენებს თელავი,  
 შორი წლების სიღრმი-  
 დან

შემომყურებთ ყველანი.  
 თითქოს ახლად მოველი  
 წარსულს უამით გათე-  
 ლილს,  
 მახსენდება ყოველი  
 დღეა ისე ნათელი.  
 ცივგომბორის ზეფირიც  
 მოქრის ანავარდებით,  
 გზებზე გადამეუზინენ  
 ვარდისუბნის ვარდები.

გახსენების სურვილი  
 კოცონივით ალდება,  
 ქალაქს მოსდეს სურნე-  
 ლი  
 ვარდისუბნის ვარდებმა.  
 ფიქრიც გაამაყდება  
 დარდის გადამთელავი,  
 დავდივარ და დამყება  
 საყვარელი თელავი.

1972

წ.

## ზანთან

## შეღამება ალა-

ალაზნის ლოქო გვარგო  
 მეთევზემ,  
 ნიახურით და კვნიტი  
 მარილით,  
 შორს ალავერდის მაღალ  
 კედელზე  
 მთვარე ეკიდა ვერცხლის  
 ნალივით.

ქედებს ეფინათ ლურჯი  
 ბურუსი,  
 იხურებოდა გომბორის  
 კარი,  
 ახლად გათიბულ თივის  
 ბულულში,  
 საღამო იწვა ბავშვივით  
 წენარი.

1972

წ.

ბარაქიანი წინ იწყება  
ველი ალაზნის, —

ვარდისფერ ნისლში მო-  
ტივტივე ლურჯი ხომალდი,  
იგი ყოველთვის იყო  
ჩემთვის ისე ლამაზი,  
რომ სილამაზეს ამქვეყ-  
ნიურს მისით ვზომავდი.

ხალხის ნაღვაწი უკვდავ-  
ებად დაღვრილა ველზე,  
მრავალუამიერ კვლავ ამშ-  
ვენებს ქვეყნის დიდებას,  
შრომის გარეშე აქ  
გლეხკაცი წუთითაც ვერ  
ძლებს

ნაზიარები მარადიულ  
ჭეშმარიტებას.

ჩვენშიც გადმოდის დაუმ-  
ცხრალი ძლიერი ჟინი,

მიუღწეველის ვერ მიღწ-  
ევის ჯერ სინანულით,

ალაზნის ველი გვეგებება  
ცინცხალი დილით

და მეწყერივით ძლიერდე-  
ბა განცდა მამულის.

1971

წ.

## ყერი

## დილა მეღ-

ედიშ-

ერ რჩეულიშვილს

დილაადრიან მოვიტოვეთ  
გომბორი უკან,

წამით კახეთი გაიშალა ამ  
სიმაღლიდან,

ძირს ფაციფუცით დახ-  
ვეული ჩარბოლა შუქა

და ტყეთა სურნელს უჩი-  
ნარი ქარი გვახლიდა.

თეთრიწყლებიდან გასა-  
ფრენზე მცირე მანძილით

ჩანდა შუამთა, ჩამოშლილი  
მწვანე მეწყერი,

სტუმრად მოსული, აქ  
გპოულობ ძვირფას განძივით,

მამულის განცდავ,

და ყოველთვის მძაფრად  
მეწყები.

მიუვალ კოშკებს შე-  
ფარვია წარსული შორი,

ნაჭდევებივით რომ ატყვია  
ნახმლევის ზოლი,

წარსული ჩვენი, საამაყო,  
დღემდე ქებული,

ამაყი ხალხის სისხლის  
ფერით განათებული.

დამით თე-  
ლაგოსავე

გურამ

რჩეულიშვილს

მანქანის ფარებით ღამე  
გაფატრული  
დაჭრილი მხეცივით ეცე-  
მა ქედებთან,  
მალე გამოჩნდება მთვარე  
გაბადრული,  
სილისფერ ზეცაში თვა-  
ლი რომ ეძებდა.  
ჰორიზონტს გომბორი  
სილუეტს მიახატავს,  
ვარსკვლავი მიიწევს  
ცისკნ ნისლიანა  
მთვარეც გამოცურდა  
თეთრი იახტა და  
უსაზღვრო სივრცეში გა-  
დაისრიალა.  
ღამეულ ფერებში ქედი  
იძირება,  
დაბლობში სინათლით  
კრთება „სერვოდანი“,  
ალბათ შესაწირი აღარ  
იწირება,  
ტკივილით ვიხსენებ  
დღემდის ვერმოტანილს.  
ვფიქრობ სიკეთეზე,  
რასაც ვიმეტებდით,  
ვფიქრობ ტკივილებზე,  
რასაც ვერ ვმაღლავდით,  
ისევ შენ მომყვები გზაზე  
იმედივით,  
ისევ შენ მაცილებ ღამის  
თელავამდი.

1973

წ.

08 ბზ001

ბანგლ0ლ0

გურამ

რჩეულიშვილს

გადმოვარე ცივგომბორის  
უღელტეხილი

და სიმაღლიდან გაკრთა  
ფერად სახლების წყება,  
ისე ავღელდი,  
თითქოს მშვიდი ეს სი-  
ლამაზე

და ეს მიდამო დიდებუ-  
ლი ჯერ არ მეხილოს,

რომლითაც თვალი გადა-  
ლლილი ვერაფრით ძლება.

გზებზე ვარვარა სიმხურ-  
ვალით ივლისი ენთო,

ფოთლები ყვითლად ად  
ჩამოეშვა კუნელს და ასკილს,

აქ კი სიგრილე  
ფილტვებს ავსებს ხვატით  
დახუთულს

და ვგრძნობ ისინიც  
კვირტებივით იწყებენ გაშლას,

რომ გაიტანოს სისხლმა  
ძარღვში სიბლანტის ნასკვი

და წინ ვიარო ჭაბუკივ-

ით,

ვით ვიყავ ერთ დროს.

სივრცე წყალივით გამ-  
ჭვირვალე წკრიალებს ირგვ-  
ლივ,

მზე წითლად ღებავს  
ცივგომბორის ალპიურ ფერ-  
დებს,  
გალალებულა ნაწვიმარზე  
ღვაა და დეკა,  
ნეტავ შემეძლოს აქ ვცხ-  
ოვრობდე,  
ვშრომობდე, ვწერდე,  
კაცურ კაცობის სულ  
სხვაგვარი წესით და რიგით,  
ფეხქვეშ ბალახის დაც-  
ვარული დამეგოს თექა,  
რომლითაც ახლა მივსრი-  
ალებთ დაბლა და დაბლა,  
შემომეგება თეთრი წყლე-  
ბი წლების სიღრმიდან,  
აქ სინანულის საოცარი  
გრძნობა ამიტანს,  
და იმ შორეულ წლების  
წინათ ლარიბულ ტაბლას  
ნეტავი ისევ შენთან ერ-  
თად ვეჯდე თავიდან,  
ამგვარი ფიქრი დღეს  
ცხოვრების ფასად მიღირდა.  
მაგრამ გაირბენს თეთრი  
წყლებიც,  
ვით გაელვება,  
მუხების ტეგრით გავიჭრე-  
ბით თურდოს ხევისკენ,  
სადაც სიმწვანე გაპობი-  
ლა შუა რძისფერად,  
მიფრინავს ქორი და შუა-  
მთის ტაძარს ევლება,  
მერე ეშვება, უფრო მაღ-  
ლა ველარც იფრენდა,  
ან ასე მაღლა  
აფრენისთვის იქნებ შერისხ-  
ეს.

გზამ დაღმავალმა შეგვა-  
ტოვა ზურმუხტის მორევს  
და სიჭაბუქის ნაკვალევზე  
მიქრიან გზები,  
რასაც ყოველთვის სულ-  
ში ძეგლი უნდა უშენო,  
ვიჩქაროთ თორემ,  
ცოტა კიდევ ვიჩქაროთ  
თორემ,  
იწვის, ნელდება ის მჩქე-  
ფარე დღეები გზნების,  
თითქოს ვფხიზლდები  
საყვარელი ქალაქის კარ-  
თან  
და გული მტკივა,  
რომ თელავი მხვდება  
უშენოდ.

1971

წ.

08-

## ალთოში

გოგი

შათირაშვილს

როცა იარაღს დაუნდო-  
ბლად გვიღერებს ზოგი,  
როცა ის ზოგი ათასწლო-  
ვანს ბელავს ბერმუხას,  
რამხელა საქმეს უშურ-  
ველად აკეთებ, გოგი,  
რამხელა საქმეს სამამ-  
ულეს შეჭიდებულხარ.  
არ გაგტეხია მოყვარული  
გული კახივით,  
და კვლავ უკვდავი  
რუსთაველის მისდევ ნაკვა-  
ლევს,

მინდიასავით გაბარბაცებს  
მიწის ძახილი,  
სეტყვით დაფენილ ვაზს  
როდესაც ჭიგოს აკრავენ.  
შენი ნაღვაწი, შენი საქმე,  
სიტყვა, სახელი  
ფერებს დღეისას იმედე-  
ბად მატებს სიძველეს,  
ამ ნაფუძარზე ქალ-ვაჟე-  
ბი შენი კახეთის  
ცხოვრების სიბრძნეს სა-  
განძურის მსგავსად იძენენ.  
და ივლის ყველა წინაპრე-  
ბის გზით გაკვალულით,  
ხალ ხი სიკეთეს  
სიკეთისთვის იმკის უხვადვე,  
ჩვენ რომ გვიყვარდა საფი-  
ცარი ჩვენი მამული,  
მათ უფრო მეტი გატაცე-  
ბით უნდა უყვარდეთ.  
რამხელა საქმეს სასიც-  
ოცხლოს აკეთებ, გოგი,  
შეგირხევია უამთასრბო-  
ლის მრუმე ბლონდები,  
და როს იარაღს დაუნ-  
დობლად გვიღერებს ზოგი,  
აუცილებლად ნაღვაწ-  
ვარით შენ მაგონდები.

1994

წ.

### დემა რჩეულიშვილი- სათბის ბაზზაპნილი ბარა- თი

თელავი ახლა ზეცის ფე-  
რია,

მთებზე აგია ლურჯი  
ქულები,

უკვე ორმოცზე მეტი წე-  
ლია

მანდ იმედივით რომ მეგ-  
ულები.

შენ ვაჟკაცური გზის დამ-  
ლოცავი

და მხარში მდგომი იყავ  
თავიდან,

სიტყვის სათქმელი ალ-  
ბათ დროც არი,

უკვე იმდენი წელი გავი-  
და.

ოცნება შენკენ მაქვს მოპყ-  
რობილი,

თან სურვილები მავსებს  
ლამაზი,

დგას ნადიკვარი აკროპო-  
ლივით

და გადაჰყურებს ველებს  
ალაზნის.

ძირს ტერასებად მწვანე  
მთებია

სივრცის ჭერივით გადა-  
მხურავი,

აქ მეც მრავალჯერ მიო-  
ცნებია  
მხარში როდესაც მედგა  
გურამი.  
მოურჩენელი დღემდე იარა  
გურამი დაგვრჩა გულის  
ჭრილობად,  
მისმა ტკივილმა არ გაგვი-  
არა,  
და იგი ახლაც როგორც  
გვჭიროდა.  
მოგყვება მხოლოდ წსოვ-  
ნა უქრობი,  
სხვას არაფერი არ ეშ-  
ველება  
და ჩვენც არეულ ამ  
საწუთოში  
კვლავ სიყვარულის დავრ-  
ჩით მცველებად.  
ჯერ განგებაა ჩვენი  
მფარველი,  
მისითვე ვამბობთ  
სათქმელს მისაგებს  
და მეგობრობის ეშხით  
მთვრალები  
ისევ მივდივართ შუამთი-  
საკენ.  
მწვერვალებს შუა გამონ-  
აბერი  
ცა მოჩითულა წითელ  
ფარდებით,

ვარდისუბნიდან ქარს  
მონაბერი  
მოგვდევს სურნელი გაშ-  
ლილ ვარდების.  
ოქრო ელვრება ცივს და  
ზუზუმბოს,  
მზე მწვერვალების ხაზზე  
გასწორდა,  
ქვისფერ ქედიდან ქარის  
ზუზუნი  
შრიალით უვლის მუხებს  
ასწლოვანს.  
მივდევთ სავალს და ვივ-  
ლით ვიდრემდის  
დაგვეფარება მწუხრის  
ხავერდი,  
ალაზნის ჭალის დიდი  
სიმდიდრე  
თეთრი გემივით დგას  
ალავერდი.  
ამოვარდნილი ქვეყნის  
საშოდან  
ანათებს, თითქოს პირჯ-  
ვარს გვსახავდეს,  
ტყესთან ტაძარი მშვიდად  
დაგვშორდა,  
სანამ სალოცავს კვლავაც  
ვნახავდეთ.  
შუამთის ტყეში ბოლავს  
ნახშირი,  
ცეცხლზე აწყობენ მწ-  
ვადებს ცვრიანებს  
და გასაოცარ ხმათა კავ-  
შირი  
სიმღერა ტყეზე გადი-  
წკრიალებს.  
გვალვამოდებულ სულებ-  
ის საზრდოდ

---

## მზიური ფერის შეცნობისათვის

მრავალუმიერს მოსდევს  
წინწყარო,  
სადა ხართ ჩემი ახალ-  
გაზრდობის  
წლებო მარადულამს დაუ-  
ვიწყარო.  
სადაც თელავში პირველ  
სტუმრობის  
დღემდე ოცნებით მიყვარს  
ფურება,  
და დროის სრბოლით  
— მართლა ულმობლით  
იმედის კარი არ იხურე-  
ბა...  
ეს ყველაფერი შენით  
იწყება,  
შენ გაბარია გადასარჩე-  
ნად,  
და როცა გულთა ფეთქვა  
მიწყდება,  
სიყვარული ხომ მაინც  
დარჩება.  
ჯერ კი იქნება ტყეში  
შევარდნაც,  
ყანწებიც — ბევრჯერ  
ხელთ რომ გვჭერია,  
მერე განუყრელ შენს ტკ-  
ბილ თელავთან  
შენც დავიწყება არ გიწე-  
რია.  
თელავი ისევ ზეცის ფე-  
რია,  
ქედებს ფარავენ ლურჯი  
ქულები,  
უკვე ორმოცზე მეტი წე-  
ლია

მეგულებოდი და მეგულე-  
ბი.

1994  
წ.

### ¶ასვლა

შალი-  
კო რჩეულიშვილის ხსოვნას

ვინ დაიჯეროს რომ კუკი-  
ის მარცხენა მხარეს  
თითქოს დამცხრალი ჩაე-  
სვენე საფლავს გრიგალი,  
აღარაფერი არც გაწუხ-  
ებს, აღარც გახარებს,  
მხოლოდ ცხოვრებით  
შემორჩები, როგორც იგავი,  
და ამაშიაც არაფერი არის  
ახალი,  
რომ ცოდო-მადლით  
სავსე ქვეყნად სტუმრად იყავი.  
ჯანდის ფარდებში ილან-  
დება სიყრმის თელავი,  
ქედებს ქორივით გადაუ-  
ფრენს გომბორის ქარი,  
ბევრის მშველელსაც ვერ  
გიშველა ქვეყნად ვერავინ,  
გზას დაადექი უსასრუ-  
ლოს, ამაყად მდგარი,  
იქ აღარ ქუხან სივრცეე-  
ბი, აღარ ელავენ  
ყოფნა-არყოფნის წაშ-  
ლილია მარადი ზღვარი.

**ჭავიდა დემა  
ოჩეულიშვილი**

ცრემლის შეშრობა აღარ  
გვეღირსა,  
ვერ გავექეცით  
განგების დევნას,  
დუშს ეკლესია ამაღლებ-  
ისა,  
ემშვიდობება თელავი დემ-  
ნას.  
ნისლი ცრემლივით დას-  
ლის შუამთას,  
რა შეაჩერებს ცრემლებ-  
ის დენას,  
დავდექით ჭირთან –  
გამოუვალთან,  
ახლა თელავში კრძალა-  
ვენ დემნას.  
მიდის და მიაქვს მთელი  
ეპოქა  
ძებნით, დარღებით,  
ლხინით, კაცობით,  
გულს სევდა მძიმედ შემო-  
ეთოკა  
საუბედუროდ ასე ნაცნო-  
ბი.  
ქარი ჩამორბის ნადიკ-  
ვარიდან,  
ძველ ნააკვნარზე  
მიგვასწრებს შევლას,  
ეს ცივი თქორიც  
გადიკარებს და  
ვეღარასოდეს ვიზილავთ

დემნას.

თან მიაქვს ჩვენი გულის  
ნაწილი,

ბედი ტკივილთან ასე გვა-  
ჭიდებს,

იმ სიშორიდან,  
თითქოს ყმაწვილი,  
წლებს თან მოვყები  
ორმოცდაჩვიდმეტს.  
ჰოი, რამხელა უამი გასუ-  
ლა,

მიჭირს უბრალოდ თვა-  
ლის მოვლება,  
კაცი წავიდა,  
ყოფნა დასრულდა,  
მთვლი ცხოვრება იქცა ხს-  
ოვნებად.

ცრემლის შეშრობაც აღარ  
გვეღირსა,

ვერ გავექეცით განგების  
დევნას,

დუშს ეკლესია ამაღლებ-  
ისა,

ემშვიდობება თელავი დემ-  
ნას.

2009

წ.

**შეღამების**

**თელავი**

მთვარე ვიწროში ვერ გა-  
ეტია

და ისევ მთებზე ამო-  
წვერა,

ცა თითქოს ლურჯი პერ-  
გამენტია,  
სივრცე კი უამთა უცხო  
ზმანება,  
და კვლავ ვიყრძენი – ეს  
შედამება  
რა ტკივილებსაც გამოი-  
წვევდა.  
ქალაქი სუნთქავს ღამეულ  
ფერებს,  
ქედები ჩანან ვერცხლით  
ნაჭედი,  
ვეძებ მოსასწრებს,  
დარჩენილს ჯერაც,  
დამუხტულივით ვეღარ  
გავჩერდი,  
თქვენი ხმაც მესმის:  
რას ჰქვია ვერა,  
უნდა მიიღო რასაც არჩევ-  
დი.  
მშვიდად ინთება ძველი  
თელავი,  
თუ მეციხოვნე ჭრაქით  
შემოდის,  
და სიხარულის გადამთე-  
ლავი  
დარდი შემცვლელი  
უდარდელობის.  
მზარავს – ნახავო უკვე  
ვერავის,  
ოცნებაში რომ მაინც  
ელოდი.  
დაშვებულია წარსულის  
ფარდა,  
რასაც ხედავ და ვითომ  
ვერ ხვდები,  
კვლავ გარდავლილი მო-  
გყვება დარდად,

არ შრიალებენ შენი ვერხ-  
ვები,  
თუმც უსაყვარლეს ჩვენს  
ნადიკვართან  
თქვენს წმინდა ლანდებს  
მაინც შევხვდები.  
გამახსნდება რაც კი გვიყ-  
ვარდა,  
რაც გარდავლენილ  
დღეებს მიბარდა,  
და გზებს,  
უღმერთოდ რომ დაიხ-  
ლართა...  
ბევრი იქნება ამ საღამოს,  
ბევრი, თქვენს გარდა...  
საუბედუროდ დაეშვა  
ფარდა...

1999

წ.

გურამ რჩეულიშვილის,  
თენგიზ ჯაშიაშვილის, ჯიმი  
რჩეულიშვილის, ქართლოს  
ჯაფარიძის, ფარნაოზ (ფანც-  
ქალ) სიდამონიშვილის, ალ-  
ბერტ ნარეკლიშვილის ხსოვ-  
ნას.

### მოსწრების ზიმრი ალაგერდიდან

თუ ალავერდი ისევ მო-  
ნასტრობს  
და თუ ქართველი ისევ  
ქართველობს,

აუცილებლად უნდა  
მოვასწრო,  
გინდაც ყოველი ღამე  
ვათენო.  
სანამ შენების შემწევს  
უნარი  
და ალავერდი სანამ მო-  
ნასტრობს,  
სიმწვანესავით გაუზუნარი  
გული მომძახის:  
უნდა მოასწრო.  
სანამ გომბორი თელავს  
დაპყურებს,  
კავკასიონი მზეზე კი-  
ფობს,  
დღე ნაადრევად თუ არ  
დავხურე,  
მაშინ მოვასწრებ,  
მაშინ გიამბობ.  
გეტყვი გულდაგულ რასაც  
ველტვოდი  
კაცურ კაცობის ჩემი სა-  
ზომით,  
რატომ მიყვარდა ბელტი  
ბელტობით,  
რატომ მიყვარდა ვაზი  
ვაზობით.  
რად არ დავეცი,  
რად არ გავცივდი,  
ყველაზე მეტად რატომ

მიყვარდი,  
ან იმ გზას წუთით რად  
არ დავცილდი  
წინამძღოლივით შენ რომ  
მიგყავდი.  
დღე იყო —  
თითქოს წინსვლა შემდე-  
გი,  
რეკლა ტამრიდან ზარი  
ხმოვანი,  
შემ მშობელივით შხარში  
მედექი  
შენი წარსულით  
ათასწლოვანით.  
და ალავერდი სანამ მო-  
ნასტრობს  
შემოჯარული მთების  
კრებულით,  
რაც გინდა მოხდეს —  
უნდა მოვასწრო  
და გავიარო გზა დაწყე-  
ბული.

1970

წ.

1991 წელს გარადიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე პროფესორი დამიანე გოგოხია. მიმდინარე წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში აღინიშნა მისი დაბადებისდღიდან 90 წლისთავის საიუბილეო თარიღი. გთავაზობთ საიუბილეო საღამოსთვის გამიზნულ ორ გამოსვლას, სადაც ჩანს დაშახურებული ადამიანის საზოგადოებრივი და პიროვნული თვისებები.

**სისრმეით საბსმ პიროვნება**



---

ଉଦ୍‌ବୃଦ୍ଧିକାଳେ ଏବଂ ପରିମାଣରେ











რობორ დაგადგენის ფოთელს ეროვნება



194

ՃԱՆԱՋԵՋԱ

---

08080 მთვარე  
თამაზ აგილაშვილი

ზღვა შუქ-ჩრდილების ვონხე







200

---

ნუგზარ წერეთელი — უურნალისტთა  
საერთაშორისო ფედერაციის წევრი,  
საქართველოს დამსახურებული უუნალისტი,  
პროფესორი.

გაქონილი სხეულები,  
გაზინტლული მზერა,  
ღმერთო, როგორ დაგულლივარ  
მათ უივეივს და ცქერას.  
ჩემს შვილს



**204**

---















---

**თელავისადმი და თელაველაბისადმი  
გიძლივისადმი ლექციები**

1952 წლის სექტემბერში გურამ რჩეულიშვილმა თელავში წაგვიყვანა მე-  
გობრები. ეს იყო პირადად ჩემი პირველი შეხვედრა საქართველოს ამ უძველეს  
და უმშვენიერეს ქალაქთან. მომდევნო წელს გურამმა უკვე მთელი ზაფხულით  
მიმიპატიურა ნადიკვარზე მდებარე სახლში დასასვენებლად. იმ შორეული წლებიდან  
დაწყებული თელავი ჩემთვის უსაყვარლეს ადგილად იქცა. მალე 60 წელი  
სრულდება მისი პირველი ნახვიდან, მონატრება და ნახვის სურვილი კი ყოველთვის  
თან დამყვება. სწორედ ამ ჭეშმარიტი სიყვარულის დადასტურებაა თელავისა  
და ღირსეული თელაველებისადმი მიძღვნილი ლექსების ერთი ნაწილი, რაც  
განვლილი წლების მანძილზე გამოცემული წიგნებიდან ამოვკრიფე. ლექსები,  
აღბათ, სრულად მაინც არ არის წარმოდგენილი, მაგრამ დიდი სიყვარულისა და  
პატივისცემის გაღმოსაცემად მგონი საკმარისია, რასაც დარწმუნებული ვარ  
მკითხველი უფრო კარგად შეაფასებს და დაადასტურებს.

**ნუგ ზარ წერეთელი**















220

---



222

---























**234**

---





























ერთი თხზულების სახის-  
მეტყველებისა და მისი  
ძველბერძნულ დედანთან  
მიმართებისათვის

ცნობილია, რომ  
თეოლოგიური სასიათის თხზუ-  
ლებები არ გამოირჩევიან სახე  
– სიმბოლოების ორიგინალო-  
ბისა და ნოვატორობის თვალ-  
საზრისით. უფრო მეტიც, არათუ  
არ გამოირჩევიან, არამედ  
წესიდან გადახრადაც კი ითვ-  
ლება ახალი ფორმის შემოტანა,  
ყოველ შემთხვევაში, ავტორი  
ამას ყოველთვის თავს არიდებს,  
რადგან ამ დროს ის შეიძლება  
არც ისე შორს აღმოჩნდეს ერე-  
სისაგან. ეს თხზულებები, თან-  
ამედროვე ტერმინს თუ კიხმართ,  
სრულიად ინტერტექსტუალურნი  
არიან საღვთო წერილიდან. აქ  
მეტაფორები, შედარებანი სიმ-  
ბოლოები ცალსახაა და ერთმ-  
ნიშვნელოვანი, ისინი მხატვრუ-  
ლი პარადიგმებია, განსხვავებით  
თანამედროვე ლიტერატურისა-  
გან, სადაც მხატვრული სახე  
მარგინალურია და ათასგვარ  
ტრანსფორმაციას განიცდის.  
მაგალითისათვის, ჩვენ შეგვიძლია  
დიდხანს ვიმსჯელოთ იმის  
შესახებ, თუ რას ნიშნავს ვარდ-  
ის სახე უახლეს პროზასა თუ  
პოეზიაში, მაგრამ ყველამ ძალიან  
კონკრეტულად ვიცით, რას  
გულისხმობს ავტორი, როცა აბო

ტფილელს მიმართავს: „ვარდი  
ეყალთაგან გამოგარჩია“ (გვ 116,  
ქართული პროზა, თბ, 1982). ვხე-  
დავთ, თუ რა მეტამორფოზას  
გადის შინაარსი ფორმამდე,  
როცა შეურაცხ და დამცირებულ  
მდგომარეობაში მყოფ წმინდანს  
მშვენიერების ნიშნით წარ-  
მოგვიდგენს, ანდა, რატომ არის  
წინდა შუშანიკი, „დამშრშალი და  
დაბუშებული ტირილითა“ (გვ 19,  
ქართული პროზა, თბ, 1982), „შუშ-  
ნიერი“ სძალი ქრისტესი.

თეოლოგი ავტორისთვის  
გამოგონილი, ზოგადი რეალობა  
არ არსებობს, მისთვის თავისთა-  
ვადი, თვითკმარი ლირებულები-  
საა თავად ფაქტი. „ჩვენ თვით  
თვისით არარავ  
ალგინტერიაო“ (იოანეს და ექვ-  
თიმეს ცხ., გვ. 371, ქართული პრო-  
ზა, თბ, 1982) – ამბობს გიორგი  
მთაწმინდელი და ეს კონიუნქ-  
ტურაა. აქ სიტყვა არის არა  
„სარკე და სახე“ (გიორგი მთაწ-  
მინდელის ცხ., გვ. 501, ქართული  
პროზა, თბ, 1982), არამედ ემპირი-  
ული სინამდვილე. თუკი, თანამედ-  
როვე ლიტცოდნების მიხედ-  
ვით, „სიმბოლო მთლიანად  
დამოკიდებულია ინტერპრეტა-  
ტორზე და ინტერპრეტაციის  
გარეშე, როგორც ნიშანი, დანიშ-  
ნულებას კარგავს (მ. კვაჭანგი-  
რაძე, სემიოტიკა, თბ, 2007, II, გვ. 203),  
მაშინ თეოლოგიური თხზულე-  
ბების ყოველი სიტყვის ინტერ-  
პრეტაცია უკვე ძველი აღთქმის

წიგნებშივეა მკაცრად დადგენილი და განსაზღვრული.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სიმბოლოს მიმართებით ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებზე ლაპარაკი ნაკლებად საგულისხმოდ მიგვაჩნია. ჩვენთვის უფრო საინტერესოა ის, თუ რა სემანტიკურ-სტრუქტურულ სახეცვლილებას განიცდის აზრი ერთი ენიდან მეორე ენაზე გადასვლისას და შევეცდებით ერთი ქართული ნათარგმნი ტექსტის სახისმეტყველება წარმოგიდგინოთ თავის ძველ ბერძნულ დედანთან მიმართებაში. ეს არის VII საუკუნის საეკლესიო მოღვაწის, წმ. ანასტასი ანტიოქიელის, იგივე ანასტასი ილუმენის კითხვა – მიგბითი თხზულება. ქვედავამატებთ იმასაც, რომ ანასტასი სინელი არის ასევე ავტორი ცნობილი საღვთისმეტყველოდოგმატიკური თხზულებისა, რომელსაც ქართულ ენაზე „წინამდღვარი“ ჰქვია. ქართველი მთარგმნელი უცნობია, თარგმანის თავისებურებებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ იგი დედნის ეკვივალენტის ტიპის, პრეციზული მთარგმნელობითი პრაქტიკის წარმომადგენელია.

კრებულის შემდგენელები მისი თარგმნის დროდ XII-XIII საუკუნეებს მიიჩნევენ. ენობრივი თვალსაზრისით, იგი უფრო ტიპურია ძველქართული ენობრივი

ნორმებისათვის და ნაკლებად ამჟღავნებს საშუალი ქართული-სათვის დამახასიათებელ ენობრივ არასტაბილურობას. თარგმანი არის გამოკრებული და შემოკლებული, ანუ ქართული და ძველი ბერძნული ტექსტები ერთმანეთს ემთხვევა ნაწილობრივ და ფრაგმენტულად.

თხზულება ეგზეგმეტიკურია და ვერ იქნება გამორჩეული სახე – სიმბოლოების მრავალფეროვნებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი უაღრესი ემოციურობითა და აზრის სიახლით აღიქმებიან, შინაარსობრივად მეტად მეტყველნი და ესთეტიკურად სრულყოფილნი არიან. აქ სიმბოლოა არა მარტო სიტყვა, არამედ მთელი შესიტყვება. აღსანიშნესა და აღმნიშვნელს შორის კავშირი მეტად მჭიდროა, რეალობა და სიტყვა აბსოლუტურად მოიცავს ერთმანეთს, ისე, რომ ხანდახან სიმბოლოს დადგენაც კი ჭირს. ისინი ძირითადად ადამიანის შინაგან სამყაროს წარმოაჩენენ და ღმერთოან მიმართებაში განიხილავენ მას. ჩვენ ისდა დაგვრჩენია, პარალელური ფაქტები აღვნიშნოთ და ვნახოთ, როგორ ეთანადება ერთმანეთს ორი ავტორის სამყაროსეული ადქმა:

**ამისთვის იტყვს უფალი:**  
რომელსა უყუარდე მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხნეს და

**მამამან ჩემმან შეიყუაროს  
იგი და მივიდეთ მისა და  
სავანე მის თანა ვყოთ.** 1.3  
'Εάν τις ἀγαπᾷ με, τοὺς λό-  
γους μου τηρήσει, καὶ ὁ Πατήρ  
μου ἀγαπήσει αὐτὸν, καὶ πρὸς  
αὐτὸν ἐλευσόμεθα, καὶ μονὴν  
παρ' αὐτῷ ποιησόμεθα.

ბერძნულში ორ არის ქართუ-  
ლის განმაზოგადებელი პირვე-  
ლი წინადადება. დედნის მომავა-  
ლი დროის ფორმებს თარგმან-  
ში II კავშირებითის ფორმები  
შეესაბამება(τηρήσει-დაიმარხეს;  
ἀγαπήσει- შეიყუაროს; ἐλευσो-  
μεθა-მივიდეთ; ποιησόμεθა-ვყოთ),  
ბოლო ორ შემთხვევაში გვარი  
ვნებითად იცვლება. ბერძნულში  
პირდაპირი ობიექტის ფარდი,  
როგორც წესი, ქართულის სახ-  
ელობითი ბრუნვა(τοὺς λόγους-  
მცნებანი; αὐτὸν-იგი; μονὴν- სავ-  
ანე). დინამიკა გამოხატულია  
ბრალდებითი ბრუნვის  
წინდებულით(πρὸς αὐτὸν-მისა),  
ხოლო სტატიკა მიცემითი ბრუნ-  
ვის წინდებულით(παρ' αὐτῷ-მის  
თანა), რომელიც კალკირებულია.  
შდრ.: (იოანე 14.2).

**ადეშენების სახლი სულისა  
ჩუენისაა და ესრეთ დაემპა-  
დრების დმერთი შორის ჩუენ-  
სა.** 1.3

Οἰκοδομεῖται ὁ οἶκος τῆς ψυχῆς,  
καὶ οὕτως οἴκει ὁ Θεὸς ἐν ἡμῖν.

პასიური ფორმა ოიკოდომეῖთαι  
ქართულ თარგმანში ასევეა გად-  
მოსული – აღეშენების შინაარ-

სობრივი თვალსაზრისით, მთარგ-  
მნელისათვის დამკადრება და  
დასახლება სინონიმებია(οἰκεῖ -  
დაემპადრების). კალკირებულია  
წინდებულიანი კონსტრუქციაც:  
ἐν ἡμῖν - შორის ჩუენსა. ზუს-  
ტადა გადმოტანილი დედნისეუ-  
ლი მხატვრული სახე - სახლი  
სულისა ჩუენისაა - ὁ οἶκος τῆς  
ψυχῆς.

სახლი ღმერთია (უძღები შვი-  
ლის შინდაბრუნების იგავი,  
ლუკა,15.), მსგავსება (შექმნა ღმ-  
ერთმან კაცი ხატად და მს-  
გავსად თვისა, დაბადება, 1.26), მზა-  
ობა (ათი ქალწულის იგავი, მათვ,  
25.1).

**ქრისტეანე არს ჭეშმარიტი  
ტაძარი, ქრისტეს აღსარები-  
თა მართლითა და მუშაკო-  
ბითა სათნოებათავთა აღ-  
შენებული.** 1.1

Χριστιანὸς γάρ ἔστιν ἀληθινὸς  
οἶκος Χριστοῦ, δι’ ἐργῶν ἀγαθῶν  
καὶ δογμάτων εύσεβῶν συνιστά-  
μενος.

სპარსული სიტყვა ტაძარი  
სახლს ნიშნავდა ζερ კიდევ V  
საუკუნეში: დაუტევა ტაძარი  
თვისი და ღმრთის მოშიშებით  
ეკლესიად შევიდა"(„შუშანიკის  
წამება”, ქართული პროზა, გვ8, ობ,  
1982). მისი ფარდი ორიგინალში  
არის οἶκος Χριστοῦ, რაც პირდა-  
პირ ითარგმნება, როგორც  
„ქრისტეს სახლი”. თარგმანი  
ზედმიწევნითია.

ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: დაგემპუდრო და ვიქცეოდი მათ შორის, ... , .ანუ არა გიცნობიეს თავით თვისით, რამეთუ ქრისტე თქუენ შორის არს. 1.4

’Ενοικήσω γὰρ, φησι, καὶ ἐμπειριπατήσω. Εἰ οὐκ ἔγινώσκετε, δτι ὁ Χριστὸς οἰκεῖ ἐν ὑμῖν.

საღმრთო წერილის სიტყვები თრიგინალში მოცემულია ერთი სიტყვით ფηსი, და ეს ბერძნული ტექსტის ტენდენციაა, ისევე როგორც ქართულის „ვითარცა წერილ არს“, თუმცა ესეც ბერძნული ენის კალკია - გეგრაპ-თა. ქართულში არ არის განმ-ვრცობი სიტყვა δελῶν (ცხადი, მნიშვნელოვანი). ძველი ბერძნულის დასახლება, დამკვიდრება ზმნა თარგმანში აღიქმება როგორც მყოფობა, ყოფნა - ὁ Χριστὸς οἰκεῖ ἐν ὑμῖν-ქრისტე თქუენ შორის არს. პირველი წინადაღების პირველი ზმნა ქართულში I სერიის II კავშირებითით არის გადმოცემული, ხოლო ბერძნულში – მომავალი დროით(დავემპუდრო-ένοικήσω), ხოლო მეორე ზმნა – უწყვეტ-ლის ხოლმეობითითა და ასევე მომავალი დროით(ვიქცეოდი-ეμπειριπατήσω). რაც შეეხება ბოლო ზმნას, I თურმეობითს ახლანდელი დრო შეეფარდება(გიცნობიეს-έγινώს-κετε).

შდრ.: (პავლე, 2 კორინთ., 13,5 და 6,16)

შინაგან გონებასა კაცისასა არს ქრისტე. 1.5  
Πότερον ჰსა ესτიν ἐν τῇ διανοίᾳ σου ὁ οἰκοδεσπότης Χριστὸς.

ქართულში გამოყენებულია III პირისადმი მიმართება(კაცისასა), ბერძნულ-ში – მეორისადმი(σου). ბერძნული სიტყვა οἰκοδεσπότης, თავისი ვიწრო მნიშვნელობით, სახლის მმართველს, განმგებელს ნიშნავს, მაგრამ ცხადია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში იგი ყოვლისმპურობელის მნიშვნელობით იხმარება.

შდრ.: (პავლე, 2 კორინთ. 13,5)  
**მის სულსა შინა მცველ და განმანათლებელი მისი ღმერ-თი. 1.6**

”Εστιν ἐν τῇ ψυχῇ σου ὁ φυλάσσων σε καὶ φροντίζων Θεός.

ბერძნული ენისათვის ასე დამახასიათებელი მიმღეობები ქართულ შიც მიმღეობებად წარმოგვიდგება(მცველ - φυλάსσων, განმანათლებელი - φροντίζων).

ქართულის ეს მონაკვეთი გავრცობილია(მათ სახეთაგან) და ნახმარია მესამე პირის ნაცვალსახელი (მის სულსა შინა, მისი) ბერძნულის მე-ორე პირის სანაცვლოდ (ἐν τῇ ψυχῇ σου, σε), და ესეც ერთი ტენ-დენციაა წარმოდგენილი თხზულებისა. ქართულში არ არის

დორის ზმნიზედა თότε. ბერძნულის წინდებულიანი კონსტრუქცია ქართულში კალკირებულია უკუდებულით (ეს თუ ყურა - სულსა შინა).

ასევე კალკირებულია ორი მიმღეობა (მცველ და განმანათლებელი - ფულასთავი კარის და ფინანსთავი).

**ვითარცა მპარავი, შევიდის უკეთური იგი და განკრეხის სახლი იგი სულისავ მის. 1.6**  
Καὶ οὕτω λοιπὸν καθάπερ κλέπτης εἰσελθὼν ὁ πουνηρός, ...  
**,συλᾶ τὸν οἶκον τῆς ψυχῆς σου.**

ზუსტად არის თარგმნილი სახლი სულისავ - τὸν οἶκον τῆς ψυχῆς σου, აქ ბერძნული ვარიანტი პირდაპირი დამატების ბრუნვით არის გადმოცემული, ასევე ქართულიც, მოგეხსენებათ, ქართულში იგი ორია. უწყვეტლის ხოლმეობითის ზმნა ქართულისა და დანაში მიმღეობაა(შევიდის-εἰσελθὼν).

შდრ.: (ლუკა 12.33; მათე 6.20)  
**დმერთშემოსილი კაცი. 2.1**

Τίς ίερός.

აქ, ცხადია, სამოსელის სახე ფიგურირებს. იგი კალკირებული კომპოზიტია ბერძნული სიტყვისა თეიფორის, რომელიც, თავის მხრივ, თავისთავში ღმრთისა და ტარება ზმნის(ფირეა) შინაარსს მოიცავს.

**დაემკვდროს ღმერთი მის თანა. 2.3**  
οἰκήσῃ ἐν αὐτῷ ὁ Θεὸς.

I აორისტის ფორმა კავშირებითის კილოთი თარგმანში II კავშირებითის მწკრივითაა გამოყენები (ი. კ. ს. და დაემკვდროს), ხოლო შეცვლილია წინდებულიანი კონსტრუქციის შინაარსი - ეს აუτა უფრო ნიშნავს მასში, და არა მის თანა.

თარგმანი ისევ ზედმიწევნითია.

**კაცი ტაძარ სულიერ ღმრთისა იქმნას. 2.4**

‘Ο ἀνθρωπος ναὸς ἔμψιχος γενήσεται τοῦ Θεοῦ.

თარგმანი ზმნის დროშიც კი ემთხვევა ორიგინალს. სიტყვა ტაძრის სახელი უკვე აქ არის ნაბის, რაც მისი საკუთრივი დასახელებაა. აღწერილობითი ფორმა მომავლის დროისა გενήσεται, ისევ II კავშირებითოთაა წარმოდგენილი ქართულში - იქმნას. მ მწკრივის ხშირი გამოყენება ტექსტში თხზულების ეგზეგეტიკურ ხასიათს უნდა უკავშირდებოდეს.

შდრ.: (იოანე, 14,23)

**აქუს შინაგან თავსა შორის თვისა მამავ ყოვლისა მპყრობელი და მხოლოდ შობილი ძე მისი, და მდდელობობური იგი დიდი, რომელმან განვლნა ცანი, ვითარცა იტყვს მოციქული, და სული იგი ჰეშმარიტებისავ. 2.6**

“Ενδον γὰρ ἔχει ἐν ἑαυτῷ τὸν Πατέρα, καὶ τὸν Γίὸν ἀρχιερέα, καὶ τὸ Πνεῦμα τὸ ἀληθινὸν πῦρ.

ქართულის თავსა შორის თჯსას შეესაბამება ბერძნული უაუქცევითი ნაცვალსახელი მიცემით ბრუნვაში წინდებულით - ეს ეასტა, და იგი ბერძნული ენის კალკია.

თარგმანი გავრცობილია(რომელმან განვლნა ცანი, ვითარცა იტყვს მოციქული), მაგრამ არ გვხვდება ბერძნული სიტყვა პურ, რაც ქართულად ცეცხლს ნიშნავს.

**შინაგან აქუნ ჭეშმარიტი მსხურპლი - გული წმიდა და სული მდაბალი და საკურთხეველი ჭეშმარიტებისათ, მიმტევებელი ცოდვათათ, სულიერი იგი ცრემლი. 2.7**  
”Ενδον τὴν ἀληθῆ θυσίαν τῷ Θεῷ, πνεῦμα συντετριμμένον, ἐνδον τὸ θυσιαστήριον, καὶ τὸ ἵλαστηριων ἀμαρτιων τὸ πνευματικὸν δάκρυον.

უმნიშვნელო განსხვავებების მიუხედავად მონაკვეთები იგივე-ობრივნი არიან. მდაბალს ბერძნულ ვარიანტში გამოხატავს მიმღეობა სუნთეτრიმმენი(სუნტრιბა), რაც ტანჯვას, დანგრევას, გატეხვას, განგმირვას გულისხმობს, ანუ, სინაულისაგან დატანჯულ სულს უნდა აღნიშნავდეს. გული წმიდა ძველბერძნულ დედანში არ არის.

**შინაგან აქუნ სასუფეველი ცათათ. 2.7**  
”Ενδον τὴν ἄνω βασιλείαν, καὶ Ἱερουσαλήμ.

ქართულში არ არის ნახსენები იერუსალიმი. წინდებული წინდებულადვე არის გადმოტანილი თარგმანში: ენτὸς უმაუ-შინაგან თქვენსა.

**მიერითგან სულიერი იგი კაცი სულიერითა თუალითა ხედავნ ყოველსა და სულიერთა შესწირავნ. 2.8**

Καὶ λοιπὸν, ὡς πνευματικὸς τοῖς οφθαλμοῖς πνευματικὰς θυσίας προσάγει.

ქართულში ჩამატებულია კაცი ... ხედავნ ყოველსა, ხოლო სიტყვა შესწირავნ უფრო საკრალურია და მას დედანში შეესაბამება სიტყვა προσάγει(προσάγω), რაც ბუკვალურად მიტანას, მიძღვნას ნიშნავს. ზმნები ქართულში აწმეოს ხოლ მეოთხეობით გადმოიცემა(ხედავნ, შესწირავნ).

**ხედავნ გუამსა თჯსსა ტაძარსა საყოფელ უხილავისა დმრთისა. 2.11**

Ὥρῶν αὐτοῦ τὸν ναὸν, τὸν τοῦ σώματος θυσαστήριον Θεοῦ ὑπάρχοντα.

წინადადების მეორე ნაწილში განსხვავებული ტექსტია: საყოფელ უხილავისა დმრთისა - τοῦ σώματος θυσαστήριον θεοῦ ὑπάρχοντα. ბერძნული ტექსტი სხეულის ღმრთის სამსხვერპლოზე მიტანას გულისხმობს, რა ოქმა უნდა, მისტიკური თვალსაზრისით. სიტყვა გუამი ძველ ქართულში

პიროვნებას, პიპოსტასს, პირს აღნიშნავდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ვარაუდობთ, რომ იგი სხეულს უნდა ნიშნავდეს.

ბერძნულ წინადადებას მიმდებადა მართავს შესაბამისი პირდა-პირი ობიექტის ბრალდებითი ბრუნვითა(τὸν ναὸν, τὸν...πάρχοντα) და მისი განსაზღვრებითი ნათე-საობითი ბრუნვით(τὸν σώματος θυσαστήριον Θεοῦ), ხოლო ქართულში პირიანი ზმნა მარ-თავს წინადადებას ირიბი ობიექ-ტის მიცემითი ბრუნვითა და მისი განსაზღვრებითი ნათესაობითი ბრუნვით.

მდრ.: (პავლე, კორინთელთა მიმართ, I, 3-4)

**არავინ დასდვის ხელი  
ერქუანსა და მართლუკუნ  
ხედავნ და წარემართის  
იგი**

**სასუფეველსა ცათასა. 3.7**  
Ούδεὶς βαλὼν τὴν χεῖρα αὐ-  
τῶν ἐπ’ ἄρτρον, καὶ στραφεὶς  
εἰς τὰ ὅπίσω, εὐθετός ἐστιν  
εἰς τὴν βασιλείαν τῶν οὐρα-  
ῶν.

ორიგინალის ზმნა მიმდებ-  
ით არის მიცემული, ხოლო პირდაპირი ობიექტი, შესაბამის-  
ად, ბრალდებითი ბრუნვით(βαლὼν  
τὴν χεῖρα - დასდვის გელი). წარე-  
მართის - ამ სიტყვას თავისი  
პირდაპირი შესატყვისი არ აქვს,  
იგი მთარგმნელის მოძებნილი  
შესაბამისია - εὐθετός ἐστιν და  
უფრო ითარგმნება, თუ ძველი

ქართულის ტერმინით ვიტყვით, როგორც შემძლებელყოფა. ქართულში უგულვებელყოფილია ბერძნულის წინდებულიანი კონსტრუქციები.

მდრ.: (ლუკა, 9, 62)

**უღელი ჩემი ტკბილ არს  
და ტკრთი ჩემი მცირე. 4.1**

‘Ο ζυγός μου χρεστός, καὶ  
τὸ φορτίον μου ἐλαφρόν ἔσ-  
τιν.

**წყალობითა უფლისავთა  
სავსე არს ქუეყანაჲ, წრ-  
ველ არიან გზანი  
უფლისანი და მართალნი  
ვიდოდენ მას შინა, ხოლო  
უსჯულონი მოუძლურდენ.**  
4.3

Εὐθεῖαι ὁδοὶ Κυρίου, καὶ δι-  
καιοι πορεύσονται ἐν αὐταῖς.

ქართულ მონაკვეთში აღინ-  
იშნება ტექსტის მატება.

**ნუ შეაწუხებთ სულსა  
წმიდისა დმრთისასა, რომ-  
ლითა აღიბეჭდენით დღედ  
გამოგვინდისა. 4.12**  
Μὴ λυπεῖτε τὸ Πνεῦμα τὸ  
ἄγιον τοῦ Θεοῦ, ἐν ᾧ ἐσφρα-  
γίσθητε εἰς ἡμέραν  
ἀπολυτρώσεως.

ბერძნულის წინდებული  
ქართულში მოქმ. ბრ.-ით არის  
გადმოცემული (რომლითა - ἐν ᾧ  
).  
I აორისტის ვნებითი გვარის ეს-  
ფრაგისθητε შესაბამისი ვნებითი

გვარის წყვეტილით არის გადმოსული ქართულში – აღიბეჭდენით.

შდრ.: (პავლე, ეფეს., 4,29-30)

**სათნოებითა შეამკვენ თავი თვისი და ეგრეთ მოუჰედინ დიდებულსა მას ტრაპეზსა.**  
6.15

რამეთუ ძნელ არს, უპუეთუ ვინმე დაეჩვენს განრცხად სამოსლისა სულისასა, რომელ არნ გორცნი, და კუალად შებდალვად, 7.6 რამეთუ მრავალგზის განრცხად და კუალად შებდალვად განცუეთილ ძუელ-ჰყოფს მას და მერმე, ოდეს დაძუელდის და დაბერდის, განრცხადცა ველარა ეძლოს. 7.7.

Χαλεπὸν γὰρ τὸ συνεθίσαι πλύνειν τὸ ἴμάτιον τοῦ σώματος, καὶ πάλιν μολύνειν αὐτό. Τὸ γὰρ πολλάκις πλυνόμενον καὶ κατατριβόμενον, σαθρὸν καὶ ἄχρηστον γίνεται, καὶ λοιπὸν γηράσαι καὶ παλαιωθὲν, οὐδὲ πλυθῆναι δύναται.

ταρგმანში არის სამოსელი სულისა, ორიგინალში კი - სამოსელი გორცისა(τὸ ἴμάτιον τοῦ σώματος). ბერძნული ენის ინფინიტივი სისტემით აღმოკიდებული წინადადებების ქართულში, ბუნებრივია, ზმნებითაა გადმოსული. სხვადასხვაა წინადადებების სინტაქსური აგებულება ორიგე ენის ვარიანტში.

მოწოდებული(დაეჩვენს) და შემდეგ მოსდევს მას ისეგინფინიტივი პლუნეი , რაც საწყისია ქართულშიც, ვითარებითის ბრუნვის ფორმით – განრცხად, ასევებ საწყისი მილუნეი - შებდალვად.

მეორე მონაკვეთში ბერძნულის ბრალდებითი ბრუნვის მიმღეობა ქართულში საწყისია(პლუნომენი -განრცხად). კალკირებულია განრცხადცა ველარა ეძლოს - იუδე πλυθῆναι δύναται. ქართულ ? მონაკვეთში ლექსიკური ერთეულების სინტაქსური ფუნქცია შეცვლილია.

შდრ.: (ფსალმ., 4,9)

ნეტარ არს კაცი, რომელი განსწავლო შენ, უფალო, რამეთუ ვითარცა წურთინ მამად შვილსა. 8.1

ანუ გარემიქცევითა პირისა მისისათა და რისხევითა, ვითარცა პრისხავნ მეფე მტერთა. 8.2

ή κατὰ ἀποστροφὴν, ὡς βασιλεὺς πρὸς ἔχθρόν.

თარგმანში ისეგ აღინიშნება ტექსტის მატება. ბერძნული ენისათვის დამახასიათებელი უზმნო წინადადებები ქართულში, ბუნებრივია, ზმნებითაა გადმოსული. სხვადასხვაა წინადადებების სინტაქსური აგებულება ორიგე ენის ვარიანტში.

განსაცდელისა მის მიერ მოვიდის მეცნიერებად, ვითარცა შეემთხვა ნაბუქოლონოსორს და მანასეს, ვითარცა წერილ არს: ჭიმითა და აღვრითა ქცევად დაწუნი მათნი, რომელი შენ არა მოგეახლნენ. . 8.11

Kai διὰ τῶν πειρασμῶν ἔρχεται εἰς ἐπίγνωσιν, ὅσπερ ἔπαθεν ὁ Ναβουχοδονόσορ καὶ ὁ Μανασσῆς. Ἐν κημῷ, φησὶ, καὶ χαλινῷ τὰς σιαγόνας αὐτῶν ἄγξαις των μὴ ἐγγιζόντων πρὸς σέ.

ისევ უგულვებელყოფილია წინდებულიანი ფორმა (εἰς ἐπίγνωσιν-მეცნიერებად, ἐν κημῷ, καὶ χαλινῷ - ჭიმითა და აღვრითა), არც მიმდეობური კონსტრუქციაა შენარჩუნებული (ეგγιζόντων-მოგეახლნენ).

შდრ.: ფსალმუნ(4.9).

**განიხეთქოს მეფობად შენი გელთაგან შენთა და მივსცე მონასა შენსა. 9.4**  
Διაρჩήსონ მიაჩინა თუ ბასილე-  
'ან ეკ ხეιρόს სიუ, კაὶ მას აუτὴν  
თუ ბიულა სიუ.

ბერძნულ ში განიკეთქოს ორმაგი აღნიშვნაა - მიაჩინა მიაჩინა. ქართულ ში იგი ვნებითი გვარისაა, ხოლო ბერძნულ ში მოცემულია მიმდეობითა და მოქმედებითი გვარის მომავალი დროის I პირით. ენეტელამუ (ენ-  
ტელა) დავალებას, ბრძანებას ნიშნავს, ქართულ ში კი გად-

მოცემულია ზმით - გამცენ. მთელი მონაკვეთი კალკირებულია.

შდრ.: (მესამე მეფეთა, 11.11-12)  
იუნჯებ თავისა შენისა რისხევასა დღესა მას რისხევისასა. 9.7

Θεσაυρίζεις σεაυτῷ ὄργὴν ἐν ἡμέρᾳ ὄργης.

ამარტავითო ქართულ ში გად-  
მოტანილია, როგორც შენანებელი. სიფიცხლე, ბერძნულ ში სკლერტეტა (სკლერსუა), უფრო ულ-  
მობელობას, სისასტიკეს ნიშნავს, ზუსტი შინაარსობრივი და გრამ-  
ტიკული თარგმანია ოუნჯებ -  
θησაυρίζεις, და შეგროვებას გულისხმობს, ასევე ზუსტია მია-  
გოს შესაბამისად აπიძასეι, და მიცემას ნიშნავს.

შდრ.: პავლე, რომ., 2,5-6.

**ვითარცა თივავ მსთუად განკმეს, და ვითარცა მხალი მწუანვილისავ ადრე წარკვდეს. 9.9**

Ωσὲὶ χόρτος ταχὺ ἀποξηρανθη-  
σονται.

თარგმანი კვლავ გავრცო-  
ბილია.

შდრ.: (მათე, 6.30); ფსალმ.(36,2)

**რომელი გლახაკთა მიეცეს გელითა შენითა, დმრთისა თანა დამარხულ არს. 9.13.**

**უწყითმცა, ცოდვათა ჩუენ-  
თათვს მივეცემით გელთა  
მტერთა ჩუენთასა სამართლ-**

**ითა მით სასჯელითა დმრ-  
თისათა. 14.5**  
ბია თას ამარტიას წმῶნ პარაბი-  
ბიმეთა ფოლაკის, ას ესრეთა, ეს  
ხეირას ეხთრო ანტმას, კათა  
ბიკაიან კრისი თესუ.

საშუალ-ვნებითი გვარის პარა-  
ბიბიმეთა, ამავე გვარითვე არის  
გადმოსული ქართულში – მივე-  
ცემით. ფოლაკის სიტყვა, რაც ნი-  
შნავს ხშირად, თარგმანში არ  
არის. ცოდნა(უწყიოთმცა) ზმნის  
ფარდი დედანში არის ას ესრეთა,  
და ითარგმნება – როგორც ითქვა,  
გულისხმობს საღვთო წერილს.  
თარგმანი ზუსტია.

**გარემივაქციე პირი ჩემი  
მათგან და მივსცენ იგინი  
ჭელთა მტერთა მათთასა.**

#### 14.9

'Απέστρεψα τὸ πρόσωπόν μου  
ἀπ' αὐτῶν, καὶ παρέδωκα αὐτοὺς  
εἰς χεῖρας ἐχθρῶν αὐτῶν.

თარგმანი იგივეობრივია. I  
აორისტის მხოლობითი რიცხვის  
I პირი წყვეტილითვეა გად-  
ბ თ ც ე მ უ ლ ი  
ქართულშიც(ა პესტრეფა -  
გარემივაქციე). ო მახაი რა  
ბუკვალურად ნიშნავს მახვილ-  
ში, მაგრამ, რა თქმა უნდა, მთარგ-  
მნელი ქართულისათვის  
ლოგიკურ ფორმას არჩევს და  
იგი მოწოდებულია უბრალო  
დამატებად მოქმედებით ბრუნ-  
ვაში.

**ჭელთა შინა ზრახვისა  
მისისათა. 14.11**

’Εν χειρὶ διαβολίου αὐτοῦ.  
თარგმანი იდენტურია ორიგი-  
ნალისა. იგი ბერძნულის ქართუ-  
ლი ფრაზეოლოგიური კალკია.

**შთავრდომილ არს ცოო-  
მათა და უმეცრებათა შინა.**  
16.4

სიტყვა შთავრდომილ, ჩვე-  
ნი აზრით, ბერძნული ენის კალ-  
კი უნდა იყოს.

**ტკრთმდიმენი განვიდეთ.**

#### 16.14

უაღრესად მეტყველი სიმ-  
ბოლოა და ცოდვილი სულის  
სხვა განზომილებაში გადასვ-  
ლაზე გველაპარაკება.

**ცეცხლი იგი წმიდათა საიდ-  
უმლოთა, შეიწუების და  
დაისჯების ცოდვილი სული.**

#### 16.14

**ვიდრელა სავაჭროა დგას და  
სასყიდელი სინანულისად და  
კეთილთა საქმეთა და  
უეჭულელად მიეცემის ვიდრე  
ორთა მწულილთამდე, ვი-  
თარცა ქურივისა მის და ვი-  
დრე სასუმელისა ერთისა  
გრილისა წყლამდე, რომლისა  
სასყიდელი არა წარწყმდეს.**

#### 16.2

ამ მონაკვეთის არქეტიპი სახ-  
არებისეული ორი იგავია –  
ქვრივისა, რომელმაც გულით  
შესწირა ორი მწულილი(ლუკა,

2.21) და ლაზარესა და  
მდიდრის(ლუკა, 19-31) იგავი.

**ამასვე სოფელსა განაბნოის  
ყოველი ტკრთი ცოდვათა  
თვისთავ, და განიწმიდოს თავი  
თვის ყოვლისაგან ბილწები-  
სა სულისა და ჭორცოასა, და  
მოიგოს საგზალი კეთილი,  
საუკუნოესა გზისათვს  
განემზადოს და არა შეძრ-  
წუნდეს. 16.22**

ამ რამდენიმე სტრიქონში  
რამდენიმე მეტად ღრმა სიმ-  
ბოლოა – ტკრთი ცოდვათავ,  
თავისი თავის განწმედა, საგზა-  
ლი კეთილი, საუკუნო გზა.

**გან-თუ-იძარცოს სამოსელი  
ესე ჭორცოა ამათ მოკუ-  
დავთამ, ... , არავე შიშველ  
იპოოს, არამედ შეიმოსოს  
სამკაული იგი ცხორებისად.  
16.23**

ეს ნაწილი თხზულებისა  
პირდაპირ უკავშირდება სახარე-  
ბისეულ უძლები შვილის შინდაბ-  
რუნების იგავს: გამოიღეთ სა-  
მოსელი იგი პირველი და შეჰ-  
მოსეთ მას(ლუკა, 15.22) – შეი-  
მოსოს სამკაული იგი ცხორები-  
სად. გარდა ამისა, იგი შეიძლება  
იყოს ალუზია „აბო ტფილელის  
წამებიდან": „განვიძარცო შიში  
ხორცოა ამათ ჩემთავ, რომელი  
სამოსელ არიან სულისა  
ჩემისა"(ქართული პროზა, გვ.136,  
თბ, 1982).

**მეცნიერებასა ჟეშმარიტე-  
ბისასა მოსლება. 16.26**

ასევე სიტყვა მოსლება  
ბერძნული კალკი უნდა იყოს.

როგორც ვხედავთ, თხზუ-  
ლების სახისმეტყველება ეგ-  
ზეგეტიკური თხზულებისათვის  
დამახასიათებლად სტანდარტუ-  
ლია. ეს არის საღვთო წერილ-  
იდან პირდაპირ ციტირებული და  
პერიფრაზირებული სახეები,  
რომლებიც ხშირად მთელ ფრა-  
ზასაც მოიცავენ და ახალი  
ემციით იკითხებიან.

რაც შეეხება თარგმნის  
სპეციფიკას, ვხედავთ, რომ თარგ-  
მანი იდენტურია დედნისა, და  
ამის თქმა მთელ თხზულებასთან  
მიმართებაში უფრო დაბეჯითუ-  
ბით შეიძლება. მთარგმნელი  
ცდილობს ბერძნული ენისათვის  
დამახასიათებელი მიმღეობური  
და ინფინიტივური, ასევე წინდე-  
ბულიანი კონსტრუქციები ასევე  
გადმოიტანოს, რამდენადაც კი  
ამის შესაძლებლობას ქართუ-  
ლი ენის თავისებურებები  
აძლევს, მაგრამ თითქმის  
ყოველთვის ბერძნულის უზმნო  
წინადაღება ქართულში ზმნის  
პირიანი ფორმით არის გად-  
მოცემული. თხზულება არის  
სინთეზი დედანსა და მხატვრულ  
თარგმანს შორის ეკვივალენ-  
ტურობის ორი, ფორმალურ-

სტრუქტურული და დინამიკური, მოდულაციურ-ადაპტური ტიპისა. მართალია, გვხვდება ბევრი მონაკვეთი თარგმანისა, რომლის ბერძნული დედანი არ არის(ან ჩვენს ხელთ არ არის), მაგრამ რაც არის, იმის მიხედვით ჩვენ ვასკვნით, რომ მთარგმნელი ეფრემ მცირის ელინოფილური სკოლის ტრადიციების გამგრძელებელი უნდა იყოს.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

ბეზარაშვილი ქ., რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით, თბ., 2004

Библиотека Отцов и Учителей Церквию Преподобный Анастасий Синайтио Избранные Творенияю М 2003

დანელია ქ., მხატვრული ენისა და სტილის ზოგიერთი საკითხი ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანის მიხედვით, ძველი ქართული ენის კათედრის მრომები, 25, თბ., 1984

დანელია ქ., ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბილისის

უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1983

..,

- , , 1958

კვაჭანტირაძე გ., სემიოტიკა, II, თბ., 2007>

კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 2006 Minge 89, 329-344

სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენა, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბ., 2004 ურუშაძე აკ., ძველი ბერძნული ენა, თბილისის „უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1969 ქართული პრიზა, I, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1982 ხელნაწერი A-128,827r-838v, გ. I2, თბ., მეცნიერება, 1976

## მზიური ფერის შეცნობი- სათვის

ამ წერილზე მუშაობისას ვფიქრობდით, რომ ჩვენ შეიძლება არ გვცოლნოდა ადამიანთა ხასიათის კარგი და ცუდი თვისებების, მათი ჭეშმარიტ ბუნების, იმპულსების, ფიქრებისა და იდეების კონტროლის უნარის შესახებ, მაგრამ ამის გამო ნუ შემფოთდებით, რადგანაც ჩვენს ორგვლივ ძალიან ახლოს, ან თუნდაც ძალიან შორს არსებობს ბუნების ფერთა სამყარო, რომელიც ადამიანთა ქცევაზე მოქმედებს, უქმნის განწყობას, მართავს მათ გრძნობებს, სურვილებს, აწვდის იდეებსა და შეხედულებებს და ეხმარება ბუნების სილამაზის აღქმაში.

ფერს, როგორც განსაკუთრებული ფენომენს, ადამიანთა ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ზოგს მასზე ფსიქოლოგიური დამოკიდებულებაც კი გააჩნია და ფიქრობს, რომ ესა თუ ის ფერი, მის წარმატება-წარუმატებლობაზე მოქმედებს.

ყოველი ფერი საკრალური საიდუმლოს მატარებელია. საუკუნების მანძილზე ფერები ადამიანის შინაგან განცდაში უფრო არსებობდნენ, ვიდრე ემპირიკაში. ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში პლატონი „ნადიმში“ ფერს აღწერს, როგორც ფორმას, რომელიც თანაფარდია შეხედულებისა და გრძნობისა. გარდა იმისა, რომ ყოველი ფერი იწვევს გრძნობად-კონკრეტულ განცდას, ამავდროულად უმაღლესი სიმბოლოს მატარებელია. გოეთეს თეორიის მიხედვით კი, ფერი არის არა მხოლოდ სქემატური სიმბოლოს აღმნიშვნელი,

არამედ რაციონალური სისტემის სფეროდან მომდინარე. მიუხედავად იმისა, რომ ფერი აბსტრაქტული მცნებაა და მას არ გააჩნია საგნის არც ერთი თვისება, ცივი, თბილი და ა.შ. სინამდვილეში სულ სხვა რეალობასთან გვაქვს საქმე. არსებობს ფერების ფსიქოლოგიური ზეგავლენა მათი „სიცივისა“ და „სითბოს“ მიხედვით როგორც ერთი მხრივ განსაკუთრებულად დამახასიათებელი შავი ტონების მძლავრობა, ხოლო მეორე მხრივ „ნათელი პალიტრა“ ანუ „მზიური ფერები“. ჩვენი კვლევის საგანს ამჯერად ეს უკანასკნელი წარმოადგენს. ფერი, რომლითაც ნათელი პალიტრა ყველაზე სახიერად გამოისახება, არის ყვითელი, რომელიც ამავდროს მზის ფერია. მზე სინათლის წყაროა, ძველეგვი პტურ მითოლოგიაში „რას“ სახელწოდებით ღმერთის მნიშვნელობას გამოსახავს. მზე სიცოცხლის სათავეა. ამდენად ყვითელი სიცოცხლის ფერი არის, მითოლოგიური წარმოდგენების ანალოგიას გვიდასტურებს ბიბლია. (თავი 1-3; 1-9;) „თქვა ღმერთმა იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი! დაინახა ღმერთმა, რომ ნათელი კარგი იყო და გაპყო ღმერთმა ნათელი და ბნელი.“ ე.ი. ნათელი მზიური ყვითელი ფერი სიცოცხლის იმპულსის მატარებელი ფერია. ძველ ეგვი პტურ მითოლოგიაში ყვითელი ფერი იყო სინათლის სიმბოლო. შემცნების ფორმის უმაღლესი გამოხატულება. ეგვი პტელი მხატვარი გვევლინება როგორც ქურუმი, მიღმიერ სამყაროდან მფარველ ძალთა

გამომხმობელი. ეგვიპტელთა რწმენით, დედამიწაზე არსებობის დანიშნულების შეცნობის შემდეგ ფარაონის სული პირამიდების საფეხურის გავლით უკრთდება „რას“ ანუ მზის სულს. დიდი ფარაონის, ეხნატონის პერიოდში ფერწერის განვითარებამ ყვითელ ფერს მანიჭა არა მარტო სიმბოლური მნიშვნელობა, არამედ სინამდვილის ამსახველ ფერად აქცია.

ტიბეტურ მთოლოგიაში ყვითელი ფერი თეთრ ფერთან ერთად აღნიშნავს ამაღლებულ ზე განწყობას.

ძველი ბერძნებისთვის სამყარო იყო ცეცხლოვანი ფერებისაგან შემდგარი. ყვითელი ფერი მათთვის მანათობელი სიხარულის გამოხატულება იყო.

ბევრი მხატვარი შინაგანად ებრძოდა ყვითელ ფერს, თუმცა ყოველთვის ხაზს უსვამდნენ მის სირთულეს. მაგალითობათვის იტალიური მაღალი აღორძინების მხატვარი ტიციანი იკმარებდა. პიკასო ყვითელი ფერის უფლებას ისე იცავდა, როგორც ადამიანის უფლებას. არც ერთ ფერს არ გამოუწვევია იმდენი დავა, რამდენიც ყვითელ ფერს. ანდრი შევერელის თეორიის მიხედვით – ამ ფერს მიენიჭა სინათლის ფუნქცია. მისით ხდება უსახური, ქაოსური სინამდვილის გასულიერება. ის „დესტრუქციულ ქაოსს აქცევს კოსმიურ წესრიგად.“

ყვითელი ფერის უმთავრესი თვისებაა, რომ ის არ უნდა იყოს ჩაკეტილი. მას ეშინია იზოლირების და უყვარს შიგნით თავის გულში ჰქონდეს მომწვანო – მონარინჯისფერო ნათება და გარეთ ასხივებდეს. ამ ფერს მხოლოდ მაშინ

შეუძლია ატაროს თავის ყვითლობა, როცა ასხივებს, იხარჯება და თავის სხივოსნობის ენერგიას გარეთ აფრქვევს. ანუ როცა ყვითელს „უხარია“ როცა ყვითელი იკეტება - კვდება. ძნელია მისი დაფიქსირება სივრცეზე, რადგან ის როული დასაჭერი ფერია. თუ გვსურს გაანათოს ყვითელმა, გარშემო უნდა მივულაგოთ ისფერი. მაშინ მიიღწევა მისი მაქსიმალური სიკაშკაშე. ყვითელი ფერის ბუნება ლურჯ ცაზე გაფრქვევაა. მხატვარმა რომ ის სიბრტყეზე დაალაგოს, უდიდესი ოსტატობა არის საჭირო. რათა არ გაურიოს მწვანე. ამ ფერთან შერევით ყვითელი ფერი წახდება. წმინდა სახით ყვითელი ფერი მხოლოდ მზეშია. ის როგორც მგრძნობიარე ფერი, განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იჩენს სხვა ფერებთან ურთიერთობისას. ის იმდენად აქტიური არ არის, რომ რომელიმე ფერი დააზიანოს, არამედ თავად ზიანდება.

ცნობილი სამხრეთამერიკული მხატვარი ნიშიზაგა მიიჩნევს, რომ „ამ უცნაური თვისების გამო ის ჩამოჰვავს კეთილშობილ სულს.“ თუ ყვითელი ცუდად შეეხმ წითელს, დაზიანდება. იასამნის-ფერთან შეხებისას ქმნის სრულ ტალას. ყვითელი ფერის ფუნქციის გამოცვლა ნიშავს, მისი არსის დაკარგვას. XX საუკუნის ერთ-ერთი დიდი მხატვარი ხუან მირო წერს: „თუ გრძნობადია განათება, ყვითელია, თუ კურ გრძნობს თავისთავს და ანათებს თეთრი.“

1966 წელს ისააკ ნიუტონმა სპექტრად დაშალა მზის სინათლე. XX საუკუნე

იყო მზის სპექტრის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი. სწორედ მაშინ გახდა შესაძლებელი მზის სპექტრში შთანთქმის ფრაუნ-ჰოფერის ხაზების აღმოჩენა და შესწავლა. სპექტრის არსს ჯერ კიდევ უძველეს ხანაში იკვლევდნენ ქალდეველები და ბაბილონელები. ყვითელი ფერი სპექტრში დევს შეა ადგილას. სპექტრი იწყება ულტრაინფერით და მთავრდება ინფრაწითელით. ყვითელს გვერდით მოჰყება თვალისითვის კარგად აღსაქმელი მომწვანო და ცისფერი. სპექტრის ძირითადი ფერებია: ყვითელი, ლურჯი და წითელი. დანარჩენი ამ ფერთა ვარიაცებია. შვიდი ფერის დაღაგებით ცისარტყელა გამოსახავს ფერს, რომელიც მიიღება მზის სხივის წვიმის წვეთში გარდატეხის შედეგად.

გოეთეს თეორიის მიხედვით აქ ფერები ერთმანეთს ეხმარებიან, ეკონტრასტებიან და გაძლიერებას აღწევენ. ჩამოყალიბდა დამატებითი ტონის ცნება. ყვითელისა და წითელის შეზავებით ვიღებთ ნარინჯისფერს. ხოლო ლურჯისა და ყვითელის - მწვანეს. წითელი და ლურჯი ქმნის იისფერს. სწორედ ამგვარი სპექტრალური დაშლის პრინციპზე ააწყვეს იმპრესიონისტებმა (პისარომ, მონემ, სიორამ) თავიანთი შემოქმედება.

ფერწერის ძირითადი კანონების შესწავლის საქმეში უდიდესი შრომა გასწია ეუენ დელაკრუამ. სპექტრალური ფერის განვითარების საიდუმლოება მან ყვითელ ფერთან მიმართებაში განიხილა. ის მიიჩნევდა, რომ

მზის შუქის ტონალობის შესაბამისი ქლერადობა რომ გვქონდეს, უნდა გამოვიყენოთ ყვითელი ფერი. კლასიციზმის „მამად“ აღიარებული ნიკოლა პუსენი თამამად იყენებდა ტონის ნიუანსებს და წითელ-ყვითელ კოლორიტს. ბალზაკმა სწორედ პუსენის ფერწერაზე დაკავრვებით აღმოჩინა „ვოლიერების სისტემა“ ანუ სინათლის ძალის ინტენსიურობის მიხედვით, ფერის, მისი ანარეკლებისა და ძირითადი ფერადოვანი აკორდის ტონის ნიუანსირების თავისებურებანი, რომელიც შემდგომ შეისწავლეს და განავითარეს: ვატომ, შარდენმა, დელაკრუამ, კორომ.

წმინდა ყვითელი ფერის აღსაქმელად იმპრესიონისტებმა დაძლიერ სალონური აკადემიზმი, დატოვეს სახელოსნო და გავიდნენ ღია ცის ქვეშ, პლანერზე სამუშაოდ, საკუთარი მხატვრული მოთხოვნების შესაბამისად და მეცნიერული აღმოჩენებისათვის. დაიწყეს დაკვირვება მზიური სინათლის რეფლექსების ურთიერთ მოქმედებაზე, ისინი აკვირდებოდნენ სინათლისა და ატმოსფეროს მოვლენებს, არა მხოლოდ სუბიექტური ფორმისათვის, არამედ ბუნების შინაარსიანი და მოძრავი სახის შესაქმნელად. მათ შემოქმედებაში მზიურ ფერწერას ყვითელი აძლევს, არამიწიერ, საჭრალურ იდუმალებას, რომელიც ფერთა გამასთან ზუსტი ტონიერებით იძლევა ფერთა პოეზიის განცდას. თითქოს ხაზები კარგავენ დანიშნულებას და ფერი იკავებს მის ადგილს. ყვითელი ფერი თითქოს ათავისუფლებს საგანს ერთი განზომილებისაგან და

შეაქვს მასში ზეაღმატებული თავისუფლება. მხატვარი უნდა გრძნობდეს რომ ყვითელ ფერს არ წაართვას ტერიტორია, როგორც მზეს არა აქვს საზღვარი და ლოკალურ წრეში ვერ მოაქცევას ასეა ყვითელიც. რადგან ყვითელი უვიპტური ღმერთის „რას“ სიმბოლოა – მიჩნეულია, რომ ის არის სისავსის, სრულყოფილებისა და სიმწიფის სიმბოლო. რუდოლფ შტაინერი ყვითელ ფერთან მიმართებაში ნაშრომში – „პიროვნულის სამი ასპექტი“ წერს: „ძლიერ პიროვნებებს მკვეთრად ყვითელი, ელვარე აურა ახასიათებთ.“

ვან გოგმა ყველაზე მისტიკურად იგრძნო ყვითელი ფერის არსი. რის შესახებ უამრავი გამოკვლევა არსებობს, ამიტომ საგანგებოდ აღარ შევეხებით. ფერწერულ ტილოზე „საბილიარდო.“ ის ღამესაც ყვითელი, მზიური ფერით გადმოგვცემს. აქ სავსებით შესაძლებელია რუსთაველის საკრალურ მეტაფორასთან „მზიან ღამესთან“ პარალელის გავლება. ანუ ორი შემოქმედი დამოუკიდებლად ქვეცნობიერზე გავლით როგორ მიდის მზიური ფერის ერთიდამიავე რაკურსით ხედვამდე. გოგნი ყვითელი ფერის ფუნქციას ყავისფერში თეთრი ფერის შეტანით აღწევდა.

ემილ ზოლას რომანის „შემოქმედებას“ მთავარი პერსონაჟი მხატვარი კლოდი – ყვითელ ფერთან დაკავშირებით ამბობს: „ხელოვნებას სჭირდება მზე, პაერი, ნათელი - ახალგაზრდა ფერწერა.“ იმპრესიონისტების აზრით ყვითელი ფერით ხდება მატერიის გასულდგმულება, ხოლო მზე თავად არის უზე-

ნაესი მხატვარი, სინათლის წარმომქმნელი დიდოსტატი. სიცოცხლის დინამიკის ავტორი. მზე მუდამ წმინდა ყვითლით აღიქმება.

ნორვეგიული დრამატურგის იბსენის დრამა „მოჩენებაში“, ახალგაზრდა მხატვარი რომლის ფერწერის უმთავრეს ფერი ყვითელია, ამბობს: „ჩემს ნახატებში არის მზე, სადღესასწაულო განწყობა ადამიანთა ბედნიერი, მოციმუიმე სახეები.“ აქვე უნდა გავიხსენოთ კურბეს სიტყვები: „მე ჩემს სურათებში ვმოქმედებ ისე, როგორც მზე ბუნებაში.“

უარყოფითისა და დადებითის, ბოროტისა და კეთილის, სიკვდილისა და სიცოცხლის ბრძოლაში მაინც უფლის კოსმიური ნათელი იმარჯვებს, როგორც უსახურ ყოფაზე ზეაღმატებულია მხატვრის ფერადოვანი გამოთ მოტანილი იდუმალი ფერწერული პოეზია.

პროფ. ლელა აფციაური

ი. ჭავჭავაძეს სახ. უნივერსიტეტი

Email: lelka-64@mail.ru

ტელ: 8(77)443131